კვირის პალიტრა

ფიქრი

131(60) 2/VIII.-8/VIII.2001. ფასი 60 თ.

1168
2001

ჩვენი ჟურნალისტი სოხუმიდან დაბრუნდა

ნოდარ ახალკაცი — ქართული ფეხბურთის ტრიუმფის ავტორი

ინტერვიუ გიორგი სანაიას მოძღვართან

მამა ზენონი: გიორგი სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე ეზიარა

ბედისწერა — რომანის დასასრული

ყოფილი პანკი უსუპი
მშრალ ხიდთან საქმიანობს:

— ამ ადგილის გაკონტროლებას ბევრი ცდილობს...
დახლზე რაც აწყვია, — „მასკიროვკაა“.
სინამდვილეში კი სულ სხვა ვაჭრობა მიდის...

ქალის პალიტრა
№31 (60)
2 - 8 აგვისტო 2001
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
მიდით თქვენს პაპის-პაპებთან! 3
მოძღვარი
მამა გენონი: გიორგი სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე ეგიარა... 4
აფხაზეთი
მე საგზვარგე არ გადავსულვარ – მე სამშობლოს ერთი ნაპირიდან მეორეგე გადავედი მხოლოდ... 6
სტუმრები
ჩეხი გოგონები საქართველოში ჯავახეთიდან შემოვიდნენ 9
ტრადიცია
ერემოს ცნობილი დუქანი ბაბუაჩემს ეკუთვნოდა 11
ამპლუა
ვეძებ სპონსორს, რომელიც მიპატრონებს 14
ტესტი
ერთგული მკითხველი 16
ადამიანი
საქართველოს წარსულით მოვაჭრე ყოფილი პანკი 17
შეამონმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაგე 19
კრიმინალი
• სადისტური მკვლელობა თემქაგე 20
• სასამართლო გამოძიება დასრულდა, განაჩენი კი არა და არ ჩანს 22
ნამდვილი ამბავი
ზორბა ბაჯა და ქონდრისკაცები 24
მეკვიდრეობა
ქალი კართაგენის ქალღმერთის სახელით 26
შეჩერებული ნამი
... შეჭყურებდნენ, როგორ ელულუნებოდა ღვინიებს და წიქარებს 29
ფსიქოლოგიური თამაში
მხოლოდ ქალებისათვის: მამაკაცები, რომელთაც ვირჩევთ... 30
სამყარო
ბაშლი – ვიტამინების კონა 32
ნმინდანები
„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა“ 34

მე საზღვარზე არ გადავსულვარ – მე სამშობლოს ერთი ნაპირიდან მეორეზე გადავედი მხოლოდ...

ის, რასაც ახლა ვწერ, ის, რასაც განვიცდი და ამ წერილის საშუალებით ვფიქრობ, თქვენც განგაცდევინებთ – ცარიელი ემოციაა.

დიახ, მე მოგყვებით აფხაზეთზე, სოხუმზე – ოღონდ, არა ისეთზე, როგორიც თქვენ გახსოვთ, არამედ ისეთზე, როგორიც მე ვნახე.

6

ვეძებ სპონსორს, რომელიც მიპატრონებს

რომ ვჯდები და მოკლე კაბა მაცვია, ვცდილობ, საკუთარი ქცევა ვაკონტროლო, ფეხი ფეხზე არ გადავიდო... თუ ბიჭს კალთაში არ ჩავუჯდები, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეგობრობა არ ვიცი...

14

„დაკეტილი ოთახიდან მომაკვდავი ქმრის ხრიალი მესმოდა“

თბილისში, კიდევ ერთი სადისტური მკვლელობა მოხდა. თემქის დასახლების სამართალდამცავებმა ბინის კარი შეამტვრიეს. ჯიბო სადღობელაშვილი მათ მთვრალი დახვდათ, ხოლო ოთახში, მისი მეზობლის – ვანო არჩვაძის დანით აჩეხილი უსულო გვამი ეგდო...

20

ერემოს ცნობილი დუქანი ბაბუაჩემს ეკუთვნოდა



გამოცხადდა კონკურსი – „საველე სამგზარეულოების დათვალიერება“. მამაჩემს მივწერე – არიქა, მიშველეთ-მეთქი. მამამ კი, არც აცია, არც აცხელა – კონვერტებში ჩვენებური სხვადასხვა სუნელი ჩამიყარა და გამომიგზავნა. უფროსებს სუნელები „პლანი“ ეგონათ...

11

სასარგებლო აზრები

აფორიზმების ენციკლოპედია 35

ახალკაცი

ქართული ფეხბურთის ტრიუმფის ავტორი 36

ბიზნესი

გოგიერთი სიკვდილის შემდეგაც მდიდრდება 39

ვარსკვლავი

ჰოლივუდის კიდევ ერთი საძაგელი გოგონა – ქეით ჰადსონი 42

რომანი

ნიკო აშკარელი. ბედისწერა (დასასრული) 44

ვიქტორინა

დაისვენეთ, გაერთეთ, ივარჯიშეთ! 48

ესკიზები

„დღეს ბაგრატიონს აღარ მარტყია მეფე ერეკლეს პირბასრი ხმალი“ 49

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 50

ავტო 52

ჯანმრთელობა

- სად დავისვენოთ? 54
- ჩვენი პატარა 54
- სამკურნალო მცენარეები – პატაბალახა 55
- ცოფი 56
- კითხვა-პასუხი 57

მაგნატი

უნივერსალური მუსიკა მესიე 58

სპანფორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (6-12 აგვისტო) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

როგორი მეგობარი ხართ? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

დღეს ბაგრატიონს აღარ მარტყია მეფე ერეკლეს პირბასრი ხმალი



ბევრმა არ იცის, რომ ყველა დროის ქართველი კრიმინალების საყვარელი სიმღერის – „აბა, ყვავებს ვინ დაიჭერს, კარგო, გალიაში ბულბულები ზიან“, – ტექსტის ავტორი პეტრე გრუზინსკია.

49

ქართული ფეხბურთის ტრიუმფის ავტორი

ნოდარ ახალკაცი დიდი გუნდის შესაქმნელად, ფაქტობრივად, მის ხელმძღვანელად დანიშვნამდე კარგა ხნით ადრე ემზადებოდა. ერთი ჩვეულება ჰქონდა: ყოველ საღამოს, ვარჯიშის შემდეგ, ჩანაწერებს აკეთებდა სპეციალურ რვეულში.

36

ჰოლივუდის კიდევ ერთი საძაგელი გოგონა



საძინებლის კარზე წარწერაა: „აქ ეწევიან!“ იგულისხმება – „ეწევიან მარიხუანას“. ქეითი და კრისი იშვიათად ათევენ ღამეს სახლში – დროს ისინი, როგორც წესი, ახალგაზრდულ კლუბებში ატარებენ.

42

ბედისწერა



ნინომ ახლაღა შენიშნა, რომ ქარს ღრუბელი გაეფანტა და ციდან დაშვებული მზის სხივები გიგიას საფლავსა და ორი ბავშვით ხელდამშვენებულ ცისიას ეცემოდა.

44

მიდით თქვენს ჰაჰის-ჰაჰებთან!

კიდევ ერთი ქართველი სპორტსმენი აპირებს „გამამლუქებას“ – ძიუდოისტმა გიორგი ვაზაგაშვილმა სპორტის დეპარტამენტს უცადა, უცადა და როდესაც დაპირებული სტიპენდია რამდენიმე თვის მანძილზე აღარ აღირსეს... თქვენი დედაც, თქვენი მამაც და თქვენი პატრონი ქვეყანაცო – გამოაცხადა და ჩემოდნების ჩალაგებას შეუდგა...

ქართული სპორტის ჩინოსნებმა, ცხადია, მაშინვე „ერის, საქმისა და კოლეგების მოღალატედ“ გამოაცხადეს, თუმცა ამ „კოლეგათაგან“ ერთ-ერთმა – გიორგი რევაზიშვილმა პირიქით, მხარი აუბა და თვითონაც ისრაელში გადაბარგებაზე ალაპარაკდა, თან ვაზაგაშვილის არგუმენტაციაც მოაყოლა: დედა ბერძენი ჰყავსო...

ახლა, ბევრმა შეიძლება იფიქროს, რა დროს სპორტია, ქვეყანა თავზე გვენგრევაო. მაგრამ სწორედ ამიტომ მოვიყვანე სპორტსმენების მაგალითი – გინდ პროვოკაციად ჩამითვალონ, გინდ „აჯანყებისკენ მოწოდებად“... არ გაძლევენ პენსიას? – მიდი და დაწექი რუსთაველზე! დაგიგვიანეს ხელფასი 16 თვით? – ადექი და გადაკეტე კრწანისის რეზიდენციისკენ მისასვლელი გზა! ასაღები გაქვს დავრდომილობისთვის კუთვნილი დახმარება? – მაინც აითრიე წელი და ხიე კეტი თავში, ვისაც საჭიროა, ისე, რომ შენი ფულიც მოგცეს და თავისიც გადმოაყოლოს!

არ გამოდის, ძმაო, სხვანაირად „ამათთან“ ურთიერთობა და რა გინდა, რომ იღონო?

თუ იმის თავი არ გაქვთ, რაც მოგახსენეთ, მაშინ თქვენც ქართველ სპორტსმენთა მიერ გაკვალულ გზას უნდა დაადგეთ: საზღვარგარეთ უნდა გადაიხვეწოთ და იქ მოგცემენ აქ ასაღებ პენსიადახმარებებს. თანაც, ეს „გზა“ მართლა სპორტსმენების აღმოჩენილი ხომ არ არის – „მამლუქობა“ და „ემიგრაციის სხვადასხვა ფორმა“ საუკუნეების მანძილზე არსებობდა ჩვენში და ზოგმა „შაჰის ცოლობასაც გამოჰკრა ხელი“!

საქართველო პატარა ქვეყანაა, ხალხი კი იმაზე მეტი ცხოვრობს, ვიდრე საჭიროა. განსაკუთრებით ჭარბად არიან მასწავლებლები, პენსიონერები, უმუშევრები და ხელისუფლების მოწინააღმდეგეები. ამიტომ საჭიროა, სასწრაფოდ შემუშავდეს სახელმწიფო პროგრამა ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის ადამიანების გასანეიტრალებლად – მაღალკვალიფიციური ქირურგების დეფიციტს ნაღდად არ განიცდის ჩვენი ქვეყანა, რამენაირად მათი ხელფასების თანხა მაინც უნდა გამოიძებნოს და დანარჩენებს სასწრაფოდ უნდა გაუკეთონ ტვინებისა და კუჭების ამპუტაცია. აღარც მოშივდებათ, აღარც არაფერს მოითხოვენ და იქნებიან სულ „გაღიმებულები“!

ცხადია, ხარჯი მეტი იქნება, მაგრამ ისევ ეს სჯობს, თორემ ყველა ენატლიკინა რომ პირდაპირ მოკლა, ამან რა შეიძლება გამოიწვიოს, გასულმა კვირამაც დაადასტურა...

P.S. ემიგრაციასა და მის მიზეზებზე ვლაპარაკობდით დასაწყისში – ვიღაცამ თავისი ბერძნობა მოიყვანა ქვეყნიდან გაქცევის არგუმენტადო. ესეც გამოსავალია და ამაზეც შეიძლება ფიქრი: ამდენი ხალხის წვალებას, ტვინებისა და კუჭების ჭრას თუ კომბლების ტრიალს, იქნებ სჯობდეს, იქ – „ზემოთ“ რომ სხედან, ვისაც სადაური დედა, ბებია თუ მეზობლის კაცი ჰყავს – იმ ქვეყანაში წავიდეს?! მაშინ ხელფას-პენსიების მჭამელებიც აღარ იქნებიან და ქვეყანაც ქვეყანას დაემსგავსება.

ნუთუ არ უხმობენ „წინაპართა ძვლები“? წადით რა, ძმაო, „სად მამა-პაპა გეგულვით, იმათი კუბოს ფიცარი“.

პროვოკატორი

დაჩი გრძელიშვილი

მამა ზენონი: გიორგი სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე ეზიარა...

გიორგი სანაიას მკვლელობამ საერთო-სახალხო გლოვა გამოიწვია. ის ხალხმა ისე დაიტირა, როგორც გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს დაიტირებდა. პანაშვიდებზე ჯერ არნახული ამბები ხდებოდა – სამძიმარზე ყველა ეროვნების, სოციალური ფენისა თუ ასაკის ადამიანს ნახავდით.

ასეთ დროს ჭორების გავრცელება უკვე მრავალგზის ნაცადი ხერხია. ყველას გვახსოვს, 9 აპრილის დღეებში, ფარული პოლიტაგიტატორები ათას სისულელეს რომ ჰყვებოდნენ მოშიმშილეებსა და ეროვნული მოძრაობის ლიდერებზე... ჭორები აგორდა მაშინაც, როცა მერაბ კოსტავა და ზურაბ ჭავჭავაძე საეჭვო ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ. მაშინ ბევრი, თუთიყუშივით იმეორებდა გაგონილს, რადგან ენას ძვალი არ აქვს, თანაც – რაც უფრო უაზრო და ულოგიკოა ტყუილი, ხალხში მით უფრო იოლად ვრცელდება...

ახლა, ჯერ კიდევ მკვლელობის ღამეს, კორპუსის წინ შეკრებილ ხალხში რამდენიმე „არამკითხე მოამბე“ დაძვრებოდა და ვითომ სასხვათაშორისოდ, ათას ვერსიას ჰყვებოდა ნარკოტიკებისა და ნარკომანობის შესახებ. ექსპერტიზის შემდეგ ამ ჭორმა აზრი დაკარგა და ამის შემდეგ „არამკითხეებმა“ უკვე პანაშვიდის რიგში გადაინაცვლეს – აქაც, ვითომ სასხვათაშორისოდ ჰყვებოდნენ ათასგვარ სისულელეს...

ყველას ღმერთმა შეუნდოს...

ამ მძიმე დღეებში გიორგი სანაიას მოძღვარს ვთხოვეთ, შეგვხვედროდა...

მამა ზენონს საპატრიარქოს კარიბჭესთან ველოდი. მანქანით მოიყვანეს. ძალიან დაღლილი ჩანდა. მისი თანმხლები ყმაწვილი სთხოვდა – მამაო, დაღლილი ხარ, მერამდენე დღეა ფეხზე დგახარ, დასვენება გჭირდება, შინ წაგიყვანთო... ვერაფერი შეასმინა. ალბათ იმიტომ, რომ მოცემული სიტყვის გატეხა არ უნდოდა. ბიჭი და მანქანაში მსხდომნი დალოცა, დაემშვიდობა და საპატრიარქოს ეზოში შემიძღვა. საპატრიარქოში, ერთ-ერთ ოთახში ვსხედვართ. ძნელია, რაიმე ჰკითხო მშობელს რამდენიმე საათის წინ დაკრძალული შვილის შესახებ. კიდევ უფრო ძნელი ყოფილა, მოძღვარს გარდაცვლილი სულიერი შვილის შესახებ ელაპარაკო...

ჩემი დიქტოფონი კარგა ხანს იწერდა ოთახში დასადგურებულ სიჩუმეს. მოძღვრის თვალებმა გამამხნევა – ხომ დაღლილი იყო, მაგრამ იმდენად მშვიდი, რომ ამ სიმშვიდეს გარშემომყოფთაც გადასცემდა.

ალბათ, ყველაზე მარტივი, ამავე დროს კი რთული, შეკითხვა იყო...

— რა არის სულიერება?

– სიკვდილის მოახლოება რომ უგრძვნია, ალექსანდრე მაკედონელს ახლობლებისთვის დაუბარებია – როდესაც ჩემი სასახლიდან გამასვენებთ, მარჯვენა ხელი კუბოდან გადმომიყავით, რათა ყოველმა ნახოს, რომ ამ ქვეყნიდან ცარიელი ხელით მივდივარ და არა რა მიმაქვსო...

პავლე მოციქული ამბობს: ამქვეყნად არაფერი მოგვიტანია და, ცხადია, ვერაფერს წავიღებთო. მთელი არსი და მოწოდება ამქვეყნად ცხოვრებისა ის არის, რომ შენი გზა ღირსეულად განვლო – ეს არის სულიერება...

სულ ჩნდება ხოლმე კითხვა – როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა, როგორ უნდა გაიაროს ეს გზა? მაკარი დიდთან ერთი ახალგაზრდა მივიდა და ჰკითხა – როგორ ვიცხოვროო? სანამ გეტყოდე, ჯერ წადი და მკვდრები შეურაცხყავიო. დამორჩილდა... გიპასუხეს რამეო? – ჰკითხა დაბრუნებულს ბერმა. არაფერიო. მაშ ახლა წადი, აქე და ადიდეო. ახალგაზრდა დაბრუნდა და უთხრა, არც ახლა გაუციათ ჩემთვის პასუხიო. მაშინ უთხრა მაკარი დიდმა – როდესაც შენი ცხოვრების გზაზე გინებას და ქებას მოგიძღვნიან, ეს მკვდრები გაიხსენე და მაგათ ემსგავსეო... ამაში ძალიან დიდი ცხოვრებისეული სიბრძნეა. რა თქმა უნდა, ერთადერთი სიმდიდრე, რაც ამქვეყნიურ ცხოვრებაში შეიძლება ადამიანმა მოიხვეჭოს, სახელია. მაგრამ სახელის მოპოვება პატივმოყვარეობითი არ უნდა იყოს – სახელის მოხვეჭაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, არამედ სიკეთის ქმნაზე. კიდევ, ეს არის სულიერება... მაგრამ არც ისე იქნება, რომ იარო და სხვებს უსმინო, იმაზე იფიქრო, თუ როგორ მოაწონო ყველას თავი... არც არის აუცილებელი, რომ ქვეყნად ყველას უყვარდე. მთავარი ის არის, რომ შენი სავალი გზა სწორად განვლო, სიკეთე აკეთო. ზნეობრივად სუფთა და უნაკლო ადამიანები არ იბადებიან – ასეთები ხდებიან. წმინდა მამები ამბობენ: ვინც ცდილობს, გახდეს ზნეობრივი, მას უკვე შეიძლება ეწოდოს ზნეობრივი.

მთავარია, შენი საკუთარი თავის დანახვა შეძლო – შენი დადებითი და უარყოფითი მხარეებისა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი – მთავარი განსაცდელი ამის მერე იწყება და ზომიერებაც მაშინ გჭირდება ადამიანს – როდესაც შენს თავს დაძლევ და საკუთარ ნაკლოვანებებში გამოუტყდები, ამან არ უნდა შეგაშინოს. შენს თავს ის კი არ უნდა უთხრა, როგორ ვარ ასეთიო, არამედ რატომ ვარ ასეთიო...

ამ ორ ცნებას შორის დიდი სხვაობაა. „როგორ“ – ამპარტავნებიდან მოდის და სიძულვილი, ცვლილების სურვილს შთანთქავს. „რატომ“– უფრო, სინანულის კითხვაა, საკუთარ თავში დანახულ ნაკლოვანებასთან შეუგუებლობა.

სულიერებაა, როცა ადამიანი ზოგჯერ „გაუჩინარდება“ ხოლმე, – შეუმჩნევლად უნდა იცხოვრო, შენი თავისთვისაც კი უნდა „გაუჩინარდე“, თვინიერი იყო...

წინააღმდეგ შემთხვევაში, ძლიერ მორწმუნეც კი შესაძლოა, ხიბლში ჩავარდეს – რაც არარეალური მდგომარეობაა. იცით, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ყველანი მეტ-ნაკლებად ხიბლში ვართ...

ეკლესიის მოწოდება და არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანებმა ერთმანეთში დადებითი თვისებები, მისი რეალიზების საშუალება აღმოაჩინონ.

სულიერებასთან დიდ წინააღმდეგობაში მოდის სასოწარკვეთაც. ვინ არის სასოწარკვეთილი? – ვინც არასწორად იცხოვრა. სასოება, ეს არის მოლოდინი რისიმე სასიკეთოდ შეცვლისა. სასოწარკვეთა კი შეგუებაა, ყოველდღიური ყოფის სიდუხჭირესთან შეგუება.

ჩვენი საზოგადოების პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ საკუთარი თავის დანახვა გვაშინებს. – ჩვენ ხომ არა ვართ ერთმანეთზე უკეთესები. ჩვენ ყველანი ერთნაირები ვართ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ვიღაცაზე ღმერთმა ის განსაცდელი არ დაუშვა, ვიღაცაზე კი დაუშვა. განა იმიტომ, რომ უკეთესი გამოარჩია, უბრალოდ, სუსტი, განსაცდელს ვერ გაუძლებდა და დაიღუპებოდა. ჩემი აზრით, საკუთარ თავს თამამად, გულახდილად უნდა ელაპარაკო.

ძალიან დიდი სიფრთხილე მართებს მოძღვარსაც – განსაცდელი ხომ მასაც ევლინება... ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ თავისდა უნებურად მღვდელი ცდილობს ქრისტეს ადგილი დაიკავოს, მისი ადგილი დაჩრდილოს თავისი მრევლის თვალში. სწორედ ეს იწვევს ხოლმე შემდეგ ეკლესიაში დავას და განხეთქილებებს.



ხალხი კი გულუბრყვილოა, როგორც დეკნილს, თავის მოძღვარს ისე გაჰყვება ხოლმე. ერთი წმინდა მამა წერს: მაცხოვარი ვირზე იჯდა, იერუსალიმში რომ შედიოდა. აღტაცებული ხალხი პალმის რტოებს და სამოსს უფენდა. მათზე ვირი დადიოდა და არა მაცხოვარი, რომელიც ვირზე იჯდაო. როგორ გგონიათ, ვირს რომ ეფიქრა, პალმები და სამოსი ჩემს პატივსაცემად გაფინესო, მართალი იქნებოდა? – მოძღვარმა ქრისტე ჯერ საკუთარ მხრებზე უნდა მოიპოვოს, შემდეგ კი, როდესაც პალმებსა და დიდებას მოიპოვებს (თუ მოიპოვებს), სწორედ ის ვირი გაიხსენოს, რომელზეც მაცხოვარი იჯდა, რათა ხიბლში არ ჩავარდეს.

— როგორც მოძღვარს, გიორგი სანაიასთან ახლო ურთიერთობა გქონდათ...

– მე ძალიან მიყვარდა ეს ადამიანი... თავისი ღირსებებით... იცით, ყველაზე კარგი ღირსება რა ჰქონდა? ურთიერთობის დროს ყოველთვის მოკრძალებული იყო. ჩვენ ბევრი საერთო მეგობარიც გვყავდა. თბილისში ხომ ყველანი ისედაც ვიცნობთ ერთმანეთს. ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ მათი პირით ჩემთვის სიყვარული და მადლობა შემოუთვლია.

ვერ დავივიწყებ ერთ შემთხვევას: გიორგიმ თავის ერთ-ერთ გადაცემაში მიმიწვია, კომენტარისთვის. გადაცემა თითქოს ჩვეულებრივად მიმდინარეობდა. მისი დასრულების შემდეგ კი გიორგის თავისი ახლობლებისთვის უთქვამს – მეც არ ვიცი, რა დამემართა, მასთან ერთად ეთერში, არა როგორც რესპონდენტთან, არამედ როგორც მოძღვართან, თავს ისე ვგრძნობდი: მონუსხული ვიჯექი, ხმაც ვერ ამოვიღეო...

ხშირად გვისაუბრია სხვადასხვა თემაზე – სხვანაირად გულისხმიერი და თავმდაბალი იყო, გრძნობდი, როგორ გისმენდა, ცდილობდა, რაღაც ახალი შეეთვისებინა და ესწავლა...

გიორგი სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე ეზიარა. დამშვიდებული ვარ, რომ იმქვეყნად მომზადებული წავიდა. ერთ რამეშიც ღრმად ვარ დარწმუნებული: გიორგი უფლის სამსჯავროზე პირნათელი წარდგებოდა და ზეციურ სამყაროში ლოცულობს საქართველოს გადარჩენისთვის.

— გიორგი სანაია ხალხმა ღვიძლი შვილივით დაიტირა. ამას თავისი ლოგიკური მიზეზებიც ჰქონდა — გიორგი არასოდეს ყოფილა „ინტრიგანი“ ჟურნალისტი. პირიქით, ყოველთვის ახერხებდა, ეთერში ერთმანეთთან დაპირისპირებულ ადამიანებს თავიანთი აზრი ისე გამოეთქვათ, რომ ამით არავინ დამცირებულიყო. მიუხედავად დიდი პოპულარობისა, ქედმაღლობა არასოდეს მოსძალებია. ხალხმა ალბათ იმიტომაც შეიყვარა, რომ ის უბრალო ოჯახის შვილი იყო და ყველაფერს საკუთარი ნიჭითა და უნარით მიაღწია... მომხდარი მკვლელობის გააზრებისას ერთი აზრი ამეკვიატება ხოლმე — ეს ყველაფერი მსხვერპლის, ზვარაკის შერჩევას მაგონებს, როდესაც ხალხს სათაყვანებელ პიროვნებას უკლავენ, შემდეგ კი ათასნაირი ბინძური ჭორის გავრცელებით მის სახელს შეურაცხყოფენ. თუ ამ მცდელობას ხალხის თვალში მართლაც გაუფასურება მოჰყვა, შედეგი ყველაზე საში- ში იქნება — ურწმუნობა, ნიჰილიზმი და ერთმანეთისადმი უნდობლობა, დაბეჩავება და ყველაფერთან შეგუება...

– როდესაც სათაყვანებელ ადამიანს ამ შემთხვევაში კლავენ, სხვა შემთხვევაში შეურაცხყოფენ, ეს უპირველესად ხალხის საწინააღმდეგოდ არის მიმართული.

ვშიშობ, რომ მართალი ხართ – ეს არის უნდობლობის, ნიჰილიზმის, ყოველგვარი უზნეობისადმი შეგუების მცდელობა. ეს ადამიანებში სულის მოკვლის განზრახვაა. სულის ცხონებაც და წარწყმედაც უფლის განგებულებაა, ამდენად ეს განზრახვა ღვთის კომპეტენციაში შეჭრა არის. ასეთ დროს ჩვენ აუცილებლად უნდა გავერთიანდეთ და პატივი მივაგოთ გიორგი სანაიას – ჩვენთვის გარდაცვლილ ადამიანს. უნდა თანავუგრძნოთ ერთმანეთს და ვცადოთ, ისეთები ვიყოთ, როგორიც ის იყო – ზომიერი, არასდროს შენს სულს ტკივილს არ მიაყენებდა, არ შეურაცხყოფდა და ცდილობდა, რომ შენში სიხარული ყოფილიყო... ეს იქნება მისი პატივისცემა. თუმცა, ამავე დროს, უკიდურესობაში არ უნდა გადავვარდეთ. დავამთავრებ იმით, რითიც დავიწყეთ – სულიერება მკითხეთ, რა არისო: სულიერების საზომი არის ზომიერება. სულიერება, ზომიერებაა... ■

ის, რასაც ახლა ვწერ, ის, რასაც განვიცდი და ამ წერილის საშუალებით ვფიქრობ, თქვენც გან-გაცდევინებთ — ცარიელი ემოციაა, გამოწვეული იმ მხარის მონახულებით, რომელსაც ცხრა წელიწადია შორიდან შევყურებთ და მისი დაბრუნების იმედით ვსულდგ-მულობთ, იქიდან მიღებულ ყოველ ინფორმაციას კი, გულისტკივილით ვხვდებით.

დიახ, მე მოგიყვებით აფხ-აზეთზე, სოხუმზე — ოღონდ, არა ისეთზე, როგორიც თქვენ გახსოვთ, არამედ ისეთზე, როგორიც მე ვნახე.

თქვენ გახსოვთ სოხუმი: ეგზოტიკა, ზღვა, პალმები, აყვავებული ოლეანდრები

მე საზღვარზე არ გადავსულვარ – მე სამშობლოს ერთი ნაპირიდან მეორეზე გადავედი მხოლოდ...

ლია მამულია

თქვენ გახსოვთ სოხუმი: ეგზოტიკა, ზღვა, პალმები, აყვავებული ოლეანდრები, ხალხმრავალი ქუჩები, გემოვნებით ნაგები სახლები, მოვლილი ეზოები, მოღიმარი სახეები, დამსვენებლებით გადატვირთული პლაჟები. თქვენ გახსოვთ ქალაქი, რომელსაც უწოდებდნენ სამოთხეს, მე კი ეს სამოთხე ჯოჯოხეთად ქცეული ვნახე.

რა თქმა უნდა, კვლავინდებურად ეთამაშებიან ზღვის ტალღები შიშველ ნაპირებს. მზეც ისევ დანათის ქალაქს ცისკიდურიდან, მაგრამ ქართველებს ვეღარ გვათბობს მისი სხივები. თვით სოხუმსაც დასტყობია უქართველობა, ქვაზე დაგდებული კალმახივით სულს ღაფავს და შველას ითხოვს გავერანებული ქალაქი. თუმცა, მოდით, ამ ყველაფერზე დაწვრილებით მერე მოგიყვებით...

მაშ ასე, 13 ივლისი, პარასკევი. ვდგავარ ენგურის მეორე ნაპირზე, იქ, სადაც ჩვენი სამშობლო საზღვრით არის გამიჯნული და აფხაზეთის საბაჟო პუნქტი მოუწყვიათ. დილიდან მეგზურს ველოდები, ის იგვიანებს. რომც მოვიდეს, ვხედავ – გადასვლა გამიჭირდება, რადგან დღეს აქ გუდაუთის სამხედრო ნაწილი დგას. ჯარისკაცები კი, იმდენად აგრესიულები არიან, არათუ მე, არამედ ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმის „მიწერის“ მქონე ხალხსაც არ უშვებენ: წესრიგს იცავენ თავიანთი ჭკუით, არადა, „მაგარი ფულის“ კეთება მიდის: ლოდინით გულს რომ გაუწვრილებენ ამ ადამიანებს, მეტ ფულს წაართმევენ და მერე გაატარებენ...

ძალიან ცხელა. საბაჟო პუნქტთან ახლოს ჩრდილია და მომლოდინენი იქ ვიყრით თავს. ფორმიანებს 17-18 წლის დაბალი, წითური ბიჭი გამოეყო, თითი რუსების სათვალთვალო პუნქტისკენ გაიშვირა და გვითხრა: წადით, იქით დადექით, აქ თქვენი ადგილი არ არის, მოსცილდით აქაურობასო... ხმას არ ვიღებთ, მითითებული ადგილისკენ მივემართებით მდუმარედ. მე შუა გზაზე ვჩერდები და უკან ვიხედები „რა გითხარი? ჩქარა გადადი იქით მხარეს!“ – დამიტატანა ცხვირმოუხოცავმა აფხაზმა. გალახული ძაღლივით მივლასლასებ. გული გასკდომაზე მაქვს, ლამისაა დამახრჩოს ბოღმამ. ცრემლებს ძლივს ვიკავებ, არ მინდა დავანახვო, რომ ვტირი. რუსების პოსტთან ქვაზე ვჯდები და თავს ვაიძულებ, არაფერზე ვიფიქრო, მაგრამ არ გამომდის...

მოგვიანებით ვგებულობ: მიკროავტობუსი, რომლითაც ჩემი მეგზური მოდიოდა სოხუმიდან, ოჩამჩირესთან ვიღაც ნიღბიანებმა დააყაჩაღეს. ასე რომ, დღეს გადასვლა ნამდვილად ვერ მოხერხდება. კიდევ ორი დღე უნდა დავიცადო.

15 ივლისი, კვირა. ისევ ენგურის გაღმა ნაპირზე ვდგავარ. საბედნიეროდ, დღეს არ მომიწია დიდხანს ლოდინი: ჩემს დასახვედრად სოხუმიდან ისეთი კაცი გამოუგზავნიათ მასპინძლებს – გზაში დაყაჩაღების ხომ არა და არ ეშინია და ვერც მესაზღვრეები გაუბედავენ რამეს... მას ერთ ხელში ჩემი სამგზავრო ჩანთა უჭირავს, მეორეთი – მე თვითონ ბოჩოლასავით მივყავარ. ვენდობი ჩემთვის აქამდე უცნობ პიროვნებას, მაგრამ გულში მაინც ფაჩუნობს შიში: ვაი, თუ?.. საბაჟოზე არც ინტერესდებიან ჩემი ვინაობით – გულგრილად გამატარეს. სამარშრუტო ტაქსიში ვჯდები, უკვე იქიდან აქეთ ვიყურები და პირჯვარს ვიწერ.

დავიძარით. გალამდე თითქმის ყველაფერი ჩვეულებრივადაა, ჯერჯერობით მშვიდად ვათვალიერებ არემარეს... გალში ხალხმრავლობაა – დღეს ბაზრობის დღეა და ეს არ არის გასაკვირი. თვალში მხვდება გაძარცული, მიტოვებული სახლები, ტროტუარზე ამოზრდილი ბალახი. ქალაქის ცენტრალურ პარკში ველური ჯიშის ხე-მცენარეები და ადამიანთა არაფრისმთქმელი სახეები – ბედს შეგუებული კაცის გამომეტყველება.

თვალებზე ხელს ვიფარებ, რათა არ დავინახო გზისპირას ჩამწკრივებული უპატრონო, ჭერჩამოქცეული, დამწვარი სახლები...

გზას განვაგრძობთ ოჩამჩირისკენ, ოღონდ – ქალაქში შეუსვლელად... საშინელებაა – თვალებზე ხელს ვიფარებ, რათა არ დავინახო გზისპირას ჩამწკრივებული უპატრონო, ჭერჩამოქცეული, დამწვარი სახლები, გატყიურებული ეზოები, სახლის შიგნით ამოსული ლეღვისა და თხმელის ხეები... მძღოლი სარკეს ასწორებს და ჩემს რეაქციას აკვირდება. უკვე ტამიში გავიარეთ და კინდღს ვუახლოვდებით. სოფლის შესასვლელთან თუნუქის მამალი ძველებურად ამაყად დგას – ოღონდ, ველური მცენარეები წამოსწევიან სიმაღლეში. კინდღი... რამდენი ლამაზი მოგონება მაკავშირებს ამ ერთ დროს ხალხმრავალ, სტუმართმოყვარე, მთლიანად ქართველებით დასახლებულ და ბარაქიან სოფელთან! შორიდანვე ჩანს – მასაც ემუქრება გატყიურების საფრთხე. სადღაც სიღრმეში, თერმული წყლებისგან მოვარდნილი ორთქლი, კვამლივით მიიწევს მაღლა. ასე მგონია, ჩემი ცხოვრების რაღაც ნაწილს აქ ვტოვებ ახლა...

სოფელ მაჭარკაში შევედით, გზისპირას დიდი სტენდი დგას, მარჯვნივ აფხაზეთის გერბია დახატული, მარცხნივ – დროშა, შუაში წარწერაა: „მშვიდობას – დიახ! ომს – არა!“. მწარედ მეღიმება...

სალონში ევკალიპტის სურნელმა შემოაღწია. მე ღრმად ვისუნთქავ – ის ხომ ბავშვობიდანვე ზღვის სურნელთან ასოცირდება ჩემში. კინდღის სანაპირომ გამომიმუშავა ეს...

სოხუმის შესასვლელში პოლიციელები დგანან. გვაჩერებენ. უკვე არაფრის მეშინია – რაც მოსახდენია, მოხდეს. მზად ვარ ყველაფრისთვის. პოლიციელმა სალონში მსხდომნი გარედან შეგვათვალიერა და მერე მძღოლს ხელი აუქნია...

ჩემი მასპინძლები სიხარულით მხვდებიან, არ სჯერათ, რომ მე ეს შევძელი (არც მე მჯერა!), მიქებენ გამბედაობას და მეკითხებიან, რამდენი დღით ვარ ჩამოსული, დაბრუნებას ხომ არ ვიჩქარებ? ყოყმანით ვპასუხობ, რომ ერთ კვირას გავჩერდები, ისინი კატეგორიულად მთხოვენ ერთი თვით დარჩენას. ბოლოს ნახევარზე ვთანხმდებით.

ზღვა სულ რაღაც ას მეტრშია, მაგრამ ოლეანდრების ხეივანი ფარავს ჩვენგან. ვერ ვხედავ. „ზღვაზე გასვლას მოესწრები!.. – მეუბნებიან, – შენ ის მოჰყევი, რა ამბებია თქვენთან, ჩვენზე რას ამბობენ?“ მეც ვუყვები ყველაფერს, რაც მაგონდება, რასაც გონებით ვწვდები – იმ გონებით, რომელიც ენგურის ხიდიდან სოხუმამდე გამოვლილ გზაზე მიღებული შთაბეჭდილებებით არის დატვირთული...

გული გარეთ მიმიწევს, სახლში ვეღარ ვჩერდები.

აი, ზღვა – ლურჯად მოკამკამე, თბილი, მოალერსე. ნაირფერი კენჭებით აელვარებული ნაპირი. ვერაფერს ვამბობ, დამუნჯებულივით ვუყურებ უკიდეგანო წყლიან სივრცეს. სანაპიროდან სადღაც 150 მეტრში, დიდ სატვირთო გემს ჩაუშვია ღუზა.

– აქაურია? – ვკითხულობ.

– არა, ეგ თურქულია, აქეთ ფქვილი მოაქვს, იქით – ხე-ტყე და ჯართი! – მპასუხობენ. რა მეთქმის – იქაც „დიდთურქობაა“.

– რა ცოტა ხალხია... – ირგვლივ ვიხედები.

– ეს ცოტა არ არის. პირიქით – ბევრია!

მხრებს ვიჩეჩავ: მე მახსოვს სანაპირო, რომელზეც ფეხის დასადგმელი ადგილი აღარ იყო, ამათ კი – ისეთიც ახსოვთ, როცა კაცის ჭაჭანებაც არ ყოფილა. ასე რომ, შეკამათებას აზრი არა აქვს – ისედაც ნათელია ყველაფერი...

ღამის 11 საათია. მშვიდობის გამზირზე მივაბიჯებთ. აქა-იქ ლამპიონები ანთია. მოვაჭრეებსაც უდგათ დახლები, ხალხიც კანტიკუნტად, მაგრამ მაინც გვხვდება.

ლაკობას ქუჩის გადაკვეთასთან, ტროტუარზე ვიღაც ქალი ჩამომჯდარა და თავისთვის ლაპარაკობს რუსულად: „ყოფილიყო ის გამსახურდია, რას ერჩოდნენ?! ცუდი არავისთვის არაფერი გაუკეთებია“.

მე გაკვირვებული ვჩერდები შორიახლოს.

– თავი დაანებე, გიჟია! ამისთანებს აქ ბლომად შეხვდები, – სიცილით მეუბნებიან თანამგზავრები. – თანაც, ეგ ერთადერთი არ არის, ვინც ამას ამბობს. შენ ხომ იცნობ მარადონას, სოხუმის კოლორიტს? ადრე აფხაზურმა გაზეთმა გადმობეჭდა რომელიღაც თქვენი გაზეთიდან მასზე სტატია: იხსენებდნენ მარადონას და წერდნენ – ნეტავი სად არის ახლა, ცოცხალი თუ არისო? თუ ვნახეთ სადმე, სურათი გადავუღოთ და შეგიძლია დაწერო, რომ ის ცოცხალი და ჯანმრთელია. ოღონდ, როგორც სხვა დანარჩენი, ისიც არ არის კმაყოფილი დღევანდელი ყოფით. დათვრება ხოლმე

თქვენ გახსოვთ ქალაქი, რომელსაც უწოდებდნენ სამოთხეს, მე კი ეს სამოთხე ჯოჯოხეთად ქცეული ვნახე...

სადმე, გამოვა მერე ბაზართან და შევარდნაძის გინებას იწყებს.

ჩემი იქ ყოფნის დროს მართლაც ვცდილობდით მარადონას მოხელთებას, მაგრამ ვერსად ვიპოვეთ. ერთხელ მეზობელი მოვარდა სირბილით – ბაზრის წინ დგას და წადით, იქნებ მიუსწროთო. ვერ მივუსწარით. ასე რომ, მართალია, სურათი ვერ გადავუღე, მაგრამ ამბავი ჩამოვუტანე მის ქართველ გულშემატკივრებს...

17 ივლისი. უკვე ტამიშში ვარ. ერთ დროს სავსე სოფელი, დაცარიელებულია. მოსახლეობა კანტიკუნტად არის შემორჩენილი. ღამით ტურების კივილმა არ დამაძინა, თითქმის ფანჯარასთან იყვნენ მოსულები.

ზღვისკენ მიმავალ საკმაოდ გრძელ შარაგზაზე მჭიდროდ ჩადგმული, მიტოვებული და გადამწვარი სახლები დგას.

– გაიხედე, იმ სახლის კედელს რა აწერია, – ერთ-ერთი დამწვარი სახლისკენ მახედებენ.

– „ა-ვა-ზა“, – დამარცვლით ვკითხულობ და სახე მინათდება. ამ სახლში ყოფილან დაბანაკებულები, ვინ იცის, რამდენი შიში და გაჭირვება გამოუვლიათ ჩვენს ბიჭებს... – ვფიქრობ და სახლის წინ ვჩერდები. ნაბიჯის გადადგმა მიჭირს. ჩემი მხლებლები თითქოს ხვდებიან ამ გარინდების მიზეზს – თვალს მარიდებენ.

– ეს სახლები – ზოგი ქართველების გადამწვარია, ზოგი აფხაზების, – მიხსნიან მერე. მე სინანულით ვიქნევ თავს.

19 ივლისი. ელექტრომატარებლით ვბრუნდებით სოხუმში. რომელიღაც სადგურთან სამი ხანდაზმული მამაკაცი შემოგვიერთდა. ჩემი გოგოები კროსვორდს ავსებენ. მე გაზეთს – Республика Абхазия ვკითხულობ.

– გოგოებო, თქვენ აფხაზები ხართ? – კითხულობს ერთ-ერთი მოხუცი.

– დიახ! – პასუხობენ ისინი.

– მერე რუსულად რატომ ლაპარაკობთ? აფხაზურად ილაპარაკეთ, შვილებო, თქვენი ენა არ დაკარგოთ. აი, მე ოსი ვარ და იმიტომ ვწუხვარ, რომ არავინ მყავს ისეთი, ჩემს ენაზე რომ დაველაპარაკო.

მე კვლავ გაზეთს ვკითხულობ, ყურადღებას არ ვაქცევ.

– ბიჭო, შენი სადგურია, უნდა ჩახვიდე! – ქართულად, დამახასიათებელი აქცენტით ეუბნება ერთი აფხაზი იმ ოს მოხუცს.

მე გაზეთს ვიცილებ და გული ამოვარდნაზე მაქვს.

– უკვე მოვედით? – გამართული ქართულით კითხულობს ოსი და ფანჯარაში იყურება.

– შენ ხომ ოსი ხარ – სხვა ენაზე რატომ ლაპარაკობ? – იქედნურად ეკითხება მეორე აფხაზი და თვალს ჩემკენ აპარებს – ხომ კარგად ვიხუმრეო...

მე კი, ლამისაა ავტირდე: ამ ოთხ დღეში თურმე როგორ მომნატრებია ჩემი ენა, ჩემი ქართული – იქ ხომ მხოლოდ რუსულად და აფხაზურად ლაპარაკობენ. თავს ძლივს ვიკავებ – მინდა იმ ოსს გავესაუბრო, მაგრამ სარისკოა და ხმას არ ვიღებ. გოგოები ღიმილით შემომყურებენ: მათ არ გამოჰპარვიათ ჩემი რეაქცია. გაზეთს ვიფარებ სახეზე, რომ ცრემლი არ შემამჩნიონ, გონებით კი უკვე თბილისში ვარ – იქ, სადაც ყველაფერი ქართულია და სადაც ამის დაფარვა საჭირო არ არის.

23 ივლისი. ჩემებს ვთხოვე, ეკლესიაში წავეყვანე. ახლა ღვთის სახლის კართან ვდგავარ და ლოცვით შევდივარ შიგნით. ხელში ის სანთელი მიჭირავს, რომელიც იერუსალიმიდან არის ჩამოტანილი და „კვირის პალიტრამ“ და „გზამ“ ხატთან და ლოცვებთან ერთად, საჩუქრად უძღვნა ქართველ მკითხველს. სანთელი სპეციალურად ამ დღისთვის მქონდა შენახული – ახლა ვანთებ და მაცხოვარს ვევედრები – ხელი მოუმართოს ჩემს ერს, გაამთლიანოს, გააძლიეროს და სულიერად აამაღლოს. მერე ლოცვების წიგნს ვშლი და თავიდან ბოლომდე ყველა ლოცვას ვკითხულობ, და ჩემდა გასაკვირად, არც იმ ფურცელს ვტოვებ, სადაც წერია: „აცხოვნე უფალო და შეიწყალენ ღვთივ-დაცული ერი ჩვენი, მთავრობა და მხედრობა მისი“. ვბუტბუტებ და თვითკმაყოფილება მიპყრობს. ალბათ, ეს ერთადერთი ადგილია, სადაც მე ჩემს მთავრობას ლოცვას აღვუვლენ. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც შემიძლია ვთქვა: „დაუმორჩილენ ქვეშე ფერხთა მათთა ყოველნი მტერნი და მბრძოლნი მათნი და შთაუთხრენ გულთა შინა მათთა კეთილი“... ასევე – „აცხოვნე, უფალო და შეიწყალენ მოძულენი ჩემნი და მაჭირვებელნი ჩემნი და მოქმედი ჩემზედა უსჯულოებისანი...“ ალალად ვლოცულობ ჩემი მტრებისთვის და მე თვითონ მიკვირს. მერე კი, თითქოს ვალმოხდილი, მოწიწებისა და კდემის ნიშნად თავს ვხრი ხატების წინ და ტაძარს ვემშვიდობები.

25 ივლისს, გამთენიისას კვლავ ენგურის ხიდთან ვდგავარ. ამაყად მხრებგაშლილი ვშორდები საბაჟო პუნქტებს, თითქოს იქ მდგომნი მინდა მივახვედრო, რომ მე საზღვარზე არ გადავსულვარ – მე ჩემი სამშობლოს ერთი ნაპირიდან მეორეზე გადავედი მხოლოდ...

P.S. 26 ივლისს, როცა შთაბეჭდილებებითა და ინფორმაციით დატვირთულმა ტელეფონი ავიღე ხელში, რათა რედაქციისთვის აფხაზეთიდან ჩამოტანილი ახალი ამბები მიმეწოდებინა, გიორგი სანაიას მკვლელობის თავზარდამცემი ამბავი შევიტყვე. ეს იმხელა შოკი იყო ჩემთვის, რომ მეგონა, კარგა ხანს ვერ შევძლებდი, კალმის ხელში აღებას... მაგრამ ახლა, ამ დიდი ტკივილით შეკავშირებული ხალხის შემხედვარეს, საპირისპირო განწყობა მეუფლება. ვწერ და მომავალშიც დავწერ.

გიორგი სანაიას ხსოვნის წინაშე კი მოწიწებით ვხრი თავს... ■

მე მახსოვს სანაპირო, რომელზეც ფეხის დასადგმელი ადგილი აღარ იყო...

Gexi gogonebi

საქართველოში ჯავახეთიდან შემოვიდნენ

ორმა ჩეხმა სტუდენტმა გოგონამ, იანა კეპრტოვამ და ჰელენა ზაიცევამ, ერთი კვირის წინ, ფეხით მოიარეს პატარა ლიახვის ხეობა და მშვიდობით დაბრუნდნენ თბილისში. 24 წლის იანა ქალაქ ბრნოს უნივერსიტეტში სწავლობს, 22 წლის ჰელენა კი, პრაღის უნივერსიტეტში. ისინი მომავალი სოციოლოგები არიან და ჩეხეთის ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციაში მუშაობენ.

მანანა იაშვილი

— რატომ გადაწყვიტეთ საქართველოში ჩამოსვლა?

იანა კეპრტოვა:

— წინათ ჩვენს ქვეყანაში უფრო მეტი ინფორმაცია შემოდიოდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების შესახებ. ახლა ინფორმაცია ძალიან მწირია, ჩვენ კი გვაინტერესებს, როგორ ცხოვრობთ. ჩეხეთში ფეხით მოგზაურობა დასვენების ჩვეულებრივი ფორმაა. ჩვენი მეგობრები დასავლეთ ევროპაში გაემგზავრნენ, ჩვენ კი — აღმოსავლეთი ვამჯობინეთ. მათ ნაკლები დაბრკოლება შეხვდებათ: იქ ვიზა არაა საჭირო, აქ კი უამრავი დოკუმენტის შევსება დაგვჭირდა. საქართველოს შემდეგ, სომხეთსა და ირანს მოვივლით. შინ თურქეთის გავლით დავბრუნდებით.

ჰელენა ზაიცევა:

— მაინტერესებს კავკასიელი ხალხების კულტურა, ენა და ტრადიციები. მინდა შევისწავლო მათი ყოფა და განვსაზღვრო, რა არის ჩვენ შორის საერთო და რა — განსხვავებული. სამწუხაროდ, რუსები ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში უცხოელებს არ უშვებენ — ვიზას არ აძლევენ, თორემ ჩვენი მარშრუტი უფრო საინტერესო იქნებოდა. თუმცა, რაც ვნახეთ, ესეც ფანტასტიკური იყო.

— როგორ იმგზავრეთ?

იანა:

— პრაღიდან წამოვედით და გამოვიარეთ უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, თურქეთი. საქართველოში ჯავახეთიდან შემოვედით. ძირითადად, მატარებლით ვმგზავრობდით, მაგრამ ზოგჯერ „ავტოსტოპითაც“ მოგვიხდა გადაადგილება.

— ექსცესების გარეშე იმგზავრეთ?

ჰელენა:

— ბედნიერ ფეხზე წამოვედით — პრობლემები თითქმის არ გვქონია. თურქეთში, ყარსამდე მატარებლით ვიმგზავრეთ, შემდეგ სამარშრუტო ტაქსითი და მერე საზღვრამდე ფეხით. ერთი ქართველი ქალი დაგვემგზავრა, რომელიც თურქეთში მუშაობს. თურქეთის საზღვარზე საბუთები შეგვიმოწმეს და გამოგვიშვეს. მოვედით საქართველოს საზღვრამდე და ოთხჯერ გაგვაჩერეს: პირველ პუნქტში 15-15 დოლარი მოგვთხოვეს. ცოტა გავიარეთ და მეორე პუნქტი გამოჩნდა, იქ 10-10 დოლარი გამოგვართვეს — დიდი ბარგი გაქვთო. მესამე პუნქტში ისევ 10 დოლარი დაგვატოვებინეს. კიდევ კარგი, ერთი ქართველი ბიჭი წამოგვეწია, რომელთანაც ინგლისურად ვსაუბრობდით და მეოთხე პუნქტში ფული აღარ გადაგვახდევინეს: არ ვიცი, რა უთხრა მებაჟეს... თურქეთში მომუშავე ქალს კი ოთხივეგან გადაახდევინეს დოლარები. გვითხრეს — ასეთი წესიაო... ბოლოს, მიკროავტობუსი დავიქირავეთ, რომელმაც ახალციხემდე ჩაგვიყვანა და იქიდან მატარებლით ჩამოვედით თბილისში.

— კიდევ რა ნახეთ საქართველოში?

იანა:

— მესამე კვირაა აქ ვართ. პირველ კვირას თბილისი და გორი დავათვალიერეთ. ვიყავით სტალინის სახლ-მუზეუმში. სტალინისაგან ჩეხეთმა ბევრი უბედურება იწვნია, ამიტომ საინტერესო იყო მისი დაბადებისა და ბავშვობის დროინდელი ადგილის ნახვა. შემდეგ გამოვიარეთ და ვნახეთ ულამაზესი ატენის სიონი. ძალიან კარგი მოგზაურობა გვქონდა: ვნახეთ უფლისციხე, მცხეთა და ავედით ჯვრის მონასტერში.

— გამცილებელი ან გიდი არ გყოლიათ?

— არა, მხოლოდ რუკა გვქონდა. ბევრი ხალხი გავიცანით. ჩვენ მიმართ ყველა მზრუნველობასა და ყურადღებას იჩენდა. გვეკითხებოდნენ ჩეხეთის ამბავს და თავის ამბებსაც გვიყვებოდნენ. ძალიან საყვარელი და გულგახსნილი ხალხი ხართ.

— ბიჭები არ გეარშიყებოდნენ?

— კი, ზოგჯერ ცდილობდნენ.

— მაინც, რატომ გაბედეთ მარტო სიარული? ბანდიტები რომ დაგხვედროდნენ?

— არა, ჩვენთვის არც რაიმე მოუპარავს ვინმეს და არც შევუშინებივართ. უბრალოდ, ყველა გაოცებული იყო, მარტონი რომ ვიყავით და ზრუნავდა ჩვენზე. ბევრი გვირჩევდა, მთაში მარტო არ წავსულიყავით, როდესაც უფლისციხეში მივდიოდით, გზაში ერთი პოლიციელი გამოგველაპარაკა. ჩვენ ვუთხარით, რომ მთაში გვინდოდა ასვლა. მან გვითხრა, — იქ დათვები და მგლებია, ამიტომ საჭიროა პოლიციამ ზუსტად აღრიცხოს თქვენი ბარგიო. გაგვეცინა — „თუ აღრიცხავთ, რა, დათვი აღარ გაეკარება კარავს?“ — ვკითხეთ. ისიც გამხიარულდა. ბევრი ვიცინეთ. ბოლოს მაინც გაგვაფრთხილა, — ყურადღებით იყავითო... ჩეხეთში ყველა ასე დადის, ჩვენც, ბავშვობიდან შეჩვეულები ვართ მთებში სიარულს.

ჰელენა:

— ჩვენ შარვალი და შორტი არ ჩავიცვით. ღია მაისურსაც მოვერიდეთ. დავდიოდით გრძელი ქვედაკაბებით, რაც ყველას ძალიან მოსწონდა — განსაკუთრებით შუახნის ქალებსა და მოხუცებს. ალბათ ამიტომაც არ გვთვლიდნენ მთლად უცხოებად და სიამოვნებით გვესაუბრებოდნენ... რუსულად ვლაპარაკობდით და უმეტესობას ესმოდა.

ჰელენა ზაიცევა: რაც აქ ვნახეთ, საოცრებაა. ამის შემდეგ ჩეხეთში ვინმემ რომ ცხოვრებაზე დაიწუწუნოს ან უკმაყოფილება გამოთქვას, ნამდვილად ვეჩხუბები.

— ლიახვის ხეობაში როგორ მოხვდით?

იანა:

— ავტობუსით წავედით გუდაურში. გვქონდა რუკა, რომელზეც მხოლოდ საავტომობილო გზებია აღნიშნული. ცუდი იყო, მაგრამ მაინც გამოგვადგა. რუკაზე რაღაც ტბები იყო აღნიშნული და გადავწყვიტეთ გვენახა. გუდაურიდან პატარა ბილიკი ეშვებოდა და მას ჩავყევით. სამი დღე დავდიოდით ტბებს შორის. ეს ულამაზესი ადგილია — 18 ტბა დავითვალეთ, თუმცა რუკაზე მხოლოდ სამია აღნიშნული. ყველაზე დიდი მგონი, ყელის ტბაა — ნამდვილი საოცრება იყო! საკმაოდ ციოდა, თბილი ქურთუკები და შალის წინდები გვეცვა, მაგრამ მაინც ვცადეთ წყალში შესვლა. ეს არის ალპური ზონა, 4000 მეტრის სიმაღლეზეა, მაგრამ თოვლი არ დევს.

— არ შეგეშინდათ?

— პირველი დღეები, სანამ ალპურ ზონაში ვიყავით, ხედვის არეალი შეუზღუდავი იყო. გვქონდა კარავი და ყველა საჭირო ნივთი, რაც ასეთი მოგზაურობის დროს არის აუცილებელი. შემდეგ, მეოთხე დღეს ჩავედით ტყეში. ეს არის ლიახვის ნაკრძალი. სამჯერ მოგვიხდა მდინარის გადალახვა. ზოგჯერ გვხვდებოდა დათვის ნაკელი, მაგრამ თვითონ არ შეგვხვედრია. ბოლო დღეს წვიმდა. სამხრეთის მიმართულებით გავეშურეთ. შემოგვაღამდა. ნაწვიმარზე ცეცხლი ვერ დავანთეთ, თან ძალიან ციოდა. ისმოდა დათვის ღრიალი და ტურების კივილი. კიდევ კარგი, ელექტროფარანი გვქონდა და ის გვენთო დილამდე. იმ ღამეს მართლა შეგვეშინდა და არ გვიძინია. ერთი დღე კიდევ ვიარეთ და ნაშუადღევს, სოფელს მივადექით. ასტრისხევი ჰქვია. მანამდე, მთელი კვირა ადამიანი არსად გვინახავს. მხოლოდ ერთხელ, მთაზე მწყემსი დავინახეთ, მაგრამ ფარა ძალიან შორს იყო.

— სოფელში როგორ შეგხვდნენ?

— სოფლელები სახტად დარჩნენ — ვერ გაეგოთ, იქ საიდან გავჩნდით, რადგან გარშემო ულრანი ტყეები და მდინარეა. სოფლამდე ზოგჯერ ავტობუსი ამოდის გორიდან. ცხინვალში გვინდოდა გადასვლა, მაგრამ არ გაგვიშვეს... ეს ქართული სოფელია, სულ 12 სახლია. კონფლიქტის ამბავი ვიცოდით და აღარ დავიჟინეთ ცხინვალში წასვლა. იმ დღეს ასტრისხევში დავრჩით.

— კარავი გაშალეთ?

— აღარ დაგვჭირდა — ასკილაშვილების ოჯახმა შინ მიგვიწვია. ესეც საოცრებაა: ჩეხეთში იშვიათად ხდება, რომ უცნობი ადამიანი შინ დაპატიჟონ... დიდი პატივი გვცეს. ოჯახში 83 წლის ბებია და ბაბუა იყვნენ, მათი შვილიშვილი ირმა კი, დასასვენებლად იყო იქ ჩამოსული გორიდან. ათი წლის წინ, ბებია და ბაბუაც გორში გადასულან საცხოვრებლად, მაგრამ მერე ისევ სოფელში დაბრუნებულან. ბაბუამ მითხრა, — ასკილაშვილების გვარი ამ სოფლიდანაა წარმოშობითო. მან ასევე გვიამბო, რომ ახალგაზრდობაში ცხენით აქვს მოვლილი ის ადგილები, რომელიც ჩვენ გამოვიარეთ. მათთან ისე ვგრძნობდი თავს, როგორც ჩემს ბებიასთან ჩეხეთში. ირმა ასკილაშვილმა სოფლის მახლობლად მდებარე ციხესიმაგრეში წაგვიყვანა: მხოლოდ ნანგრევებია დარჩენილი, მაგრამ ძალიან ლამაზია. საღამოს გვიანობამდე ვისაუბრეთ. როგორც გვითხრეს, ჩეჩნეთის ომის დროს საბრძოლო მოქმედებების ხმა მათ სოფელშიც ისმოდა. სამი დღის წინ კი, შეიარაღებული ოსი დასხმია თავს სოფელს გასაძარცვავად. მამაკაცები სათიბში ყოფილან და ბედად, მოხუცი ბაბუა იყო სახლში დარჩენილი და იმ კაცის გაგდება მოუხერხებია... მეორე დღეს გამოვყევით ავტობუსს გორამდე და შემდეგ მატარებლით ჩამოვედით თბილისში. ახლა ცოტა დრო დაგვრჩა, მაგრამ მომავალ წელს ისევ ჩამოვალთ და ახალ ადგილებს მოვინახულებთ. ჩვენ უკვე ვიცით, როგორ ცხოვრობთ, როგორ გაჭირვებას განიცდით, მაგრამ ადამიანების მიმართ სიყვარულს მაინც არ კარგავთ. ამაშია ნამდვილი ქრისტიანობა.

ჰელენა:

რაც აქ ვნახეთ, საოცრებაა. ამის შემდეგ ჩეხეთში ვინმემ რომ ცხოვრებაზე დაიწუწუნოს ან უკმაყოფილება გამოთქვას, ნამდვილად ვეჩხუბები...

■

იანა კეპრტოვა: ეს ულამაზესი ადგილია — 18 ტბა დავითვალეთ, თუმცა რუკაზე მხოლოდ სამია აღნიშნული. ყველაზე დიდი მგონი, ყელის ტბაა — ნამდვილი საოცრება იყო!

„ერემოს დუქანში ორ დღე-ღამეს ერთი ორომტრიალი და ყივილ-ხივილი იდგა. ღვინო წყალივით მოდიოდა, ახლო-მახლო ქათამი და ინდოური გამოილია, რევოლვერების ჭექა-ქუხილმა ზეცა დააყრუა, მოსამსახურეები ოფლში იწურებოდნენ, მეზურნეებმა ყბები დაიხეთქეს, დანიელა ურიამ ხმა ჩაიხლიჩა, მეთარემ თითები დაიმტვრია, მეარღნემ არღანი დაღალა...“ (მიხეილ ჯავახიშვილი, „კვაჭი კვაჭანტირაძე“).

ერემოს ცნობილი დუქანი ბაბუაჩემს ეკუთვნოდა

მარინა ბაბუნაშვილი

მე-19 საუკუნის ბოლოს „ერემოს დუქანი“ ცნობილი ყოფილა ქუთაისში. მალე მთელ საქართველოშიც გაითქვა სახელი: ცნობისმოყვარე და გურმანი ქართველები სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდიოდნენ საქეიფოდ ამ სახელგანთქმულ დუქანში და უკლებლივ ყველა კმაყოფილი მიდიოდა იქიდან. ვინ იყო ერემო? რას წარმოადგენდა და რა „ხიბლი“ ჰქონდა ისეთი, რომ დიდსა თუ პატარას მისი სახელი ეკერა პირზე?

ერემო ანუ იერემია, როგორც მას ქუთაისში ეძახდნენ, გვარად სვანაძე ყოფილა. გემრიელი კერძების გაკეთება სცოდნია და არც სტუმრის მიღება-გასტუმრება ეშლებოდა, იმერული თავაზიანობით ყველას ხიბლავდა თურმე. იერემია მედუქნედ დაუქირავებია დიდი ფულის პატრონს – ვინმე ნესტორ თურქაძეს. მას ერთი კი არა, რამდენიმე დუქანი ჰქონია ქუთაისსა და წყალტუბოში, ამიტომაც თავის გარშემო ერემო-იერემიასთანა მკვირცხლი ბიჭები შემოუკრებია. თურქაძეს გუმანი არ ღალატობდა: სულ მალე ერემომ და სხვებმაც საქმე კარგად ააწყვეს. დუქნებს მათი სახელები დაერქვა, მაგრამ „მთლად მთავარი“, ნესტორ თურქაძე გახლდათ, რომელსაც ყველაფერში გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნოდა.

კვიცი გვარზე ხტისო – ნათქვამია: თუ ნესტორის შვილებმა და შვილიშვილებმა არ გააგრძელეს მამისა და ბაბუის გზა, სისხლმა ბოლოს შვილთაშვილში იყივლა.

***კახა ჩიხლაძე** ქალიშვილის მხრიდან არის ნესტორის შთამომავალი. „დედის მშობლებთან ვიზრდებოდი და ბავშვობიდან მესმოდა ნესტორ ბაბუის სახელი. პატარაობაში, ანტიკვარად ქცეული ბაბუის დროინდელი ჭურჭლის დამტვრევის გამო ბევრჯერ მომხვედრია. გამიგია, რომ ქუთაისამდე მას ნოვოროსიისკშიც ჰქონდა რესტორანი „პალერმო“ გახსნილი. იქ, ქართულ სამზარეულოსთან ერთად, ევროპულიც იყო და არც კლიენტთა სიმცირეს უჩიოდნენ. ნესტორი მიტროფანე ლაღიძესთან მეგობრობდა თურმე. დიდი ბაბუა მენშევიკი იყო და, ბუნებრივია, ბოლშევიკებს არ სწყალობდა. როცა საქართველო „გაწითლდა“, არ ვიცი, მან რატომ ვერ მოახერხა სხვებთან ერთად საზღვარგარეთ წასვლა. მერე გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა (სრულიად საღ-სალამათი), ბათუმში, სამწუხაროდ, მის საფლავს დღემდე ვერ მივაკვლიეთ“, – მიამბობს კახა ჩიხლაძე, რომელიც ცდილობს, ააღორძინოს დიდი ბაბუის საქმე და დუქნების თუ არა, ერთი ძველებური დუქნის (რომელსაც „მე-19 საუკუნე“ ჰქვია), ღირსეული მეპატრონე იყოს.*

— ... და მაინც, რისი იმედი გაქვს, როცა ამდენი კაფე-რესტორნის გარემოცვაში, ბაბუის საქმის აღორძინებას ეჭიდები? რით უნდა მოხიბლო სტუმარი?

ნესტორ თურქაძე მეუღლითურთ

– ჯერ ერთი, ისეთივე ენთუზიაზმი და ინტერესი მაქვს, როგორიც ჩემს დიდ ბაბუას თავისი საქმიანობის დასაწყისში ჰქონდა (დედის მამისგან ვიცი ეს). მეორეც – მე მხოლოდ ტრადიციულ ქართულ საჭმელებს კი არ „დავეყრდნობი“, არამედ მიზნად მაქვს დასახული, ძველებური და მივიწყებული წამოვწიო წინ. ამისათვის, თითქმის ყველა კუთხე-კუნჭული მოვიარე და ცნობილ კულინარებს რეცეპტები გამოვართვი. მა-

გალითად, „მენიუში“ უკვე გვაქვს „ჯორ-ჯალი“, „ომარული“ და „გებჟალია“. ახლო მომავალში უფრო მეტი ძველ-ქართული კერძი მექნება. ბებიაჩემის ძმა 90 წელს გადაცილებული ბერიკაცია, წყალტუბოში ცხოვრობს, დღემდე „პოვ-არია“. რესტორანში აღარ მუშაობს, მაგრამ მის გარეშე არც ქორწილის და არც ქელეხის სუფრა არ გაიშლება. ახლა რომ გაიგო, ამ საქმეს მოვკიდე ხელი, შემომითვალა: მოდი ჩემთან და იმფერ რამე-რუმეებს ჩაგაწერინებ, რაც სხვისთვის ჯერ არ მითქვამსო.

— თუკი ასეთი დიდი ინ-ტერესი გქონდა კულინარიული საქმისადმი, ტექნიკური განათლე-ბა რატომ მიიღე?

— არა, ბატონო! ტექნიკურ განათლე-ბასთან ერთად, უმაღლესი კლასის მზა-რეულის დიპლომიც მაქვს. ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტამდე ორ-წლიანი სამხედრო-სავალდებულო სამ-სახური გერმანიის ქალაქ ჰალეში მოვ-იხადე. იქ სამხედრო მზარეულთა სკო-ლის ექვსთვიან კურსებზე ჩემი სურ-ვილით ჩავეწერე. ცოტა ხნის მერე გამოცხადდა კონკურსი — „საველე სამზა-რეულოების დათვალიერება“, რომელზეც უნდა წარმედგინა „რუსული სალიანკა“ და „უზბეკური პლოვი“ (ფლავი). მამაჩემს მივწერე — არიქა, მიშველეთ, რამე ისეთი გამომიგზავნეთ, რომ ჟიურის თითები ჩავაკვნეტინო-მეთქი. მამამ კი, არც აცია, არც აცხელა — კონვერტებში ჩვენებ-ური სხვადასხვა სუნელი ჩამიყარა და გამომიგზავნა. ამასთან დაკავშირებით ისეთი უსიამოვნება შემხვდა, კინაღამ მომხსნეს კონკურსიდან...

— მაინც რა მოხდა?

— რა და უფროსებს სუნელები „პლანი“ ეგონათ... შენაერთის უფროსო-ბაში ქართველიც ერია და იმან მიშვე-ლა: ქართული სამზარეულო ამ საკაზ-მის გარეშე წარმოუდგენელიაო — აუხ-სნა ყველას. „სალიანკაც“ და „უზბეკუ-რიც“ ჩვენებური სუნელით უხვად შევკა-ზმე და მართლაც, ფანტასტიკური გამ-ოვიდა. პირველ ადგილზე გავედი, ექვსთვი-ანი კურსების მერე კი,წითელი დიპლო-მიც გადმომცეს.

— გურმანები და მზარეულე-ბი სიმჩატეს არ უჩივიან. როგორ ახერხებ სიგამხდრის (უფრო სწორად, ზომიერი წო-ნის) შენარჩუნებას?

— ჯერ ერთი, სიგამხდრე მემკვი-დრეულად მერგო (ნესტორ თურქაძეც არ იყო მსუქანი), მეორეც, როცა ჩემ თვალ-წინ მზადდება საჭმელი (მე ახლა აღარ ვამზადებ), თითქოს კრიჭა მეკვრება და ჭამის სურვილიც მეკარგება.

— რაიმე უჩვეულო ხომ არ შეგემთხვა ჯარში ყოფნი-სას...

— უჰ... იმისთანა რამე გადამხდა, რომ კიდევ კარგი, სამსახურს ვამთავრებ-დი, თორემ სამხედრო ტრიბუნალი არ ამცდებოდა... როგორც წარჩინებულ კურსანტს და „პირველადგილოსანს“, უფროსობამ 20 ტონა კიტრის დამ-ჟავება დამავალა. საჭმელების კეთება ვიცოდი, მაგრამ არასოდეს დამიმჟავ-ებია 1 კილოგრამი ბოსტნეულიც კი. საგონებელში ჩავვარდი, ჩემი გასაჭი-რი ისევ და ისევ თანამემამულეს გავუზიარე (გვარს არ ვასახელებ, ის დღეს დიდჩინოსანია და რა ვიცი, კაცნი ვართ, არ დამემდუროს...), მხარზე ხელი დამკრა და მანუგე-შა — ამაზე შენ ნუ სწუხხარ, მაგის მეტი რა მიკეთებიაო... მოკ-ლედ, მიგვიყვანეს ერთ დიდ აუზ-თან, დაგვიყარეს 20 ტონა (ეხუმ-რებით ამდენს?!) კიტრი, მოგვცე-ს საჭირო რაოდენობით მარილი, ძმარი და — აწი, თქვენ იცი-თო... მეგობარმა ეს უზარმაზ-არი გორა გარეცხა და აუზში გადაუშვა, თან ფენა-ფენა მარილს მაყრე-ვინებდა... ერთ კვირაში, სანამ კარგად შემჟავდებოდა, მართლაც გემრიელი იყო, უფროსობა რომ მოდიოდა და სინჯავდა, მოსწონდა და ცოტ-ცოტა მიჰქონდა კიდეც შინ. მერე და მერე, რატომღაც ისეთი სუნი აუშვა, ახლოს ვეღარ მიეკარებოდი. რა უნდა გვექნა?! გამოსავალი ვიპოვეთ და მთხოვნელებს ასე ავუხსენით: დასაწყის-ში შეიძლებოდა კიტრის ჭამა, ახლა კი ისეთ პროცესშია — დუღილში, რომ ამ დროს გასინჯვა აღარ შეიძლება, მხოლოდ 1 თვის მერე იქნება საჭმელად ვარგი-სიო... დაგვიჯერეს, იმ ერთ თვეში კი ჩვენც წამოვედით. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ამბავი ატყდებოდა, როცა მთელი აუზი აქოთებული დახვდებოდათ!..

— ქუთაისში არ გიცდია რესტორნის ან დუქნის გახს-ნა?

— პოლიციაში ვმუშაობდი, მაგრამ კულინარიულ ბიზნესზე ფიქრი არა და არ მასვენებდა. ქუთაისში, სოლომონ მე-ფის სასახლის „ოქროს ჩარდახის“ სარდაფში მინდოდა სამიკიტნოს გახსნა (იმერული საჭმელებითა და მიმტან კო-სტაიათი), მაგრამ მითხრეს, რომ სასახ-ლე და სამიკიტნო ერთმანეთს ვერ „შეე-წყობოდა“, ამიტომაც თავი დავანებე ამაზე ფიქრს. სამაგიეროდ, 1994 წლის უშუ-ქობისა და შიმშილობის პერიოდში გა-დავწყვიტე, იაფიანი და ნოყიერი საჭმ-ლით გამომეკვება ქუთაისელები. ჯერ ვიფიქრე, ქალებს კრემიან „პონჩიკებს“ დავაცხობინებ-მეთქი, მაგრამ მალევე მივხ-ვდი, რომ ქუთაისელს „პონჩიკი“ კი არა, რაღაც სხვა, უცხო და ეგზოტიკური რამე მიიზიდავდა. ჰოდა, მოვიფიქრე: საფუ-ვრიან გაბრტყელებულ ცომში საქონ-ლის „ფარში“ ჩავდე, ზედ გემრიელ აჯიკა-ში ამოვლებული სოსისი დავადე, გადა-ვახვიე და გამოვაცხვე. მართლაც, კარგი გამოვიდა. თან იაფად ვყიდდი (50 თეთ-რად), თითქმის პურისხელა იყო. ხალხ-მა „კახას ჰამბურგერი“ დაარქვა და 1 თვეში შეკვეთებს ვეღარ ავუდიოდით... ქუთაისში ახლაც ცხვება ჩემეული რე-ცეპტით დამზადებული ჰამბურგერი.

— ძველებური საჭმელები რომ „ააღორძინე“ — ეს მის-ასალმებელია, მაგრამ სხვას რას აპირებ ეგზოტიკურს?

— ჩამოვიტან დიდი ბაბუის დროინ-დელ ჭურჭელს (რაც მე გადამირჩა) ეს არის მე-19 საუკუნის თიხის ჭინჭილები, ფაიფურის თეფშები, ყანწები და სხვა-დასხვა ზომის სასმისები. უკვე დავამზა-

ნესტორ თურქაძე
ცოლ-შვილთან ერთად

ჩამოვიტან დიდი ბაბუის დროინდელ ჭურჭელს. უკვე დავამზადებინე ძველებური ფარნები და ბრები, მინდა, მოვიყვანო მიკიტანი და კინტო, რომელიც არღანზე დაუკრავს...

დებინე ძველებური ფარნები და ბრები, მინდა, მოვიყვანო მიკიტანი და კინტო, რომელიც არღანზე დაუკრავს... ერთი სიტყვით, დიდი სურვილი მაქვს აქ ჩამოსულ ადამიანს დროებით დავავიწყო პრეზიდენტიც, დაპირისპირებული პარტიებიც და კლანებიც. ქართველი კაცი თავისი ბუნებით ხომ, შრომასთან ერთად, ლხინისთვისაა დაბადებული. ქართველების სუფრა ხომ მთელი აკადემია იყო — ბრძნული სადღეგრძელოებით, უზადო სიმღერებითა და ცეცხლოვანი ცეკვებით?!..

— ვიცი, რომ სტუდენტობისას ე.წ. არაფორმალი (ანუ დისიდენტი) იყავი. იმ წლებიდან რას მოიგონებ?

— როცა თამრიკო ჩხეიძემ და ზურა ჭავჭავაძემ ილია ჭავჭავაძის საზოგადოება ჩამოაყალიბეს, მისი ერთ-ერთი პირველი წევრი (ქუთაისის რეგიონში) მე ვიყავი. მერე, ქუთაისის პოლიტექნიკურ სასწავლებელში პრესკლუბი შევქმენით. იმ დროს დაგვიახლოვდა ბატონი ვახტანგ გოგუაძე, რომელიც თავგადაკლული ეწეოდა ანტირუსულ პროპაგანდას (ახლა რა მოუვიდა, ვერ გამიგია და ძალიან მიკვირს...) საფიჩხიაზე ხშირად გვიქეიფია და ერთად გვიმღერია „შემოვიდნენ წითლები, ატყდა დავიდარაბა". ჩვენი პრესკლუბი სისტემატურად უშვებდა გაზეთ „ქუთაისის" ჩანართს, რომელსაც „სტუდენტური ფურცელი" ერქვა, სწორედ ამ ჩანართში ბევრჯერ გამომიქვეყნებია წერილები საქართველოს დამოუკიდებლობისა და იმჟამინდელი სამარცხვინო კომუნისტური დიქტატურის შესახებ. მახსოვს, როცა 1989 წლის ნოემბერში მოსკოვის საკავშირო ფორუმზე გავემგზავრე (საქართველოდან სულ 19 სტუდენტი ვიყავით), კარგად „აღვიჭურვეთ" 9 აპრილის ტრაგედიის ამსახველი ვიდეოკასეტებით და სხვადასხვა ლიტერატურით. ეს ფორუმი უშუალოდ გორბაჩოვის ხელმძღვანელობით ტარდებოდა და ყველა სხდომას თავად მიხაილ სერგეევიჩი ესწრებოდა. პირველ სხდომაზე ერთი რუსი „დავქოქეთ" და სანამ გორბაჩოვი თავის სიტყვას დაიწყებდა, სცენაზე აიჭრა და ქვეყნის თავს მიმართა — ფორუმის საზეიმო გახსნამდე, ჯერ ბაქოში და თბილისში დახოცილ მშვიდობიან მოქალაქეებს მივაგოთ პატივიო... ასეთი რამ საბჭოთა კავშირის ისტორიაში არ მომხდარა. გორბაჩოვი უმალ დაეთანხმა და მთელმა დარბაზმა, მასთან ერთად, ფეხზე ადგომით პატივი მიაგო დაღუპულებს.

მეორე დღეს, დარბაზში შესვლამდე, ფოიეში დაგვხვდა სტენდები, რომელზეც რუსული სამხედრო სასწავლებლის სტუდენტებს 9 აპრილის „ამსახველი" სურათები გამოეკრათ. ფოტომასალა ყველა მნახველს აცნობდა, თუ როგორ „სცემდა" ქართველი მოსახლეობა „საწყალ" ჯარისკაცებს. სანამ მოსკოვში წავიდოდით, ყველანაირად მზად ვიყავით ნებისმიერი შოვინისტური გამოხდომისთვის, მაგრამ ამისთანა უმსგავსობას არ ველოდით... ჩამოვგლიჯეთ სურათები, მივედით სტენდის მომწყობ სამხედროებთან და თავზე დავახიეთ. ატყდა ჩხუბი. ბალტიისპირელები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები, სომხები და ბელორუსები — ყველა ჩვენ მხარეზე დადგა და კვლავ უპრეცედენტო ამბავი მოხდა: არავის (ფორუმის ხელმძღვანელობიდან) საყვედურის მაგვარი კრინტიც არ დასცდენია ჩვენი მისამართით, — თუმცა, ამ ფაქტმა თვით გორბაჩოვის ყურამდეც მიაღწია... შემდეგ ლიუბიმოვმა „ვზგლიადისთვის" ჩაიწერა ჩვენთან (ქართველებთან) ინტერვიუ და ეთერშიც გაუშვა. ამ გადაცემის მერე — ისე, რომ არც მითხოვია, — მამაჩემმა დამატებით გამომიგზავნა ფული, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩემი გამოსვლა მოეწონა... მოსკოვიდან წამოსვლამდე ორი დღით ადრე, ქართველები ახალდამეგობრებულ ბიჭებთან ერთად ვქეიფობდით (გამარჯვებულები!). ამ დროს ერთი ლამაზი რუსი გოგო დაგვადგა — ერთ კარგ ადგილას უნდა წაგიყვანოთო... აბა, ქართველი რის ქართველია, მაცდურ წინადადებაზე უარი თქვას?! წამოვიშალეთ ხმაურით, თუნდ ჯოჯოხეთში გამოგყვებითო — ვეხუმრებოდით. სასტუმროდან უკვე გამოსულები ვიყავით, ისე, ყოველი შემთხვევისთვის ვკითხე: ტანია, გენაცვალე, სად მიგყავართ-მეთქი? მავზოლეუმში — დიდი ბელადის სანახავადო... თითქოს ცივი წყალი გადაგვასხეს, ადგილზევე გავშეშდით. მერე ავყაყანდით, ნეტავ, ეგ არ გეთხოვა და სხვას, რასაც გინდა, გავაკეთებდით-თქო...

— შვილებზე რას მეტყვი? ნესტორ თურქაძის კულინარიულ გზას გააგრძელებენ შენი ბიჭები?

— უფროსი — დათო ამ საქმის მიმართ არავითარ ინტერესს არ იჩენს, 6 წლის საბა კი მჯერა, ახლო მომავალში აუცილებლად დამიდგება გვერდით. ■

თითქმის ყველა კუთხე-კუნჭული მოვიარე და ცნობილ კულინარებს რეცეპტები გამოვართვი

რეჟისორ ლაშა მესხის მონოსპექტაკლმა დიდი რეზონანსი გამოიწვია. შტეფან ცვაიგის მოთხრობის — „უცნობი ქალის წერილების“ პრემიერა გრიბოედოვის თეატრის მცირე დარბაზში შედგა. მსახიობმა ნინო ლეჟავამ ძალზე ორიგინალური და შთამბეჭდავი სახე შექმნა.

ვეძებ სპექტაკლს, რომელიც მიპატრონებს

სცენა სპექტაკლიდან „უცნობი ქალის წერილები“

ლელა ჭანკოტაძე

ნინოს მამა გია ლეჟავა რუსთაველის თეატრის მსახიობია, დედა მთელი ცხოვრება ქართულ ხალხურ ცეკვებს ცეკვავდა, ძმა — ბაჩი ლეჟავაც რუსთაველის თეატრის მსახიობი გახლავთ. დიდი ბაბუა ქუთაისის თეატრის პირველი პლეადის მსახიობი იყო, მისი მეუღლე ელენე აბაკელია კი, ცნობილი მოდელიერი და მკერავი გახლდათ. მისი კოსტიუმებით არის გადაღებული „დავით გურამიშვილი“, „გიორგი სააკაძე“, „ქეთო და კოტე“. მან შეკერა კოსტიუმები მარჯანიშვილის თეატრის სახელგანთქმული სპექტაკლისთვის „ურიელ აკოსტა“.

— ნინო, შენი მრავალმხრივი ნიჭის შესახებ უამრავი რამ გამიგია, მაგრამ ის, რომ მშვენიერი სიმღერებიც გაქვს დაწერილი, სრულიად მოულოდნელი იყო.

— დიახ, ვწერ სიმღერებს: მაქვს ორმოცდაათამდე სიმღერა, რომელსაც, უსახსრობის გამო, მსმენელი ვერ გაეცნო: „ნაფტალინში“ მიდევს, რადგან ჩვენში როგორც იდეებს იპარავენ, ასევე — სიმღერებსაც. იმას არ ვამბობ, ზაქარია ფალიაშვილი ან რევაზ ლაღიძე ვარ-მეთქი, მაგრამ საკუთარ მუსიკას მაინც ძალიან ვუფრთხილდები. არ მინდა, თუნდაც ერთი აკორდი წამართვას ვინმემ. რომანსი — „Люби меня“ ტექსტიც და მუსიკაც მე მეკუთვნის. მას მღერის დათო ოთიაშვილი, რომელსაც რუსული რომანსების შესრულებისთვის, მოსკოვში გამართული ფესტივალის გრან-პრი მიენიჭა. ეს ფაქტი ჩვენმა მასმედიამ არ გააშუქა. დათომ იმღერა ჩემი მეორე სიმღერაც — „ოცნების ფრთები“. ეს ერთადერთი სიმღერაა, რომელიც სხვის ტექსტზე დავწერე. ტექსტის ავტორია მსახიობი და პოეტი გია ფერაძე. მისმა ძმამ, ბატონმა ილიკო ფერაძემ ეს ორი სიმღერა დამიფინანსა. უღრმესი მადლობა მას.

— წმინდა ვალენტინის დღეს, ფილარმონიაში გამართულ კონცერტზე საკუთარი რომანსი შეასრულე, დათო ოთიაშვილთან ერთად. როგორ დაიწყო თქვენი თანამშრომლობა?

— დათო ოთიაშვილი სერგო ნაცვალაძის მოსწავლეა. მოგეხსენებათ, ბატონი სერგო რიხტერის დონის კონცერტმეისტერია. მეც დავიწყე მასთან რომანსების შესწავლა და ალბათ ოდესმე დადგება დრო, როცა ის ნებას დამრთავს, სალონურ სიტუაციაში გამოვიდე და ვიმღერო. მხოლოდ ამ შემთხვევაში გავბედავ ხმის ამოღებას. საერთოდ, სუსტი ხმა მაქვს, თუმცა ბევრ ახლანდელ მომღერალზე უკეთ მაინც ვმღერი... ბატონი სერგოს გაკვეთილების შემდეგ ძალიან „წუნია“ გემოვნება გამიხდა. დათოც ბატონი სერგოს ხელში გაიზარდა. მან არ შეიძლება, ცუდი სიმღერა იმღეროს, ამიტომ, ჩემი სიმღერები რომ მოიწონა და შეასრულა, ეს უკვე წარმატებაა ჩემთვის... ორივე სიმღერა — „ოცნების ფრთები“ და „Люби меня“ მიტანილი გვაქვს „რადიო ორში“, მაგრამ შეიძლება ზრდილობისთვის, დაატრიალონ თვეში ერთხელ, თანაც ისეთ დროს, როცა ნაკლებად უსმენს ის ხალხი, რომელმაც კარგი სიმღერა უნდა აიტაცოს. ასე რომ, მე ვერ გამოვჩნდები მანამ, სანამ ძლიერი სპონსორი არ მეყოლება, ისეთი, რომლის სიტყვასაც ძალა ექნება, დამფინანსებს კიდეც და სხვადასხვა არხზე ჩემს სიმღერებს დაატრიალებს... ფაქტობრივად, მხოლოდ სპონსორი კი არ იქნება, არამედ პატრონიც. მჯერა, რომ ღმერთი არსებობს და ეს პატრონი შეიძლება ღმერთმა გამომიგზავნოს.

— როგორ შეიქმნა პირველი სიმღერა?

— ძალზე უცნაურად. ერთ მშვენიერ დღეს ნამდვილი სასწაული მოხდა: პირველ აკორდს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე და მუსიკა შეიქმნა. ეს ალბათ დაგროვილი ტკივილების გამოხატვა უფრო იყო... მუსიკალური განათლება

არა მაქვს, მხოლოდ შვიდწლედი დავამთავრე. ისე ბებია და მამიდა მყავდნენ მუსიკის მასწავლებლები... ჩემს სიმღერებში მთავარი ხაზი ყოველთვის ქართულია. რატომ უნდა მიებაძო ევროპელებს და მათი სტილი გადმოვიღო?! სჯობს, მათ თავად მომბაძონ. არ შეიძლება ყველანაირი ქართული სიმღერა უცხოურ ყაიდაზე ააწყო, გაარემიქსო, გაარეპო ან გააჯაზო. ალბათ ჰამლეტ გონაშვილი ტრიალებს საფლავში თავისი სიმღერების გარემიქსების გამო...

— ნინო, უამრავი სიმღერაა შენს ლექსებზე შექმნილი. კრებულის გამოცემას არ აპირებ?

— ლექსებს თორმეტი წლიდან ვწერ, მაგრამ არასოდეს მქონია პრეტენზია ან წიგნი გამომეშვა, ან საღამოები გამემართა... დღეს ლექსებს ნაკლებად კითხულობენ. სამწუხაროდ, თინეიჯერები დიდი პოეტების შემოქმედებას აღარ აფასებენ ჯეროვნად. ყველაფერი კომპიუტერმა დაიპყრო.

— ცეკვის სიყვარული ალბათ დედისგან გამოგყვა? ვიცი, რომ „ჩიჩოტკა“ სააბაზანოს მეტლახზე გაქვს შესწავლილი, სუხიშვილების „დუბლებშიც“ ცეკვავდი, არა?

— დიახ. ძალიან კარგი პედაგოგები მყავდა და შემეძლო, დიდ ანსამბლშიც გადავსულიყავი, მაგრამ ჩემი ნებით ვთქვი უარი, რადგან ცეკვას ვერაფრით შევუთავსებდი მსახიობობას. ცეკვა ხომ ჯოჯოხეთურ შრომას მოითხოვს, მე კი მთელი არსებით მსახიობი ვარ. რაც შეეხება თანამედროვე ცეკვებს, შემიძლია ვთქვა, რომ თვითნასწავლი ვარ. თუმცა, სამი თვე ვიარე კორდებალეტში, ვიცეკვე და ცხადია, გარკვეული ცოდნაც შევიძინე. აუცილებლად მჭირდებოდა ეს — თუნდაც როგორც მსახიობს. ბალეტზე არასოდეს მივლია, თუმცა ამას ძალიან ხშირად მაბრალებენ... იმასაც მაბრალებენ, გირებით ვარჯიშობდაო. სიმართლე ის გახლავთ, რომ ჩემი შვილი (ნინოს ექვსი წლის ბიჭი — ნიკუშა ჰყავს. — ავტ.) მძიმე ბავშვი იყო, სულ ხელით დავატარებდი და კუნთებიც ამის გამო მაქვს.

— ცნობილია, რომ ძალზე ენერგიული ადამიანი ხარ. იყო დრო, როცა მიმტანადაც მუშაობდი, ამჟამად რა საქმიანობას ეწევი?

— რუსთავის მუსიკალურ სასწავლებელში ოთხ საგანს ვასწავლი. ჩემთვის დიდად მნიშვნელოვანია მეტყველების შესწავლა. დღეს კოშმარული გამოთქმებით მღერიან, ამიტომაც, უპირატესობას ვოკალისტების ჯგუფთან მუშაობას ვანიჭებ. ცუდი მასწავლებელი არა ვარ. სულ ვცდილობ, ჩემი მოსწავლეებისგან რაღაც შევიძინო, ვისწავლო: ოცდაშვიდი წლის გავხდი, ისინი ჩემზე სულ ათიოდე წლით არიან უმცროსები. დისტანციას ყოველთვის ვიცავ, მაგრამ ვცდილობ, რაც შეიძლება ახლოს ვიდგე მათთან.

— შენზე ამბობენ, დაკომპლექსებულიაო...

— საერთოდ, მსახიობს კომპლექსი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ მაქვს: რომ ვჯდები და მოკლე კაბა მაცვია, ვცდილობ, საკუთარი ქცევა ვაკონტროლო, ფეხი ფეხზე არ გადავიდო... თუ ბიჭს კალთაში არ ჩავუჯდები, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეგობრობა არ ვიცი... უბრალოდ, ასეთი ვარ... ის ურთიერთობა მომწონს, ქალი რომ ქალია და მამაკაცი — მამაკაცი. ვერ ვიტან, ქართველ კაცს საყურე რომ უკეთია. ამის ატანა არ შემიძლია. თუმცა, საერთოდ, ყველაფერში შეიძლება არსებობდეს განსხვავებული აზრი.

— მეტეხის თეატრიდან შენი წამოსვლის შემდეგ, ავი ხმები დადიოდა, თითქოს სცენაზე აღარც გამოჩნდებოდი, მაგრამ პირიქით მოხდა: შენმა ნამუშევარმა „უცნობი ქალის წერილებში“ საზოგადოების მოწონება დაიმსახურა. როგორ მიიღე ეს როლი?

— მე და გიორგი დევაძე თეატრალური ინსტიტუტიდან ვმეგობრობდით, მეტეხის თეატრშიც ერთად ვმუშაობდით. სწორედ მან მითხრა, რომ ლაშა მესხი სამი წელი ფიქრობდა ერთ სპექტაკლზე და ამაოდ ცდილობდა, მთავარი როლის შემსრულებელი შეერჩია. ლაშას მე არ ვყავდი ნანახი. შევხვდით ერთმანეთს, ვისაუბრეთ და შევთანხმდით. ჩემი პირობა ასეთი იყო: ჩემთვის გარკვეული თავისუფლება უნდა მოეცა, რადგან არ შემიძლია, ვიყო მარionეტი და რეჟისორმა მითხრას: „აქ იტირე, აქ იცინე...“

— ამ ნდობის შედეგი ხომ არ არის ლაშა მესხს რომ უსაყვედურეს — მეტისმეტად მოკრძალებული ხარ და მსახიობს ზედმეტი თავისუფლება მიეცით?.. თუმცა, სპექტაკლი ნამდვილად კარგი გამოვიდა...

— დიდი მადლობა ლაშას იმისთვის, რომ მენდო. სპექტაკლი მართლაც გამოგვივიდა. ჩემი პირველი გამარჯვება პრემიერის დროს ის იყო, რომ ხალხი მისმენდა. ძალიან ძნელია, მსახიობს საათი და ათი წუთი უყურო და თან მისი მოსმენის სურვილი შეინარჩუნო. პრემიერა გრიბოედოვის თეატრში შედგა, შემდეგ რუსთავის დრამატულ თეატრში ვაჩვენეთ ეს სპექტაკლი და მერეც ორჯერ — „თეატრალურ სარდაფში“, რომლის ხელმძღვანელობაც სექტემბრიდან ამ სპექტაკლის თავის რეპერტუარში შეტანას შეგვპირდა. ჩვენი პროფესია დაუფასებელია — ეს მე თავიდანვე ვიცოდი... მაგრამ სცენის გარეშე ცხოვრება, მაინც ვერ წარმომიდგენია. არც ის მიფიქრია ოდესმე, რომ მსახიობობით გავმდიდრდებოდი, მილიონერ საქმროს ვიშოვიდი. ყოველთვის ისეთ ადამიანს ვეძებდი, ვინც ჩემნაირი იქნებოდა. ბედნიერი

ბოლო წუთები პრემიერის წინ...

ტესტი

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. სად მდებარეობს ჰუმბოლდტის ზღვა?

ა) ნიგერიაში;
ბ) შვეიცარიაში;
გ) მთვარეზე.

2. რა ეწოდება ცხოველთა ფიტულების დამზადებას?



ა) ტაკსიდერმია;
გ) ფიტუდამია;
გ) მუგუმანია.

3. დაახლოებით რა რაოდენობის კბილებს იცვლის ზვიგენი მთელი სიცოცხლის განმავლობაში?

ა) ორასიდან სამასამდე;
ბ) ორიდან სამი ათასამდე;
გ) ოციდან ოცდაათი ათასამდე.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ამპლუა

კადრი ფილმიდან – „თბილისი ჩემი სახლია“

ვარ,ასეთი ადამიანი რომ ვიპოვე... ოდესმე ალბათ ცნობილი გახდება – ვინ არის, რას საქმიანობს და ჩვენი ურთიერთობაც დაგვირგვინდება. ამის იმედი ნამდვილად მაქვს. შესაძლებელია, მრავალშვილიანი დედაც გავხდე და საზოგადოებას ისევ ახალ ამპლუაში მოვევლინო...

— შენი პირველი კინორეჟისორული „ოქროს არწივის“ კინოფესტივალის პრიზით აღინიშნა, წარმატება შემდგომშიც გქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ახლა ხშირად, მხოლოდ სარკის წინ გიწევს ხოლმე თამაში. რატომ მოხდა ასე?

– ქართული კინო დღეს მძიმე მდგომარეობაშია. დავდივარ და ვიხვეწები: „ძალიან გთხოვთ გამომიყენეთ, რა!..“ გადამიღეს ფილმში – „თბილისი ჩემი სახლია“, შემდეგ ტელენოველაში – „მაგრამ რა, მერე?“ ვმონაწილეობ ფილმშიც „აქ თენდება“, რომელიც „ოსკარის“ ნომინაციაზე გადიოდა... დიდი წარმატების მერე დადგა უძრაობის წლები. შვიდი თუ რვა წელია, რაც გაჩერებული ვარ... მერაბ კოკოჩაშვილის სტუდენტმა ირაკლი მამალაძემ გადაიღო თხუთმეტწუთიანი ფილმი „სიბრძნე სიცრუისა“. ამ ფილმისთვის მუსიკა მე დავწერე. ამასთან, ორი როლი შევასრულე – რა თქმა უნდა, უანგაროდ. ჩემთვის მთავარი იყო, ისევ დავმდგარიყავი კამერის წინ.

— გამიგია, სცენარებსაც წერ.

– კი, მაქვს უამრავი სცენარი – როგორც ხმოვანი, ასევე არახმოვანი, მოკლემეტრაჟიანი ფილმებისთვის. ერთი სცენარი თვრამეტი წლისამ დავწერე, გადაწყვეტილი მაქვს, ის ტელესერიალად გადავაკეთო და თუ სპონსორი გამოჩნდება, ალბათ ამ გეგმას განვახორციელებ.

— შენ თქვი: მხოლოდ სერიოზულ სერიალში გადაღებას დავთანხმდებიო. ეროტიკულ ფილმებში თუ მიიღებდი მონაწილეობას?

– პრინციპულად არ ვითამაშებ არასდროს ეროტიკულ სცენებში, თუმცა ვიცი, ამის გამო ბევრს დავკარგავ. ჩემთვის სიშიშვლე სცენასა და ეკრანზე სრულიად უინტერესოა. მირჩევნია, მსახიობი თვალებით და პლასტიკით თამაშობდეს, თვალებით უნდა ამყარებდეს სექსუალურ კავშირს... ჯერ ძალიან დიდი გზა მაქვს გასავლელი იმისთვის, რომ მერილ სტრიპი გავხდე, უფრო სწორად, ასეთი დიდი დონის მსახიობი გავხდე. სხვათა შორის, ამ ქალბატონს სიშიშვლე არ დასჭირვებია წარმატების მისაღწევად... საქართველოში პოპულარული რომ გახდე, აუცილებლად სპონსორი და პატრონი გჭირდება. მე, მაგალითად, ელიოზივით ვზივარ და ფერადი მინებით, ცის გახსნას ველოდები: იქნებ ვიღაც გამოჩნდეს და დამინახოს... საზღვარგარეთ ნამდვილად ვერ წავალ სამუშაოდ. იქ ვერავის აუხსნი, რატომ არ შეგიძლია თუნდაც ეროტიკულ სცენაში გადაღება. ამას ვერ გაიგებენ. უბრალოდ, დაგცინებენ. არადა, ჩვენში, დღეს სამწუხაროდ ისეთი ტენდენციაა, რომ ოღონდაც სადმე წადი და რაღაც გააკეთე და ამის მერე, უეჭველად პროფესიონალად ჩაგთვლიან. ჩაქეშიც რომ გაითქვა სახელი, თბილისში ფიანდაზებს დაგიფენენ...

■

სეკრეტარის ცხელი ოთახი

ყოფილი პანკი

ამ სურათის გადასაღებად უსა სპეციალურად მოემზადა: წვერი გაიპარსა, „გრძელი“ შარვალი ჩაიცვა და ნაჭრის ფეხსაცმელებიც გამოიცვალა

დიდი ხანია, რაც მშრალი ხიდი აღებ-მიცემობის ცენტრად იქცა. ვის აღარ ნახავთ აქ, რას აღარ ნახავთ, რა აღარ იყიდება. უსუპ კეკუტია მაგალითად, სიძველეებით ვაჭრობს. მის პატარა მაგიდაზე უძველესი ხატწერის ნიმუშები, იარაღი, თრიაქის მოსაწევ ნარგილეთა ნიმუშები, 20-იანი წლების ფოტომოდელთა სურათები, ლენინ-სტალინის ბიუსტები და ცნობილ ადამიანთა რელიკვიური თუ ანტიკვარული ნივთებია გაშლილი. თქვენ წარმოიდგინეთ, აქ აკაკი ხორავას „ორიანებით“ გატენილი დღიურიც კია გასაყიდად გამოტანილი. როგორც უსუპი ამბობს, ძველი ნივთები მისი ჰობია და ის ვერაფერს იტანს ახალს — ქალის გარდა! იეღოველთა სექტაში გაწევრების შემდეგ, ზოგმა სახლიდან ისეთი უძველესი ხატები გამოიტანა, რომელთა ისტორიული და რელიგიური ღირებულებაც შეუფასებელია. უარყოფილი ხატები და სხვა სასულიერო ნივთები, უკეთეს შემთხვევაში, საავაჭრო სივრცეში ხვდება, უარესში კი, — მათ წვავენ და ანადგურებენ.

ნანა ქიბიშაური

ყოფილ პანკს, უსუპ კეკუტიას, თავისი ცხოვრების მანძილზე იმდენი უცნაურობა აქვს ჩადენილი, რომ ძველი ნივთებით გატაცება დღეს უცნაურად აღარავის ეჩვენება. უსუპს ორი ცოლი და ორი შვილი ჰყავს. ბედს არც ერთი მათგანი არ ემდურის და, როგორც თვითონ ამბობს, ორ წყვილ ცოლ-შვილს შორის დროს შესანიშნავად ანაწილებს. ამასთანავე, არც თავისუფლებას ელევა და განმარტოების ჟამს, ანარქისტული ლიტერატურით ირთობს თავს. დროის უმეტეს ნაწილს კი, მშრალ ხიდზე ატარებს. ჩვენც იქ შევხვდით და ვესაუბრეთ. გაუპარსავი, ვერცხლის სამკაულებით, ნაჭრის ჩუსტებსა და შორტებში გამოწყობილი უსა ძველ სკივრზე ბეღურასავით შემოჯდა, ფეხები მოხერხებულად აიკეცა, ხელში მძიმე ჯაჭვზე ჩამოკიდებული სასტვენი შეათამაშა და დაიწყო:

— მე ვარ უსუპი. რა თქმა უნდა, დაგებადებათ შეკითხვა, რატომ დამარქვეს ეს სახელი? რატომ და იმიტომ, რომ ჩემს ბიძაშვილს ერქვა ბადრი. მე რომ დავიბადე, უფროსებმა ჩემი სახელის გამო იმსჯელეს და გადაწყვიტეს, რომ კეკუტიების გვარში თუ ბადრი იყო, მას უსუპი და ამირანიც უნდა ამოსდგომოდნენ მხარში და... აგერ გახლავართ უსუპი! თუმცა, ამ სახელს არავინ მეძახის. გარშემო სულ ჩემსავით ზარმაცი ხალხი მახვევია: ეზარებათ სახელის ბოლომდე წარმოთქმა და შინ თუ გარეთ, ყველა უსას მეძახის. თქვენც თუ ზარმაცი ხართ ან გეჩქარებათ, შეგიძლიათ უსა დამიძახოთ.

— სიზარმაცეზე ნუ მიდგება საქმე, თორემ შეიძლება მარტო „უ“ დაგიძახოთ.

— რაც გინდათ, ის დამიძახეთ. თუ ზარმაცი ხართ, ე.ი. შინაური ყოფილხართ და მშვენივრად გავუგებთ ერთმანეთს.

— სიზარმაცის გამო ბევრი პრობლემა გქონდათ?

— სიმართლე გითხრათ, სწავლა არ მეზარებოდა. მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც ოთხი სკოლა გამომაცვლევინეს. საერთოდ კი, სიზარმაცე მე პირადად, არანაირ პრობლემას არ მიქმნის. ის ჩემთვის კომფორტია: როგორც მინდა, ისე ვცხოვრობ „ჩემს კასრში“!

— სკოლებს რატომ იცვლიდით, ძნელად აღსაზრდელი იყავით?

— ამ კითხვაზე ჩემი ერთ-ერთი დირექტორის სიტყვებს მოვიშველიებ: „ჩემს ცხოვრებაში მინახავს იოლად აღსაზრდელი, შემხვედრია ძნელად აღსაზრდელიც, მაგრამ ის არის აბსოლუტურად „აღუზრდელი“. ამ ნაცვალსახელში მე მგულისხმობდა. არადა, წესით ასეთი არ უნდა გამოვსულიყავი: საკმაოდ ინტელიგენტურ ოჯახში დავიბადე. ჩემი მშობლები ვეტექიმები იყვნენ, განათლებული და წესიერი ხალხი. სკოლიდან პირველად ნოვატორობისათვის გამრიცხეს. სახლში ექსპერიმენტი ჩავატარე: ვარდის ფურცლებისგან ლიქიორი დავამზადე და სკოლაში წავიღე. მთელი კლასი დავთვერით. ერთი მასწავლებელი გვყავდა — ომის მონაწილე. მარცხენა ხელი ტყვიით ჰქონდა გახვრეტილი და ამის გამო, ყველანი სიმულანტს ვეძახდით, რადგან გაგონილი გვქონდა, რომ ზოგიერთი მებრძოლი ომის დროს, ჰოსპიტალში მოსახვედრად, ხელს თვითონვე იხვრეტდა. აი, ამ მასწავლებლის გაკვეთილი გვქონდა, საკმაოდ მკაცრი კაცი იყო, არადა, ისეთ დღეში ვიყავით, ჩვენი მერხები ძლივს ვიპოვეთ. შემოვიდა სიმულანტი, ერთი გადმოგვხედა და გახვრეტილი ხელი, რომელშიც გრძნობა არ ჰქონდა, ისე დაჰკრა მაგიდას, რომ იმწამსვე დაშალა. თვალებს არ დავუჯერე. „ვა, სიმულანტ?!“ წამომცდა გაკვირვებულს და... მთელი კლასი ახარხარდა. მთელი 45 წუთის განმავლობაში ვიცინეთ. აი, ამისთვის გამრიცხეს.

— მეორედ?

— მეორედ — სიყვარულის გამო. გოგოს ვეფერებოდი და დამლაგებელი დაგვადგა ცოცხით და „პოლის“ ჯოხით თავზე. ის გოგო ისეთი ვინმეს შვილი იყო, რომ შეშინებულმა მასწავლებლებმა ქვეყანა შემიყარეს. გოგოს მამამ კი, როცა ეს ამბავი გაიგო, ტყვია მესროლა... ბოლოს

სკოლიდან კომკავშირში არშესვლის გამო გამომრიცხეს. ახლაც მეჩვენება, რომ ყოველთვის უფრო მკაცრად მსჯიდნენ, ვიდრე ვიმსახურებდი. ყველას ეჩვენება, რომ დახურულ სივრცეში უფრო საშიში ვარ და ჩემს თავიდან მოცილებას ცდილობს. ასე იყო სკოლაშიც. ასეა ციხეშიც. მიაჩნიათ, რომ ზონაში უფრო საშიში ვარ, ვიდრე თავისუფლებაზე და ამიტომაც ვარ დღეს თავისუფალი.

— ეი. კრიმინალური წარსულიც გაქვთ?

— კი, ასეთიც მოიძებნება ჩემს არქივში, მაგრამ რაც მაქვს, ყველაფერს გასაყიდად ხომ არ დავდებ. ზოგიერთი რამ დახლს მიღმა მაქვს გადამალული.

— იქნებ, ეს ანტიკვარებიც მოპარულია?

— არა, ესენი არ არის მოპარული.

— აბა, როგორ ხვდება ისინი თქვენთან?

— შეხედეთ, რა ახლოს არის მტკვარი. გული მწყდება, ბარათაშვილივით ლექსებს რომ არ ვწერ. მტკვრის პირას მარადიულად არის ნიავი, რომელსაც ზოგიერთისთვის ლექსები მოაქვს, ზოგისთვის საინტერესო ამბები, ზოგისთვის კი — ანტიკვარიატი.

— ქარის მოტანილს ქარივე წაიღებსო, ნათქვამია...

— ზუსტად ასეა ჩემი საქმე, მაგრამ მაინც სიამოვნებით ვაგროვებ სიძველეებს. რა ვქნა, ჩოხა-ახალუხიანი ქართველები „მევასება". მე სიმონა დოლიძის ფოტოსურათიც მაქვს სადღაც. ჩემნაირი ხალხი

რომ არ იყოს, შეიძლება ასეთი ფოტოსურათები ისე გადაყარონ, რომ ვერც მიხვდნენ, ვინ არის ეს კაცი. შეიძლება ითქვას, თქვენ ახლა წინაპრების გამყიდველს ესაუბრებით. ბევრ ისტორიულ ნივთს ვერ ვიმეტებ გასაყიდად და ჩემთვის ვიტოვებ. ბევრიც ხელნაწერთა ინსტიტუტისთვის, თეატრებისა და მუზეუმებისთვის მაქვს ჩაბარებული.

— რა ვქნა, რაღაც არა მგონია ყოველი ნივთი ქარის მოტანილი. ვფიქრობ, მშრალ ხიდზე ვაჭრობას პოლიცია, უშიშროება და „შავები" ერთად აკონტროლებენ.

— გეთანხმებით. პოლიცია და უშიშროება ნამდვილად ცდილობს, მშრალი ხიდი თავისებურად გააკონტროლოს. არც ვამტყუნებ. ასეთ ადგილებში, ხშირ შემთხვევაში, დახლზე რაც აწყვია, — „მასკიროვკაა". სინამდვილეში კი, სულ სხვა ვაჭრობა მიდის. აგერ, ის ორი ტიპი რომ გვიახლოვდება, „შესტოი ატდელიდან" არიან. მე მგონია, ისინიც თქვენნაირად ეჭვობენ, რომ აქ ყველაფერი ქარს მოაქვს.

ოპერატიული ჩანართი: *მართლაც, ორი მაღალ-მაღალი და მელოტ-მელოტი ტიპი მოგვიახლოვდა. უსა სკივრიდან ჩამოხტა. ტიპებმა მაგიდა მოათვალიერეს და შვლისფეხისტარიანი დანებით დაინტერესდნენ. უსას რაღაც კითხვები დაუსვეს. იმანაც უპასუხა. სიმართლე გითხრათ, მე მათი ლექსიკონის ბევრი ვერაფერი გავიგე. უცებ მაგიდასა და კედელს შორის ღრიჭოდ დარჩენილ ადგილს მოკკარი თვალი. იქ უწესრიგოდ ჩაყრილი რაღაც ნივთებიც დავაფიქსირე და ტანში გამცრა. როდესაც წავიდნენ, უსამ თავის ვერცხლის სასტვენს ჩაპერა და ისევ სკივრზე შემოსკუპდა. მე კი, თანამზრახველის სიალალით, ჩემი ვერსია გავუმხილე: იქნებ, ეს ტიპები მაგიდის უკან ჩაყრილ ნივთებს ეძებდნენ-მეთქი. უსამ უკვე შინაურულად დამაშვიდა: თქვენ, პოლიციელები და ჟურნალისტები, რაც მაგიდაზეა, იმას რატომღაც მაგიდის უკან ეძებთ. რა ვიცი, იქნებ მათ ეს ნივთი აინტერესებდათ: — თქვა და მაგიდიდან შავ, ჭუჭყიან ცელოფანში გახვეული რაღაც საგანი აიღო, ცელოფანი შემოაცალა და... ბუდას უმშვენიერესი პატარა ზომის ქანდაკება მიჩვენა. ბუდას თვალებში ალმასები ბრწყინავდა. უკვე ღამდებოდა. ამ მშვენიერებით დიდხანს დატკბობის დრო ნამდვილად არ მქონდა და ისევ ინტერვიუს დავუბრუნდი. საუბარი უსამ განაგრძო:*

— აქ, ჩემთვის არაფერია უძველეს კოლხურ მონეტებზე უფრო ღირებული. ნივთების უმეტეს ნაწილს გაღატაკებული ქართველი არისტოკრატები და მათი შთამომავლები მაბარებენ. იცით, ეს რა გულის ამაჩუყებელია? მათთან ერთად მეც განვიცდი. გულგრილი ადამიანი, ვინც ამ სცენას უგრძნობლად უყურებს, ვერც იმ ნივთებს შეიყვარებს, რომელსაც უტოვებენ. არადა, ნივთებს თავისი ბიოგრაფია აქვს, ვინ იცის, თითოეულმა მათგანმა რამდენი პატრონი გამოიცვალა, რამდენჯერ გაიტაცეს, ან სად უფრო კარგად იყვნენ — მოკლედ, მათ ისეთივე თავგადასავალი აქვთ, როგორიც ლამაზ ქალებს. მე მათ ისე ვუყურებ, როგორც ცოცხალ არსებებს. ზოგჯერ მემალებიან და რომელიმე მათგანს ვერ ვპოულობ. ოთახიდან ოთახში დავდივარ, მის დობილ-ძმობილებში ვიქექები და თან ვემუქრები: აი, გიპოვი და ნახავ, მერე რაც მოგივა! ხან კი ვეფერები: რა მშვენიერი ხარ, რა ნატანჯი. აი, ის საქსოფონი ერთმა გალოთებულმა მუსიკოსმა მომიტანა, დიდი ხანია ჩემთან არის. ძალიან მიყვარს. მეცოდება, რომ არავის აინტერესებს. არადა, ვგრძნობ, როგორ უნდა, ვინმემ იყიდოს და ბაგე შეახოს. ნივთები ხშირად „ძველ ქართველებს" მოაქვთ და „ახალი ქართველები" ყიდულობენ. ჩემი სიმპათიები „ძველების" მხარეს არის. „ახალი ქართველები" ძალად ბიჭები არიან, უხეშები, ტლანქები და „წამლით" გაბერილები. მათში ქალები უკეთესები არიან, ვიდრე კაცები. ჩემთან ხშირად მოდის ერთი ქალბატონი, ცირა ჰქვია. ნამდვილი არისტოკრატია. ძალიან მოხუცი და ძალიან ლამაზი! ყელზე თეთრ მძივს იკეთებს. მოვა, მომიტანს რაიმე ნივთს, მომიყვება მის ისტორიას. მერე პარიზის ამბებზე წამეჭორავება. მე სიგარეტს შევთავაზებ, ერთ-ორს გააბოლებს და... დამტოვებს. მე შეყვარებული ვარ ამ ქალზეც და მის ნივთებზეც. როცა მის გვერდით ვარ, ვგრძნობ, რომ მაწანწალა ვარ. ალბათ ცირაც გრძნობს,

რომ მიყვარს და ყოველთვის ჩემთან მოდის. აი, ამაშია მთელი ჩემი საქმიანობის ხიბლი, თორემ თუ კაცმა რომელიმე ნივთის ხელში ჩაგდება მოინდომა, — არ არსებობს დაკეტილი კარი! ყოველგვარი საკეტი იხსნება, რადგან ის ჩემნაირივე ადამიანის შექმნილია და არა ღმერთის!..

— ყველაფერი მესმის, მაგრამ ამ ლენინ-სტალინის სურათებს ვინღა ყიდულობს?

— სხვათა შორის, კარგად იყიდება. ამას წინათ ვხედავ, მოდიან ქუჩაში ბავშვები და ლენინის დიდი სურათი სანაგვეზე მიაქვთ. 1 „კოკა-კოლაში“ და 2 ნაყინში გავუცვალე. წამოვიღე და იმ დღესვე იყიდა ვიღაც უცხოელმა.

— ამ ბოლო დროს თუ ჩაგივარდათ ხელში რაიმე საინტერესო?

— ეს არის რამდენიმე საუკუნის წინანდელი ჭოგრიტი. ვფიქრობ, ამით თვით ნაპოლეონი იხედებოდა, მაგრამ აქ საიდან გაჩნდა, არავინ იცის. კიდევ 1937 წელს ალავერდიდან წამოღებულ საეკლესიო წიგნებში ერთ-ერთი მამაოს დღიური აღმოვაჩინე. ეს მართლაც ძალიან საინტერესოა.

— თუ არსებობს ნივთი, რომლის დანახვაც არ გინდათ?

— კი. ეს არის საათი: ამ მექანიზმზე უარესი ჯერ კაცობრიობას არაფერი მოუგონია...

— პარლამენტარებისგან ან ვინმე ცნობილი ჩინოსნისაგან ხომ არ გაქვთ დაკვეთები? თავისი კოლექციის შესავსებად ხომ არ უთხოვია ვინმეს დახმარება?

— პარლამენტარები ხშირად ყიდულობენ ჩემგან ანტიკვარებს, მაგრამ მათი კოლექციის შესახებ არაფერი ვიცი. მხოლოდ ორ ადამიანს დავეხმარე კოლექციის შევსებაში, ესენი არიან გიორგი გაჩეჩილაძე და რომა რცხილაძე, რომლებიც ხელჯოხებს აგროვებენ. ჩვენთან ევროპიდან შემოსული ხელჯოხების უმრავლესობაში რაღაც იმალება. მე ეს ვიცი. ამიტომ ყოველ უცხო „ტროსტს“ იდუმალების შარმით მოსილს ვხედავ და ერთი სული მაქვს, ის ხელში დავიჭირო. ამჟამად, მხოლოდ ერთი ხელჯოხი-დაშნა მაქვს, სიმართლე გითხრათ, ისე მომწონს, რომ გასაყიდად ვერ ვიმეტებ.

— ანტიკვარებისა და „შავი სამყაროს“ ურთიერთობაზე რას გვეტყოდით?

— სად არის „შავი სამყარო“? ის არ არსებობს! უფრო სწორად, არსებობს, მაგრამ ეს ის არ არის, ხალხს რაც ჰგონია. „შავი სამყარო“ ხელისუფლების მიერაა შექმნილი. მისი დღევანდელი დანიშნულებაა შავი ბიზნესის კონტროლი — აი, ამ საქმეში იყენებს ხელისუფლება დღეს „ავტორიტეტებს“. მოკლედ, ქურდად ყოფნა დღეს გოიმების საკენკად იქცა.

— პოლიტიკასთან გაქვთ რაიმე შეხება?

— პოლიტიკასთან არა, პოლიტიკოსებთან — კი. მერაბ კოსტავასთან ერთად უამრავი ღამე გამითენებია. გია ჭანტურიასთან ვმეგობრობდი. მე და ქალაქის ახლანდელი მერი, ვანო ზოდელავა და-ძმის შვილიშვილები ვართ. ალბათ სააკაშვილსაც ვახსოვარ გველის ნაკბენივით. დღეს ცუდი პოლიტიკაა საქართველოში. ამიტომ გახდა ასე ძნელი აქ ყოფნა.

— თქვენც ხომ არ ფიქრობთ აქედან წასვლაზე?

— არა, სად უნდა წავიდე?!

— მაგალითად, ამერიკაში!

— არა, ამერიკა ვერ ეღირსება იმას, რომ ამერიკელი გავხდე...

ეს არის ქართველი „მაწანწალის“ ბოლო სიტყვა. იმ კაცის, რომელიც თავისი ქვეყნის წარსულით ვაჭრობს.

■

ტესტი მრუდიციაზე

1) ლუი არმსტრონგის მეტსახელი იყო:

ა) საჩმო;
ბ) სლაი;
გ) ტოტო.

2) ჩამოთვლილთაგან რომელი სიტყვა არ არსებობს აფხაზურ ენაში?

ა) კოსმოსი;
ბ) ზღვა;
გ) მაცივარი.

3) რას უწოდებდნენ უზალთუნს?

ა) 10 კაპიკს;
ბ) ერთ მანეთს;
გ) ერთ თუმანს.

4) რა ფერის თვალები აქვთ სიამის კატებს?

ა) ცისფერი;
ბ) მწვანე;
გ) წითელი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

2001 წლის 14 ივლისს თბილისში, კიდევ ერთი სადისტური მკვლელობა მოხდა. თემქის დასახლების მე-4 მ/რაიონის მე-10 კორპუსის მცხოვრებლებმა და მათ მიერ გამოძახებულმა მეხანძრეებმა მე-7 სართულზე მდებარე ბინის ფანჯარაში, იქ მცხოვრები 41 წლის ჯიბო სადღობელაშვილი დაინახეს. მას ხელში სისხლიანი დანა ეჭირა და აქეთ-იქით დადიოდა. ფანჯარასთან მიახლოებული ერთ-ერთი მეხანძრე, რომელიც სრულიად უიარაღო იყო, მაშინვე უკან დაბრუნდა და მეზობლებს პოლიციის გამოძახება ურჩია...

მოკლული ვანო არჩვაძე, ცოლ-შვილთან ერთად

„დაკეტილი კარიდან მომაკვდავი ქმრის ხრიალი მესმოდა...“

სადისტური მკვლელობა თემქაზე

მეგი ცანავა

სამართალდამცავებმა ბინის კარი შეამტვრიეს. ჯიბო სადღობელაშვილი მათ მთვრალი დახვდათ, ხოლო ოთახში, იქვე იატაკზე, მისი მეზობლის – ვანო არჩვაძის დანით აჩეხილი უსულო გვამი ეგდო...

ჯიბო სადღობელაშვილს პოლიციისთვის მაინცდამაინც დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია, განყოფილებაში კი დანაშაულიც აღიარა. „ვანო მოვკალი, მაგრამ რისთვის, არ მახსოვს“, – განუცხადა მან სამართალდამცავებს.

ვანო არჩვაძე 43 წლის იყო. იგი მე-2 ჯგუფის ინვალიდი გახლდათ, სიარული უჭირდა, რის გამოც, არქიტექტორი და მხატვარი, არსად მუშაობდა. შინ ხატავდა და ქარგავდა. ვანო არჩვაძეს ცოლი და ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა...

გარდაცვლილის სხეულზე ექსპერტებმა გვამის თავდაპირველი დათვალიერებისას სანადირო დანით მიყენებული 20 ჭრილობა დააფიქსირეს. ჭრილობები ძირითადად ყელის, მკლავისა და გულმკერდის მიდამოში აღენიშნებოდა. ჯიბო სადღობელაშვილის თქმით, ვანო არჩვაძე მასავით ნასვამი იყო. „თავიდან არ სვამდა, მერე კი ერთი ჭიქა დალია“, – ამბობს იგი. ქმრის სიმთვრალეს კატეგორიულად უარყოფს დაღუპულის მეუღლე. მკვლელს შემთხვევის ადგილიდან წასვლის საშუალება სწორედ მან არ მისცა...

ინგა დრაილინგი, მოკლულის მეუღლე:

„დილით, დაახლოებით 8 საათი იქნებოდა, როცა ტელეფონმა დარეკა. ავდექი, მაგრამ ზარს ვეღარ მივუსწარი. ცხრის ხუთ წუთზე ზარი ისევ გამეორდა, ამჯერად ყურმილი ავიღე და ვუპასუხე. ჩვენი მეზობელი ჯიბო სადღობელაშვილი აღმოჩნდა. იგი ჩვენ ქვემოთ, მე-7 სართულზე ცხოვრობდა, სულ ორი წლის გადმოსული იყო ამ კორპუსში, მაგრამ მასთან საკმაოდ კარგი, ნორმალური მეზობლური ურთიერთობა გვქონდა. ბინაში რემონტს აკეთებდა და ჩემი ქმარიც ხშირად ეხმარებოდა, ფიზიკურად არა, მაგრამ თუკი რომელიმე ხელსაწყო დასჭირდებოდა, ჩვენგან მიჰქონდა. ჯიბო საჩხერელი გახლდათ, თბილისში შედარებით ახალი ჩამოსული იყო და ჩემი ქმარი ამის გამოც აქცევდა ყურადღებას. ხშირად სახლის გასაღებსაც ერთმანეთს ვუტოვებდით. იმ დილითაც, რომ დარეკა, არ გამკვირვებია, მითხრა – ერთი წუთით ვანოს დაუძახე, ჩემთან ჩამოვიდეს, საქმე მაქვსო. ვუთხარი – ვანოს სძინავს, გავაღვიძებ და ჩამოვა-მეთქი. კარგიო და ყურმილი დაკიდა. დაახლოებით 9 საათისთვის ტელეფონმა ისევ დარეკა. ჩემმა უმცროსმა შვილმა უპასუხა. როცა დაკიდა ბავშვმა ყურმილი, შეეკითხე – ვინ იყო-მეთქი? ჯიბო იყოო, ასე თქვა – მამიკოს უთხარი, ახლავე ჩამოვიდესო. მაშინ მე თვითონ დავურეკე ჯიბოს – რა იყო, რამე ხომ არ მოხდა-მეთქი? საქმე მაქვს და ჩამოვიდესო – მოკლედ მითხრა. ამის შემდეგ ჩემი ქმარი ლოგინიდან ავაყენე, ჯიბო გირეკავს, ამბობს – რაღაც საქმე მაქვსო. ვანოც ადგა. შორტები ჩაიცვა, თავი მოიწესრიგა, არც წყალი დაულევია, არც ყავა – პირდაპირ ჯიბოსთან ჩავიდა. წავალ, ვნახავ, რა უნდა, ნეტავ, რა უჭირს ამ საცოდავსო... საერთოდ, საწყალი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა ეს ჯიბო. მატერიალურად არ უჭირდა, მაგრამ სოფლური იერი ჰქონდა და ყველაფერში მოუხერხებელი, მოუქნელი ჩანდა. ჩემი

ქმარი კი ბუნებით ძალიან კეთილი და ყურადღებიანი იყო...

ვანოს ჩასვლიდან დაახლოებით ნახევარ საათში ჯიბოსთან დავრეკე. წასასვლელი ვიყავი. ყურმილი მან აიღო, შევეკითხე — რას შვრება ჩემი ქმარი, აღარ ამოდის-მეთქი? შენც ჩამოდი ერთი წუთით, ძალიან გთხოვო — მითხრა. მართალია, ერთ ბავშვს ჯერ კიდევ ეძინა, მაგრამ მაინც ჩავედი. მეც მაინტერესებდა, რა ხდებოდა. ბინაში შევედი, მაგიდაზე ორი ცარიელი ჭიქა იდო, იქვე კიტრის ნაფცქვენები ეყარა, მერე კიტრის პატარა ნაჭერიც შევნიშნე. პური ან სხვა რამე არ იყო, არც სასმელი ჩანდა სადმე. იქვე იჯდა ჩემი მეუღლეც, არაფერს ამბობდა. ჯიბომ შემომთავაზა — მოდი, ერთი ჭიქა დალიეო. მე უარი ვუთხარი, ეკლესიაში მივდივარ, თან ამ დილაადრიან რა უნდა დავლიო-მეთქი? მერე ვანოს მივუბრუნდი და ვთხოვე, ჩემი ეკლესიაში სიარული და ლოცვა წყალში არ ჩაეყარა (ღმერთს მის გამოჯანმრთელებას ვევედრებოდი) და არ დაელია. ვანოს ხმა არ ამოუღია. აშკარად ჩანდა, რომ ნასვამი არ იყო. ჯერ ერთი, სუფრაზე სასმელი არ იყო, რას მთავაზობდა ჯიბო, დღემდე ვერ გამიგია. მიუხედავად ამისა, ახლა მახსენდება — ვანოს უცნაური გამოხედვა ჰქონდა, გაბრუებულივით იყო. ნასვამი არც ჯიბო იყო, ამაში დარწმუნებული ვარ.

წამოსვლისას ვანოს კიდევ ერთხელ ვუთხარი — სახლში ამოდი-მეთქი. თუმცა, მაშინვე ადგომა და ბინიდან ჩემთან ერთად წამოსვლა არ დამიძალებია. მამაკაცებს ასეთ დროს, ხომ იცით, თავმოყვარეობა ელახებათ ხოლმე. როცა შინ ამოვედი, საუზმის მომზადება დავიწყე. ეკლესიაში წასვლას უფროს ბიჭთან ერთად ვაპირებდი, უმცროსი შვილი — გოგონა კი, ჩემს ქმართან უნდა დამეტოვებინა. 11 საათზე სახლიდან უნდა გავსულიყავით, რადგან ლოცვები 12 საათზე იწყებოდა. ვანო ამოსვლას რომ აგვიანებდა, კვლავ ჯიბოსთან დარეკვა გადავწყვიტე. სამი ზარის შემდეგ, ჯიბომ ყურმილი აიღო. ისევ ვთხოვე, ვანოსთვის გადაეცა, შინ ამოსულიყო. „ნუ იცი შენ ასე, ვსაუბრობთ და ნახევარ საათში ამოვა“, — მიპასუხა ჯიბომ. კარგი, აბა, მე მივდივარ-მეთქი, ვუთხარი. ამასობაში ნახევარი საათიც გავიდა. უკვე აშკარად ჩვენი წასვლის დრო იყო. ტანსაცმელი გამოვიცვალე და ზუსტად 11 საათზე ბავშვები ჯიბოსთან ჩავუშვი, რათა მამა ამოეყვანათ. ორ წუთში ორივე ამობრუნდა, მითხრეს: დედა, ჯიბო და მამა კარს არ აღებენ, რაღაც შრიალი ისმის შიგნიდან, მგონი, ტელევიზორი შიშინებსო. გამიკვირდა, მაგრამ ნამდვილად არ შემშინებია: იმწუთს ცუდი არაფერი მიფიქრია. მოვკიდე ჩემს ბავშვებს ხელი, ჩანთაც ავიღე, ბინის კარი დავკეტე და ქვემოთ ჩავედი. უმცროსი შვილი და გასაღები ვანოსთვის უნდა დამეტოვებინა. კარზე ვაკაკუნე, მაგრამ არავინ გამიღო. რაღაცის შრიალის ხმა მართლაც ისმოდა. მაშინ ხმამაღლა დავიწყე ძახილი — ჯიბო, ვანო, გააღეთ კარი-მეთქი. არავინ ხმას არ მცემდა, ვიფიქრე — ან უზომოდ მთვრალები და გათიშულები არიან, ან რომელიმე მეზობელთან გავიდნენ-მეთქი. დავიარე მეზობლები, მაგრამ ვერსად ვიპოვე, ყველა მხრებს იჩეჩდა — არც ერთი გვინახავს, არც მეორეო. ჩემს ქმარს შორტები ეცვა და ვიცოდი, ქუჩაში ისე არ გავიდოდა, ეუხერხულებოდა. ამიტომ თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ ორივეს რაღაც დაემართა და განგაში ავტეხე. მეზობლებს ვთხოვე — იქნებ რომელიმე, აივნიდან გადახვიდეთ, ნახოთ, რა ხდება-მეთქი. ვერ გაბედეს — ბოლოს და ბოლოს, მე-7 სართულია. მაშინ სახანძროს გამოვუძახეთ. ის შრიალი გაზის ხმას მივაწერე, ვიფიქრე — ალბათ დათვრნენ და გაზი მოუშვეს, დარჩათ და მოიგუდნენ-მეთქი. თუმცა, ისიც მიკვირდა, ერთ საათში ასე უაზროდ როგორ უნდა დამთვრალიყვნენ.

მეხანძრეები მოვიდნენ, ერთი მათგანი ზემოთ ავიდა, დაუნახავს, რომ ვიღაც კაცი სისხლიანი დანით ხელში, აქეთ-იქით დადიოდა. მაშინვე უკან მობრუნდა, მეზობლებისთვის უთქვამს, რაც ნახა. მე არ მიმხელდნენ, სახლში ჩამკეტეს, ბოლო წუთამდე არ ვიცოდი, ჩემი ქმარი დაჩეხილი თუ იყო...

ახლა ვხვდები, ის შიშინი, ბავშვებმა და მე რომ გავიგონეთ, არც ტელევიზორის, არც გაზის ხმა არ იყო, — ჩემი ქმრის ხრიალის ხმა მესმოდა...“

მეზობლების თქმით, იმ დროს, როცა სამართალდამცავები ბინის კარს ამტვრევდნენ, ჯიბო სადღობელაშვილის ხმა გაისმა: „ჯიბო კარგი ბიჭია, ჯიბო ვაჟკაცია!“ — ამბობდა თურმე. ხოლო რომ დააკავეს, ტანსაცმელსა და ხელებზე ერთი წვეთი სისხლიც კი არ ეტყობოდა, — მაშინ, როცა მთელ ბინაში სისხლის გუბეები იდგა... ჯიბოს მხოლოდ ფეხსაცმელები ჰქონდა გასისხლიანებულიო — ამბობენ მეზობლები.

ინგა დრაილინგი:

„ერთ-ერთმა პოლიციელმა მითხრა — თანხა შემოგვთავაზა, აქედან გამაპარეთ და რამდენიც გინდათ, იმდენ ფულს მოგცემთო... როგორც ჩანს, მკვლელობის შემდეგ სახლიდან ჩუმად წასვლა უნდოდა, ტანსაცმელიც ამიტომ გამოიცვალა, მაგრამ ხელი მე შევუშალე. იცოდა, შინიდან მივდიოდი, თუმცა, გასაღებისა და ბავშვის ქმართან დატოვებას რომ ვაპირებდი, არ გაახსენდა...

დღემდე გონს ვერ მოვსულვარ, ვერ ვხვდები, რა მიზეზით მომიკლა ასე სადისტურად ქმარი. ჩვენ შორის არანაირი უთანხმოება არ ყოფილა, არც მასა და ვანოს უკამათიათ ოდესმე. რამე რომ ყოფილიყო, ჩემი ქმარი მე მაინც მეტყოდა.

ფული არ გვქონდა, რომ მოეთხოვა და ამის გამო მოეკლა. არც ჩვენ გამოგვირთმევია მისთვის თანხა. სულ ცოტა ხანში გერმანიაში ვაპირებდით მთელი ოჯახი საცხოვრებლად გადასვლას, რადგან მე ეროვნებით გერმანელი ვარ. ავეჯი გავყიდეთ, ბინასაც ვყიდდით. ამის შესახებ

ჯიბომაც იცოდა, თუმცა ვერც აქ ვპოულობ მკვლელობის მიზეზს.

ჯერჯერობით ვერსად წავალ, ვიდრე ჩემი უდანაშაულო ქმრის საშინელი წამებით მოკვლისთვის ჯიბო სადღობელაშვილი სათანადოდ არ აგებს პასუხს. ხოლო თუკი ოდნავ მაინც შევატყვე, რომ გამოძიება არაობიექტურად, ზერელედ ან ზანტად წარიმართა, მაშინვე გერმანიის საელჩოს მივმართავ და სიმართლეს მათი დახმარებით მაინც მივაღწევ...“

როგორც აღმოჩნდა, ჯიბო სადღობელაშვილს მატერიალურად არ უჭირდა. იგი თბილისში ერთ-ერთი სასადილოს მეპატრონე გახლდათ, ბინაში კი ე.წ. ევრორემონტი მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე დაასრულა. ჯიბო სადღობელაშვილი მარტო ცხოვრობდა, ცოლ-შვილი არ ჰყავს, თუმცა, როგორც მეზობლები ამბობენ, არც ნათესავები აკითხავდნენ სახლში.

ერთ-ერთი ვერსიით, იგი ფსიქიკურად დაავადებულია და სავარაუდოდ, სადისტური მკვლელობაც ამის ნიადაგზე ჩაიდინა.

ინდა დრაილინგი:

„არადა, გიჟის ან ზედმეტად ნერვიული ადამიანის შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებდა. პირიქით, მშვიდი, ჩვეულებრივი კაცი იყო. თუმცა, მკვლელობა ისე საშინლად აქვს ჩადენილი, ამას მარტო სადისტი თუ გააკეთებს. დარწმუნებული ვარ, ის ჩემს ქმარს უკნიდან მიეპარა და დანა ისე ჩაარტყა, თანაც ჯერ კისერში, რათა მას წინააღმდეგობის გაწევისა და, მით უმეტეს, ყვირილის ძალა აღარ ჰქონოდა. ვანომ, როგორც ჩანს, მაშინვე ყელზე მიიფარა ხელი, რადგან ის მკლავი სულ დაჩეხილი ჰქონდა... ასე რომ არ ყოფილიყო, მართალია, ჩემი ქმარი ინვალიდი გახლდათ, მაგრამ საკმაოდ ღონიერი იყო და მას აღვილად მოერეოდა, დანას წაართმევდა...“

ჯიბო სადღობელაშვილის ფსიქიკური ჯანმრთელობის შესამოწმებლად გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა პროკურატურამ ფსიქიატრიული ექსპერტიზა დანიშნა. პასუხი, როგორც ამბობენ, უახლოეს დღეებში უნდა გახდეს ცნობილი. ■

სასამართლო გამოძიება დასრულდა, განაჩენი კი არა და არ ჩანს

ბრალდებული ზურაბ ლომაძე და მისი ადვოკატები

ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტების მკვლელობის საქმე სასამართლოში ჭიანურდება

მეგი ცანავა

ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ორი სტუდენტის – 19 წლის ზაზა რონინშვილისა და 19 წლის დათო ჯორბენაძის მკვლელის დასჯას დაღუპულთა ოჯახის წევრები და მეგობრები უკვე 11 წელია ელიან (ამ საქმეზე ვრცლად, №№10, 14, 15-ში ვწერდით). მართლმსაჯულების აღსრულების იმედი მათ 1999 წელს ჩაესახათ, როცა ამ მკვლელობებში ეჭვმიტანილი ზურაბ ლომაძე, 9 წლის მანძილზე საზღვარგარეთ მიმალვაში ყოფნის შემდეგ, პროკურატურაში გამოცხადდა. გამოცხადდა არა დანაშაულის აღიარებით, არამედ, როგორც თავად დასძენს, სიტუაციის გასარკვევად: მისივე თქმით, მან საქართველოში ჩამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე შეიტყო, რომ პროკურატურა ორი ადამიანის მკვლელობაში სდებდა ბრალს. სამართალდამცავებმა ლომაძე დააპატიმრეს და მას რონინშვილისა და ჯორბენაძის განზრახ მკვლელობის შესაბამისი მუხლი მიუყენეს.

ბრალდებული თავს უდანაშაულოდ აცხადებდა. იგი დღესაც კატეგორიულად უარყოფს ორი ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას. ადვოკატები კი განსასჯელის გულწრფელობის ერთ-ერთ დამადასტურებელ საბუთად პროკურატურაში საკუთარი ნებით მის გამოცხადებას ასახელებენ. თუმცა, ლომაძის ამ მოულოდნელ გამოცხადებას ბევრი სულ სხვა თვალით უყურებს. 1991 წელს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ორი ან მეტი პიროვნების განზრახ მკვლელობისთვის დამნაშავეს დახვრეტა ემუქრებოდა. კოდექსის შეცვლის შემდეგ, პრეზიდენტის განკარგულებით, დახვრეტა გაუქმდა და სასჯელის უმაღლეს ზომად, სამუდამო პატიმრობა განისაზღვრა. თუ დანაშაული ჩადენილია ძველი კოდექსის მოქმედების პერიოდში, დამნაშავეს მუხლებიც ძველი კანონის მიხედვით უნდა წარუდგინონ. ძველი კოდექსით კი, ზურაბ ლომაძის მიმართ განსაზღვრული მუხლი სასჯელის მაქსიმუმად, 15 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ზურაბ ლომაძე პროკურატურაში სწორედ ამ ცვლილების შემდეგ მიდის. ***„იცოდა, რომ ორი ახალგაზრდა ბიჭის მკვლელობისთვის 15 წელზე მეტი არ მოელოდა და ჩამოვიდა“***, – აცხადებენ დაზარალებულები. თუმცა, ისმის კითხვა – ხომ შეეძლო ლომაძეს ბოლომდე დამალულიყო, საზღვარგარეთ გაეგრძელებინა ცხოვრება და სასჯელიც თავიდან აეცილებინა? დაზარალებულის პასუხი ასეთია: ***„როგორც ჩანს, შეიტყო, რომ პროკურატურას მის ადგილსამყოფელზე ინფორმაცია ჰქონდა, დღეს თუ ხვალ მაინც მისწვდებოდა და საკუთარი ნებით გამოცხ-***

ადება არჩია. თანაც ეს შემამსუბუქებელ გარემოებაშიც ჩაეთვლებოდა“.

ყოველივე ამაზე საბოლოო სიტყვა სასამართლომ უნდა თქვას. საქმის ცხრათვიანი სასამართლო გამოძიება, როგორც იქნა, დასრულდა, თუმცა პროცესმა ბოლო სტადიამდე – განაჩენამდე ვერა და ვერ მიაღწია. მიზეზი – განსასჯელის ადვოკატების სასამართლოში გამოუცხადებლობა გახლავთ. ერთ-ერთი – კუკური ჭუმბურიძე, საავადმყოფო ფურცლის თანახმად, 13 ივლისიდან ავადმყოფობს. სწორედ ამ მოტივით, მეორემ – ავთანდილ ჭაჭუამ 17 ივლისს დანიშნულ სხდომაზე, სადაც ადვოკატებს დაცვითი სიტყვა უნდა ეთქვათ, რასაც პროცესუალურად განაჩენიც მოჰყვებოდა, სასამართლოს კოლეგიას 26 ივლისამდე სთხოვა ვადის გაგრძელება. 26 ივლისს არც ერთი მათგანი არ გამოცხადდა. კუკური ჭუმბურიძემ სატელეფონო საუბრისას გამოსაჯანმრთელებლად კიდევ 10 დღე მოითხოვა, ჭაჭუამ გამოუცხადებლობის მიზეზის დასახელება საჭიროდ არ ცნო.

სასამართლო კოლეგიამ განსასჯელს ამ საკითხის მოსაგვარებლად, კანონით გათვალისწინებული ბოლო ერთი კვირის ვადა მისცა, ხოლო თუ პრობლემა მაინც არ მოგვარდა, კოლეგიამ, დაპირებისამებრ, ადვოკატი მას სახაზინო წესით უნდა დაუნიშნოს. დაზარალებულის ადვოკატი ყოველივე ამას განსასჯელის მხარის მაქინაციებს მიაწერს, თუმცა აცხადებს, რომ ვერ ხვდება საბოლოოდ, რა შედეგი შეიძლება მოუტანოს მათ ასეთმა მოქმედებამ.

დათო ჯორბენაძე

ზაზა როინიშვილი

ლევან ალაფიშვილი, დაზარალებული ჯორბენაძეების ადვოკატი:

„წინა სასამართლო პროცესი სწორედ ადვოკატ ჭუმბურიძის ავადმყოფობის მიზეზით გადაიდო, თუმცა საგულისხმოა, რომ ჭაჭუა იმ სხდომას ესწრებოდა. მიუხედავად ამისა, მოითხოვა პროცესის გადადება, 26 ივლისიც მან დაასახელა. 26-ში არც ერთი არ მოვიდა. ცხადია, რომ სპეციალურად – დროის გაწელვის მიზნით, თუმცა რაში სჭირდება ეს დრო განსასჯელის მხარეს, ჩემთვის გაუგებარია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ადვოკატებს მხოლოდ ლომაძის დაცვითი სიტყვის წარმოთქმა დარჩათ, ხოლო განსასჯელმა საბოლოო სიტყვა უნდა თქვას, ამდენად, ამ დროს ისინი პროცესუალურად ვერაფერში გამოიყენებენ. მაგრამ სასარგებლო შედეგის მისაღწევად სხვა, არაკანონიერი ნაბიჯების (ნაცნობობა, ქრთამის შეთავაზება და ა.შ.) გადასადგმელად დრო, რა თქმა უნდა, ძალიან დასჭირდებათ...

რაც შეეხება სასამართლოს პოზიციას, ამ შემთხვევაში, მისი გადაწყვეტილება ჩემთვის სავსებით მისაღები და გასაგებია. მოსამართლეს უფლება არა აქვს, კანონს გვერდი აუაროს და განსასჯელი, თუკი ის ადვოკატს მოითხოვს, დაუცველი დატოვოს.“

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბრალმდებელმა თავისი პოზიცია სასამართლოს უკვე მოახსენა და ზურაბ ლომაძისთვის სასჯელის მაქსიმუმი – 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. ჩადენილ დანაშაულზე ვრცლად ჟურნალ „გზის“ №10,14 და 15-ში მოგახსენებდით.

■

სპეცსამსახურის თანამშრომელმა ცოლი დაჭრა

27 ივლისს სამართალდამცავებმა სამთავრობო დაცვის სპეცსამსახურის თანამშრომელი, 32 წლის გურამ ყანჩაშვილი დააკავეს. ყანჩაშვილმა, რომელიც თბილისში, ვარკეთილი-3-ის მე-2 მიკრორაიონის მე-8 კორპუსში ცხოვრობდა, მისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად გადაცემული ტაბელური პისტოლეტიდან საკუთარ სახლში მთვრალმა გაისროლა. ტყვია მის მეუღლეს, 27 წლის ირინა ყანჩაშვილს მოხვდა. ის სახეში დაიჭრა. სამართალდამცავები ირწმუნებიან, რომ გასროლა შემთხვევითი იყო. „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი თავისი 14 ვაზნითურთ ამოღებულია. აღნიშნულ ფაქტს სამხედრო პროკურატურა იძიებს.

26 წლის ახალგაზრდამ საკუთარი ბიძა სანადირო თოფით მოკლა

ოჯახის წევრებს შორის ბოლო დროს საგრძნობლად გახშირებულ მკვლელობებს ამ დღეებში კიდევ ერთი დაემატა. ტრაგედია ამჯერად ქობულეთში დატრიალდა. 24 ივლისს დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, 26 წლის ბესარიონ გოგიტიძემ სანადირო თოფიდან გასროლით საკუთარი ბიძა, 46 წლის ვახტანგ გოგიტიძე მოკლა. დამნაშავე, ისევე, როგორც გარდაცვლილი, სოფელ ალამბარის მცხოვრებია. პოლიციამ სანადირო თოფი ამოიღო.

საქართველოდამცავებმა ქაცი ნიგნის ბეჭდვისთვის დააკავეს

კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველო ამ დღეებში შპს „მარგალიტის“ დირექტორის საქმიანობით დაინტერესდა. სამართალდამცავთა ინფორმაციით, 26 ივლისს „მარგალიტის“ დირექტორი, მურმან კობერიძე იმაში ამხილეს, რომ იგი თავის საწარმოს სტამბაში წიგნებს ბეჭდავდა: მათი მტკიცებით, კობერიძე ამას ყოველგვარი ნებართვის გარეშე, კანონსაწინააღმდეგოდ და საავტორო უფლებების დარღვევით აკეთებდა. მის საქმიანობას კი ძირითადად მათემატიკის სასკოლო ლიტერატურის ბეჭდვა წარმოადგენდა. პოლიციის თანამშრომლებმა სტამბიდან ასაკინძად გამზადებული სასკოლო ლიტერატურის 4000 ეგზემპლარი და სპეციალური საბეჭდი ფორმები ამოიღეს.

ოჯახური კონფლიქტი და სამი დაჭრილი

24 ივლისს თბილისშიც მომხდარ, ამ შემთხვევას, საბედნიეროდ, მსხვერპლი არ მოჰყოლია. გელოვანის ქუჩაზე მცხოვრებმა 1965 წ. დ. ემზარ ბიტარიშვილმა, საღამოს 11 საათზე თავის ბინაში ურთიერთშელაპარაკებისას დანით მკლავსა და ყელში სამი ადამიანი დაჭრა: ყოფილი მეუღლე – იქვე მცხოვრები, 1967 წ. დ. მაია ფარჩუკაშვილი და წალენჯიხის რაიონის სოფ. მედანში მცხოვრენი: 1971 წ. დ. გია მიქავა და 1966 წ. დ. მაია ჭიჭინაძე.

მოკვლეული მასალები პროკურატურამ უკვე ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს გადასცა.

მარინა ბაბუნაშვილი

ზორბა ბაჯა და ქონდრისკაცები

ბაჯა სვანია. აღნაგობა იმისთანა აქვს, მტერს შეშურდება, მოყვარეს კი სიამეს მოჰგვრის. ვინ თქვა ქართველების გადაჯიშება?! ა, ძმაო, კაცი! მაგაზეა ნათქვამი: „აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ, იქით გორასა ძვრას ვუზამ“. ბავშვობიდანვე გოლიათი იყო და თავადაც სჯეროდა საკუთარი ძალის (არცთუ უსაფუძვლოდ), მაგრამ ერთხელ, პატარაობაში ქუთაისელმა დეიდაშვილებმა იმისთანა „შტუკა“ გაუკეთეს, კინაღამ შერცხვა ამაყი სვანი. ჯიბგირმა ქუთაისელებმა რიონთან ჩაიყვანეს და შეაგულიანეს: შენზე ამბობენ, მდინარის დაშრობაც შეუძლიაო! აბა, დაგვანახვე, რისი მაქნისი ხარო? გულუბრყვილო დევივით თავბომბორა ბაჯამ ჩაყო რიონში თავი და დაიწყო წყლის ყლაპვა... მუცელი რომ გაებერა და მაინც განაგრძობდა მდინარის „დაშრობას“, მაშინ კი შეიცოდეს დეიდაშვილებმა: ე, ბიჭო, ამოაყოფინე თავი, თვარა დააშროს კი არა, ადიდებულმა მდინარემ ლამის წაგვლეკოს, თანაც მაგას რო რამე მოუვიდეს, სვანებს ვინ გადაურჩებაო...

ბაჯას ბავშვობის დროინდელი ამბები სიამოვნებით ახსენდება. სვანისთვის დამახასიათებელი სიფიცხე როგორ არ ახლავს, მაგრამ ქუთაისელი დეიდაშვილები იმ იშვიათი გამონაკლისების რიგს განეკუთვნებიან, რომლებზეც არასოდეს ბრაზდებოდა — პირიქით, მათთან ერთად ბაჯაც გულიანად იცინოდა ხოლმე.

მას მერე წლები გავიდა. ბაჯა უკვე დიდია. ცოლ-შვილიც ჰყავს, საქმეც — თავზე საყრელი. თუმცა, როცა დეიდაშვილები მოენატრება, გული ვერ უჩერდება სოფელში და ქუთაისისკენ მიიჩქარის.

ერთხელაც, როცა ქუთაისის ნოსტალგიამ კვლავ შემოუტია, ოჯახს ამბად დაუგდო: ჩავხედავ ერთი, იმ ბიჭებსო... და წავიდა.

ის პერიოდია, როცა უცხოური ტელესერიალი ჩვენში, ეს-ესაა ფეხს იკიდებს. მთელი საქართველო „იზაურას“ არის მიშტერებული: ფილმი რომ დაიწყება, ქუჩაში ჩქამიც არ ისმის. ქუთაისში ხომ გაათკეცებულად აღიქვამენ და განიცდიან ყველაფერს. ჰოდა, მთელი ქუთაისი მონა იზაურასთან ერთად ცრემლს აღვარღვარებს.

სვანეთიდან ჩამოსულ დეიდაშვილს კი დახვდნენ ჟივილ-ხივილით, მაგრამ 15 წუთში მოამთავრეს მიკითხვ-მოკითხვა, დანარჩენი მერე იყოსო, — უთხრეს და ტელევიზორს გასუსულები მიაჩერდნენ. ახლობლების ხილვით გულაჩუყებული გოლიათი ცოტათი დაიბნა, მაგრამ რაკიღა ჩათვალა, რომ იმ წუთებში ის, იქ ზედმეტი იყო, ქუთაისში გასეირნება გადაწყვიტა.

აი, მიაბიჯებს ჩვენი ბაჯა ქალაქში და ახსენდება თავს გადამხდარი კურიოზები. აგერ, ის ჯაჭვის ხიდიც, სადაც ხშირად დაჰყავდათ ხოლმე დეიდაშვილებს... აი, ის ნაპირიც, სადაც მდინარის დაშრობა დაავალეს ბიჭებმა... ბაჯა გადაეყუდა ხიდიდან და უყურებს წყლის დინებას. სიამოვნებს მდინარის ხმა...

მაგრამ, ეს რა ხდება? თვალებს არ უჯერებს! წყლიდან პატარა კაცუნები ამოდიან, უღიმიან, თვალს უკრავენ და ხელს უქნევენ. ბაჯამ ლოყაზე ხელი იტაცა — ხომ არ მეჩვენებაო, მაგრამ არა, სულაც არ ეჩვენებოდა: ქონდრისკაცები მხიარულად იცვამდნენ, თან ხიდისკენ მიიწევდნენ და ბაჯას უახლოვდებოდნენ. სვან გოლიათს გული აუჩქროლდა, იზაურა მთლად დაავიწყდა და გონების თვალით სულ სხვა, საკმაოდ „შემზარავი“ სურათი დახატა: „ვინ იცის, საიდან მოშავდნენ ეს ჭინკები, ეგება ქალაქიც დაიპყრეს და იმიტომაცაა, ცხვირს რომ არ ყოფენ ქუთაისელები... ყველა-ყველა და ამ ჩემს დეიდაშვილებს რა ჯანდაბა დაემართათ, რო არ გამაფრთხილეს?!. მაგრად დადექი, ბაჯავ, არ შეშინდე!“ — თავს შეუძახა და ამასობაში, ყურებამდე პირახეული, კულულებიანი, ქალის მსგავსი ჭინკა მიადგა გოლიათ ბაჯას. ქვემოდან ზემოთ მაცდურად

ახედა და... არც აცია, არც აცხელა, ბარძაყზე უპწკინა (ანუ იქ, სადამდეც სწვდებოდა).

უხ, მე თქვენიო! ველარ მოითმინა დევკაცმა, ლაჩრულად გაქცევას, ამჯობინა მარტო შერკინებოდა შემოსეულ უთვალავ კაცუნებს – დაე, თუნდაც ეს სიკვდილის ფასად დასჯდომოდა. გაშალა დათვის ტორები, მოუქნია და ატყდა ერთი წივილ-კივილი...

ჩაჩუმებული ქუთაისი უცებ შეტორტმანდა, ახმაურდა, ქუჩებში ხალხი გამოიშალა (ბედად, „იზაურაც“ დამთავრებულიყო) და სასტვენიანი პოლიციელიც „დანაშაულის“ ადგილზე გაჩნდა... ორიოდე წუთში ჩააწყნარეს გაცეცხლებული ბაჯა და საქმის ვითარებაშიც გაარკვიეს: თურმე, ქუთაისში ლილიპუტების თეატრი ყოფილა საგასტროლოდ ჩამოსული და სწორედ ამ „გასტროლიორ ჭინკებს“ გადაჰყრია ჩვენი სვანი ჯაჭვის ხიდზე.

■

მაიგულება თავი გადინაცვლა

„რაც შეეხება შამპუნს, მასში აუცილებლად სასუქი უნდა იყოს!“ – ასეთ კომენტარს უკეთებს ამერიკული ჟურნალი PEOPLE სეზონის სიახლეს – ყვავილს თმაში. ჰოლივუდში ბოლო დროს გამართულ წვეულებებზე ამგვარი ვარცხნილობით უკვე გამოჩნდნენ დრიუ ბერიმორი, ბიორკი, ლეტიცია კასტა. თეთრი და ვარდისფერი ორქიდეები საუცხოოდ ერწყმოდა მათ ხელოვნურ კულულებს და მნახველებს, სინაზისა და ქალურობის მივიწყებული ეტალონის ნიმუშებს მოაგონებდათ. ორქიდეის გარდა, პოპულარობით სარგებლობს აგრეთვე ვარდი ან სულაც, მძივებითა და ბრჭყვიალა ფირფიტებით გაწყობილი ხელოვნური ყვავილები.

ამ სამშვენისს ქალი ძალიან ფრთხილად უნდა მოეპყროს: დიდი დაკვირვებაა საჭირო ყვავილის შერჩევისას, რადგან მისი ზომა სახის პროპორციებს უნდა მიუსადაგოთ. ბუნებრივია, ძალზედ ფაქიზად უნდა შეირჩეს მაკიაჟიც, რათა არ დაირღვეს მთავარი პრინციპი, რომელიც წლეულს წინა პლანზეა წამოწეული: ქალი ისეთივე მშვენიერია, როგორიც თვით ბუნება.

ოჰი ბატონის მსახური

ამ მამაკაცს, რომლის სახელსაც პრესა რატომღაც არ ამჟღავნებს, ორი „ბატონი“ (გატაცება) ჰყავს – ჩარლი ჩაპლინი და ველოსიპედი. მათი გაერთიანების საუცხოო საშუალებაც გამონახა: სათაყვანებელი მსახიობის ორეულად გამოეწყო და „ტურ დე სუისის“ ველორბოლის მე-20 ეტაპში ჩაერთო.

ეს ნიუიორკელ ბიჭუკნაცვილა



კანადელმა „ჰაერის პრინცმა“, როგორც მას უწოდებენ, საკუთარი მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესა: გაიარა ბაგირზე, რომელიც 90 მ სიმაღლეზე იყო გაჭიმული. ჯეი კოხრანი პირველია, ვინც ეს მოახერხა. წლების მანძილზე ტრიუკების ოსტატს მსგავსი ნომერი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში უჩვენებია და ოთხჯერ გაუუმჯობესებია თავისივე მსოფლიო რეკორდები. მაგრამ ამ უკანასკნელს, მაინც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს – ალბათ იმიტომ, რომ ეს გავლა ტაივანში, ქალაქ გაოსიუნში, იმ მდინარის თავზე განხორციელდა, რომლის სახელწოდებაც „სიყვარულს“ ნიშნავს.

რა ჰქვია პონისა და ზებრას შვილს?

მთელი ბრიტანეთი იმაზე იმტვრევს თავს, რა დაარქვას ზებრისა და პონის ჰიბრიდს, რომელიც კამბრიის საგრაფოს ზოოპარკ-ფერმაში გაჩნდა. საინტერესოა, რომ ფერმის მეპატრონემ ჯიმ პიტმა ბოლო დრომდე არაფერი უწყოდა იმაზე, რომ მისი პონი ტილი მაკედ იყო. შარშან, მნახველთა მოსაზიდად, პიტმა ყველა ცხოველი ერთ ეზოში შერეკა. სწორედ მაშინ გაიცნეს ერთმანეთი ტილიმ და მამალმა ზებრამ, რის შედეგადაც უჩვეულო კვიცი გაჩნდა: მას მოკლე კუდი, ზებრის თავი და ორგვარი შეფერილობა აქვს – მამისგან მიღებული ზოლები და დედის ჩვეულებრივი ყავისფერი ფონი.

პატარას ჯერჯერობით ბუნების ძღვენს უწოდებენ, მომავალი საკუთარი სახელის პრობლემას კი – გაზეთში ჩატარებული კონკურსის მეშვეობით გადაჭრიან.

თბილისის ერთ ძველ ქუჩაზე, გრიბოედოვის 18 ნომერში, სადაც მრავალი წლის წინ ტიციანი და მისი ოჯახი ცხოვრობდა, დღეს მუზეუმია. იქ განსაკუთრებული ატმოსფეროა. ის სულაც არ ჰგავს იმ მუზეუმებს, სადაც შთაბეჭდილება გექმნებათ, თითქოს ყველაფერი ჩამკვდარია და ადგილზე გაქვავებული, სადაც მხოლოდ დროის ერთი განზომილება — წარსული სუფევს. არა, იქ სიცოცხლე ისევ ჩქეფს. დღესაც არ გაცივებულა ტიციანის კერა. დღეს იქ მისი შთამომავლები ცხოვრობენ.

ელენე ხირსელი

მამა სულ მანებივრებდა, მას ჩემთვის ერთი ხმამაღალი სიტყვაც კი არ უთქვამს.

ქალი კართაგენის ქალღმერთის სახელით

ნიგა ტაბიძე

მუზეუმს რომ ვესტუმრე, კეთილი ღიმილით მისი დიასახლისი — ტიციან ტაბიძის ქალიშვილი მომეგება. კართაგენის ქალღმერთის სახელი — ტანიტ — მას ნათლიებმა აჩუქეს. ესოდენ უჩვეულო, ორიგინალური სახელის დარქმევა აზრად მხოლოდ ისეთ რომანტიკულ ადამიანებს თუ მოუვიდოდათ, როგორებიც ახალგაზრდა „ცისფერყანწელები“ იყვნენ.

ტანიტ — ეს ოფიციალური სახელია, შემოკლებით კი მას ყველა ნიტას ეძახის.

— ქალბატონო ნიტა, ალბათ თქვენი მეხსიერებიდან არასდროს წაიშლება ის ავბედითი დღე, როცა უცხო ადამიანებმა სახლიდან სამუდამოდ წაიყვანეს მამათქვენი...

— ძალიან ბედნიერ ოჯახში დავიბადე და სანამ ეს საშინელება დაგვატყდებოდა თავს, ჩემზე ბედნიერი არავინ მეგულებოდა. 1937 წელი იყო. მე მაშინ თხუთმეტი წლის ვიყავი. იმ დღეს, როცა მამა მიჰყავდათ, ის აქეთ გვამშვიდებდა — ნუ სტირით, თავი შეიკავეთო. მე კი დამიბარა: „შვილო, არასდროს შეგრცხვეს, ადამიანებს თვალი გაუსწორო: მე უდანაშაულო ვარ. ჩემზე რაც არ უნდა გაიგო, არ დაიჯერო, გული არავისზე მოგივიდეს, ყველას შეუნდე“.

სასწაულია, იმ ერთ ღამეში დედა სრულიად გაჭაღარავდა.

— იმედი თუ ჰქონდა ქალბატონ ნინოს, რომ ოდესღაც მეუღლეს ისევ ნახავდა?

— დედას ამის ყოველთვის სჯეროდა. იმედი მხოლოდ მაშინ გაუცრუვდა, როდესაც 1954 წელს ოფიციალური შეტყობინება მოგვივიდა, საიდანაც გავიგეთ, რომ მამა დაპატიმრებიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ დაუხვრეტიათ. დედას ჯერ ტიციანი უყვარდა და შემდეგ სხვები (მათ შორის მეც). ეს გრძნობა რაღაც უცნაურობაშიც კი გადადიოდა. დედა თვალისჩინივით უფრთხილდებოდა ყველა იმ ნივთსა თუ ქაღალდს, რაც მამის სახელთან იყო დაკავშირებული. სახლში ერთი ძვირფასი ლარნაკი გვქონდა, რომელიც მამას ძალიან უყვარდა. იმ პერიოდში მე საგრძნობლად გამიუარესდა მხედველობა. მაშინ დედას ურჩიეს, გაყიდე ლარნაკი და ნიტას უმკურნალეო. მან უარი განაცხადა: ტიციანის ხსოვნა ნიტას თვალებზე მეტად მიღირსო. მეუღლის დაკარგვის შემდეგ დედა ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ მამის სახელი დავიწყებას არ მისცემოდა: წერდა მოგონებებს, გამოსცა წიგნი „ტიციანი და მისი მეგობრები“...

— როგორი დარჩა თქვენს მეხსიერებაში ტიციანი, როგორც მამა?

— საერთოდ, მამა უსაზღვროდ კეთილი ადამიანი იყო. ის განსაკუთრებით, უბნის ბავშვებს უყვარდათ. მამამ არასდროს იცოდა ადამიანების გარჩევა — ყველას ერთნაირად სცემდა პატივს. ქუჩის დასაწყისიდან — ბოლომდე, უნდოდა თუ არა, რამდენი ფეხსაცმლის მწმენდავიც არ უნდა შეხვედროდა, არავის აწყენინებდა, ყველას მოიმსახურებდა, რომ გასამრჯელო მიეცა. ასე რომ, მისი ფეხსაცმელები სულ სარკესავით პრიალებდა... ყველა მეყვავილემ იცოდა, როგორ უყვარდა მამას წითელი მიხაკები. ერთხელ, ერთ მეყვავილეს, წითელი მიხაკი რომ ვერსად უშოვია, ეს ყვავილი მოულოდნელად, ვიღაცის ფანჯარაში შეუნიშნავს, ამძვრალა და მოუპარავს... რაც შეეხება დედასთან ურთიერთობას, ტიციანს ნინო ძალიან უყვარდა და სულ ცდილობდა, რაღაცით ესიამოვნებინა, გაეხარებინა. როცა ამას ახერხებდა, ბავშვივით ბედნიერი იყო. ჩვენს ოჯახში არასდროს ყოფილა ჩხუბი ან უსიამოვნება. მამა სულ მანებივრებდა, მას ჩემთვის ერთი ხმამაღალი სიტყვაც კი არ უთქვამს. მახსოვს, მხოლოდ, როცა ვეტყოდი — ყველაზე მეტად ძია პაოლო მიყვარს-მეთქი (იაშვილი), მიბრაზდებოდა: დაიმახსოვრე, პირველ რიგში, სამშობლო უნდა გიყვარდესო... მე ეს არ მომწონდა და ტირილს ვიწყებდი — არა, ასე არ მინდა-მეთქი...

— პატარა ნიტას მიმართ მამა უფრო მკაცრი იყო თუ დედა?

— რა თქმა უნდა, დედა. მამას რბილი ხასიათი ჰქონდა და როცა დედა მიჯავრდებოდა, ის ძალიან განიცდიდა. ბავშვობაში ბევრი ტყუილი ვიცოდი, რის გამოც დედისგან „მხვდებოდა“ კიდეც. მამა ყოველთვის მამართლებდა — ეს ტყუილები კი არა, ფანტაზიებია და ნუ უხშობ ბავშვს ნიჭსო.

— სმა თუ უყვარდა ტიციანს?

— სმა უყვარდა, მაგრამ მთვრალი არასდროს მინახავს. სახლში ღვინო ყოველთვის გვქონდა. თუ სახლში ღვინო არ არის, ის სახლი რა სახლიაო — ამბობდა ხოლმე მამა.

— ტიციანს ბევრი ქალისთვის მიუძღვნია ლექსი. ის, როგორც ხელოვანი, არ შეიძლება ყოფილიყო გულგრილი სილამაზის მიმართ. მეუღლეს არასდროს უეჭვიანია?

— თქვენ წარმოიდგინეთ, არასდროს. ალბათ ესეც იმ უსაზღვრო, თავისებური სიყვარულის შედეგი იყო. ერთი ამბავი მინდა გავიხსენო: დედა ბორჯომში ისვენებდა, როცა მოულოდნელად მამისგან ბარათი მიიღო, სადაც ის სასწრაფოდ ჩამოსვლას სთხოვდა. დედაც მაშინვე ჩამოვიდა და როცა მან ამ უცნაური გამოძახების მიზეზი ჰკითხა, მამამ უპასუხა: მინდა ერთი ულამაზესი ქალი გაგაცნოო — და წარუდგინა მართლაც საოცრად ლამაზი ქალი — თამუნია წერეთელი (შემდგომ მამამ მას ლექსიც მიუძღვნა). ხომ ლამაზიაო, უკითხავს. ძალიან ლამაზიაო, დასთანხმებია დედაც. დედა გულწრფელად აღფრთოვანებული იყო ამ ქალის სილამაზით და თაიგულიც კი გაუგზავნა. გახალისებულმა მამამ მეუღლეს ლამაზი ჩანთა უყიდა: ეს შენ, იმისთვის, ყველაფერში რომ მიგებო... მერე დედა ისევ ბორჯომში დაბრუნდა. დიდი ხნის შემდეგ, თამუნია წერეთელს, სრულიად შემთხვევით, საავადმყოფოში შევხვდი და მაშინ მითხრა: „არ მინდა ტიციანის პატიოსნებასა და ერთგულებაში ეჭვი შეგეპაროთ. მინდა იცოდეთ, რომ ჩვენ შორის არაფერი ყოფილა. მას ყოველთვის მხოლოდ თავისი მეუღლე უყვარდა“.

— ტიციანის მეუღლე ნინო მაყაშვილი, თავადის ქალი იყო. მის ოჯახზე რას იტყოდით?

— დედაჩემი სოფელ ყვარელში დაიბადა. მშობლებსა და ძმებს ძალიან უყვარდათ ოჯახის ერთადერთი ქალიშვილი. დედა შვილიშვილად ეკუთვნოდა ილია ჭავჭავაძეს. დიდმა ილიამ დედის უფროსი ძმა — ილო მონათლა, რის გამოც მას ეს სახელი დაარქვეს. ერთი საინტერესო ამბავი მახსენდება: ილია ჭავჭავაძე მაყაშვილების ხშირი სტუმარი იყო: ერთხელაც ის ყვარელში ვაჟა-ფშაველასთან ერთად ჩავიდა. ვაჟას, თურმე, ძილის დროს ცალი თვალი არ ეხუჭებოდა. მათ საძინებელში შესულ დედას (მაშინ ძალიან პატარა იყო), ეს რომ უნახავს, ძალიან გაჰკვირვებია, უცდია გახელილი თვალი დაეხუჭინებინა. ვაჟა შეშინებული წამომხტარა და ხმალზე უტაცია ხელი. ილია ჭავჭავაძეს კი გასცინებია და უთქვამს: ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ ჩვენი პატარა დიასახლისიო. მერე პატარა ნინოს ილიას ლექსი წაუკითხავს. ისე ჩქარ-ჩქარა მიუყრია, ილიას ვერაფერი გაუგია და სიცილით უთქვამს: შენ რა დიაკვანივით კითხულობო...

— ქალბატონო ნატა, ახლა თქვენ შესახებაც გვიამბეთ.

— როცა მე და ჩემმა მომავალმა მეუღლემ ალექსი ანდრიაძემ ერთმანეთი გავიცანით, მე ცამეტი წლის ვიყავი, ის თვრამეტის. შვიდი წლის შემდეგ, 1942 წელს, ალეკმა მამადავითზე გასეირნება შემომთავაზა. მასზე გათხოვება ჩემი ყველაზე დიდი ოცნება იყო. მას კი ეს სულაც არ უნდოდა (ეს ხუმრობით)... როცა მამადავითზე ავედით, უკუნეთი სიბნელე იყო და უცებ ალეკმა მითხრა: თუ ახლა მთვარე ამოვა, ხვალ მოვაწერთ ხელსო. მე თამამად ვუთხარი: ისეთი ბედი მაქვს, უეჭველად ამოვა-მეთქი. ამის თქმა იყო და მთვარემაც გამოანათა... 45 წელიწადი ისე ბედნიერად ვიცხოვრეთ, მე მისგან ერთი წყენა არ მახსოვს. მას უყვარდა ჩემთვის სიურპრიზების მოწყობა. ყოველ 3 ნოემბერს (ჩვენი შეუღლების დღე), სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, მაინც მნახავდა და ყვავილებს მომართმევდა. ალეკი 1987 წელს გარდაიცვალა... ქალ-ვაჟი გვყავს. გივი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია, პროფესორი, ნინო — მთარგმნელია. მყავს შვილიშვილები.

— თქვენ, პოეტის შვილს, არ გიცდიათ ლექსის წერა?

— კი. მხოლოდ ბავშვობაში და, უმეტესწილად, რუსულ ენაზე.

— ერთხელ თავად მოგისმინეთ, როგორ უყვებოდით მუზეუმში ექსკურსიაზე მოსულ ბავშვებს, რომ პატარაობაში ზარმაცი იყავით და ძალიან არ გიყვარდათ სწავლა. მართლა ასე იყო?

— ასე იყო. დედა ძალიან ბრაზობდა, მამა კი საერთოდ არ აქცევდა ჩემს ნიშნებს ყურადღებას — ამბობდა, ძალიან

თამუნია წერეთელი

საქართველოს მწერალთა სახლის ეზოში (მარცხნიდან): ლეო ქიაჩელი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან რუხაძე და კოტე მარჯანიშვილი

ნინო და ტიციანი

ჭკვიანი გოგონა მყავსო... მინდა მოგიყვეთ, როგორ მოვხვდი უმაღლესში. უნივერსიტეტში ვაბარებდი, რუსულ ფილოლოგიურზე. მინდოდა, რუსული მესწავლა (მაშინ ჯერ კიდევ გვეგონა, რომ მამა გადასახლებული იყო რუსეთში და ჩვენც მასთან ახლოს ვაპირებდით ცხოვრებას). 14 საგანი მქონდა ჩასაბარებელი. გამოცდაზე რომ გავდიოდი, აშკარად ვგრძნობდი გამომცდელების მხარდაჭერას. ჩემი მეგობრები სწავლაში ღამეებს ათენებდნენ და ისე აბარებდნენ, მე კი სულ ისე, „ხუთიანს“ „ხუთიანზე“ ვიღებდი. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა (მოგვიანებით, ყველაფერს მივხვდი)... ასე სასწაულად ჩავირიცხე უნივერსიტეტში

ტიციან ტაბიძის სახლ-მუზეუმში

და უმაღლესი სტიპენდიაც დამინიშნეს, როგორც ფრიადოსანს. ახლა კი გეყოფა – აწი უნდა ისწავლოო, მითხრეს პროფესორ-მასწავლებლებმა... მესამე კურსზე ვიყავი, როცა ომი დაიწყო. პირველი, რაც აზრად მომივიდა, სწავლა აღარ დამჭირდება-მეთქი, და სიხარულით, კონსპექტები დავხიე. ომში მინდოდა წასვლა, ყველაფერზე თანახმა ვიყავი, ოღონდ არ მესწავლა.

— სწავლა აღარ გაგიგრძელებიათ?

– როგორ არა! დიდი ხნის შემდეგ. იმავე ფაკულტეტზე, პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩავაბარე. იქ ერთი კურიოზი მოხდა: უნივერსიტეტში ერთი საოცრად მკაცრი ლექტორი მყავდა (მგელაძე). შეიძლება ითქვას, მის გამო მივატოვე სწავლა. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავვარდებოდი, როცა ინსტიტუტშიც ისევ მას შევეჩეხე – თურმე მიმღები კომისიის თავმჯდომარე იყო. მაინც გამიმართლა: დრო ვიხელთე და საპასუხოდ მაშინ გავედი, როცა ის გასული იყო აუდიტორიიდან.

— ახლა რას საქმიანობთ?

– ამჟამად მამის მუზეუმს ვუძღვები. ძირითადად, სულ სახლში ვარ. თავის დროზე კი ისეთი მოუსვენარი ვიყავი, ერთ ადგილზე რა გამაჩერებდა?! სულ გარეთ დავდიოდი. ერთხელ მეუღლე გამეხუმრა კიდეც – შენი პანაშვიდი რომ იქნება და ხალხი შენთან გამოსამშვიდობებლად მოვა, ალბათ მაშინაც სახლში არ დახვდებიო.

— თქვენი შვილებიც თქვენსავით ცელქები იყვნენ?

– თქვენ წარმოიდგინეთ, ამაში ვერც ერთმა ვერ მაჯობა. მინდა, ერთი კურიოზი გავიხსენო: მამას ყოველ ზაფხულს სოფელ ჭყვიშში მივყავდი. მერე მივდიოდით ბათუმში, იქიდან კი, გემით – ფოთში ან სოხუმში. მე გული მაწუხებდა. მაშინ იყო ერთი ცნობილი ექიმი, პროფესორი პლეტნიოვი და მამას ძალიან უნდოდა, რომ მას გავესინჯე. ერთხელ შევიტყვეთ, რომ ჩვენს გემზე, სწორედ ის ექიმი იმყოფებოდა. მამამ მაშინვე მოძებნა და სთხოვა, გავესინჯე. მაგრამ მე არსად ვჩანდი. მთელი გემი გადაატრიალეს და მაინც ვერ მიპოვეს. ბოლოს, ვიღაცამ ანძის წვერზე შემნიშნა. ეს რომ ექიმმა დაინახა, აღარ გამსინჯა: ამას რომ გული აწუხებდეს, მანდ არ იჯდებოდაო.

— ბავშვობაში რა პროფესიაზე ოცნებობდით?

– გემის კაპიტნობა მინდოდა ძალიან. აკი ძია პაოლომაც (იაშვილმა) მომიძღვნა ლექსი – „ნიტა-კაპიტანი“.

— კიდევ რით გამოირჩეოდით სიყმაწვილეში?

– სიცილი მიყვარდა უზომოდ – მგონი, ჩემი მოგონილია. ცირკში ჩემ გვერდით ჯდომა არ შეიძლებოდა – ერთი თუ ამიტყდებოდა სიცილი, ვეღარ მაჩერებდნენ. კინოშიც იგივე ხდებოდა. სიცილს რომ დავიწყებდი, ვიღას ახსოვდა კინო – ყველა მე მიყურებდა. ერთხელ ტრამვაიც კი გააჩერეს, იმდენს ვიცინოდი. ძალიან მხიარული ვიყავი.

— ახლა?

– ახლაც! ჩემმა შვილიშვილმა ერთხელ სასკოლო თემაში დაწერა – ერთი ბებია ძალიან ჭკვიანი მყავს, მეორე კი (ე.ი. მე) – სულ იცინის და იცინის, ნეტავ გამაგებინა, რა აცინებსო... მინდა ასეთ მხიარულ ნოტაზე დავამთავრო ჩემი სიტყვა და ვთქვა: ბევრი გაჭირვება და განსაცდელი შეიძლება შეგხვდეთ, მაგრამ იცოდეთ – ცხოვრება მაინც მშვენიერია.

ბოლოს, კიდევ ერთი შტრიხი ქალბატონი ნიტას პორტრეტისათვის. როგორც მისმა ახლობლებმა მითხრეს, თურმე ის, როგორც მაგნიტი, ისე იზიდავს ცხოველებს და როცა ისეთ ოჯახში ხვდება, სადაც ძაღლი ან კატა ჰყავთ, რაც არ უნდა ბევრი ადამიანი იყოს იქ, ცხოველი მაინცდამაინც ნიტას მიუცუცქდება და გვერდიდან არ სცილდებაო. ტყუილად არ უთქვამთ – ცხოველები განსაკუთრებული ალღოთი გრძნობენ კეთილ ადამიანსო...

■

... შეჰყურებდნენ, როგორ ელულუნებოდა ღვინიებს და წიქარებს

ლამლევს შუალამის ბალში ურვა, ოროველა ერის, როცა თმაყალთრა ბავშვი ჰამლეტ გონაშვილი მელერის.

ეს ლექსი ჰამლეტ გონაშვილს მისი სიმღერით შთაგონებულმა ოთარ ჭელიძემ უძღვნა. ამ ღვთიური ხმის პატრონ კაცს, მეგობრები მართლაც დიდ ბავშვად იცნობდნენ. საოცრად პატიოსანი, ალალი და გულმართალი კაცი ყოფილა. ისეთი ალალი და გულმართალი, როგორი სიალალითაც ქართული სოფლის კალთაში გაზრდილი ხალხი გამოირჩევა. ჰამლეტ გონაშვილს, სოფლური იდილიის მონატრება სულ თან სდევდა თურმე. ხელით ფშვნეტდა თავთავს და ყნოსავდა. სხვადასხვა კუთხიდან უბით ჩამოჰქონდა ლელვის რტო და კახეთში ახარებდა. თბილისქალაქობაზე გავლა კი, იმიტომ უხაროდა, რომ სოფლიდან ჩამორეკილ ხარ-კამეჩს ნახავდა.

ფოტოსურათი, რომელსაც წარმოგიდგენთ, ბატონი დავით საბაშვილის ვაჟის ქორწილშია გადაღებული, რომელიც სწორედ თბილისობის დღეს გადაუხდიათ. ქორწილში დაპატიჟებულ რამდენიმე მეგობარს ჰამლეტ გონაშვილის მანქანაში მოუყრია თავი. კარგი მომლხენ-მოქეიფე ხალხი შეკრებილა და წინასწარვე ტკბებოდნენ თურმე მოსალოდნელი დროს ტარებით. იცინოდნენ, ოხუნჯობდნენ, ერთმანეთს ექადნებოდნენ – ვის რამდენის დალევა შეეძლო და ვინ სად და როდის დადო თეფშზე თავი... ჰამლეტი ჯერ ჩუმად მჯდარა, მოულოდნელად კი, გზიდან გადაუხვევია: მომავალ თანამეინახეებს უფიქრიათ – ხალხმრავლობაა, ჩვენ კი გვაგვიანდება, ალბათ, ჰამლეტმა მოკლე გზა იცისო. აზრზე მაშინ მოსულან, როდესაც გონაშვილმა მანქანა უღლიდან გამოხსნილ ხარ-კამეჩთან მიაყენა და მეგობრებს შესთავაზა: გადმოდით ერთი, ღვინიები და წიქარები თქვენც ნახეთ, ჩახედეთ ჭკვიან თვალებში, ქედზე ხელი გადაუსვით ისე, როგორც ჩვენი მამა-პაპა უსვამდა და გზა მერე გავაგრძელოთო. მეტი რა გზა ჰქონდათ? გადმოვიდნენ და 15-20 წუთის განმავლობაში შეჰყურებდნენ, როგორ ელულუნებოდა კოსტიუმში გამოწყობილი ჰამლეტ გონაშვილი ღვინიებს და წიქარებს.

ქორწილში დააგვიანდათ. ჰამლეტის დანახვით გახარებული ოთარ ტაბაღუა (მარჯვნივ) და გიული ჭოხონელიძე მიწეულმოწეულან და დაგვიანებული სტუმარი შუაში ჩაუსვამთ. ცოტა ხნის შემდეგ, ქეიფის ეშხში შესულმა სოკრატ სალუქვაძემ დასჭექა თურმე: „სიმღერის დრო მოვიდა, ვეჯო!“ – გონაშვილს დაადგა თავზე, მაგრამ ის აი, ამ პოზაში იხილა, როგორშიც ახლა თქვენ ხედავთ, – მეზობლებთან საუბრით გატაცებული! თანაც, ისე გატაცებული, რომ თავზე წამომდგარ სალუქვაძეს, რომელიც ვინ იცის, მერამდენედ „უკაკუნებს“ მხარზე, ყურადღებას არ აქცევს.

რაზე საუბრობდა ამ დროს გონაშვილი? რაზე და ჭადრებზე – ეს ბუნების ტრფიალი და ქომაგი კაცი, თურმე საოცრად ვერ იტანდა ჭადრებს და მათი მტვერის მავნებლობის შესახებ, საათობით შეეძლო ესაუბრა. თავის „ლექციას“ ყოველთვის პრინციპული დასკვნით ამთავრებდა ხოლმე: „თბილისში ჭადრები უნდა მოიჭრას!“ ამ სიტყვების შემდეგ კი, ისევ ლმობიერ, მიმტევებელ და ყურადღებიან ჰამლეტად იქცეოდა, რომელიც ნებისმიერ თხოვნას ღიმილით მოისმენდა და სასურველ სიმღერას ღიმილითვე გიმღერებდა. ისევე ლამაზად და ტკბილად, როგორც იმ ქორწილში იმღერა თურმე „შენ, ბიჭო, ანაგურელო“.

ნანა ქიბიშაური



მხოლოდ ქალებისათვის

მამაკაცები, რომელთაც ვირჩევთ...

მამაკაცები, რომელთაც ვირჩევთ...
მამაკაცები, რომელთაც ვირჩევთ...

ალბათ ხშირად გაგიგიათ გარშემომყოფებისგან გაოცებით დასმული კითხვა: „კი, მაგრამ რა იპოვა ამ წყვილმა ერთმანეთში?!“ მამაკაცი და ქალი ხშირად სხვადასხვა, სხვებისთვის აუხსნელი მიზეზით უახლოვდებიან ერთმანეთს. და მაინც, მოცემული თამაშის მეშვეობით სცადეთ, გაერკვეთ საკუთარ ქცევებში, ხასიათში, იმაში, თუ რა გიზიდავთ მამაკაცში და რა მოსწონს მას თქვენში? რატომ ხართ თქვენ და თქვენი რჩეული ერთად?

სურათზე გამოსახული ექვსი მამაკაცის სილუეტიდან შეარჩიეთ წყვილი: პირველი — რომელიც ყველაზე მეტად მოგწონთ და მეორე — რომელიც ყველაზე ნაკლებად გიზიდავთ. იპოვეთ პასუხი თქვენ მიერ შერჩეული წყვილის მიხედვით:

მოგწონთ 1-ელი — არ მოგწონთ მე-2.

თქვენი რჩეული წარმოსახვის კარგი უნარით არის დაჯილდოებული. უმეტესად ფანტაზიის სამყაროში ცხოვრობს, დღევანდელი დღით არსებობს და დიდი მიზნისკენ არ ისწრაფვის.

თქვენ პრაქტიკული ადამიანი ხართ, დაეხმარეთ მას ოცნების რეალობად ქცევაში, ის კი რომანტიკის სამყაროს კარს გაგიღებთ.

მოგწონთ 1-ელი — არ მოგწონთ მე-3

ის კეთილია, დიდსულოვანი, მეგობრობის გრძნობას ამქვეყნად ყველაზე დიდ ფასეულობად აღიქვამს.

თქვენ მიზანსწრაფული, პრაქტიკული ხართ. ის თქვენში თავდაჯერებულ ქალს ხედავს, და თქვენი საშუალებით ცხოვრების სტილის შეცვლას აპირებს.

მოგწონთ 1-ელი — არ მოგწონთ მე-4

ის ნაზია, მდიდარი წარმოსახვის უნარი აქვს, ხანდახან კი პატარა ბავშვივით ემოციურია.

თქვენ თავდაჯერებული, ძლიერი და საიმედო ხართ. ასწავლეთ თქვენს რჩეულს ცხოვრების დაგეგმვა, ის კი ყოველდღიურ მოწყენილობას მხიარულებით გაგიფანტავთ.

მოგწონთ 1-ელი — არ მოგწონთ მე-5

ის სამყაროს ენთუზიაზმით უცქერს, მზად არის მხიარულებით სავსე სამყაროში გიმასპინძლოთ.

თქვენ სერიოზული და სკეპტიკური ადამიანი ხართ. თქვენი რჩეული აღფრთოვანებულია თქვენი დახვეწილობით და სიდარბაისლით. თქვენი წყალობით ის თავს ზრდასრულ ადამიანად გრძნობს.

მოგწონთ 1-ელი — არ მოგწონთ მე-6

ის უდარდელია, ოპტიმისტი, ხანდახან ქარაფშუტაც.

თქვენ მელანქოლიური, დეპრესიისკენ მიდრეკილი ხართ, ის კი მუდამ ცდილობს, მოწყენილობა გაგიქარვოთ.

მოგწონთ მე-2 — არ მოგწონთ 1-ელი

ის პრაქტიკულია, ილუზიებით არ იკვებება.

თქვენ მეოცნებე ხართ, საყვარელი მამაკაცი კი ცხოვრების მიზნის პოვნაში გეხმარებათ.

ის აღფრთოვანებულია თქვენი უნარით — ყოველი დღე დღესასწაულად უქციოთ.

მოგწონთ მე-2 — არ მოგწონთ მე-3

ის ცხოვრების გზას ადვილად მიიკვლევს, იცის, როგორ მიაღწიოს მიზანს.

თქვენ ძლიერი ხასიათი გაქვთ. „აზიარეთ“ ის გამბედაობას, რომელიც ძალიან ესაჭიროება საინტერესო წამოწყებების რეალიზებისთვის.

მოგწონთ მე-2 — არ მოგწონთ მე-4

ის ოპტიმისტია, მომავალს იმედის თვალით შესცქერის და სჯერა, რომ ყველაფერი იცვლება და ვითარდება.

თქვენ მისი იმედი და სიცოცხლის ხალისი ხართ.

მოგწონთ მე-2 — არ მოგწონთ მე-5

ის საქმიანია, წინსვლის შანსს ხელიდან არ უშვებს.

თქვენ ზომიერი ხასიათი გაქვთ, სწორედ ეს თვისება ხიბლავს მას და ამაში თქვენს მიბაძვასაც ხშირად ცდილობს.

მოგწონთ მე-2 –
არ მოგწონთ მე-6

ის სწრაფია, გადაწყვეტილებას უცებ იღებს, სირთულეების გადალახვაც იოლად შეუძლია.

თქვენ კი მისი ცხოვრების აქტიური სტილი გხიბლავთ.

მოგწონთ მე-3 –
არ მოგწონთ 1-ელი

მას ძლიერი ხასიათი აქვს და ამის გამოვლენას ყველაფრით ცდილობს.

თქვენ ზომიერი ხასიათით გამოირჩევით და ცდილობთ, მისი ზეგავლენის ქვეშ არ მოექცეთ.

მოგწონთ მე-3 –
არ მოგწონთ მე-2

მან კარგად იცის, როგორ გამოვიდეს რთული სიტუაციიდან, არ უყვარს ყველაფრის წინასწარ დაგეგმვა.

თქვენ მსუბუქი ხასიათი გაქვთ, ურთიერთობის დამყარება არ გიჭირთ. ის აღფრთოვანებულია თქვენი დიპლომატიური ნიჭით.

მოგწონთ მე-3 –
არ მოგწონთ მე-4

ის დინამიკური, ინიციატივიანია, ხანდახან ზედმეტად მკაცრი და თავშეუკავებელი.

თქვენ ცხოვრებას „წესებით" მიჭყვებით, მიცემულ სიტყვას ყოველთვის ასრულებთ. ცუდი არ იქნება, რჩეულს დაეხმაროთ ეგოისტური ბუნების დაძლევაში.

მოგწონთ მე-3 –
არ მოგწონთ მე-5

ის თვლის, რომ ცხოვრება თავგადასავალია, სადაც გამტანობა და სიმამაცეა საჭირო.

თქვენ მორცხვი და გაუბედავი ხართ, თქვენი რბილი ხასიათი მას აკვირვებს. თქვენ ნამდვილად გესაჭიროებათ მისი მფარველობა.

მოგწონთ მე-3 –
არ მოგწონთ მე-6

ის ენერგიული, თავდაჯერებულია, ოცნებობს წარმატებებზე.

თქვენ მომთმენი, ნაკლებად მომთხოვნი ხართ. ის თქვენგან პრაგმატულობის სწავლას ცდილობს.

მოგწონთ მე-4 –
არ მოგწონთ 1-ელი

ის ჭკვიანი, საიმედოა, ხანდახან მეტისმეტად მკაცრი, მისი შეცდომაში შეყვანა ძალიან რთულია.

თქვენ ნაზი ხართ, ზედმეტად მიმნდობი, გიყვართ მხიარულება. ის ცდილობს წესრიგსა და დისციპლინას მიგაჩვიოთ.

მოგწონთ მე-4 –
არ მოგწონთ მე-2

ის გაწონასწორებული, დამოუკიდებელი, სიმართლის მოყვარული და კონსერვატიულია.

თქვენ ადვილად ამყარებთ ურთიერთობებს, ხანდახან უყურადღებოც ხართ. ის ცდილობს წესრიგს მიგაჩვიოთ, თქვენ კი ასწავლით, როგორ არ ჩამორჩეს დროს.

მოგწონთ მე-4 –
არ მოგწონთ მე-3

ის სამართლიანია, იშვიათად ბრაზობს, ყურადღებიანია, მაგრამ თავის შეხედულებებს ყოველთვის ვერ იცავს.

თქვენ ტემპერამენტული პიროვნება ხართ. ასწავლეთ მას, როგორ მიაღწიოს თავდაჯერებულობას, მისგან კი სამართლიანობის უნარი გადაიღეთ.

მოგწონთ მე-4 –
არ მოგწონთ მე-5

ის ვიუტია, დროდადრო უხეში და უტაქტოც კი.

თქვენ ადვილად ექცევით სხვისი ზეგავლენის ქვეშ. მიაჩვიეთ ის ადამიანებთან ტაქტიან ურთიერთობას, თქვენ კი მეტი თავდაჯერებულობა გესაჭიროებათ.

მოგწონთ მე-4 –
არ მოგწონთ მე-6

ის ამაყი, ქედმაღალი და თავშეუკავებელია.

თქვენ ზედმეტად თავდაუჯერებელი ხართ, დეპრესიაში ადვილად ვარდებით. მას შეუძლია ძლიერ პიროვნებად ჩამოყალიბებაში დაგეხმაროთ. თქვენი მოწოდებაა ის გარშემომყოფთა თვალში უფრო მიმზიდველ ადამიანად წარმოაჩინოთ.

მოგწონთ მე-5 –
არ მოგწონთ 1-ელი

ის ფრთხილია, მუდამ მკაცრი გამომეტყველება აქვს.

თქვენი საქციელის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია, რომანტიკული და მიმნდობი ხართ. ის ცდილობს მიგაჩვიოთ – იფიქროთ, სანამ რაიმე საქმეს მოჰკიდებდეთ ხელს, თქვენ კი შეგიძლიათ მისი მოწყენილი ცხოვრება გაამრავალფეროვნოთ.

მოგწონთ მე-5 –
არ მოგწონთ მე-2

ის გულგრილია, მშვიდი ცხოვრება უყვარს, ზედმეტ ვალდებულებებს ერიდება.

თქვენ მოუსვენარი ხართ, ზედმეტად ქმნით პრობლემებს. ისწავლეთ მისგან უფრო მშვიდი ცხოვრება.

მოგწონთ მე-5 –
არ მოგწონთ მე-3

ის თავს არიდებს პრობლემურ სიტუაციებს, ურთიერთობაში მსუბუქია.

თქვენ თავდაჯერებული, ზედმეტად მომთხოვნი ხართ. შეგიძლიათ ცხოვრება გაიმარტივოთ, თუ მისგან ტაქტიანობას და მოთმინებას ისწავლით.

მოგწონთ მე-5 –
არ მოგწონთ მე-4

მას რბილი ხასიათი აქვს, განათლებული, ელეგანტურია, კარგად ეგუება ახალ გარემოს.

თქვენ ძლიერი ხასიათი გაქვთ, შეგიძლიათ ის საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქციოთ.

მოგწონთ მე-5 –
არ მოგწონთ მე-6

ის უდარდელია, უყვარს „ფილოსოფოსობა", ხანდახან ცინიკურიც არის, მაგრამ ყოველთვის მხიარულია და სუფრასთან ყოფნისას ყურადღების ცენტრში ექცევა.

თქვენ სერიოზული ხართ, გიყვართ ფიქრი. თქვენი წყალობით ის სარკაზმის მოცილებას შეძლებს, თქვენ კი, მასთან ერთად ცხოვრებას გაილამაზებთ და გაიმრავალფეროვნებთ.

მოგწონთ მე-6 –
არ მოგწონთ 1-ელი

ის ღრმა აზროვნებით გამოირჩევა, არ აინტერესებს გართობის ტრივიალური საშუალებები და თქვენკენ მიილტვის, რადგან თქვენში მხიარულ, ნათელ პიროვნებას ხედავს.

ის შეძლებს ღრმა გრძნობებისა და ჭეშმარიტი ფასეულობების სამყაროში შეგიყვანოთ.

მოგწონთ მე-6 –
არ მოგწონთ მე-2

ის სერიოზულია, ამბიციები არ გაჩნია, ხანდახან პესიმიზმი იპყრობს,ზედაპირული წარმატება მისი საქმე არ არის.

თქვენ დაუდგრომელი ბუნება გაქვთ. ცხოვრებას ისე აღიქვამთ, როგორც მუდმივ თამაშს. ის აღფრთოვანებულია თქვენი უშუალობით და სჯერა, რომ თქვენთან ერთად მისი ცხოვრება უფრო ხალისიანი გახდება.

მოგწონთ მე-6 –
არ მოგწონთ მე-3

მას თანაგრძნობის გაწევა შეუძლია, ხანდახან ისეთ მორჩილებას იჩენს, რომ მზადაა ყველა მარცხს მშვიდად შეხვდეს.

თქვენ მამაცი, თავდაჯერებული და მომთხოვნი ხართ. მიანიშნეთ მას, როგორ უნდა შეძლოს საკუთარი ღირსების გრძნობის შენარჩუნება, მისგან კი საკმოდ ფასეული ღირსება – მოთმინების უნარი გადაიღეთ.

მოგწონთ მე-6 –
არ მოგწონთ მე-4

ის მორიდებული, უანგარო, ზომიერად თავდაჯერებულია.

თქვენში სიამაყე და ენერგიულობა ხიბლავს. ეს თვისებები თავად მას აშკარად აკლია.

მოგწონთ მე-6 –
არ მოგწონთ მე-5

ის მზრუნველია, მუდამ მზადაა სხვებისთვის დახმარების გასაწევად.

თქვენ მახვილი გონება გაქვთ, ხანდახან ცინიკოსიც ბრძანდებით და ცდილობთ, მისი საშუალებით ჭეშმარიტი გრძნობების ფასი გაიგოთ. ის თქვენგან აუცილებლად გადაიღებს ოპტიმიზმს.

ვაშლი ვიჯაგ

სტატისტიკის თანახმად, მსოფლიოში ყოველი მეორე ხილის ხე — ვაშლია. რაში მდგომარეობს ამ ხილის ესოდენ დიდი პოპულარობა მთელ პლანეტაზე?







ალბათ იმაში, რომ ვაშლი უამრავ ვიტამინს – 15 სახეობის ამინომჟავასა და 40 სახეობის ძალიან სასარგებლო ორგანულ ნაერთს შეიცავს. ვაშლი, სხვა ბოსტნეულსა და ხილთან შედარებით, ქოლესტერინის დონის დამწევი პექტინითაც მდიდარია. დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში ჩატარებული ბოლოდროინდელი გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ვაშლი თურმე ახალ ნივთიერებას – ფლავინოიდს შეიცავს. ეს ნივთიერება კი სისხლძარღვებში თრომბების გაჩენას აბრკოლებს. თანამედროვე მეცნიერებმა ჰიპოკრატეს რეკომენდაციებიც დაადასტურეს, რომელიც ორგანიზმიდან ზედმეტი მარილის და წყლის გამოსადევნად, ვაშლის მოხმარებას გვირჩევდა. ექიმები ამ საოცარ ხილს თავის ტკივილისა და მაღალი წნევის წინააღმდეგ ბრძოლასაც კი მიაწერენ.

ვაშლის გემო და მასში შემავალი ძვირფასი ნივთიერებების რაოდენობა, სხვათა შორის, სულაც არ არის დამოკიდებული არც ხის და არც თვით ნაყოფის ზომაზე. წვრილი, ალუბალზე ოდნავ დიდი ზომის, ე.წ. სამოთხის ვაშლი უფრო მეტ ვიტამინს შეიცავს, ვიდრე ძალიან მსხვილი და ლამაზი, საბაღე ვაშლის ხის ნაყოფი. ნატურალური სახით, სამოთხის ვაშლის ჭამა შეუძლებელია, სამაგიეროდ, მისგან საოცრად გემრიელი მურაბა მზადდება. ვაშლის გამოყენებით, მურაბის გარდა, მრავალი სახის კერძს ამზადებენ: ის შეიძლება მოათავსოთ ცომში და მოხარშოთ ტკბილ ბრინჯთან ერთად, ვაშლისგან შეიძლება დამზადდეს გემრიელი დესერტი: კისელი, კომპოტი, სუფლე, ჟელე, მუსი, სამბუკი... ბოლოს და ბოლოს, გამაგრილებელი კოქტეილი, რომლის რეცეპტიც ისეთივე მარტივია, როგორიც თვით ვაშლი: 2/3 წილი ვაშლის წვენი უნდა გაურიოთ 1/3 წილ მინერალურ წყალში, ჭიქა შეიძლება ლიმონის ნაჭრით მოირთოს – და კოქტეილიც მზად არის, რომელიც მთელი დღის სამყოფი ენერგიით დაგმუხტავთ.

სადღეისოდ, მსოფლიოში ვაშლის 7500 ჯიშია ცნობილი. პრაქტიკულად, ყველა კონტინენტზე გამორჩეული და საყვარელი ვაშლის ჯიში არსებობს. ჩვენში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ანტონოვკაა, რომლისგანაც საუცხოო ღვეზელი ცხვება. ვაშლის ღვეზელი – ყველასთვის ცნობილი ნუგბარია. ოკეანის გაღმა – ამერიკის შეერთებულ შტატებშიც აცხობენ. საინტერესოა, რომ იქ

| | | |

...ნეების კონა







ბევრგან ჯერ კიდევ იცავენ პირველ მოსახლეთა მიერ დამკვიდრებულ ტრადიციას: ახალ ადგილას ჯერ კიდევ სახლის აშენებამდე, ვაშლის ხის დარგვა ბედნიერების მომტანად ითვლება. ყოველ შემოდგომაზე, მთელი შტატების მასშტაბით ათობით ვაშლის ფესტივალი ტარდება, რომელსაც უამრავი ტურისტი ესწრება: ეს ფესტივალი ხომ საშუალებას მოგცემთ, საკუთარი თვალით იხილოთ, მაგალითად, სიდრის დასამზადებელი ვაშლის პრესი, 1800 წლის დროინდელი ვაშლის გადასატანი ყუთები, ან თუნდაც ვაშლის ის ჯიშები, რომელიც თავის ბაღში პრეზიდენტ ჯორჯ ვაშინგტონს ჰქონდა. ამ ზეიმის დროს იმასაც შეიტყობთ, თუ ვინ კრეფს ვაშლს ყველაზე სწრაფად, ვის აქვს ვაშლის ხისგან დამზადებული ყველაზე ლამაზი ბუფეტის კარადა და ვინ გამოიყვანა იმ წელს ყველაზე დიდი ვაშლი. თუმცა, დღემდე ვერავინ შეძლო მიჩიგანელი მებაღეების რეკორდის მოხსნა, რომელთაც ამ რამდენიმე წლის წინ თავიანთი 1,2 კილოგრამიანი ნაყოფი წარმოადგინეს.

საინტერესოა, რომ ვაშლის გამოყენების სფეროები მხოლოდ კულინარიით არ ამოიწურება. თუ, მაგალითად, ვაშლის ნაჭერს კარტოფილიან ტომარაში მოვათავსებთ, ის შესანიშნავად შეინახება გაზაფხულამდე. შაქრის ფხვნილში ჩადებული ნახევარი ვაშლი მას სინესტისგან დაიცავს. ჩიბუხის მწეველები კი ვაშლის ნაჭერს ქისაში იმისთვის დებენ, რომ თამბაქო არ გამოშრეს და სასიამოვნო არომატი შეემატოს. საჭიროების შემთხვევაში, ვაშლს კბილის ჯაგრისიც შეუძლია შეცვალოს: თუ ჯაგრისი ხელთ არ გაქვთ, თამამად მიირთვით ვაშლი — სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ მასში შემავალი ნივთიერებები ნებისმიერ პასტაზე უკეთ იცავს კბილებს. ■

...ის ქვა ...ადად	მარჩიელი	მმართველი ძვ. ინდოეთში	ინჟინერი ალ. ტოლსტოის ცნობილი რომანიდან	რამდენი კაცია ოქტეტში	ბუნებისმეტყველი პირი, რომელიც სწავლობს ბუნებას
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]		

...წერალი ... ...ანჯიკიძე	დიახ, ჰო, ...	წვრილ-ფეხა რქოსანი	ტვირთის აწევა (ტერმინი)	ღორის ბალანი	ნეტარება — ბუდიზმის მიხედვით	მტაცებელი ცხოველი	უნგრელი კომპოზიტორი

«ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა»

მეფე ვახტანგი 15 წლის ასულა სამეფო ტახტზე. ამ დროს, ქართლი, ერთი მხრივ, სპარსეთის აგრესიას განიცდიდა, მეორე მხრივ – ოსთა შემოსევებისაგან იყო გამწარებული, არც დასავლეთ საქართველო იყო უკეთეს დღეში – ბერძნებმა ეგრისიდან ციხე-გოჯამდე დაიპყრეს აფხაზეთი. მიუხედავად არასახარბიელო პოლიტიკური ვითარებისა, მეფე ვახტანგი არ შეუშინებია გარემოებათა სიმძიმეს. 15 წლის გვირგვინოსანმა, ვითარცა მოხუცმა ბრძენმა, ამგვარად განუმარტა მოსახლეობას, რომ ქვეყანაზე მოწეული განსაცდელი ღვთის წყრომა იყო მეფისა და ერის ცოდვებისათვის, და ვითარცა მძლეთამძლე ჭაბუკმა, ფიცხლად შეკრიბა ქართველთა მხედრობა, რომელსაც წინ პატიოსანი ჯვარი წარუმძღვარა და მრავალთა გასაკვირად დაამარცხა ოსთა ჯარი. ოსების მიერ კავკასიონიდან გატაცებული ათასობით ტყვე გამოიხსნა და სამშობლოში გამოგზავნა. თავისი უმცროსი და – მირანდუხტიც მაშინ დაიხსნა ტყვეობიდან. მეფე ამის შემდეგ აფხაზეთში გადავიდა და ბიზანტიელებს შეება. სამ წელიწადს გაგრძელდა ომი. ვახტანგმა დასავლეთ საქართველოდან გარეკა ბიზანტიელები და ბოლოს, მათ დედაქალაქს – კონსტანტინოპოლს მიადგა. ბიზანტიის არმია დამარცხდა. კეისარმა ზავი ითხოვა. ზავის პირობებით, მიტაცებული ქართული მიწები დედასამშობლოს დაუბრუნდა. მეფემ წინდაწინ უწყოდა, რომ მაინც არ მოისვენებდნენ სპარსეთი და ბიზანტია, ამიტომაც ახალი ციხესიმაგრეებით ჩაკეტა დარიალის, თერგისა და არაგვის ჭიშკრები. ამიერიდან – ქართველი მეფეების ნებადაურთველად უცხო ლაშქარი ვეღარ გადმოვიდოდა კავკასიონზე. შემდგომ ვახტანგმა დაზავებულ სპარსელთა და ბერძენთა ჯართან ერთად აზიაში გაილაშქრა. გაერთიანებული ჯარების მთავარსარდალი ვახტანგ მეფე იყო და მისი დახმარებით სპარსეთმა მრავალი ქვეყანა დაიმორჩილა.

საოცარი გარეგნობით გამოირჩეოდა თურმე მეფე: იყო „უმაღლეს-კაცთა მის ჟამისათა“ (2 მეტრი და 40 სმ) და „უმშვენიერეს სახითა“. შეეძლო ბრძოლა ურიცხვ ლაშქართან და შეუსვენებლივ ადიოდა მცხეთიდან არმაზის ციხემდე. დაეწეოდა გაქცეულ ირემს და რქებით დაიჭერდა ხელით. საოცრად ჰყვარებია რაინდული ორთა ბრძოლები. ორი გოლიათი მოუკლავს 16 წლისას, ოსეთში პირველი ლაშქრობის დროს – თარხან ხაზარი და ბაყათარ ოსი, საბერძნეთში ლაშქრობისას მათი სარდალი – პოლიკარპოსი, ინდოეთში ლაშქრობისას კი, 15 გოლიათისთვის უძლევია საოცარი სიმამაცით. თუმცა კი, ბრძოლაში შეუდრეკელი მეფე, მოთმინებით დაითმენდა ხოლმე პირად შეურაცხყოფას და სიდინჯით აწონ-დაწონიდა ქვეყნისათვის საჭირბოროტო პრობლემებს. ვახტანგის საომარ მუზარადზე წინ მგელი იყო გამოსახული, უკან – ლომი. მუზარადზე მგელ-ლომგამოსახული მეფის გამოჩენა შიშის ზარს სცემდა მტერს. მოერიდეთ მგლისთავას – „დურ აზ გორგასარ“ – ასე გასძახოდნენ სპარსელები ერთმანეთს და მეფის მოახლოებას ამცნობდნენ. გორგასალი – ამგვარადვე შემორჩა მისი მეტსახელი ისტორიას.

ბრძოლებში მოპოვებული წარმატებების პარალელურად, საეკლესიო საქმეთა კეთილგანმგებლობითაც გამოირჩეოდა. მეფე ვახტანგმა სრულიად განდევნა საქართველოდან ცეცხლთაყვანისმცემელი ქურუმები და კურთხევის მისაღებად კონსტანტინოპოლს გაგზავნა პეტრე, სამოელი და სხვა სასულიერო პირნი. კონსტანტინოპოლის პატრიარქმა და იმპერატორმა, თავის მხრივ, ანტიოქიის პატრიარქს გაუგზავნეს საპატიო სტუმრები. ანტიოქიის პატრიარქმა კი აკურთხა 12 ეპისკოპოსი და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად დაადგინა პეტრე. ასე რომ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საფუძვლის ჩაყრაც ვახტანგ მეფის სახელთან არის დაკავშირებული.

შემდგომ, მეფემ აღასრულა წმინდა მირიან მეფის სურვილი და იერუსალიმში ააშენა ქართველთა ჯვრის მონასტერი. ვახტანგ მეფემ მცხეთაში წმინდა ნინოს

დროინდელი ხის ეკლესიის ნაცვლად, ქვის ტაძარი ააგო. მის დროს დაარსდა საეპისკოპოსო კათედრები: ახიზა – კლარჯეთში, არტაანი – ერუშეთში, წუნდა – ჯავახეთში, მანგლისი, ბოლნისი, რუსთავი, ნინოწმინდა, ჭერემი, ჩელეთი, ხორნაბუჯი და აგარაკი. მეფემ ნიქოზის ეკლესია ააშენა და იქაც დასვა ეპისკოპოსი. აქ გადმოასვენებინა წმინდა რაჟდენ პირველმოწამის ნაწილები და ყოველნაირად ეხმარებოდა ახალშექმნილ კათედრას. თავის ახალ სამყოფლად კი ვახტანგმა უჯარმა ააგო.

ვახტანგ მეფემ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს დღევანდელ დედაქალაქს, რომლის მშენებლობის დამთავრება და სატახტო ქალაქად გამოცხადებაც ვახტანგის ძის – დაჩის მეფობის ჟამს მოხდა.

სამოცს მიტანებულ მეფე ვახტანგს 502 წელს უკანასკნელად მოუხდა თავისი ქვეყნის დაცვა. სამგორის ველზე სპარსელთა მრავალრიცხოვან არმიას სამ დღეს ებრძოდა რაოდენობით ხუთჯერ ნაკლები ქართველთა ჯარი. გაცხარებული ომის დროს, გორგასალი სპარსეთის შაჰის კარავში შეიჭრა და მისი შვილი მოკლა. თვით შაჰმა ძლივს მოასწრო ცხენზე შეჯდომა და გაქცევა. ამ დროს, სპარსელთა მიერ მოსყიდულმა ვახტანგის მსახურმა შენიშნა, რომ მეფეს მარცხენა იღლიაში ჯაჭვის პერანგი ჩარღვეოდა. მოღალატემ სწორედ იმ ადგილას დაუმიზნა ისარი. ისარმა ფილტვში გაიარა. თუმცა, კიდევ კარგა ხანს იბრძოდა მძიმედ დაჭრილი მეფე...

უშედეგო აღმოჩნდა მკურნალთა ყოველგვარი მცდელობა, გადაერჩინათ საყვარელი მეფე და მხედართმთავარი. 60 წლის მეფემ თავის ახალ სამყოფელში – უჯარმაში დალია სული. გორგასალი მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს. სამარის ლოდზე კი მისი სიმაღლის ხატი ამოკვეთეს. ვახტანგის უდიდესი ღვაწლი ერის წინაშე ღირსეულად შეაფასა ქართველობამ და „გორგასლიანი“ უწოდა საქართველოს სამეფო დროშას, ხოლო უბრალო ხალხმა თავისი უზომო სიყვარული მეფის მიმართ მშვენიერ პოეტურ სტრიქონებში გამოხატა:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა.“

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, სიონის საპატრიარქო ტაძარს მიაშენეს წმინდა მეფის – ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესია, ქალაქ რუსთავში კი მისი სახელობის საკათედრო ტაძარი აშენდა.

ვახტანგ გორგასლის ხსენების დღედ 13 დეკემბერია დაწესებული.

ნინო ტარყაშვილი

ადამიანურ ქცევებზე

მიჰყევი შენს გზას და ადამიანებმა, რაც ენებოთ, ის ილაპარაკონ.

დანტე ალიგიერი

სულელთან პატიოსნად დავა შეუძლებელია.

მიშელ მონტენი

ვისაც სწავლა ეზარება, მისგან კაცი არ დადგება.

ხოსე მარტი ი პერესი

უზენაესი სამსჯავრო – სინდისის სამსჯავროა.

ვიქტორ ჰიუგო

ბოროტის წესი არ არის გარჯა –
მუდამ ახარებს მოყვასის ტანჯვა.
ბოროტი კაცის მსჯავრია მრუდე,
მისი გულია სიავის ბუდე,
და შურს ყოველი პატივი სხვისი,
თვითონ ერთისაც არ არის ღირსი.

ალბრეხტ დიურერი

თითქმის ყოველ საქმეში მთავარი სიძნელეა – დაწყება.

ჟან-ჟაკ რუსო

გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.

შოთა რუსთაველი

მოღალატე მეგობარი ყველაზე უფრო საშიში მტერია.

ჰენრი ფილდინგი

მლიქვნელ კაცს ენაზე თაფლი აქვს, გულში შხამი.

მიხაილ ლომონოსოვი

1975 წელს თბილისის „დინამოს“, თავისი ისტორიის მანძილზე პირველად, საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ბრძოლა მოუხდა, რასაც წლის ბოლოს უფროსი მწვრთნელის დათხოვნა მოჰყვა. საქართველოს სპორტკომიტეტის მაშინდელმა შეფმა ფილიპე მახარაძემ პარტიის „ცეკას“ კანდიდატთა საკმაოდ მოზრდილი სია წარუდგინა, თავის მხრივ, „დინამოს“ ყოფილმა უფროსმა მწვრთნელმა მიხაილ იაკუშინმა თავისი კანდიდატურა დაამატა: ეს იყო გუნდის მაშინდელი უფროსი ნოდარ ახალკაცი.

1979 წელს „დინამოელებმა“ მეორედ მოიპოვეს საბჭოთა კავშირის თასი

ქართული ფეხბურთის ტრიუმფის ავტორი

გიორგი ღვინჯილია

მთელი მისი ცხოვრება სპორტთან იყო დაკავშირებული – მაშინაც და მას შემდეგაც. თუმცა, აღნიშნული მომენტისთვის ის ვერც დიდი პოპულარობით დაიკვეხნიდა და ვერც გამოჩენილი ფეხბურთელის ბიოგრაფიით. ნოდარ ახალკაცმა ფეხბურთის თამაში 1955 წელს დაიწყო. გამოდიოდა თბილისის არმიელთა სპორტკლუბის გუნდ „ლოკომოტივში“. ცენტრალურ თავდამსხმელს ჩინებული ტექნიკა ჰქონდა, კარგად თამაშობდა თავით (ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით), თუმცა სისწრაფეში მოიკოჭლებდა, მოუქნელი იყო. „მუდამ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მქონდა, – იხსენებდა შემდგომში ბატონი ნოდარი, – ცოტა ადრე რომ დამეწყო, შეიძლება უფრო კარგად მეთამაშა...“

1967 წლიდან „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზეა; მისი ხელმძღვანელობით გუნდმა 1969 წელს საბჭოთა კავშირის ახალშექმნილი პირველი ლიგის საგზური მოიპოვა (სხვათა შორის, ამ კლუბში გაიარა „სტაჟირება“ დავით ყიფიანმა). ახალკაცის ხელმძღვანელობით „ლოკომოტივი“ საკმაოდ საინტერესო გუნდად იქცა, მაგრამ ის დაშალეს – „დინამოს“ ინტერესების „დასაცავად“ (საკავშირო ჩემპიონატში რესპუბლიკას ერთი ძლიერი გუნდის ყოლა ერჩივნა). ამის შემდეგ ნოდარ ახალკაცი 1974 წლამდე ფეხბურთის სამმართველოს უფროსად მუშაობდა, ხოლო მისი ბოლო



სეზონი, უფროს მწვრთნელად დანიშვნამდე, – „დინამოს“ უფროსი იყო.

ნოდარ ახალკაცი დიდი გუნდის შესაქმნელად, ფაქტობრივად, მის ხელმძღვანელად დანიშვნამდე კარგა ხნით ადრე ემზადებოდა. რამდენიმე თვე კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე იტალიაში იმყოფებოდა, მანამდე კი, ჯერ კიდევ „ლოკომოტივში“ თამაშისას, ერთი ჩვეულება ჰქონდა: ყოველ საღამოს, ვარჯიშის შემდეგ, ჩანაწერებს აკეთებდა სპეციალურ რვეულში.

1976 წელს უფროს მწვრთნელად დანიშვნისთანავე გუნდის რეორგანიზაციას შეუდგა. ჩვეულებრივ, ასეთ სიტუაციაში ნებისმიერი მწვრთნელი მოითხოვს დროს, მაგრამ ახალკაცი ასე არ მოქცეულა: გუნდმა და მისმა ახალმა მწვრთნელმა გადაწყვიტეს, პირველივე სეზონში ეჩვენებინათ ის შედეგი, რომელიც მათ მაყურებლის ნდობას დაუბრუნებდა, ხოლო „დინამოს“ ერთბაშად, ანგარიშგასაწევ ძალად აქცევდა. ასე დაიწყო საუცხოო ხუთწლიანი ციკლი თბილისის „დინამოს“ ისტორიაში. უკვე 1976 წელს „დინამომ“ ორჯერ დაიკავა მესამე ადგილი (მაშინ ყოველწლიურად, ორი – საგაზაფხულო და საშემოდგომო – ჩემპიონატი ტარდებოდა), ხოლო ორივე პირველობის ჯამში – მეორე შედეგი აჩვენა. იმავე წლის, სამ სექტემბერს თასის ფინალში „დინამოელებმა“ დიდი ანგარიშით – 3:0 დაამარცხეს ერევნის „არარატი“ და თავის ისტორიაში პირველად გახდნენ საკავშირო თასის მფლობელები (მანამდე ხუთჯერ ითამაშეს ფინალში და ხუთჯერვე დამარცხდნენ). 1977 წელს „დინამო“ ვერცხლის პრიზიორია. ოქროც შეეძლო მოეპოვებინა, მაგრამ მათ წინააღმდეგ „ძალიან ძლიერად ითამაშეს“ მსაჯებმა. სეზონის დამთავრების შემდეგ ახალკაცს ეკითხებიან:

– თქვენი საზრუნავი ალბათ ახლა ჩემპიონობა არის?

– ჩვენი მთავარი საზრუნავია, არ გავვარდეთ უმაღლესი ლიგიდან, – იყო პასუხი...

1978 წელს, სეზონის დამთავრებამდე რამდენიმე ტურით ადრე, „დინამო“

თოთხმეტწლიანი შესვენების შემდეგ, ჩემპიონი გახდა. საკავშირო პრესაში „დინამოსა“ და მისი მთავარი მწვრთნელის სრულიად ახლებური შეფასებები გაჩნდა.

„რაც თბილისის „დინამო“ მახსოვს, სულ მის თვითმყოფადობაზე და იმაზე ლაპარაკობდნენ, რომ თამაშის მანერით არც ერთ გუნდს არ ჰგავს, — წერდა ყოველკვირეული „ფუტბოლ-ჰოკეის“ რედაქტორი ლევ ფილატოვი. — დღეს მე „დინამოელებს“ პირველ რიგში ვულოცავ იმას, რომ ისინი სწორედ რომ ჰგვანან ჭეშმარიტ ჩემპიონებს — იმიტომ, რომ ჩემპიონობას თავისი კანონები აქვს და ოქროს მედლებს, რომ იტყვიან, მხოლოდ შიშველი „თავისებურებით“ ვერ მოიპოვებ... ვუსურვებ თბილისელ „დინამოელებს“, ასე განაგრძონ, და არა მარტო საკავშირო ჩემპიონატზე...“

ყოველთვის სიტყვაძუნწმა ნოდარ ახალკაცმა განაცხადა, რომ მორიგ ამოცანად, საერთაშორისო ტურნირებზე წარმატებების მიღწევა ესახებოდა, მომდევნო სეზონებში „დინამო“ ზედიზედ ოთხჯერ, მეოთხე ადგილს დასჯერდა. უფრო წარმატებით ითამაშა თასზე, რომელიც 1979 წელს ხელმეორედ მოიგო, ხოლო მომდევნო წელს ფინალში გავიდა. ამავე დროს, კბილი მოუსინჯა ევროპულ კლუბებს, მათ შორის გრანდებად წოდებული რამდენიმე გუნდი — „ინტერნაციონალე“ (მილანი), „ლივერპული“, „ფეიენოორდი“ (როტერდამი), „ვესტჰემი“ (ლონდონი), „ნაპოლი“ დაამარცხა კიდეც.

1978 წელს, უეფას თასზე „ნაპოლისთან“ შეხვედრის წინ ახალკაცი იტალიაში ჩავიდა. იქაური ჟურნალისტები წამდაუწუმ ეკითხებოდნენ — ყიფიანი როგორ ფორმაშიაო? 1977 წელს დავითმა თავისი თამაშითაც გააოცა იტალიელები და გოლიც გაიტანა „ინტერნაციონალეს“ კარში. „სწორედ ამან შთამაგონა, — იხსენებდა ახალკაცი, — რომ მეტოქისათვის სიურპრიზი მომემზადებინა. მანამდე მართლაც ვეჭვობდი — დავითი პატარა ტრავმის გამო, შეძლებდა თუ არა თამაშს, მაგრამ ახლა მტკიცედ გადავწყვიტე — მან აუცილებლად უნდა ითამაშოს, ოღონდ არა იმ ამპლუაში, რომელშიც იტალიელებს უნახავთ. მათ იციან, რომ ჩვეულებრივ, ყიფიანი უკან იხევს და კომბინაციებს სიღრმიდან იწყებს. ამჯერად ყიფიანი, მისი ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, წინ, იტალიელთა თავისუფალი მცველისკენ — ე.წ. ლიბეროსკენ წავწიეთ. ამ ადგილზე იტალიელებს შედარებით ასაკოვანი სპორტსმენი ჰყავდათ, რომელიც დიდი სისწრაფით არ გამოირჩეოდა: ლიბერო ვერ ეწეოდა ჩვენს ფორვარდს, ხოლო ახალ სიტუაციაში სულ დაიბნა. სანამ ისინი გონს მოვიდოდნენ, ყიფიანმა ჯერ ერთი გოლი შეაგდო, შემდეგ მეორე გოლისთვის მომზადა საფუძველი...“

„დინამო“ 1981 წლის 13 მაისის ტრიუმფისკენ მიიწევდა. ევროპის თასების მფლობელთა თასის ამ გათამაშებაში მისი გზა ასე დაიწყო: კენჭისყრამ პირველ მეტოქედ საბერძნეთის თასის მფლობელი „კასტორია“ არგუნა. ეს ბარიერი „დინამომ“ ადვილად გადალახა: 0:0 საბერძნეთში და 2:0 თბილისში. მეორე წრეში ირლანდიურ „უოტერფორდთან“ „დინამომ“ ჯამურად 5:0 (1:0, 4:0) გაიმარჯვა და კლუბის ისტორიაში პირველად, ევროტურნირების მეოთხედფინალში გავიდა.

რამდენიმეთვიანი შესვენების შემდეგ, ტურნირი გაზაფხულზე გაგრძელდა. თავის ახალ მეტოქესთან — ინგლისურ „უესტ ჰემ იუნაიტედთან“ პირველი შეხვედრა „დინამოს“ სტუმრად ჰქონდა. ეს შეხვედრა თბილისელთა „ავტორობით“ მომხდარ პირველ სენსაციად იქცა — ქართველებმა 4:1 მოიგეს. შინ „დინამოს“ წაგების ფუფუნების საშუალებაც ჰქონდა — 0:1. მომდევნო ეტაპზე, კიდევ უფრო ძლიერი და განსაკუთრებით, უხეში თამაშით გამორჩეული ჰოლანდიური „ფეიენოორდი“ (როტერდამი) შეეგზვდა, მაგრამ „დინამო“ ნამდვილ აღმავლობას განიცდიდა და შინ გამართული პირველი შეხვედრაც დამაჯერებლად — 3:0 მოიგო, შემდეგ კი, როტერდამში მარცხის მიუხედავად (0:2), თასების მფლობელთა თასის ფინალში გავიდა.

დიუსელდორფის „რაინშტადიონზე“ 1981 წლის 13 მაისს გამართული ფინალური მატჩის პერიპეტიებსა და „კარლ ცაისზე“ ანგარიშით — 2:1 გამარჯვებაზე იმდენი რამ თქმულა და დაწერილა, თვით ეს მატჩი კი იმდენჯერ გვინახავს განვლილი 20 წლის მანძილზე, რომ მასზე ყურადღების შეჩერება ალბათ მიზანშეწონილი აღარც იქნება. მხოლოდ ერთ ეპიზოდს გავიხსენებთ, რომელიც გამოჩენილი მწვრთნელის ხასიათის რამდენიმე შტრიხს წარმოაჩენს.

დიუსელდორფში რომ ჩასულა, ნოდარ ახალკაცი შეუძლოდ ყოფილა — წნევა ასწევია, სიცხეც მაღალი ჰქონია. საერთოდ, თამაშის დროს ადგილიდან ადგომა არ სჩვეოდა — დამჯდარი, თავშეკავებით ადევნებდა თვალს მატჩის მსვლელობას. „მოედნის ნაპირიდან კარნახი სარგებლობას იშვიათად თუ მოგიტანს, — ამბობდა იგი, — თუ შინ „მომზადებისას წააგე“, საეჭვოა, მდგომარეობა მატჩის მსვლელობის დროს გამოასწორო“... ფინალური შეხვედრის დროს, მეორე ტაიმში, ველარ მოთოკა თავი — ადგილიდან წამოდგა და ფეხზე მდგომი უყურებდა თამაშს. მოესწრო კიდეც იმ მომენტს, როცა ვლადიმერ გუცაევმა პირველი საპასუხო გოლი გაუტანა მეტოქეს, შემდეგ კი — დარასელიამ, გამარჯვების გოლით დააგვირგვინა „დინამოელთა“ შეტევები.

1976-81 წლებში თბილისის „დინამომ“ მანამდე არნახულ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ რა საოცარიც არ უნდა იყოს, არა და არ ცხრებოდა კრიტიკა მისი უფროსი მწვრთნელის მიმართ, რომელსაც ლამის არის ყველა ამქვეყნიურ ცოდვაში სდებდნენ ბრალს: ცუდ „სელექციონერობაში“, „დინამოს“ ტრადიციული სტილის დაკნინებაში, ფეხბურთელებთან დესპოტურ მოპყრობაში, მატჩების „ჩაწყობაში“, კორუფციასა და სამეურნეო მაქინაციებშიც ადანაშაულებდნენ. ამ ბრალდებებში ყველაზე ხშირად, ფიგურირებდა აზრი, თითქოს „დინამოს“ დიდი გამარჯვებები მხოლოდ ფეხბურთელების დამსახურება იყო და უბრალოდ, ახალკაცის მწვრთნელობის პერიოდს გუნდში მრავალი გამორჩეული ფეხბურთელის

ევროპის თასების მფლობელთა თასის მოგებასთან დაკავშირებულ ზეიმზე თბილისის სპორტის სასახლეში

საერთოდ, თამაშის დროს ადგილიდან ადგომა არ სჩვეოდა – დამჯდარი, თავშეკავებით ადევნებდა თვალს მატჩის მსვლელობას

თავმოყრა დაემთხვა...

„დინამოს“ შემადგენლობაში მართლაც ბევრი უნიჭიერესი ფეხბურთელი თამაშობდა, მაგრამ გუნდის ისტორიაში ისეთი პერიოდებიც ყოფილა, როცა ერთდროულად უფრო მეტ ვარსკვლავს უთამაშია, მაგრამ ყველაზე მეტ წარმატებებს მაინც ამ თაობამ მიაღწია, ეს კი უდავოდ, მწვრთნელის დამსახურებაა. ყველა საფეხბურთო ქვეყანაში აქსიომად არის მიჩნეული აზრი, რომელსაც ჩვენში ბევრი პარადოქსად მიიჩნევს: ნიჭიერ ფეხბურთელებთან უფრო ძნელია მუშაობა, ვიდრე საშუალოებთან – თუნდაც იმიტომ, რომ ნიჭიერი ფეხბურთელი უფრო ამბიციურია. ნოდარ ახალკაცმა ყველა თავის აღსაზრდელს მაქსიმალურად გამოავლენინა ინდივიდუალური შესაძლებლობანი. თავდაპირველად (1976 წელს), მან შექმნა გუნდის ღერძი: ხინჩაგაშვილი–მაჩაიძე–ყიფიანი–გუცაევი. ახალკაცმა დიდი ასპარეზი მისცა ალექსანდრე ჩივაძის ნიჭს, რომელიც სწორედ მწვრთნელის ხელდასხმით იქცა უძლიერეს სტოპერად, და სარბიელზე გამოიყვანა ვიტალი დარასელია. ქუთაისიდან გადმოყვანილი ოთხი ფეხბურთელიც (სულაქველიძე, გაბელია, შენგელია, კოსტავა) ორგანულად შეერწყა გუნდს (მხოლოდ თამაზ კოსტავამ, ამ უნიჭიერესმა მცველმა, მძიმე ტრავმის გამო, ვერ შეძლო სრულად გამოევლინა თავისი შესაძლებლობები), ამპლუა შეუცვალა გოჩა მაჩაიძეს და სუსტი ნახევარმცველი კარგ მცველად აქცია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალკაცის დროს ხუთიოდე წლის განმავლობაში, „დინამოდან“ საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიიწვიეს ცამეტი ფეხბურთელი და ეს მაშინ, როდესაც ათი თავით მაღლა უნდა მდგარიყავი რუს ფეხბურთელზე, ნაკრებში რომ მოხვედრილიყავი. ამ ფაქტების მერე, ძნელი დასაჯერებელია ნოდარ ახალკაცის ცუდი „სელექციონერობა“.

„არასოდეს გამიგონია მისგან ხმამაღალი სიტყვა, თითქოს არაფერს გამოჰყავდა წონასწორობიდან, – უზიარებდა თავის აზრს დავით ყიფიანი ჟურნალისტებს. – მისი დამოკიდებულება გუნდის წევრებთან მუდამ კომპრომისული და კორექტულია. მისი უკიდურესი გაღიზიანება შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ და მხოლოდ იუმორნარევი ირონიით, რომელიც დამნაშავეს უმალ თავის ადგილს გამოუნახავს“.

1983 წელს „ინტრიგების ქსელმა“ თავისი გაიტანა და ნოდარ ახალკაცი გუნდიდან წავიდა. „დინამოს“ რეგრესმაც არ დააყოვნა. ორი წლის შემდეგ, 1985 წლის სეზონის შუა პერიოდში უფროსი მწვრთნელის პოსტზე დაბრუნდა ნ. ახალკაცი. მაგრამ ჩემპიონატის დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე, ახალკაცი მოხსნეს – „ფეხბურთელთა კოლექტიური განცხადების საფუძველზე“...

1990 წლის 15 თებერვალს, თბილისში, ჭადრაკის სასახლეში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა ჩატარდა. ნოდარ ახალკაცის სახელი თითქმის შემთხვევით ამოტივტივდა: ყრილობაზე მოსაწვევი ბარათიც უკანასკნელ წამს მიუტანეს, და არავინ უწყოდა, თუ ამ თავშეყრაზე მას ახალი მისია დაეკისრებოდა.

პრეზიდენტობის 6 დასახელებული კანდიდატიდან ყრილობამ ნოდარ ახალკაცი აირჩია, რომლის სათავეშიც 1998 წლამდე იყო.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მუშაობა ამ რვა წლის მანძილზე იდეალური როდი იყო და ვერც იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ახალკაცმა და მისმა თანამოაზრეებმა საძირკველი ჩაუყარეს დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის სამყაროს და ეს ომის, მუდმივი გაჭირვების ელემენტარული პირობების უქონლობის დროს მოახერხეს. ამ საქმეს დიდი ძალისხმევა და ნამდვილი ბრძოლა დასჭირდა – როგორც შინ, ისე გარეთ.

1991 წელს ახალკაცს ძლიერი მოკავშირე დროზე უნდა დაეგულებინა და ციურიხისკენ მიმავალ გზას ეძებს. თავდაპირველად, ფიფა შეუვალი იყო: იოზეფ ბლატერის (ფიფას იმჟამინდელი გენერალური მდივანი) პასუხი ახალკაცის თხოვნაზე ასეთი იყო: „თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია შემდგომი განხილვისთვის აღმასრულებელ კომიტეტს გადავეცით. რაც შეეხება თქვენს თხოვნას 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის შესახებ, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ თქვენი ფედერაცია ფიფას წევრი გახდება, ჩვენი წესდებისა და დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად. ველოდებით თქვენი ქვეყნის სტატუსის განსაზღვრას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ“.

ამ დროისთვის საქართველოს პოლიტიკური არჩევანი უკვე გაკეთებული აქვს (1991 წლის 9 აპრილს რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, უზენაესმა საბჭომ აღადგინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა).

1991 წლის შუა ოქტომბერში საქართველოს დელეგაცია სტუმრობს ლიტვასა და ლატვიას. ხელშეკრულებებს აფორმებს ამ ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციებთან. ფაქსები მხარდაჭერის თხოვნით იგზავნება იტალიაში, საფრანგეთში, საბერძნეთში, ბრაზილიაში...

ორი წლის უშედეგო ცდების შემდეგ, ახალკაცმა და მისმა მომხრეებმა მიაღწიეს იმას, რომ ფიფას აღმასკომმა ცნო საქართველო და ფიფას დროებითი წევრის სტატუსი მიანიჭა. საქართველოსთან ერთად, მსგავსი სტატუსი უკრაინამ, სლოვენიამ და ხორვატიამ მიიღო.

ასე დაიწყო საქართველოს დამოუკიდებელი ფეხბურთის საერთაშორისო ცხოვრება.

... 1998 წლის 25 იანვარს ნოდარ ახალკაცი მოსკოვში ჩავიდა. „ვნუკოვოს“ აეროპორტში მანქანა ელოდა. თვითმფრინავშივე ცუდად უგრძვნია თავი – ტრაპიდან ჩამოსული, ფერწასული და მთლად გაოფლილი ყოფილა, მიუხედავად ამისა, გულს არ შეპუებია. მანქანამ გეზი დედაქალაქისკენ აიღო. „დინამოს“ იმდროინდელი პრეზიდენტისთვის – მერაბ ჟორდანიასთვის დაურეკავს „ცსკ“-ის მანეჟში – გუნდი რას შვრება, თამაშზე მოვდივარო (დსთ-ის ტურნირი მიმდინარეობდა). აეროპორტის გამოსასვლელთან, ავტოინსპექციის გამშვებ პუნქტს გასცილებია თუ არა, ერთი ღრმად ამოუსუნთქავს და... ამ გზაზე ქართული ფეხბურთის ერთი დიდი ეპოქა დასრულდა – ნოდარ ახალკაცი გარდაიცვალა.

■

ზოგიერთი სიკვდილის შემდეგაც მდიდრდება

ბევრი ფულის შოვნა საკმაოდ ძნელი, თუმცა ფრიად სასიამოვნო და საპატიო საქმეა. ამერიკული ჟურნალი FORBES-ი ყოველწლიურად აქვეყნებს იმ პიროვნებათა რეიტინგს, ვისაც ეს სხვებზე უკეთ ხელეწიფება. წინათ ამ ნუსხაში მხოლოდ ცოცხლები შეჰყავდათ, წელს კი გარდაცვლილთა „დისკრიმინაციას“ ბოლო მოეღო და უმალ გამოირკვა, რომ მიცვალებულებსაც შეძლებიათ ფულის შოვნა.

ჟურნალ „ფორბსის“ მიერ მსოფლიოს უმდიდრეს პიროვნებათა სიის წლევანდელი პუბლიკაცია თითქმის შეუმჩნეველი დარჩა. შესაძლოა, ამის მიზეზი ის იყო, რომ გამომცემლებმა გადაწყვიტეს, უარი ეთქვათ ყველაზე სკანდალური – ამა თუ იმ ქვეყნის მმართველთა სიის გამოქვეყნებაზე, რომელშიც რეგულარულად ხვდებოდნენ სადამ ჰუსეინი, სლობოდან მილოშევიჩი, ინდონეზიის ექსპრეზიდენტი სუხარტო. ეს გადაწყვეტილება „ფორბსის“ წარმომადგენლებმა უკომენტაროდ დატოვეს, თუმცა ნათელია, რომ ამით მათ თავი აარიდეს სავარაუდო სასამართლო სარჩელებს, რომელშიც სიაში მოხვედრილ პიროვნებებს ცილისწამებაში შეიძლება დადანაშაულებინა ჟურნალი (ამგვარი პრეცედენტი არაერთგზის ყოფილა წინა წლებში).

უმდიდრეს ადამიანთა ნუსხაში ესოდენ საინტერესო ნაწილზე უარის თქმას მისი არსებითად ახალი (თუ ახლებური) კომპენსაცია მოჰყვა: „ფორბსმა“ კულტურის, ხელოვნებისა და შოუბიზნესის იმ სახელმოხვეჭილ მოღვაწეთა სია გამოაქვეყნა, რომლებიც სიკვდილის შემდეგაც „მდიდრდებიან“. მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული 13 მიცვალებულის შარშანდელი შემოსავლები, ბუნებრივია, ვერ შეედრება ყველაზე მდიდარ ცოცხალ შოუბიზნესმენთა შემოსავლებს, სამაგიეროდ მათი, ბევრ მოქმედ მილიონერსაც შეშურდებოდა.

ელვის პრესლი (1937-1977)

„ფორბსის“ მონაცემებით, 2000 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე „მარად ცოცხალმა“ მუსიკოსმა თავის მემკვიდრეთა ქონებას 35 მლნ დოლარი შემატა. პრესლის ალბომების რეალიზაციამ და მისი სიმღერების რადიო-ტელევიზიით ტრანსლაციებმა მხოლოდ ამ თანხის ნაწილი შეადგინა. ყველაზე დიდი თანხა კი (15 მლნ დოლარი) ელვისმა შარშან ქალაქ მემფისში მდებარე სახელგანთქმულ მამულში – GRACELAND-ში გაყიდული ბილეთებითა და მრავალგვარი სუვენირისა თუ სათამაშოს რეალიზაციით „გამოიმუშავა“. შემოსავალი სიკვდილის შემდგომ სარეკლამო საქმიანობასაც მოაქვს. შარშან ელვის პრესლიმ „ლიპტონის“ ჩაის, ENERGIZER-ის ელემენტების, DELL-ის კომპიუტერების და (ბედის ირონია) სიცოცხლის დაზღვევის ფირმის სარეკლამო კამპანიებში მიიღო მონაწილეობა.

ელვის პრესლის შემოსავლები მელ გიბსონის (31 მლნ), ჯგუფის – „ბექსთრით ბოიზის“ წევრების (35,5 მლნ ჯამში) და მწერალ დინ კუნცის (34 მლნ) აჭარბებს, მაგრამ ის გაცილებით მეტი იქნებოდა, მის მემკვიდრეებს ელვისის მრავალრიცხოვან ორეულებთან და ამ ორეულთა კონკურსების ორგანიზატორებთან წილში ჩაჯდომა რომ მოეხერხებინათ.

ელვის პრესლის 25 წელიწადია გიგარა არ აუღია ხელში, მაგრამ მაინც „მოახერხა“ 2000 წელს 35 მილიონის შეკოწიწება. ცოცხალმა მელ გიბსონმა კი „რაღაც“ 31 მილიონის გულისთვის მთელი წელი გადასაღებ მოედნებზე გაატარა



ჩარლზ შულცი (1922-2000)

მსოფლიოს ყველაზე სახელგანთქმული კარიკატურისტი, PEANUTS-ის საგაზეთო კომიქსების სერიის შემქმნელი გასული წლის შუა პერიოდში გარდაიცვალა. მისი სიკვდილს შემდგომი შემოსავალი (მხატვრის კარიკატურები აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და ბევრი სხვა ქვეყნის 2400-მდე გაზეთს დაუბეჭდავს) 20 მლნ დოლარს აღწევს. ეს თითქმის იმდენივეა, რამდენსაც ცოცხალი და ყოველი ცენტისთვის გამუდმებით მებრძოლი მოკრივე ჯონ ფორმენი შოულობს (20,1 მლნ). გარდაცვლილი მხატვრის შემოსავლის 90% არა თვით კარიკატურებს, არამედ სხვადასხვა ნივთზე მათი გამოყენების უფლების ლიცენზიებს მოაქვს. ყველაზე მეტ ფულს შულცი იაპონიაში „შოულობს“ – PEANUTS-ის გამოსახულების გამოსაყენებელ ლიცენზიათა 40% სწორედ ამ ქვეყნის კომპანიებმა შეიძინეს.

ჯონ ლენონი (1940-1980)

2000 წელი საკმაოდ შემოსავლიანი იყო „ბითლზის“ დაღუპული ხელმძღვანელისთვის. სხვა „ბითლებთან“ ერთად ის, სულ მცირე, 10 მლნ დოლარით „გამდიდრდა“. ეს თანხა მოუტანა ანსამბლის ახალი ალბომის გამოშვებამ, რომელშიც ძველი სიმღერების ერთი წყება შევიდა. ამას დაემატა წიგნის „ბითლზის“ ანთოლოგია“ გაყიდვით მიღებული შემოსავალი, რომელმაც ლენონი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ მიცვალებულთა სიაში შეიყვანა. საბოლოოდ, 2000 წელს მას 20 მლნ დოლარი შეემატა, რაც 1,1 მლნ-ით მეტია ცოცხალი ჯულია რობერტსის შემოსავალზე, რომელიც შარშან რამდენიმე ფილმში გადაიღეს. აქვე დავსძენთ, რომ ლენონის კიდევ ერთი შემოსავლის წყარო, მისი სიმღერების საავტორო უფლებებია, რომლისთვისაც ჰონორარი რადიოეთერში თითოეული შესრულებისას ერგება. მას ჯგუფის ყველა ალბომის გაყიდვიდანაც ერგება თანხა

შარშან ჯონ ლენონმა 20 მლნ დოლარი „გააჩალიჩა“ და თვით ყველაზე ძვირად ღირებულ მსახიობ ქალს ჯულია რობერტსს გაუსწრო, რომელიც მხოლოდ წამყვანი როლებით გადის ფონს

– 25%. ეს ყველაფერი, ბუნებრივია, ჯონ ლენონის ქვრივის – იოკო ონოს ანგარიშზე მიდის.

თეოდორ გეიზელი, რომელსაც დოქტორ ზიუსის სახელით უფრო იცნობენ (1904-1991)

ყველაზე ცნობილი ამერიკელი საბავშვო მწერალი, შარშან ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული მიცვალებულიც გახდა. ეს მისი წიგნის მიხედვით გადაღებული ფილმის – „შობის მომტაცებელი გრინჩი“-ს ეკრანებზე გამოსვლის წყალობით მოხდა: მარტო ამ ფილმში გეიზელს 10 მლნ დოლარი „ერგო“ – თუმცა, ამ საქმეში მისი ქვრივის აქტიური მონაწილეობა გახდა საჭირო: ამბობენ, სწორედ მან მიაღწია იმას, რომ მწერლის მემკვიდრეებს ფილმის გაქირავებიდან მიღებული შემოსავლების 5% და მისი სიმბოლიკით დამშვენებული სუვენირების რეალიზაციის 50% დაუწესეს.

კიდევ 7 მლნ გეიზელის ყულაბაში მისი წიგნების გაყიდვიდან გადავიდა და საბოლოოდ, მეთხუთე ადგილზე გასული მიცვალებული ცნობილ ჩოგბურთელს ანდრე აგასის (17,5 მლნ) მიუახლოვდა და მსახიობსა და მომღერალ ჯენიფერ ლოპესს (14 მლნ) გაუსწრო. როგორც ვარაუდობენ, წლეულს გეიზელი კიდევ უფრო გამდიდრდება, რადგან კომპანია UNIVERSAL-ი კიდევ ერთი მისი წიგნის ეკრანიზაციას აპირებს.

ჯიმი ჰენდრიქსი (1940-1970)

უმდიდრეს მიცვალებულთა შორის მეხუთე საფეხური ჯიმი ჰენდრიქსმა შემთხვევით როდი დაიკავა: მუსიკოსის 10-ზე მეტი ალბომიდან მის სიცოცხლეშივე მხოლოდ 4 გამოუშვეს, რაც ჟურნალისტებს იმის თქმის საფუძველს აძლევს, რომ მან „ფულის შოვნა“ სიკვდილის შემდეგ უფრო „შეძლო“.

შარშან მისმა შემოსავალმა 10 მლნ შეადგინა და უმნიშვნელოდ ჩამორჩა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ძვირად ღირებულ ჩოგბურთელ ქალს მარტინა ჰინგისს. ისევე, როგორც გეიზელის შემთხვევაში, წლეულს ჰენდრიქსი უფრო მეტს „გამოიმუშავებს“: ამაზე კომპანია „მაიკროსოფტის“ ერთ-ერთმა შემქმნელმა და ჰენდრიქსის მხურვალე თაყვანისმცემელმა პოლ ალენმა იზრუნა, რომელსაც პლანეტის უმდიდრეს ცოცხალ ადამიანებს შორის მესამე ადგილი (30,4 მლრდ დოლარი) უკავია.

ბობ მარლი (1945-1985)

რეგის სტილის ვარსკვლავმა ბობ მარლიმ, ჰენდრიქსის დარად, მხოლოდ სიკვდილის შემდეგ „დაიწყო ფულის შოვნა“. მსოფლიო აღიარება, სახელი და მაშასადამე, სიმდიდრეც მის სახელს 1988 წელს გამოსულმა ალბომმა LEGEND-მა მოუტანა. ახლა ალბომებიდან და რადიოტრანსლაციებიდან შემოსული ჰონორარები მისი შემოსავლის 85%-ს შეადგენს, დანარჩენი 15% კი, მისი სახელის მქონე საფეხბურთო ბუცების რეალიზაციიდან შემოდის. შარშან მან, საერთო ჯამში, 10 მლნ დოლარი „გამოიმუშავა“ – იმდენივე, რამდენიც ამერიკაში მცხოვრებმა რუსმა ჩოგბურთელმა ანა კურნიკოვამ.

ენდი უორჰოლი (1928-1987)

როცა ამ მხატვარზე ჩამოვარდება სიტყვა, უმალ ახსენდებათ ხოლმე კონსერვირებული წვნიანის ქილის ამსახველი მისი სურათი და ის მოარული ფრაზა, რომ ყველა ადამიანს 15 წუთიანი დიდების უფლება მაინც აქვს. უორჰოლის დიდება 15 წუთზე გაცილებით მეტხანს გაგრძელდა, მის ქმნილებებს კი ისევ მოაქვს შემოსავალი, რომელიც საქველმოქმედო საქმეს ხმარდება. უორჰოლის სახელის, მისი ნახატებისა და ფოტოსურათების გამოსახულების სალიცენზიო ხელშეკრულებათა რაოდენობა 40-ს აღწევს. გარდა ამისა, მხატვრის შემოსავალზე შარშან დიდი გავლენა მოახდინა კომპანიებმა „ბრითიშ

30 წლის წინ დაღუპული ნარკომანი მომღერალი ჯიმი ჰენდრიქსი შემოსავლით ოდნავ ჩამორჩება მშვენიერ სპორტულ ფორმაში მყოფ ჩოგბურთელ მარტინა ჰინგისს

ეირვეიზ“ და „დაიმლერ-კრაისლერმა“, რომლებმაც თავიანთ სარეკლამო რგოლებში უორჰოლის ორეულები გამოიყენეს.

„ფორბსის“ სიაში მხატვარმა მე-7 ადგილი დაიკავა: მისმა შემოსავალმა შარშან 8 მლნ დოლარს მიაღწია, რაც მხოლოდ 1 მლნ-ით ჩამოუვარდება ცოცხალი კლაუდია შიფერის მონაგარს.

ჯონ რონალდ რუელ ტოლკინი (1892-1973)

ე.წ. ფენთეზის ლიტერატურული ჟანრის კლასიკოსი ყველაზე შეძლებულ მიცვალებულთა ნუსხაში შეიძლება პირველიც ყოფილიყო, 1969 წელს რომ

არ მიეყიდა თავის ნაწარმოებთა ეკრანიზაციის უფლება ამერიკული კინოკომპანია „იუნაიტედ არტისტისთვის“.

ამ სიაში ტოლკინის გამოჩენა კი, სხვა კონტრაქტს უკავშირდება: ავანსისა და სტანდარტული საავტორო 15%-ის ნაცვლად, ტოლკინმა ნაწარმოებებისგან მიღებული ყველა შემოსავლის ნახევარი მოითხოვა. ამრიგად, ათეული წლების წინ დაწერილ წიგნებს, რომელიც გამოსვლისთანავე ბესტსელერებად იქცევა ხოლმე, დღესაც მოაქვს შემოსავალი გარდაცვლილი ავტორისთვის. საინტერესოა, რომ, მაგალითად, ბრიტანეთში, სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, ტოლკინის წიგნების პოპულარობა ბიბლიას აჭარბებს. ამიტომ, არ არის გასაკვირი, რომ მისი შემოსავალი – 7 მლნ დოლარი, ცნობილი ტოპ-მოდელის – სინდი კროუფორდისას აღემატება (6,3 მლნ).

ფრენკ სინატრა (1915-1998)

ენდი უორჰოლისა და ელვის პრესლისგან განსხვავებით, ფრენკ სინატრას გამოსახულება არასოდეს გამოუყენებიათ რეკლამაში. სამაგიეროდ, მის მიერ შესრულებული სიმღერები ხშირად დაჰყვება ფონად სარეკლამო რგოლებს. ამის შედეგად, 2000 წელს მისმა შემოსავალმა 6 მლნ დოლარს მიაღწია – ზუსტად იმდენს, რამდენიც ამერიკელმა ჩოგბურთელმა ქალმა ლინსი დევენპორტმა გამოიმუშავა.

ნარკოგიკებისგან დაღუპული იამაიკელი მუსიკოსი ბობ მარლი შესანიშნავ წყვილს შექმნიდა თანამედროვე ჩოგბურთის სექს-სიმბოლო ანა კურნიკოვასთან ერთად, ორივემ 10-10 მილიონი გაახერხეს

რაკი სინატრას სიკვდილის შემდგომი ალბომი 2001 წლის „გრემის“ პრესტიჟულ პრემიაზეა წარდგენილი, სავარაუდოა, რომ ლეგენდარული მუსიკოსის შემოსავალი წელს გაიზრდება.

ჯერი გარსია (1942-1995)

ჯგუფის – GRATEFUL DEAD („მადლიერი მიცვალებულები“) წევრი „ფორბსის“ ნუსხაში ძირითადად, იმ შემოსავლების წყალობით მოხვდა, რომელიც უამრავი სუვენირის გაყიდვის ამონაგებით გროვდება. ფეხბურთის მაისურებისა თუ ბიუსტჰალტერების რეალიზაციით შემოსულმა თანხამ შარშან ჯგუფს 30 მლნ დოლარი მოუტანა, აქედან გარსიას წილად 5 მლნ მოდის, რაც, როგორც ჟურნალი აღნიშნავს, ყველაზე ძვირად ღირებული კულინარის – ფრანგი ალენ დიუკასის მონაგარს უტოლდება.

ჯით ჰარინგი (1958-1990)

თავისი კარიერა ჰარინგმა ნიუ-იორკის მიწისქვეშა გადასასვლელების მოხატვით დაიწყო. უბრალო ფიგურებმა და ჭყეტელა ფერებმა მალე მოუტანა მას აღიარება. თავდაპირველად ის უარს ამბობდა სალიცენზიო ხელშეკრულებების დადებაზე, ამიტომ მის რეპროდუქციებს სუვენირებზე ვერ შეხვდებოდით. მერე მისმა მასწავლებელმა ენდი უორჰოლმა დაარწმუნა, რომ ნაშრომისთვის ფულის აღება სულაც არ არის სამარცხვინო. კითის ქმნილებებმა – მხატვრული ბარათების, ბლოკნოტების ყდების, კონვერტების ორნამენტების, მაისურებისა და უამრავი სხვა სახით, ქვეყანა აავსო. ჰარინგის სიკვდილიდან მოყოლებული, ყველა მისი შემოსავალი საქველმოქმედო მიზნებს ხმარდება, მათ შორის უმთავრესი – შიდსით დაავადებულთა დახმარებისთვის არის გათვალისწინებული (სწორედ ამ დაავადებისგან დაიღუპა მხატვარი).

შარშან ჰარინგმა 4 მლნ-ზე მეტი „გამოიმუშავა“ – ე.ი. იმაზე მეტი, რაც ექსპრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ-უფროსმა და მისმა ცოლმა ბარბარამ, რომელთა შემოსავალი იმავე „ფორბსის“ მონაცემებით, ზუსტად 4 მლნ-ს შეადგენს.

მერილინ მონრო (1926-1962)

მონროს დაღუპვის შემდეგ მის ბინაში 3,5 დოლარი იპოვეს. ახლა ის მილიონებს „შოულობს“ – ხმით, სახელითა და გარეგნობით: ყველაფერ ამას მსოფლიოს წამყვანი კორპორაციები – „დაიმლერ-კრაისლერი“, „გეითევეი კომპიუტერს“, „შანელი“ და „ლევისი“ იყენებენ. მისი პორტრეტები ამშვენებს ლას-ვეგასის 2 ათას სათამაშო ავტომატს, კალიფორნიაში კი, „მერილინ მონროს“ დასახელების ღვინოსაც კი აწარმოებენ.



ენდი უორჰოლის სიკვდილიდან არც ისე დიდი დროა გასული, მაგრამ ის თითქმის დაეწია საღსალამათ კლაუდია შიფერს რომელიც აგერ უკვე 20 წელიწადია წარმატებით ვაჭრობს საკუთარი სხეულით

ორი წლის წინ ვარსკვლავის პირადი ნივთების აუქციონმა 13,4 მლნ დოლარი მოიტანა. თუმცა, მას შემდეგ მონროს შემოსავლები შემცირდა: შარშან გამომუშავებული 4 მლნ-ით ის „ფორბსის“ სიაში ბოლოსწინა ადგილზეა. მიუხედავად ამისა, მაინც სჯობნის ცნობილ ამერიკელ კომიკოს მსახიობს ბილ ქოსბის (3 მლნ).

ჯეიმს დინი (1931-1955)

გარდაცვალებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ ჯეიმს დინი გაცილებით მეტს „ღებულობს“, ვიდრე სიცოცხლეში. თავის დროის მსახიობთა დარად, დინი ხელფასს სჯერდებოდა და არ იღებდა ჰონორარებს მისი მონაწილეობით გადაღებული ფილმებისთვის. ახლა მის სახელს მოხერხებულად იყენებენ სარეკლამო მიზნით: მის სახეს საათებზე, ჯინსებზე, მისალოც ბარათებზე შეხვდებით. შემოსავლის ასათვისებლად, მისმა მემკვიდრემ – დეიდაშვილმა მარკუს უინსლოუმ სპეციალური კომპანია „ჯეიმს დინ ინკ“-იც კი შექმნა; შარშან მან 3 მლნ დოლარი გამოიმუშავა (ლომის წილი იაპონიასა და დასავლეთ ევროპაზე მოდის, სადაც მსახიობი განსაკუთრებით პოპულარულია) – ეს კი 200.000-ჯერ აღემატება ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწერალი ქალის მაია ანგელას შემოსავალს. ■



ჰოლივუდის ყიდევ ერთი

დღესდღეობით ქეით ჰადსონი ჰოლივუდში ყველაზე „ცხელ“ და პოპულარულ მსახიობად ითვლება. მან წარმატებას მყისიერად მიაღწია, როგორც კი ფილმში „თითქმის სახელგანთქმულნი“ როკ-მუსიკის ფანატის როლი შეასრულა, რომელიც საყვარელ ჯგუფს ქალაქიდან ქალაქში დაჰყვება. ამ სურათში შესრულებული როლისთვის ქეითმა ამერიკის რადიოსა და ტელევიზიის კინოკრიტიკოსთა ასოციაციის პრემია — „ოქროს გლობუსი“ მიიღო და „ოსკარის“ ნომინაციაზეც წარადგინეს.

საძაგელი გოგონა

ქეით ჰადსონი

სამსახიობო კარიერის წარმატების დაწყების დასტურად იმის თქმაც კმარა, რომ ცნობილმა რეჟისორმა რობერტ ოლტმენმა ქეითი თავის ფილმში — „ექიმი ტი და მისი ქალები“ გადაიღო. ქეითმა ამ ფილმში რიჩარდ გირის გმირის ქალიშვილი განასახიერა.

მართალია, სურათმა სათანადო აღიარება ვერ პოვა, მაგრამ ქეით ჰადსონმა ამ როლის შემდეგ ნამდვილად მოიხვეჭა სახელი.

პირველ წარმატებასთან ერთად, პირველმა სკანდალმაც არ დააყოვნა: ქეითმა ტელეინტერვიუში განაცხადა, რომ მარიხუანას ეწევა და მსუბუქი ნარკოტიკების მოხმარებაში საშიშს ვერაფერს ხედავს.

22 წლის მსახიობი უპასუხისმგებლობაში დაადანაშაულეს — მან კი განაცხადა, რომ ეს ტყუილსა და ფარისევლობას ნამდვილად სჯობს. მას უთხრეს, რომ თავისი ქცევით ახალგაზრდობის გარყვნას უწყობს ხელს. მსახიობმა უპასუხა: ორმაგი მორალით ცხოვრება ბევრად უფრო გამრყვნელიაო და როცა ჰკითხეს — რას ფიქრობენ მისი მშობლები და ქმარი, არც ამჯერად დაუყოვნებია პასუხი: ჩემს აზრებს იზიარებენო.

ამ შემთხვევის შემდეგ ქეითმა „იმედის მომცემ მსახიობთა“ კატეგორიიდან „დეკადენტ-მსახიობთა“ კატეგორიაში გადაინაცვლა. ჰოლივუდელმა ჟურნალისტებმა მისი მსოფლმხედველობა იმით ახსნეს, რომ უმამოდ გაიზარდა და რთული ბავშვობა ჰქონდა. თვით ქეითი კი მათ არ ეთანხმება: მას მიაჩნია, რომ შესანიშნავი ბავშვობა ჰქონდა, მამა კი, ერთის ნაცვლად, ორი ჰყავდა, უფრო სწორად — მამა და მამინაცვალი. თუმცა, მამინაცვალსაც ვერ დაარქმევ კაცს, რომელსაც დედამისთან ხელი მოწერილი არასდროს ჰქონია.

ქეითის დედა 70-80-იანი წლების ცნობილი კომედიური ვარსკვლავი გოლდი ჰოუნია. ის ორჯერ იყო დაქორწინებული — ჯერ რეჟისორ გეზ ტრიკონისის ცოლი იყო, შემდეგ კი — მუსიკოს ბილ ჰადსონის. სწორედ ამ მეორე ქორწინებიდან შეეძინა ორი შვილი — ვაჟი ოლივერი და ქალიშვილი ქეითი.

ბილ ჰადსონი თავის დროზე ვერაფრით შეურიგდა იმას, რომ ცოლი გაცილებით მეტ ფულს შოულობდა. ისინი დაშორდნენ და მოილაპარაკეს, რომ გოლდი ბილს მთელ უძრავ ქონებას დაუთმობდა, ჰადსონი კი, თავის მხრივ, შვილებში არ შეეცილებოდა.

ქეითი და ოლივერი ბავშვობიდანვე დაჰყვებოდნენ დედას გადასაღებ მოედნებზე. მათ სპეციალურად მიწვეული მასწავლებლები ამეცადინებდნენ, მთელ თავისუფალ დროს ბავშვები შოუბიზნესის სამყაროში ტრიალებდნენ. ქეითი სულ სამი წლის იყო, როცა დედამისი კურტ რასელს დაუახლოვდა. ჰოუნი მაშინ რასელთან ერთად ფილმში — „პარტნიორების ცვლა სვინგის რიტმში“ მონაწილეობდა. მალე კურტმა და გოლდიმ ერთად დაიწყეს ცხოვრება, თუმცა თავიანთი ურთიერთობა ოფიციალურად არ გაუფორმებიათ. გოლდის საოცრად ცუდი მოგონებები შემორჩა გაყრის სასამართლო პროცესებიდან, კურტი კი, საერთოდ, საკუთარი ცხოვრების წესით ნამდვილი ანარქისტია: ის თვლის, რომ მამაკაცები ბუნებით პოლიგამები არიან და ქორწინება ადამიანებს მხოლოდ ხასიათს უფუჭებს.

რაოდენ საოცრადაც არ უნდა მოეჩვენოს ვინმეს, გოლდი და კურტი დღემდე ერთად ცხოვრობენ და ოთხი ბავშვიც აღზარდეს: საერთო შვილი, ქეითი, ოლივერი და კურტის ვაჟი მისი პირველი ქორწინებიდან.

კურტი და გოლდი შვილებს, როგორც თანასწორებს, ისე ეპყრობოდნენ. აღზრდის მეთოდი საკმაოდ ლიბერალური იყო, მაგრამ ერთი პუნქტი ხელშეუხებელი გახლდათ: სრულწლოვანების მიღწევამდე ბავშვებს შოუბიზნესში მონაწილეობა ეკრძალებოდათ. კურტს 9 წლის ასაკიდან უხდებოდა ტელევიზიაში გადაღება და კარგად ახსოვდა, ამის წყალობით, როგორი რთული ბავშვობა გამოიარა.

5 წლის ასაკში ქეითმა გააცნობიერა, რომ მსახიობობა სურდა. 7 წლისა კი, გოგონა

საშინაო თეატრის პრიმადონად იქცა, სადაც რეჟისორი, მისი ძმა — ოლივერი იყო. 10 წლის ქეითმა დამოუკიდებლად, მშობლების დახმარების გარეშე, სამსახიობო ოსტატობის გაკვეთილებზე მეცადინეობა დაიწყო.

როცა ქეითი 16 წლის გახდა, გადაწყვიტა კურტისთვის დაემტკიცებინა, რომ უკვე ნამდვილი მსახიობი იყო. მშობლებისგან უჩუმრად ის ბოევიკის — „ლოს-ანჯელესიდან გაქცევა“ სინჯებზე წავიდა და აშშ-ის პრეზიდენტის ქალიშვილის როლი მიიღო. კურტმა სათანადოდ შეაფასა გერის ნიჭი და მონაცემები, მაგრამ გადაღების ნება მაინც არ დართო — გოგონას ჯერ სკოლა უნდა დაემთავრებინა. რასელს გოლდიც დაეთანხმა.

ქეითი მცირე ხნით განაწყენდა, მაგრამ გავიდა ორიოდე წელიც, ის ზრდასრული და დამოუკიდებელი გახდა. როგორც კი 18 წელი შეუსრულდა, გოგონამ აქტიურად დაიწყო სინჯებზე სიარული და მცირებიუჯეტიან ფილმებშიც ითამაშა რამდენიმე როლი: „უდაბნოს სევდა“ — 1998 წელი, „200 სიგარეტი“ — 1998 წელი, „ჭორი“ — 1999 წელი და ბოლოს, 2000 წელს გამოჩნდა ფილმი — „თითქმის სახელგანთქმულნი.“

როცა ამ ფილმის რეჟისორი კემერონ ქროუ ქეითს შეხვდა, ყველა როლი უკვე განაწილებული იყო, მაგრამ ქეითი ისეთი ენთუზიაზმით საუბრობდა სცენარის შესახებ, რომ რეჟისორმა მისი დავიწყება ვერ მოახერხა. შემდეგ, უეცრად, ფილმის გმირის დის პატარა როლი შესთავაზა. გოგონა სიამოვნებით დათანხმდა, კონტრაქტს ხელი მოაწერა და სამუშაოსთვის მოემზადა.

გადაღებების დაწყებამდე ორი დღით ადრე მას რეჟისორმა დაურეკა.

„შიგნიდან თითქოს ელვამ დამიარა, — იხსენებს ქეითი. — კემერონს ნაღვლიანი ხმა ჰქონდა და ვიფიქრე, ალბათ პროექტი დახურეს-მეთქი. მან მაუწყა, რომ მთავარი როლის შემსრულებელი სარა პოლი გადაღებებში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. მე ველოდი, რომ მეტყოდა: „მაპატიე, ფილმს ველარ გადავიღებთ“. მან კი მითხრა: „შენ არ შეგიძლია, ის შეცვალო?“ თავიდან ვიფიქრე, რომ მომესმა. ვერ ვიჯერებდი, რომ მთავარი როლის შესრულება მომიწევდა, სანამ გადასაღებ მოედანზე არ აღმოვჩნდი“.

„მე ქეითში მონათესავე სული აღმოვაჩინე, — ამბობს კემერონ ქროუ.“ — მას შეუძლია ნამდვილი მუსიკის, ნამდვილი მეგობრობის და ნამდვილი კინოს დაფასება“.

სხვათა შორის, კემერონ ქროუ ახალგაზრდობაში როკ-ჟურნალისტი იყო და „თითქმის სახელგანთქმული“ მან ავტობიოგრაფიულ ფილმად ჩაიფიქრა, ის მისი ახალგაზრდობის მოგონებებს ემყარება და 70-იან წლების ყმაწვილზე მოგვითხრობს, რომელიც ჟურნალ ROLLING STONES-ის კორესპონდენტი გახდა და ჯგუფს ქვეყნიდან ქვეყანაში საგასტროლო ტურნეში თან დაჰყვებოდა.

ჰადსონის მიერ განსახიერებულ გმირს პენი ლეინი ჰქვია, ის საყვარელ ჯგუფზე თავგადადებული ფანატი გოგონაა და ისიც ჯგუფთან ერთად მოგზაურობს. ქეითისთვის ადვილი არ იყო მისგან სრულიად განსხვავებული ხასიათის მქონე გმირის გასახიერება, თუმცა ქეითს და პენი ლეინს ერთი დიდი რამ მაინც აქვთ საერთო — ორივეს ძალიან უყვარს მუსიკა. მუსიკის სიყვარული და როკის შესახებ შექმნილი ფილმი ქეითის პირად ცხოვრებაზეც აისახა: პრემიერიდან სულ მცირე დროში ის ჯგუფ BLACK CROWES-ის როკ-მუსიკოსის კრის რობინსონის ცოლი გახდა.

90-იანი წლების ბოლოს, ქეითი ბობოქარი ცხოვრებით ცხოვრობდა: ღამეებს ახალგაზრდულ კლუბებში ატარებდა, ხვდებოდა მუსიკოსსა და მომღერალს ლენი კრავიტცს, სერიალ „მეგობრების“ მსახიობს მეტ ლებლანკს და შოუბიზნესის სამყაროს სხვა აქტიურ წარმომადგენლებს, მაგრამ 1999 წლის ბოლოს, ფილმის — „თითქმის სახელგანთქმულნი“ გადაღებების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, მან რობინსონი გაიცნო და ყველა დანარჩენი თაყვანისმცემელი მაშინვე დაივიწყა. 2000 წლის შობაზე კი კრისი და ქეითი დაქორწინდნენ.

ქორწილის ცერემონია საზეიმო იყო და XIX საუკუნის დასაწყისის ტრადიციებისა და კოსტიუმების სრული დაცვით წარიმართა.

ქორწილის გოტიკური სტილი ქეითმა ბოჰემური პირადი ცხოვრებით შეცვალა.

ნიუ-იორკის ბინა, სადაც ქეითი და კრისი ცხოვრობენ, როკ-ვარსკვლავის ტიპური საცხოვრებელია. კედლები წითლად არის შეღებილი, გარეული ცხოველების ფიტულებით და თავის ქალებით მორთული; იატაკზე უწესრიგოდ ყრია წიგნები, კომპაქტდისკები და ვიდეოკასეტები. საძინებლის კარზე წარწერაა: „აქ ეწევიან!“ იგულისხმება — „ეწევიან მარიხუანას“. ქეითი და კრისი იშვიათად ათევენ ღამეს სახლში — დროს ისინი, როგორც წესი, ახალგაზრდულ კლუბებში ატარებენ.

ნიუ-იორკში რამდენიმეკვირიანი უზრუნველი ცხოვრების შემდეგ, ქეითი სამუშაოდ ლოს-ანჯელესში მიემგზავრება. გადაღებების დროს, ცხოვრების მკაცრ სტილს ირჩევს: დასაძინებლად ადრე წვება, დილით ადრე დგება, მხოლოდ ჯანსაღ პროდუქტებს მიირთმევს, გადაღების შემდეგ კი დროს, აუზსა და სატრენაჟორო დარბაზში ატარებს.

„გაორებას ვგრძნობ, — ამბობს ქეითი. — თითქოს ჩემს სულში ორი ადამიანი ცხოვრობს... თუმცა ასეთი შიზოფრენია მომწონს!“ ■

დასაწყისი იხ. „გზა“ №22-30

ნიკო აშკარელი

ბელისწერა

იმ მოღრუბლულ დილას ყველაფერი ერთბაშად აირია. მოსახლეობა პანიკაში იყო და ქალაქს ტოვებდა. ქუჩებში შიში დაძრწოდა. ჯერ კიდევ დაუცემელ სოხუმს იმ დღეს კარგა ხნის დაცემულად და ჩაბარებულად მიიჩნევდნენ. ქალაქის დაცვისათვის ჩაყენებული სამხედრო ნაწილების ჯარისკაცები ლამის მოქალაქეებს ასწრებდნენ გაქცევას.

ქაოსს მალე სროლების, აფეთქებების ხმა, შემდეგ კი ცეცხლი და ნგრევა მოჰყვა.

გიგია ამ სურათს ერთ-ერთი დანგრეული შენობის სხვენიდან უყურებდა. ქუჩები ელვის სისწრაფით დაიცალა. უცებ რამდენიმე ქართველი მებრძოლი გამოჩნდა, ისინი სწრაფად იხევდნენ უკან, შიგადაშიგ შებრუნდებოდნენ და დადევნებულ აფხაზ ბოევიკებს ავტომატის ჯერს უშენდნენ. გიგიას ადგილსამყოფელს ჩაურბინეს. გიგიამ ერთ-ერთ მათგანში დათო მეზვრიშვილი ამოიცნო.

გიგიას უნდოდა ეყვირა, რომ უკან დახეულები გზიდან გადასულიყვნენ, რადგან ასე, პირდაპირ სამიზნეებად იყვნენ ქცეულნი, მაგრამ არემარეს მოავლო თვალი, ჩანაფიქრის უაზრობაში დარწმუნდა და ჩუმად ჯდომა ამჯობინა. უეცრად დათომ წაიფორთხილა, ავტომატი ხელიდან გაუვარდა, ფეხზე იტაცა ხელი და დაეცა. მის ამხანაგებს წაქცეული არ დაუნახავთ. დათო შუა გზაზე იწვა და ორივე ხელი სისხლიან ფეხზე ჰქონდა შემოჭერილი.

— შე ტრიპერო,შენა! — გადააფურთხა გიგიამ და სახურავიდან დაეშვა. რამდენიმე ნახტომში მიწაზე აღმოჩნდა. ქუჩა გადაირბინა და დათოს შორიახლოს კედელთან ჩაიმუხლა.

— დათო! — შეუძახა.

დათომ თავი გიგიასკენ შეაბრუნა. მისი თვალები ტანჯვასა და სასოწარკვეთას გამოხატავდა.

— გამაგრდი! ნუ გეშინია! გზიდან გადადი! — აჩვენა, საითაც უნდა წასულიყო.

თვითონ გიგია ერთბაშად გამოვარდა შუა გზაზე და ავტომატის ჯერი მისკენ მომავალი ბოევიკებისაკენ მიუშვა. გულმოცემული დათო გიგიას უკან აღმოჩნდა და ქუჩის მეორე მხარეს გადაბობღდა.

გიგიამ სწრაფად მიირბინა დათოსთან. წამოაყენა. მხარში შედგომა სცადა.

— გიგი, ნელა, მოიცა... ფეხი... — დათო ფეხს უძლურად მიათრევდა.

— გამაგრდი, გამაგრდი! — არ მიაქცია ყურადღება დათოს კვნესას გიგიამ და უახლოესი სახლის კედლამდე გადაათრია.

— დაგვეწევიან, გამიშვი, ვერ მოვდივარ... — აკვნესდა დათო.

— ვერ დაგვეწევიან. ნუ გეშინია. მომყევი, ჩვენ სხვა გზით წავალთ. დროზე! — ამხნევებდა გიგია დათოს.

კიდევ რამდენიმე ნაბიჯი ათრია. კედელს მოაფარა და დააწვინა.

— დათო, მისმინე, აი, აქედან აქამდე შენი სროლის სექტორია, — მიუთითა ხელით გიგიამ. — ამ სექტორს მიხედე, დანარჩენი მე ვიცი. თუ შეძლებ, აი, იმ სახლამდე მიხოხდი. შენს სექტორში თუ ვინმე დაინახო — დასცხე... ჩვენებისაკენ არ გახოხდე... გაიგე? ყველაფერი ღიად ჩანს და უეჭველად მიგასაკლავებენ. დანარჩენი მე ვიცი, გაიგე?

— გავიგე, გავიგე! — დათო სიმწრისგან ტუჩებს იკვნეტდა, მაგრამ იმის ხაზგასასმელად, რომ მოქმედებისთვის მზად იყო, მოხერხებულად წამოჯდა. ავტომატი სასროლად მოიმარჯვა და იმედიანად თქვა: — იქამდე მივხოხდები.

— ყოჩაღ, — მოუწონა გიგიამ, — ახლა ათი-თხუთმეტი წუთი მარტო იქნები, ეცადე, არავინ შეგამჩნიოს, მე იქ მოვალ. ნუ გეშინია.

გიგია სამალავიდან გამოვარდა და მოახლოებული ბოევიკებისკენ მოკლე გადარბენებით გაემართა.

დათომ თვალი გააყოლა. გიგია ლაღად ეთამაშებოდა სიკვდილს. ახლა დათოს სიცოცხლე გიგიას სიცოცხლეზე იყო დამოკიდებული, გიგია კი ბეწვის ხიდზე გადიოდა. დათომ შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და მითითებული ადგილისკენ გახოხდა.

ბოევიკები გიგიას გამოედევნნენ. შეტევის ტალღა დათოს ასცდა. პირველმა საფრთხემ ჩაიარა. დათო მოწინააღმდეგის ზურგში აღმოჩნდა...

ბოლოს და ბოლოს, გიგიას მიერ მითითებულ სახლამდე მიხოხდა და საიმედო სამალავი დაიკავა. ფეხი საშინლად სტკიოდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო — უნდა მოეთმინა და ადგილმდებარეობის თვალთვალი განეგრძო.

უცებ ენიშნა, რომ სახლში, რომლის ახლოსაც დათოს სამალავ-სათვალთვალო პუნქტი ჰქონდა მოწყობილი, ვიღაც იყო. მალე დარწმუნდა კიდეც ამაში.

ორსართულიანი სახლის მეორე სართულის კარი ხმაურით გაიღო. ავტომატით შეიარაღებული სამი წვეროსანი ჩეჩენი თუ აფხაზი სახლიდან ქართველებს ერეკებოდა. ისინი ოთხნი იყვნენ — ორი ქალი და ბავშვები, გოგონა და ბიჭი. ბანზე გამოყრილმა ქალებმა წივილ-კივილი ატეხეს. ახალგაზრდა ქალი უკან, ოთახში შებრუნებას ცდილობდა, ხანში შესული კი ჯოხს უღერებდა ყაჩაღებს და მედგარ წინააღმდეგობას უწევდა. ათიოდე წლის გოგონა ტიროდა და დედას ეკვროდა. მასზე ოდნავ უფროსი ბიჭი კი თვალებგაფაც-

იცებული იყურებოდა აქეთ-იქით და არ იცოდა, რა მოემოქმედა.

ერთ-ერთმა ყაჩაღმა თმაში ჩაავლო ქალს ხელი და გამოთრევა სცადა.

უცებ ბიჭუნა ადგილს მოსწყდა და მოაჯირს მკვირცხლად გადაახტა. ერთ-ერთი აფხაზი ყვირილით გამოედევნა, მაგრამ ვეღარ დაიჭირა. ბიჭმა მეორე სართულიდან პირდაპირ ეზოში ისკუპა. ყაჩაღი მოაჯირს მიადგა, ავტომატი შეაყენა და გაისროლა. ბიჭი მოწყვეტით დაეცა მწვანე ბალახზე.

ქალებმა წამიერად შეწყვიტეს კივილი. ბავშვის დედამ ყურებზე ხელი აიფარა და მოაჯირისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. მისმა საზარელმა კივილმა სივრცე გააპო, მკვეთრად შებრუნდა ყაჩაღებისკენ და ფრჩხილებით ჩააფრინდა სახეში ერთერთს. ავტომატის ტყვიებით დაცხრილული მისი სხეული უსულოდ დაეცა ბანზე, მერე ჯერი გაავებულმა აფხაზმა დედაბერზეც მიუშვა.

ყაჩაღებმა ჯერ ახალგაზრდა ქალის გვამი ჩამოათრიეს კიბეზე და ეზოში დააგდეს, მერე მოხუცებულის. შემდეგ მეორე სართულზე ავიდნენ, თვალსა და ხელს შუა აორთქლებული გოგონა აღარც გახსენებიათ.

დათოს ფართოდ გახელილი თვალებიდან ცრემლი სდიოდა. აღარაფერი ესმოდა და საზარელი სიზმარივით უყურებდა ყოველივეს. ჩუმად, გაუნძრევლად იჯდა და ვეღარაფერზე ფიქრობდა. აღარც დამალვას ცდილობდა და აღარც რაიმე მოქმედება შეეძლო.

ეზოში, ხეს ამოფარებულ და აკანკალებულ გოგონას უცებ წელში მოხრილი ფიგურა მიუახლოვდა, ბავშვი თოჯინასავით აიტაცა, პირზე ხელი ააფარა და დათოს სამალავისკენ წავიდა.

დათომ მოახლოებული გიგია იცნო.

დაღამებამდე ჩუმად ისხდნენ. გამარჯვებულთა სროლებისა და სიმღერის ხმამ ხელი შეუწყოთ, სამშვიდობოს რომ გასულიყვნენ.

მთელი ღამის განმავლობაში ტკივილი ტანჯავდა დათოს — გამთენიისას ჩაეძინა. მალევე საკუთარმა კვნესამ გააღვიძა. მის საწოლთან გიგია იჯდა, ავტომატს წმენდდა და დროდადრო ერთ ღამეში გაჭაღარავებულ დათოს დასცქეროდა.

— სად მომიყვანე, სადა ვარ, გიგი? — ჰკითხა დათომ.

— ერთი ჩემი ნაცნობის ოჯახში. ნუ გეშინია, — მშვიდად უპასუხა გიგიამ.

— აფხაზები არიან?

— ჰო, — თავი დაუქნია გიგიამ.

— თავი უკვე მკვდარი მეგონა, — შეეცადა გაღიმებას დათო.

— შანსი ყოველთვის არის...

სიჩუმე ჩამოვარდა.

— არ გეწყინოს, — ენის ბორძიკით განაგრძო დათომ... — შენზე ამბობდნენ, საქართველოს უღალატაო... რატომ გადამარჩინე?

— მე არავისთვის მიღალატია, — მშვიდად უპასუხა გიგიამ.

— გიგი... ჩემი გულისთვის თავი საფრთხეში ჩაიგდე...

— დათო, მე ახლა უნდა წავიდე, — შეაწყვეტინა გიგიამ — შენ აქედან ჩრდილოეთისკენ, ადლერში გაგიყვანენ.

— ის გოგონა?

— იმ გოგონას ცისია ჰქვია, ამათთან დარჩება, იმდენ ხანს მიხედავენ, რამდენიც საჭირო იქნება, მერე კი ნათესავებთან, თბილისში გაამგზავრებენ.

— გიგი...

— ჰო, — უპასუხა გიგიამ და ყურადღებით შეხედა.

— მე შენთან დამნაშავე ვარ... თუმცა, მერე გეტყვი... თუ გადავრჩი...

— გადარჩები, ნუ გეშინია, — გიგიამ ხელი მხარზე დაადო, — მაგრად იყავი. ომში აღარ დაბრუნდე... ომს სწავლა უნდა... მე... მე კი ამ ომში, თვითონ ომს ვებრძვი... — სიჩუმე ჩამოწვა, გვერდით ოთახიდან აფხაზური საუბარი ისმოდა — აბა, შენ იცი...

გიგიამ და დათომ მაგრად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს. გიგია ოთახიდან გავიდა. დათო საწოლიდან წამოდგა, გაჭირვებით მივიდა ფანჯარასთან, მაგრამ გიგიას თვალი ვეღარსად მოჰკრა.

დათოს წასაყვანად ოჯახის პატრონის ვაჟი შუადღისას მანქანით მივიდა. მძღოლს სამხედრო კომუფლირებული ფორმა ეცვა. დათოს ოჯახის უფროსი და მისი ქალიშვილი მხარში ამოუდგნენ, ეზოში გამოიყვანეს და მანქანაში ჩასვეს.

სამხედროფორმიანმა აფხაზურად მიმართა მამას.

— ხვალამდე არ მელოდოთ, მამა, გავიყვან სტუმარს და ღამით იქ დავრჩები. დილით გამოვბრუნდები უკან.

— ხომ არ გამოგყოლოდი, შვილო? — ფრთხილად შეეკითხა აფხაზი.

— ნუ შეწუხდები. საშიში არაფერია, ისე გავიყვან, ეჭვს ვერავინ აიღებს.

— შენ იცი, შვილო, არ შევრცხვეთ!

დათოს აფხაზური საუბარი არ ესმოდა. მანქანის უკანა სკამზე დაჯდა. დაჭრილი ფეხი გაისწორა და მოხუცებულ აფხაზს ქართულად მიმართა. უფროსმა იცოდა ქართული, მისი შვილები კი აფხაზურად და რუსულად მეტყველებდნენ.

— ბოდიში, ბატონო, თქვენ საიდან იცნობთ... ჩემს მეგობარს?

— არ ვიცნობთ, შვილო, — უპასუხა ჩაფიქრებულმა აფხაზმა — სამი თვის წინ პირველად ვნახე, ბანდიტები რომ შემოვიდნენ სოფელში... მაშინ ჩვენი მებრძოლები ჯერ კიდევ არ იყვნენ აქ. მან ჩემი ოჯახი უეჭველ სიკვდილს და... — მოხუცმა თბილად შეხედა თავის ქალიშვილს, — სირცხვილს გადაარჩინა.

ქალიშვილი გაწითლდა და თავი დახარა.

— ის მათთან ერთად იყო? — იკითხა დათომ.

— მე მგონი, არა. ამაზე ახლაც ვფიქრობ. — ყოყმანით თქვა კაცმა, — უფრო, არა. ის მერე საიდანღაც გამოჩნდა. ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, მანამდეც ხომ არ იყო ჩემს სახლში-მეთქი, როგორც მფარველი ანგელოზი. — მოხუცმა კიდევ ერთხელ შეხედა ქალიშვილს.

— ვიჩქაროთ! — რუსულად ჩაერია საუბარში ახალგაზრდა აფხაზი, — ის ნამდვილი ვაჟკაცია. მეც მიომია და შემხვედრია ასეთი ბიჭები თქვენებიდან. ასეთები თქვენებშიც და ჩვენებშიც არიან.

— ჰო. — თავი დაუქნია დათომ.

— კარგი, წავედით! — თქვა ახალგაზრდა აფხაზმა.

მანქანა ეზოდან გამოვიდა და ჩრდილოეთისაკენ აიღო გეზი.

— ის მაშინ ჩემს ოჯახს დაეხმარა. კიდევ სამი თუ ოთხი აფხაზური ოჯახი გამოიყვანა, პირდაპირ ჩვენს ბანაკამდე მოიყვანა, თვითონ კი არ გამოჩენილა. მე ახლა მას სულ მეორეჯერ ვხედავ. მისი არც სახელი ვიცით და არც გვარი, — დაიწყო საუბარი აფხაზმა.

— გიორგი ამირანაშვილია, — უთხრა დათომ.

— ჰო, — თავი დაუქნია აფხაზმა. — მისმინე, ძმაო. ჩვენ ახლა მთელი აფხაზეთი უნდა გავიაროთ, ადლერამდე. თუ ტკივილი შეგაწუხებს, მითხარი და ნემსს გაგიკეთებ, მაგრამ არსად, არავისთან ერთი სიტყვაც არ უნდა წამოგცდეს, გამიგე? ასეა საჭირო!

ტყეში, აფხაზების სამხედრო ბანაკში აფეთქების ხმა გაისმა. ჯერ ერთი ჯავშნიანი მანქანა აფეთქდა, მერე — მეორე. აფეთქებამ მთელი ბანაკი შეაზანზარა. მანქანებს ცეცხლი ეკიდა. ბანაკი ერთბაშად აიშალა და ცეცხლის ფონზე

ჯარისკაცების ლანდებმა იწყეს სირბილი.

კარვიდან, რომელშიც შტაბი იყო განლაგებული, რუსი ოფიცერი ლანძღვა-გინებით გამოვარდა.

— რა ჯანდაბაა, რა ხდება?. ასმეთაურები — ჩემთან! ყარაულის უფროსი — სად არის?!

მასთან სირბილით მივარდა ორი აქოშინებული მეთაური.

— ამხანაგო მაიორო, ისევ ის იყო — ის შავი ქაჯი, ნიღბიანი, — მოახსენა ერთ-ერთმა რუსულად.

— ვინ ის? ვინ არის ეს „ის“? რა შავი ქაჯია, რა ჯანდაბაა?! — იყვირა მაიორმა. — სად არიან შენი გუშაგები?!

— აი, ერთი, ვინც დაინახა, როგორ გადარბოდა მანქანიდან მანქანამდე, დანარჩენები ჯერ არ ჩანან.

— რატომ არ ესროლა, თუ დაინახა?! რატომ არ ესროლა? — უყვირა მაიორმა იქვე მდგარ გუშაგს.

— ამხანაგო მაიორო!.. — თავი დაღუნა გუშაგმა, — ვერ მოვასწარი. დავინახე თუ არა, აფეთქების ხმა გაისმა.

— ოხ, შენი!.. აი თავხედი! — გადააფურთხა მაიორმა, — გუშაგების თვალწინ არ გინდა?! — ერთ წამს დაფიქრდა და თავი მოიქექა.

— რაო? მაშინვე იყო აფეთქება?! შორს არ არის, აქ არის, სადღაც ახლოს იქნება.

უცებ მაიორმა რაღაც მოიფიქრა. თითი მკერდზე მიაბჯინა მის წინ მდგომს და მკაცრად უბრძანა:

— კაპიტანო, ბანაკს მთელ პერიმეტრზე სასწრაფოდ შემოარტყით ალყა და გარედან შიგნით წამოდით, გაიგე?! — შეავიწროვეთ წრე, გესმის? ადრე როგორ ვერ მივხვდი... ის ბანაკშია, სადღაც აქ არის... გარეთ რომ ვეძებდით და წრეს ვაფართოებდით, მაშინ გვისხლტებოდა. ლოგიკის საპირისპიროდ იქცევა, მიხვდით? სხვა მხარეს მოძრაობს... ახლა ვეღარ წაგვივა! გაიგე?! წინ!

— გავიგე, ამხანაგო მაიორო, — თავი დაუკრა კაპიტანმა. — კაი ეშმაკი ჩანს.

კაპიტანი შებრუნდა და სირბილით გაეშურა ბრძანების შესასრულებლად.

მაიორმა დოინჯი შემოირტყა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ძაღლისშვილო, ახლა თუ ვერ დაგიჭირე, ერთ კვირაში ტექნიკის გარეშე დამტოვებ... აბა, ვნახოთ.

მაიორი შტაბისკენ გაემართა. უცებ, უფრო გუმანით იგრძნო, ვიდრე შეამჩნია, რომ სიბნელეში, მისგან მარჯვნივ, რაღაც ჩრდილმა გადაირბინა. პისტოლეტი იძრო და შესძახა:

— სდექ! ვინ არის?!

პასუხი ვერ მიიღო და ლანდს გამოედევნა. დიდხანს სდია. ტყეში საკმაოდ ღრმად შევიდა. შეჩერებისას ვეღარ ერკვეოდა, საით გარბოდა გაქცეული, ხმაური ხან წინიდან ესმოდა და ხანაც უკნიდან. მიხვდა, რომ მდგომარეობა მის საწინააღმდეგოდ შეცვლილიყო და ვიღაც ახლა მასზე ნადირობდა. შებრუნდა და უკან, ბანაკისკენ თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. აქოშინებულმა ძლივს მიაღწია ბანაკამდე, ტყის განაპირას შეჩერდა, ბანაკში მოგიზგიზე ცეცხლმა მისი სახე გაანათა და მდევარმა იცნო: რუსი მაიორი, მისი დიდი ხნის უნახავი მეგობარი — იგორ სედოვი იყო.

გიგიამ ავტომატის ლულა დაუშვა. მარცხენა ხელით ნიღაბი მოიხსნა და ჩაიჩურჩულა:

— იგორ?..

სიხარულმა სიფრთხილე დააკარგვინა, ხის ტოტი გასწია და იგორისკენ წავიდა.

ტოტების ხმაურზე იგორი სწრაფად შეტრიალდა. პისტოლეტიანი ხელი აღმართა და ჩახმახს გამოჰკრა.

— ი... გო... ო... ო...რ!

გიგიას ხმა და ტყვიის ზუზუნი ერთმანეთს შეერწყა. გიგიამ მკერდზე იტაცა ხელი და დაეცა.

იგორი შეცბა.

— გიგი? გიგი!!!

იგორი გიგიასკენ გაიქცა, გზად პისტოლეტი დააგდო, გიგიასთან ჩაიჩოქა და გადმოაბრუნა.

— გიგი! გიგი! ძმაო, ეს რა ჰქენი?! ბიჭო, რას შვრები, „ჯენაცვალე“, რას შვრები, „კაცო“, „ბიჩო“, გიგი!!! — მთელი ხმით ბღაოდა იგორი.

გიგიამ ძლივს გაახილა თვალი.

— ნელა... იგორ... მტკივა.

იგორმა მკერდზე ღილები შეუხსნა:

— ახლავე, ახლავე... ახლავე!

მათ გარშემო მებრძოლები შეიკრიბნენ.

— ჰა, რა ჰქენი, კომანდირ?! — ახლოს მივიდა ერთ-ერთი და ავტომატი წაჰკრა გიგიას. — მოკალი ეგ ძაღლიშვილი?!

გახევებულმა იგორმა ხელი აუკრა ავტომატზე.

— გაეთრიეთ აქედან, ნაძირალებო, გაეთრიეთ ყველა, მოშორდით!!! გიგი, მაპატიე, მეგობარო, ძმაო! ახლავე, გიგი, ახლავე!..

იგორი გამწარებული ბორგავდა.

— ბიჭებო, პრომიდოლი ან მორფი, დროზე! — შესძახა სასოწარკვეთილმა იგორმა უკანდახეულ და გაოცებულ მებრძოლებს.

ერთ-ერთმა ხელში შეაჩეჩა ერთჯერადი შპრიცი.

— ახლავე, გიგი, ახლავე, აღარ გეტკინება, გამაგრდი „ბიჩო“!

ნემსი მკლავში გაუკეთა. გიგიამ თვალები გაახილა.

— იგორ, არ დამტოვო!

— რას ამბობ, რას ჰქვია, დაგტოვო?! ძლივს გიპოვე, ბიჭო! ახლა ექიმს დავუძახებ. ნუ გეშინია, ბიჭებო, — შესძახა იგორმა, — ექიმი!

— გვიანია, იგორ!.. მორჩა... აღარაფერი მეშველება... დამელაპარაკე...

— რა გინდა, რა გითხრა, ძმაო?

— შენზე... ბიჭებზე... ნადიაზე... მომიყევი... რამე...

იგორმა გიგიას თავი კალთაში ჩაიდო. სიგარეტს მოუკიდა და ღრმა ნაფაზი დაარტყა.

— ბიჭები... მეც დიდი ხანია აღარ მინახავს. ვალოდია... ჯარიდან წავიდა... გალოთდა, ხომ იცი, როგორც ხდება ხოლმე... ბიჭო... გიგი!

— ჰო, — უღონოდ უპასუხა გიგიამ და მილულული თვალები გაახილა.

— მისმენ, ხომ?! — იგორმა თმაზე გადაუსვა ხელი გიგიას. — ანატოლი უკრაინის ჯარშია. მგონი, პოდპოლკოვნიკი უნდა იყოს. კიდევ ვისზე გითხრა?

— შენზე... ნადიაზე...

— ჩვენ რა გვიშავს, ქალ-ვაჟი გვყავს... შენ, ბიჭო, შენ როგორა ხარ?

— მალე... მამა გავხდები... ნინო ჩემი ცოლია... — ძლივს სუნთქავდა გიგია. — იგორ... მე უკვე...

— გიგი! გიგი! რას აკეთებ, ბიჭო, მე რას მიპირებ?! ღმერთო, ეს რა მიქენი?!

— შენი ბრალი... არ არის, იგორ... ბედისწერაა... ბედი მქონია ასეთი...

გიგიას თავი გადაუვარდა. ის აღარ სუნთქავდა.

იგორი მკერდზე დაემხო მეგობარს.

— გიგი! გიგი! ეს რა ჰქენი, გიგი!!! შენ მოგეკალი ნეტავი!!!

ჯგუფს წვერებიანი აფხაზი მეთაური შეუერთდა. შეგროვილ ხალხში გზა გაიკაფა და იგორს დაადგა თავზე.

— რას დაჰბღავიხარ ამ ღორს?

იგორმა ნელ-ნელა ასწია თავი.

— ვისზე ამბობ შენ მაგას?!

პასუხის გაცემა ვერავინ გაბედა.

იგორი წამოდგა. გიგია ხელში აიყვანა. ბანაკს ზურგი შეაქცია და წავიდა.



დილით ქართველების ბლოკპოსტზე ჩოჩქოლი ატყდა. მეთვალთვალემ ხიდის თავში უიარაღო სამხედრო შენიშნა. მას ხელით კაცის გვამი მოჰქონდა. ოფიცერმა მძიმე ნაბიჯით შუა ხიდს მიაღწია, გვამი დაასვენა და იქვე დადგა.

ხიდის მეორე მხარეს ქართველი მებრძოლები ინტერესით შეჰყურებდნენ მის ქმედებას.

ბლოკპოსტს ოთხი შეიარაღებული ქართველი გამოეყო და რუს ოფიცერთან შესახვედრად დაიძრა.

იგორი არ განძრეულა. ქართველებმა ის საგულდაგულოდ გაჩხრიკეს.

ერთ-ერთმა მებრძოლმა გიგიას ცხედარს დახედა.

— ჩვენი მკვდარია, ტო! გასძახე, საკაცე წამოიღონ.

საკაცე იგორსაც მიჰქონდა. ბლოკპოსტზე მათ ქართველი ოფიცერი შეეგება.

— ვინ ხართ? — ჰკითხა მან რუსულად იგორს.

— მე რუსეთის არმიის ოფიცერი ვარ — უპასუხა იგორმა.

— მერე?

— აქ ვმსახურობდი, მეგონა, ბანდიტებს ვებრძოდი...

ვიღაცამ გიგია იცნო და შეაწყვეტინა.

— ე, ე, ბატონო მაიორო, ეს ის არის, ჩვენ რომ გვიღალატა... ნაღდად ის არი... — კიდევ ერთხელ დახედა ცხედარს.

— გამოიტანეთ ზეწარი და გადააფარეთ! — ბრძანა ქართველმა მეთაურმა.

მაიორი იგორს მიუბრუნდა.

— იცნობ?

— ჩემი მეგობარია. ერთად ვიბრძოდით ავღანეთში.

— როგორ დაიღუპა, ვინ მოკლა?

— შემთხვევით, მე მოვკალი. ის ტექნიკას და საწყობებს გვიფეთქებდა, მარტო „მუშაობდა“.

— თქვენ გიფეთქებდათ? თქვენ გებრძოდათ? — გაიოცა ქართველმა.

— ღანდივით დაგვდევდა. გუშინ ღამით შევეჩეხეთ ერთმანეთს.

— ვაა!.. — თავი მოიქექა ქართველმა მაიორმა, — რას არ გაიგებს კაცი!..

— რა ვუყოთ? — იკითხა ერთ-ერთმა მებრძოლმა.

— გიგია ნამდვილი ვაჟკაცი იყო, — მიუხვდა იგორი, — მას უყვარდა თავისი ქვეყანა... ის ქართველებმა უნდა დაიტირონ... ამ სურათზე გიგიას მისამართი წერია, — გაუწოდა ავღანეთში გადაღებული სურათი — მალე მამა უნდა გამხდარიყო...

მათ ტელეჟურნალისტი გოგონა ოპერატორთან ერთად მიუახლოვდა.

— ბატონო კახა, შეიძლება გადავიღო? — იკითხა მან.

— რა ვიცი, გადაიღეთ, — თითქოს ყოყმანობსო, ისე თქვა ქართველმა მაიორმა.

ტელეჟურნალისტი იგორს მიუახლოვდა.

— ბატონო მაიორო, თქვენ, რუსეთის არმიის ოფიცერი, ახლახან გადმოხვედით იქითა მხრიდან...

— მე არავითარი მხარე არა ვარ ახლა, — უკმაყოფილოდ უპასუხა იგორმა.

— რა შეგიძლიათ თქვათ ამ კონფლიქტში რუსეთის არმიის როლის შესახებ ზოგადად და თქვენი როლის შესახებ, კერძოდ?

— მე მოვკალი ჩემი მეგობარი. აი, მთელი ჩემი როლი... — იგორის ხმაში სასოწარკვეთა ისმოდა.

— უფრო ზუსტად, თუ შეიძლება? — ჩაეძია ჟურნალისტი.

— ამაზე ზუსტად რაღა გითხრა, გოგონა?! ჩვენ ერთად ვიბრძოდით ავღანეთში, ერთმანეთს ვიცავდით და ვეფარებოდით. ახლა სხვადასხვა მხარეს აღმოვჩნდით... მან პირველმა დამიმიზნა, მაგრამ არ მესროლა... მე კი, ჩახმახს გამოვკარი...

— რას თხოულობს თქვენი მხარე დაღუპულის ნაცვლად?

— ვიმეორებ, მე ახლა არანაირი მხარე არა ვარ და არაფერს არ ვითხოვ. მე მხოლოდ გიგიას სახლამდე მიყვანა მინდა. მის ახლობლებთან და ჩემს ახლობლებთან... — იგორს ხმა გაებზარა.

შემოდგომა იდგა. ქარი ხეებიდან ჩამოცვენილ ფოთლებს სოფლის სასაფლაოს ქვებს შორის ათამაშებდა. ნინოს ხუთიოდე წლის ბავშვი მკერდში ჰყავდა ჩაკრული და მასთან ერთად პირდაპირ მიწაზე, საფლავთან იჯდა.

ბავშვმა დედას ლოყაზე აკოცა და ჰკითხა:

— დედა, მამასაც გიგია ელქვა?

— კი, შვილო, შენს მამიკოს, შენსავით გიგია ერქვა, — უპასუხა და თავზე გადაუსვა ხელი.

— ნახე, ვინ მოდის?! — წამოიძახა პატარამ.

ნინომ მათკენ კოჭლობით მიმავალი დათო და მისი მეუღლე დაინახა, რომლებსაც ზურგს უკან შელერებული ქალიშვილი მოჰყვებოდათ, პატარა ბავშვით ხელში.

გიგია მათ შესახვედრად გაიქცა.

— ამ ქარში პატარა რატომღა წამოიყვანეთ? — უსაყვედურა მისულებს ნინომ.

— ჩვენი შვილები, გიგიას დაბადების დღეს ყოველთვის უნდა ამოვიდნენ მის საფლავზე, — უპასუხა დათომ და შვილობილი, პატარა შვილთან ერთად გვერდით დაიყენა.

— ცისია, მეც ამიყვანე ხელში ლაა? — შესცინა ქალიშვილს პატარა გიგიამ.

ცისიამ ისიც აიტაცა ხელში.

ნინომ ახლაღა შენიშნა, რომ ქარს ღრუბელი გაეფანტა და ციდან დაშვებული მზის სხივები გიგიას საფლავსა და ორი ბავშვით ხელდამშვენებულ ცისიას ეცემოდა. ■



ᲓᲐᲘᲡᲕᲔᲜᲔᲗ, ᲒᲐᲔᲠᲗᲔᲗ, ᲘᲕᲐᲠᲯᲘᲨᲔᲗ!

ეს თამაში ერუდიციაზე, ინტუიციასა და აზარტზეა აგებული. თუ ეს ყველაფერი გახასიათებთ, აუცილებლად გამოსცადეთ თავი და გონების გავარჯიშების შემდეგ, წარმატების მილწევა არც ერთ სხვა თამაშში არ გაგიჭირდებათ!

თითოეულ კითხვაზე მოცემული ოთხი პასუხიდან, თქვენი აზრით სწორი მონიშნეთ. თავის შემოწმების საშუალება ერთ ჯვირაში მოგეცემათ: სწორი პასუხები „გზის" მომდევნო ნომერში გამოქვეყნდება.

1) რა ეწოდება შუა აზიაში ადგილს, სადაც ჩაის დასალევად იყრიან თავს?

ა) ბაზარჩაი; ბ) ხანჩაი;
გ) ჩაიხანა; დ) ცივჩაი.

2) ვის ეკუთვნის სიტყვები: „სახელმწიფო — ეს მე ვარ!"

ა) ნაპოლეონ ბონაპარტეს;
ბ) ლუდოვიკო XIV-ს;
გ) იოსებ სტალინს;
დ) ფიდელ კასტროს.

3) რამდენი მუსიკოსია კვინტეტში?

ა) 5; ბ) 4;
გ) 7; დ) 6.

4) რის გამო გააგდეს ნაცარქექია ძმებმა სახლიდან?

ა) უსაქმურობის; ბ) უცოდინარობის;
გ) უზრდელობის; დ) უყურადღებობის.

5) ჩვეულებრივ, რა ფერით ღებავენ კომპასის ისრის სამხრეთის მხარის მაჩვენებელ ნაწილს?

ა) შავით; ბ) წითლით;
გ) ლურჯით; დ) მწვანეთი.

6) ფრანგული ფრანკის შემადგენელი ფულადი ნიშნის სახელია:

ა) ცენტი; ბ) ლირა;
გ) პესეტი; დ) სანტიმი.

7) რომელია კეტჩუპის სამშობლო?

ა) ბულგარეთი; ბ) იტალია;
გ) აშშ; დ) მექსიკა.

8) რომელი ქვეყნის ნაწილია ტასმანია?

ა) ბრაზილიის; ბ) ახალი ზელანდიის;
გ) ინდონეზიის; დ) ავსტრალიის.

9) სად ჩატარდება 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში?

ა) აფრიკაში; ბ) სამხ. ამერიკაში;
გ) ევროპაში; დ) აზიაში.

10) შაჰ-აბასის მარჯვენა ხელი იყო:

ა) ალავერდი-ხან უნდილაძე;
ბ) იმამ-ყული-ხან უნდილაძე;
გ) დაუდ-ხან უნდილაძე;
დ) გიორგი სააკაძე.

11) იაპონიის იმპერატორის სასახლეს ჰქვია:

ა) შულკანი; ბ) ნიძიუბასი;
გ) ობი; დ) სიუნმაო.

12) ვინ შემოიღო პირველად მცნება ოქროს კვეთა?

ა) ჯოტომ; ბ) ლეონარდო და ვინჩიმ;
გ) არქიმედემ; დ) კალიკრატემ.

13) ჩამოთვლილთაგან რომელი სასწავლებელი აქვს დამთავრებული კონსტანტინე გამსახურდიას?

ა) ქუთაისის ქართული გიმნაზია;
ბ) ზუგდიდის ვაჟთა სემინარია;
გ) თბილისის ვაჟთა გიმნაზია;
დ) გორის სასულიერო სემინარია.

14) რომელმა მოგზაურმა გამოიგონა აკვალანგი?

ა) მარკო პოლომ;
ბ) ტურ ჰეიერდალმა;
გ) ტიმ სევერინმა;
დ) ჟაკ ივ კუსტომ.

15) რომელი არ შედის ალპურ მცენარეებში?

ა) ედელვაისი; ბ) დეკა;
გ) ოქროყვავილა; დ) შროშანა.

16) 1681 წელს იმერეთის ტახტზე ასულმა გიორგი გურიელმა ცოლად შეირთო:

ა) ბიძაშვილი; ბ) ცოლისდა;
გ) რძალი; დ) სიდედრი.

17) რა ჩინით გარდაიცვალა იური გაგარინი?

ა) გენერალ-ლეიტენანტის;
ბ) მაიორის;
გ) პოდპოლკოვნიკის;
დ) პოლკოვნიკის.

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ ᲒᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ!



საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროდან საქართველოში სტუმრები ჩამოსულან. მასპინძლობას გოგი ცაბაძე უწევდა. როცა მათთვის მცხეთის ჩვენება გადაწყვიტა, მეგობარს — პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის სთხოვა მეგზურობა. გოგი ცაბაძეს ფეხი სტკიოდა და მანქანაში დარჩა, რუსი სტუმრები ბატონ პეტრეს შეუყვანია სვეტიცხოველში — ეს მამაჩემის საფლავია, ეს პაპის... აი, ეს ჩემი დიდი პაპის — ერეკლე მეორის საფლავი გახლავთ, — უხსნიდა ქართველი ბაგრატოვანი თვალებგაფართოებულ უცხო ტომის შვილებს. ისინი კარგა ხანს ვერ ხვდებოდნენ, ხუმრობდა თუ არა მათი ქართველი თანმხლები...

დღეს ბაგრატიონს აღარ შარტყია
შეუე ერეკლეს პირბასრი ხმალი

ლელა ჯიყამვილი

პეტრე ბაგრატიონი არ ხუმრობდა... დღეს მისი საფლავიც სვეტიცხოველშია — მამის, პაპის და დიდი წინაპრების გვერდით. ის ხომ საქართველოს სამეფო ტახტის პირდაპირი მემკვიდრე იყო.

1920 წლის 28 მარტს დაიბადა. მამამისი — პეტრე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი ძალიან მომხიბლავი და პოპულარული იყო იმდროინდელ საქართველოში. ილია ჭავჭავაძის მეგობარი, სათავადაზნაურო ბანკის ერთ-ერთი დამფუძნებელი, მევენახეობის ბანკის დამფუძნებელი იყო. ამბობენ, მას გარე ბიძაშვილი შეუყვარდა ჭაბუკობაშიო. ეს ქართველი კაცისათვის, მართლმადიდებლისათვის მიუღებელი იყო. ამიტომ დედისთვის ფიცი მიუცია: არასოდეს ცოლს არ შევირთავო. ასრულებდა კიდეც ამ სიტყვას. 56-57 წლის წარმოსადეგი კაცი იყო, როცა 17 წლის გოგონას — თამარ დეკანოზიშვილს შეუყვარდა თავდავიწყებით. იმდენად, რომ სიყვარულით წონასწორობადაკარგულმა გოგონამ, თვითმკვლელობის მიზნით, გაისროლა კიდეც. ეს რომ უნახავს პეტრე ბაგრატიონს, თავი ვალდებულად ჩაუთვლია, თამარი ცოლად მოეყვანა, წოდებრივი სხვაობის გამო, მათ ჯვრისწერაზე უარი უთხრეს. თუმცა, ფარულად მაინც დაიწერეს ჯვარი. ბაგრატოვანთა სახლის ისტორიის მკვლევარმა სოსო ბიჭიკაშვილმა იპოვა ის ეკლესია, სადაც



ბაგრატოვანთა გერბი

ეს საიდუმლო ჯვრისწერა ჩატარდა: ის ნავთლუღის მიმართულებით, სამხედრო ჰოსპიტალთან მდებარეობს თურმე.

პეტრე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი რუსეთის მეფის კარზე იყო კამერგერი. ეს უმაღლესი წოდება იყო მეფის რუსეთში. სიმბოლურად, კამერგერს ჰქონდა მეფის საძილე ოთახის ოქროს გასაღები, მეფესთან შესვლა დაუკაკუნებლად შეეძლო. მას შავი ფრაკი უნდა სცმოდა წითელი ატლასის სარჩულით, ცისფერი ბაფთა უნდა ჰკეთებოდა და პლატინის ვარსკვლავი. რუსეთს სულ 12 კამერგერი ახსოვს. პეტრე ბაგრატიონს ფრაკი არასოდეს ჩაუცვამს, მისთვის შეურაცხყოფა იყო, ათასწლოვანი ბაგრატოვანთა დინასტიის წარმომადგენელი, სამასწლოვანი რომანოვების კამერგერი ყოფილიყო. როცა მას პეტერბურგში იწვევდნენ, არ მიდიოდა... ასეთ შემთხვევაში მეუღლე — თამარი მიემგზავრებოდა. მას ცალკე ვაგონი ჰქონდა მატარებელში. პეტერბურგში მიემგზავრებოდა ოლინკა სვანიშვილიც — ჭიათურელი მაგნატის მეუღლე. ისიც საკუთარი ვაგონით მგზავრობდა. მოხუცებულობაში ქალბატონი თამარი იხსენებდა, როგორ გამოეწყობოდა ხოლმე საუზმისთვის განსაკუთრებით და როგორ მიდიოდა ოლინკას ვაგონში. ერთად ისაუზმებდნენ. სადილად ოლინკა გამოიცვლიდა კაბას და თამარის ვაგონში მივიდოდა სტუმრად... საღამოს ისევ თამარი ეწვეოდა... ამის მსმენელი პეტრე პეტრეს ძე ბაგრატიონი — მისი ვაჟი ეხუმრებოდა: უნდა მომხდარიყო რევოლუცია, აბა, არ უნდა მომხდარიყოო?!.

პეტრე ბაგრატიონსა და თამარ დეკანოზიშვილს ორი ვაჟი შეეძინათ — კონსტანტინე და თეიმურაზი... როცა უმცროსი 2 წლისა იყო, მამა გარდაიცვალა და მას, მშობლის ხსოვნის პატივსაცემად, პეტრე დაარქვეს, თუმცა შინაურები ბოლომდე თეზიკოს ეძახდნენ. სწორედ ეს გახლავთ ჩვენთვის საყვარელი პოეტი — პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი. ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყო, როცა ბორის პასტერნაკი ახსენებდა ნიტა ტაბიძისადმი მოწერილ წერილში: „Большой привет передай Тамарочке и моему младшему коллеге Тезико“.

უბედურება შორს არ იყო: 16-17 წლისა იქნებოდა, დედამისი რომ გადაასახლეს და თვითონ, ფაქტობრივად, მარტო დარჩა, ბედის ანაბარად. სკოლის შემდეგ სწავლა უნივერსიტეტის დასავლურ ევროპის ენათა ფაკულტეტზე განაგრძო.

უნივერსიტეტში სტუდენტური თეატრი არსებობდა. ერთი პერიოდი, მას პიერ კობახიძე ხელმძღვანელობდა. მან მიიწვია პეტრე ბაგრატიონი, რომელმაც დადგა სტუდენტური სპექტაკლი — „დემონი“. ერთ-ერთ როლსაც თავად ასრულებდა ბატონი პეტრე. სპექტაკლს იმხელა გამოხმაურება მოჰყვა, რომ მოსკოვის კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტში აგზავნიდნენ და პირდაპირ მეორე კურსზე სვამდნენ... რატომღაც არ წავიდა... შემდეგ, მარჯანიშვილის თეატრში იყო, რეჟისორ ვასო ყუშიტაშვილის თანაშემწედ.

პეტრე ბაგრატიონის ბიოგრაფიის თითქმის უცნობი ფურცელია, რომ ის ერთი წლის განმავლობაში ხაშურის სახელმწიფო თეატრის მთავარ რეჟისორად მუშაობდა.

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

1. ბარკაროლა ვენეციელი გონდოლიერების სიმღერაა.
2. ამალთეა, პლანეტა იუპიტერის უახლოესი თანამგზავრია.
3. სასმელ სპირტს ქიმიკოსები ეთანოლს ეძახიან.
4. წარმოდგენის დაწყების წინ ცირკის მსახიობების ერთობლივ გამოსვლას მაყურებლის წინაშე პარად-ალე ჰქვია.
5. მოსკოვის კრემლის ხუთივე კოშკს ლალის ხუთქიმიანი ვარსკვლავი ამშვენებს.
6. მონადირის ჩანთას, რომელშიც ნანადირევს აწყობენ იაგდტაში ჰქვია.
7. ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების უფროსი, ადოლფ ეიხმანი, თავის საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა: მას შემდეგ რაც მოკავშირეებმა უნგრეთში რკინიგზა დაბომბეს და საკონცენტრაციო ბანაკებში პატიმრების ეშელონებით გამგზავრება შეუძლებელი გახდა, მან 50 000 ებრაელი ფეხით გაგზავნა ავსტრიაში.
8. „ქალები სახელიანი მამაკაცის სიყვარულს ადვილად დაჰყვებიან ხოლმე და, როდესაც საშუალება მიეცემათ, ამ კავშირით ტრაბახობენ კიდეც — რა თქმა უნდა, მისაღებ ფორმებში.“ — ამ სიტყვებს „დათა თუთაშხიას“ პერსონაჟი თიკო ორბელიანი ამბობს. P.S. ბეჩუნი პერტიას მწვანე კიტრივით მოჰქონდა თავი, დათა თუთაშხიას საყვარელი რომ იყო.



9. შოპენჰაუერი მონოგამიას (ერთცოლიანობას) უარყოფდა და ტეტრაგამიის (ოთხცოლიანობის) მომხრედ გამოდიოდა, თუმცა სასტიკი წინააღმდეგი იყო ოთხი სიდედრი ჰყოლოდა.
10. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში სიტყვა „ცენზურის“ განმარტების შემდეგ, უსინდისოდ წერია: „სოციალისტურ ქვეყნებში ცენზურა, როგორც ასეთი, არ არსებობს. სახელმწიფო კონტროლი დაწესებულია იმ მიზნით, რომ არ დაუშვან პრესაში სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციისა და ისეთი ცნობების გამოქვეყნება, რომელთაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ მშრომელთა ინტერესებს.“
11. საბჭოთა მსახიობი, რეჟისორი და დრამატურგი გომბოჟაპ ციდინჟაპის ძე ციდინჟაპოვი ეროვნებით ბურიატი იყო.



მისი შემოქმედებითი ცხოვრება უეცრად დამუხრუჭდა. 1945 წელს ბატონი პეტრე და მისი მეგობრები დააპატიმრეს ჟურნალ „ანათემას“ გამოცემის გამო. ომის წლებში პოლიტიკურ პატიმრებს ერთადერთ სასჯელს — დახვრეტას უსჯიდნენ. მან კარგად იცოდა, რაც მოელოდა. სასოწარკვეთილს ნერვებმა უმტყუნა — საკანში ვენები გადაიჭრა. სრულიად შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს: ჩამოიარა ციხის უფროსმა — იაშა ტესტოვმა, შეამჩნია სისხლით მოსვრილი ტუსაღი და განგაში ატეხა. პეტრე გრუზინსკი ჯერ ლაზარეთში გადაიყვანეს, შემდეგ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. მძიმე მდგომარეობიდან გამოსული პეტრე ბაგრატიონი იძულებული იყო, კარგა ხანს დაავადებული კაცი განესახიერებინა. 7 თვის განმავლობაში უარს ამბობდა საკვების მიღებაზე და ზონდით კვებავდნენ...

ბატონი პეტრე არასოდეს ჰყვებოდა იმ წლების შესახებ. მხოლოდ ძალიან იშვიათად წამოსცდებოდა რამე. საავადმყოფოდან გაწერეს საბუთით, რომლის მიხედვითაც პეტრე ბაგრატიონი ახლობლების მეურვეობის ქვეშ უნდა ყოფილიყო, მუშაობის უფლება და წერაც კი აღკვეთილი ჰქონდა. ამის გამო, 1954 წლამდე მეუღლის სახელითა და გვარით აქვეყნებდა ლექსებს.

ერთხელ, პეტრე ბაგრატიონის მეუღლემ „თავისი“ ლექსები მიიტანა დასაბეჭდად. სთხოვეს, ერთი კუპლეტი შეასწორეთო. არ უნდოდა მეუღლის ლექსს შეხებოდა: შინ წავიღებ და გასწორებულს მოვიტანო... არა, ქალბატონო ლიკა, აქვე შეასწორეთო. იძულებული გახადეს, ერთი კუპლეტი შეესწორებინა...

ცხოვრებისგან ისედაც პოლიტიკურ მარწუხებში მოქცეულს, შემოქმედებაში უხეში ჩარევითაც უმღვრევდნენ გონებას. რეზო ლაღიძის სიმღერა — „გვიხმობს პარტია“ ყველასთვის ცნობილია. ტექსტი პეტრე გრუზინსკის ეკუთვნის... ვაი, რომ ასე არ დაუწერია და პარტიის ხოტბა ძალით მიაწერეს: ლექსი მხოლოდ სამშობლოზე იყო. დაიბარეს კულტურის სამინისტროში — აუცილებლად პარტია უნდა ჩაისვასო... არ შევცვლიო — უთქვამს პოეტს. თქვენ თუ არა — ჩვენ შევცვლითო, უთქვამთ კატეგორიულად და შეცვალეს კიდეც...

გულაცრუებულს, არსად უმუშავია, არც ერთი კავშირის წევრი არ ყოფილა. ცნობილ რუსულ ფესტივალზე გოგი ცაბაძის სიმღერამ გრუზინსკის ტექსტზე I ადგილი აიღო. მოსკოვში უნდა წასულიყვნენ. მაშინ მივლინების ფურცლის გაფორმება იყო საჭირო. ქალბატონი ლია — პეტრე გრუზინსკის მეუღლე მივიდა მწერალთა კავშირში და გრიგოლ აბაშიძეს სთხოვა სამივლინებო ფურცელი. „მე კი გავუკეთებ, ქალბატონო ლია, მაგრამ ჩვენი კავშირის წევრი არ არის... მომიტანეთ ცნობა თეატრალური კავშირიდან“, — „იცით, არც თეატრალური კავშირის წევრი გახლავთ“. — „მაშინ კინოკავშირიდან“. — „არც იმის წევრია...“ — „აბა, რაღაცის წევრი ხომ არის?“ — „დიახ, მონკავშირის წევრია“, — უპასუხა ქალბატონმა ლიამ. მართლაც, მხოლოდ მონადირეთა კავშირის წევრი იყო ბოლომდე.

სამოციან წლებში ფილმი არ გადაღებულა, რომელშიც მის ლექსზე დაწერილი სიმღერა არ ჟღერდა. ბევრმა არ იცის, რომ ყველა დროის ქართველი კრიმინალების საყვარელი სიმღერის — „აბა, ყვავებს ვინ დაიჭერს, კარგო, გალიაში ბულბულები ზიან“, — ტექსტის ავტორი პეტრე გრუზინსკია, მელოდიისა კი — ბიძინა კვერნაძე. ეს სიმღერა ფილმში გამოიყენეს. ერთხელ, ბატონმა პეტრემ ორი ამანათი მიიღო. გახსნა. უნდა გენახათ, რა იყო შიგნით — პატიმრების გაკეთებული ნივთები: ჯვრები, კრიალოსნები, პურისაგან გაკეთებული სუვენირები... ამით გამოხატეს ტუსაღებმა მადლიერება და პატივისცემა მათთვის საყვარელი ლექსის ავტორისადმი.

ძალიან მგრძნობიარე ადამიანი იყო ბატონი პეტრე. მისი ვაჟი, რეჟისორი ნუგზარ ბაგრატიონი იხსენებს: „ყოველთვის ჩემი უფროსი მეგობარი იყო. ცხოვრებაში ერთადერთხელ წამომარტყა თავში.

შინ გვქონდა ნაპოლეონის პატარა ბიუსტი, რომელიც მამას მეგობარმა აჩუქა — მეგობარმა, რომელმაც თავი ჩამოიხრჩო ციხეში. ამიტომ ეს ბიუსტი მამაჩემისთვის არაჩვეულებრივი რელიკვია იყო. 11-12 წლის ვიქნებოდი, შემთხვევით გამიტყდა. მოვიდა მამა. ვუთხარი მომხდარის შესახებ. გაშრა. მაშინ წამომარტყა თავში. ეს ისეთი მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ მეორე ოთახში ტირილით გავვარდი... იმ საღამოს მთვრალი მოვიდა მამა. ხელი გადამხვია — წავიდეთ ახლა მაღაზიაშიო. ველოსიპედი მიყიდა. ეს ჩემი ოცნება იყო... ვეხუმრე კიდეც: კიდევ წამომარტყი, რა, „სამაკატკაც“ მინდა-მეთქი...“

მცხეთაში, პეტრე ბაგრატიონს ყოველთვის ჰყავდა ცხოველები. მათ შორის ერთი ზღარბი — ჟორჟიკა „ლოთი“ იყო — ბატონი პეტრე დაშაქრულ ღვინოს ასმევდა და „გალოთებულა“... იქვე ცხოვრობდა კაჭკაჭი მათიკო — „ქურდი“, რომელმაც ლაპარაკი ვერ ისწავლა. უზარმაზარი მამალიც ჰყავდა, რომელიც მტრედზე იყო შეყვარებული. უნდა გენახათ, როგორ უხაროდა და ეამაყებოდა ბატონ პეტრეს, როცა მტრედის სიმყუდროვის სადარაჯოზე მდგარი დეზებიანი მიჯნური ახლოს არ აკარებდა დედლებს საჭმელს, ვიდრე მისი სატრფო არ დანაყრდებოდა...

ძალიან ჰყვარებია პეტრე ბაგრატიონს მცხეთაში ყოფნა. უაღრესად საინტერესოა ამ აგარაკის შეძენის ამბავი: მის ვაჟს — ნუგზარს მასზე 15 წლით უფროსი მეგობარი — იური ნინოშვილი ჰყავდა. როცა მან ცოლი მოიყვანა, მეჯვარეობა ნუგზარს სთხოვა, რომელიც მაშინ მხოლოდ 14 წლის იყო. ქორწილში მამაც გაჰყვა. საპატარძლოს მშობლებს ნუგზარ ბაგრატიონი ადრეც იცნობდა: დეიდა თამარსა და ძია იაშას — გადამდგარ პოლკოვნიკს. როცა ქორწილში მშობლების სადღეგრძელო შესვეს, ბატონმა პეტრემ უცებ, ფერი დაკარგა... მოგვიანებით უთხრა შვილს: პატარძლის მამა ჩემი ციხის უფროსი, იაშა ტესტოვი იყოო... გავიდა ცოტა ხანი და იაშამ ბატონ პეტრეს დაურეკა: ნაკვეთი მაქვს მცხეთაში, ვერ ვუვლი, მოდი, სიმბოლურ ფასში ნახევარს მოგყიდიო... ერთად ვიქნებით, იურა და ნუგზარი უკვე ნათესავები არიანო. ბატონ პეტრეს უარი უთქვამს: გმადლობთ, პატივისცემისთვის, მაგრამ ჩემთვის რთული იქნება, ვერ დაგთანხმდებითო. გავიდა დრო. ისევ დაურეკა იაშა ტესტოვმა — ეტყობა, რაღაც არ ასვენებდა... მთლიანად მოგყიდითო, უთხრა. პეტრე ბაგრატიონმა მადლობა გადაუხადა... ვერასოდეს წარმოიდგენდა პეტრე გრუზინსკი, რომ მისი ციხის უფროსისგან ოდესმე მიწის ნაკვეთს შეიძენდა...

მიწაზე მუშაობა ჰყვარებია ბატონ პეტრეს. ბატონმა ნუგზარმა მითხრა: „ეს ისეთი უჩვეულო ჩანდა კაცისგან, რომელიც ძალიან აფორიაქებული ცხოვრების მოყვარული იყო: სულ ქეიფობდა, სულ ნადირობდა, სულ შეყვარებული იყო... მისთვის არ არსებობდა დილა, საღამო... მაგრამ მიწის არანორმალური სიყვარული ჰქონდა. წავიდოდა სადღაც ჭოპორტში, ჩამოიტანდა ჩითილებს, დარგავდა, ააკრავდა ვენახს... სულ კითხულობდა — რა როგორ უნდა გაეკეთებინა... დამყნობა ვერ ისწავლა და წუხდა: „კაცო, ეს ვერ ვისწავლე, მაგრამ ამბობენ, დამყნობას ხელი უნდაო... მე, ეტყობა, ხელი არ მივარგა“...

პეტრე ბაგრატიონი ძალიან უყვარდა ყველას, ვისაც ურთიერთობა ჰქონდა მასთან. როცა ის აღარ იყო, ერთი წერილი მიიღო ბატონმა ნუგზარმა, მამის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ: „ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკის. გწერთ გრიშა, რომელიც თქვენს სახლში მეეზოვედ მუშაობდა. მოკითხვას გითვლით მთელ თქვენს ოჯახს და ვიზიარებ სიხარულს გადაწყვეტილებისა ბატონ პეტრეს საღამოს მოწყობისა, რომელიც ყველას გვათბობდა თავისი ლამაზი სულით. მე არ ვიცი, რა რეჟისორული ჩანაფიქრით დაიწყება ეს საღამო, რომელიც 15 ივნისისათვის არის დანიშნული. ალბათ გადავლახავ ყოველგვარ ეკონომიურს და ამ საღამოს არ გავაცდენ. და მაინც მოგცეთ ერთი რჩევები...“ (სტილი დაცულია). თვითონ რჩევები ამ შემთხვევაში, ნაკლებად საინტერესოა. მთავარია ფაქტი. ბატონი ნუგზარი ამბობს: „მახსოვს, ეს გრიშა და მამაჩემი ეზოში ჩამოსხდებოდნენ და მთელი სერიოზულობით, დიდხანს საუბრობდნენ ხოლმე... არაჩვეულებრივი კაცია გრიშა...“ პეტრე ბაგრატიონი მთელი გულითა და სულით გრძნობდა საინტერესო ადამიანებს, გრძნობდა და უყვარდა ისინი — განურჩევლად ეროვნებისა თუ ჩინ-წოდებისა...

1984 წლის 13 აგვისტოს გარდაიცვალა. მინდა წერილი მისი ერთი ლექსის სტრიქონებით დავამთავრო:

> დღეს ბაგრატიონს აღარ მარტყია
> მეფე ერეკლეს პირბასრი ხმალი,
> ნაირმალივით გულზე მატყვია
> შენი პატარა ფეხების კვალი.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ლეგალი

უბის წიგნაკიდან:

12. მარინა ცვეტაევამ სამამულო ომის მსვლელობისას, ევაკუაციის დროს მოიკლა თავი.

13. ციცქა, ალიგოტე, ჩინური, ცოლიკური, გორული მწვანე, რქაწითელი, ძველშავი — ეს ის ყურძნის ჯიშებია, რომელთაგანაც ცქრიალა ღვინოებს ამზადებენ.

14. ცისარტყელაში ზემოდან ქვემოთ თანდათანობითი გადასვლით ერთმანეთს ენაცვლება სპექტრის წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი და იისფერი ზოლები. P.S. ცისარტყელას დანახვა მთვარის შუქზეც შეიძლება.

15. ძვირფასი ქვების მასა კარატებით გამოისახება, მარგალიტის კი — გრანებით. 1 გრანი 0,25 კარატის ტოლია.

16. II მსოფლიო ომში გერმანელები ტანკების საწვავად ბენზინს ხმარობდნენ. მათგან განსხვავებით ფრანგული ტანკები საავიაციო ნავთზე მუშაობდა. იმ დროს საავიაციო ნავთის დეფიციტი იყო, მაშინ, როდესაც ბენზინის შოვნა ჩვეულებრივ ბენზინგასამართ სადგურებზეც კი შეიძლებოდა. საწვავის დეფიციტის გამო იყო შემთხვევები, როდესაც ფრანგული ტანკები ბრძოლის ველამდეც ვერ აღწევდა, ანდა შუა ბრძოლის დროს უთავდებოდათ საწვავი და ტანკისტებს თავიანთი საბრძოლო მანქანის გამართვა მოწინააღმდეგის გაფთრებული ცეცხლის ქვეშ უწევდათ.

17. შხარა საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ყველაზე მაღალი მწვერვალია. მისი სიმაღლე 5068 მეტრია.

18. შუმერები ახლანდელი ერაყის ტერიტორიაზე სახლობდნენ. მათ დედაქალაქს ური ერქვა. ბიბლიის მიხედვით, სწორედ ამ ქალაქიდან გამოიყვანა ღმერთმა აბრაამი და მისი ოჯახი და პირობა დაუდო, რომ დიდ ხალხად აქცევდა. P.S. ებრაელთა ერთ-ერთი სახელწოდება, ურია, სწორედ ამ ქალაქის სახელიდან მომდინარეობს.

19. ტყვე შამილს რუსებმა ნება დართეს, მექაში გამგზავრებულიყო. იგი 1871 წელს არაბეთში, ქალაქ მედინაში გარდაიცვალა.

25. გურჭები, ნეპალელი მთიელები, ოდითგანვე მსახურობდნენ ინგლისის არმიაში. P.S. მეორე მსოფლიო ომის დროს მათი ერთ-ერთი კორპუსი მთლიანად ჩაუვარდა ტყვედ იაპონელებს და, ინგლისელებისათვის მიცემული ფიცი რომ არ გაეტეხათ, გურჭებმა ხმლებით დააჭრეს თავები ერთმანეთს. ■

ანდრე სიტროენი მეწარმე, მაგნატი, მოთამაშე

ანდრე სიტროენი პირველი ფრანგი იყო, რომელმაც საავტომობილო დიდების დარბაზში დაიმკვიდრა ადგილი, თუმცა მისი მრავალმხრივი ნიჭიერება ავტომწარმოებლობით როდი შემოიფარგლებოდა. თავის სამშობლოში მან ხალხს არა მარტო მანქანებით, არამედ თამაშისადმი ლტოლვით, რისკიანობით, საზოგადოებაზე შთაბეჭდილების მოხდენის წადილითაც დაამახსოვრა თავი. მთავარი კი ის არის, რომ სიტროენი გასული საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბიზნესმენი იყო. ამდენად, სამეწარმეო დიდების დარბაზი რომ ყოფილიყო, სიტროენი ერთ-ერთი პირველი ამ დარბაზშიც დაიმკვიდრებდა ღირსეულ ადგილს.

ანდრე გიუსტავ სიტროენი 1878 წლის 5 თებერვალს, მდიდარი ჰოლანდიელი ოქრომჭედლის ოჯახში დაიბადა. განათლება პარიზის ყველაზე პრესტიჟულ ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელში – პოლიტექნიკურ სკოლაში მიიღო და უკვე 1905 წელს თავისი პირველი საწარმოც შექმნა. ლეგენდის თანახმად, სადღაც პოლონეთში (დედამისი წარმოშობით სწორედ იქიდან იყო) ანდრემ საფრანგეთისათვის ჯერ კიდევ უცნობი კბილანა აღმოაჩინა, რომელსაც ე.წ. შევრონის ტიპის V-ფორმის კბილანები ჰქონდა. სამშობლოში დაბრუნებისთანავე სიტროენმა ეს სიახლე დააპატენტა, ორმაგი შევრონი კი, შემდგომ, ემბლემად გამოიყენა.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. 1908 წელს 29 წლის სიტროენი ძმები მორსების საავტომობილო ქარხანას ჩაუდგა სათავეში. აქ მას სამეწარმეო ნიჭის სრული გამოვლენის საშუალება მიეცა. რამდენიმე წელიწადში მანქანების წარმოება თითქმის ათმაგად გაიზარდა, ამასთან, ანდრემ ქარხნის სრული მოდერნიზებაც მოახერხა: შეიძინა ახალი დაზგა-დანადგარები, ხელი მიჰყო მოდელების სტანდარტიზაციას და სერიულ წარმოებას მიუახლოვდა. 1912 წელს სიტროენი ამერიკაში გაემგზავრა, სადაც ჰენრი ფორდის ქარხნებში საფუძვლიანად შეისწავლა კონვეიერული წარმოება. სიტროენმა საფრანგეთში კონვეიერის დანერგვა დაიწყო, მაგრამ ამ საქმის დამთავრებაში მას პირველმა მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი.

ხუთი თვის მანძილზე ლეიტენანტი ანდრე სიტროენი საარტილერიო შენაერთში მსახურობდა, მაგრამ ომი ნამდვილად არ წარმოადგენდა მის მოწოდებას და უკვე 1915 წლის იანვარში მან მოლაპარაკება დაიწყო სამხედრო სამინისტროსთან საბრძოლო მასალების ახალი ქარხნის აშენების თაობაზე. სიტროენი ხელისუფლებას ჰპირდებოდა, რომ სამ თვეში დაიწყებდა პროდუქციის წარმოებას და ყოველდღიურად 5-დან 10 ათასამდე ჭურვს გამოუშვებდა. ეს დაპირებები სრულიად უტოპიურად გამოიყურებოდა, მაგრამ პოლიტექნიკური სკოლის კურსდამთავრებულებმა, რომლებიც სამხედრო სამინისტროში მუშაობდნენ, და სიტროენის დაუცხრომელმა ენერგიამ შედეგი გამოიღო: სამინისტრომ მას სესხი მისცა, შემდეგ ანდრემ დამატებითი სახსრებიც გამონახა და ქარხნის მშენებლობაც დაიწყო. ბუნებრივია, საწარმო სამ თვეში ვერ ამოქმედდა, სამაგიეროდ, მალე ჭურვების ყოველდღიურმა წარმოებამ 50

ათასამდე მიაღწია!

სისწრაფე და შეუპოვრობა, რომელსაც სიტროენი იჩენდა, ლეგენდის ნაწილად იქცა, მაგრამ ამაზე უფრო ენერგიული ის ომის შემდგომ გახდა. მის განკარგულებაში თანამედროვე ქარხნები იყო, რომლებიც მას იმის საშუალებას აძლევდა, რომ თავისი ოცნება განეხორციელებინა: ეს ოცნება, თანამედროვე და ხელმისაწვდომი ავტომობილების გამოშვება იყო. ამ საქმეს სიტროენი წარმოების უახლესი მეთოდების გამოყენებით აწარმოებდა და ამასთან, არც სოციალურ სფეროს ივიწყებდა: სიტროენის ქარხნებთან გახსნილი იყო ბაგა-ბაღი, ის კომპანიის სახსრებიდან ფარავდა მუშების დაზღვევის თანხას, შემდგომ კი მათ პენსიასაც უხდიდა. ის პირველი იყო, ვინც პრაქტიკულად ყველა ევროპულ ქვეყანაში შექმნა თავისი სადილერო ქსელი, დაიწყო თავისი ავტომობილების გარანტიების გაცემა და გამოუშვა ერთიანი ინსტრუქცია სერვისცენტრებისთვის. ბუნებრივია, არც ერთი მისი მოდელი სიახლის გარეშე არ გამოსულა. ამ სიახლეებს განეკუთვნებოდა: ლითონის ერთიანი, მთლიანი ძარა, ჰიდროამძრავიანი მუხრუჭები, ე.წ. ტორსიული საკიდარი, დაბოლოს, წინა ამძრავი, რომელმაც ავტომობილის სამომავლო 70 წლიანი განვითარება განაპირობა.

ანდრე სიტროენის ცხოვრების განუყოფელ ნაწილს ხელგაშლილი, ეფექტური ჟესტები წარმოადგენდა: ის ხშირად აწყობდა ავტორბოლებსა და რალი-რეიდებს, მათ შორის იყო ისტორიაში შესული ბეირუთი-პეკინის გადარბენა (საჰარის უდაბნოს გავლით). სიტროენი უზარმაზარ თანხებს ხარჯავდა რეკლამაში: ეიფელის კოშკის გასანათებლად 250 ათასი ნათურა და 60 კილომეტრიანი სადენები დაამონტაჟა, რომლის მეშვეობით 1926-დან 1934 წლამდე მისი სახელი კიაფობდა ეიფელზე. და კიდევ ერთი რამ: ანდრე სიტროენი აზარტული მოთამაშე იყო – ერთ საღამოში მას დიდძალი თანხაც წაუგია, მოგების შემთხვევაში კი, კრუპიესთვის ავტომანქანაც უჩუქებია. ამ ხელგაშლილობას დასავლეთში ეკონომიკის დიდი დეპრესია დაერთო და 1934 წელს მეწარმემ დაკარგა კონტროლი თავის საწარმოზე, 1935 წელს კი ისე მოკვდა, რომ ■ რთი სანტიმიც არ შერჩენია...

ავტომობილი-ამფიბია

ეს მანქანა ინგლისში შექმნეს. ის არა მარტო ხმელეთზე ივლის, არამედ წყალშიც იმოძრავებს. თანაც, როგორც მისი შემქმნელები აცხადებენ, ამფიბია ახლა ორივე პარამეტრის გამოცდას გადის და შესაძლოა, მალე მისი გაყიდვაც დაიწყოს. „ახლა ვატარებთ გამოკვლევას, რომელიც ჩვენი სიახლის ფასის დადგენაში დაგვეხმარება, – განაცხადა კომპანია GIPPS TECHNOLOGIES-ის წარმომადგენელმა. – ჩვენ ძალზედ სერიოზული სამუშაო ჩავატარეთ და დავრწმუნდით, რომ ავტომობილი სრულიად უსაფრთხოა წყალშიც და ხმელეთზეც. ამფიბია 160 კმ/სთ-მდე სიჩქარეს განავითარებს ხმელეთზე და 64 კმ/სთ-მდე – წყალში. მანქანის საბოლოო ფასი ჯერ დადგენილი არ არის, მაგრამ, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ის დაახლოებით 21.500 დოლარი ეღირება.

საინტერესოა, რომ მსოფლიოში უკვე არაერთგზის უცდიათ ისეთი ავტომობილის შექმნა, რომლითაც გაცურვაც შესაძლებელი იქნებოდა. მაგალითად, ამფიბია TRIUMPH-მა, რომელიც კომპანია AMPLICAR-მა დაამზადა, გამოცდისას, 1968 წელს ჩაიძირა. ასეთივე ბედი ეწია FORD FIESTA-ს ბაზაზე შექმნილ ამფიბიას, რომელიც ფირმა DUTTON COMMANDER-ში შეიმუშავეს. ■

ახალი Porsche 2004 წელს გამოჩნდება

ეს მანქანა ლეგენდარული PORSCHE 928-ის შემცვლელი იქნება. ახალი „პორშე“ კონკურენციას გაუწევს ისეთ ავტომობილებს, როგორებიცაა: ASTON MARTIN VANQUISH, FERRARI 550 MARANELLO, MERCEDES CL. მანქანის შესაქმნელად საჭირო ხარჯების შესამცირებლად, ყველგანმავალი CAYENNE-ის ძრავას, ტრანსმისიას, უკანა ღერძისა და პნევმატური საკიდრის ელემენტებს გამოიყენებენ. ორი ტურბოდაბერვით აღჭურვილი V8 ძრავის სიმძლავრე 450 ცხ. ძალას მიაღწევს. ჯერ ზუსტად არ არის ცნობილი, რომელ მხარეს ჩაიდგმება იგი, თუმცა, ვარაუდობენ, რომ უფრო – წინა ნაწილში, რადგან ეს ვარიანტი „პორშეს“ ხელმძღვანელს ვენდელინ ვიდეკინგს უფრო მოსწონს.

კომპანიის მესვეურთა თქმით, განიხილება აგრეთვე, ახალი კუპეს ბაზაზე ოთხკარიანი ძარის მქონე ჰეჩბეკის შექმნა. ■

სად დავისვენოთ?



ზღვის კლიმატი

ზღვის კლიმატს დღე-ღამისა და წლის სხვადასხვა დროის განმავლობაში ძირითადად ჰაერის ტემპერატურის მცირე ცვალებადობა, მაღალი ბარომეტრული წნევა და მაღალი ტენიანობა ახასიათებს. მისთვის დამახასიათებელია აგრეთვე იოდის, ბრომის, ქლორ-ნატრიუმის არსებობა, მზის მნიშვნელოვანი რადიაცია და ოზონის სიუხვე, ჰაერის სისუფთავე და ზღვის სანაპირო ქარები.

ზღვის კლიმატი ორგანიზმზე, ნერვულ სისტემაზე დამამშვიდებელ-სედატიურ გავლენას ახდენს. ზღვის ჰავა მთის ჰავასთან შედარებით რბილია, ნერვულ სისტემას კი არ აღიზიანებს, არამედ ამშვიდებს. ზღვის ჰავის პირობებში სისხლის წნევა კლებულობს, ჰემოგლობინი და სისხლის წითელი ბურთულების რაოდენობა იზრდება, სუნთქვა იშვიათდება და ღრმავდება, პულსი ნელდება, უმჯობესდება გულის მოქმედება, ძლიერდება სასუნთქი გზების ლორწოვან გარსთა სეკრეცია, ნახველის გამოყოფა მატულობს და სხვა.

ჩვენებანი ზღვის კლიმატით მკურნალობისათვის: გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები დეკომპენსაციის I-II სტადიაში, ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებანი, ძვლების, სახსრების, ლიმფური ჯირკვლების, სასუნთქი ორგანოების ტუბერკულოზი, ქრონიკული ლარინგიტი (სასის ანთება), ფარინგიტი (ხახის ანთება), რაქიტი, მეორადი სისხლნაკლებობა და სხვ.

უკუჩვენებანი: ცენტრალური ნერვული სისტემის ორგანული დაავადებები, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები დეკომპენსაციის III სტადიაში, ნეფრიტები (თირკმლის ანთება) და ნეფროზები (თირკმლის გადაგვარება), ფილტვების ტუბერკულოზი დეკომპენსაციის სტადიაში და სხვა დაავადებები, რომელიც საერთოდ უკუნაჩვენებია კურორტებზე მკურნალობისათვის.

ქობულეთი ბათუმიდან 30 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. აჭარის კურორტებიდან იგი შედარებით ნაკლები ტენიანობით, მეტი მზიანი დღით, კურორტის ტერიტორიის კარგი ვენტილაციით განსხვავდება, რაც მისი ადგილმდებარეობის გაშლილობასთან დაკავშირებით მუდმივი ბრიზის (ზღვის სანაპირო ქარის) მოქმედებით აიხსნება. სწორედ ამ მუდმივი, სასიამოვნო ნიავით აიხსნება ქობულეთის უპირატესობა საქართველოს სხვა სანაპირო კურორტებთან შედარებით.

მახინჯაური ბათუმიდან ექვსი კილომეტრითაა დაშორებული. თბილი და ტენიანი ზღვის სანაპირო კლიმატის გარდა, მახინჯაურში სუსტი მინერალიზაციის გოგირდოვანი წყაროებია, რომელთა გამოყენებაც აბაზანების სახით სასარგებლოა სახსრების, პერიფერიული ნერვული სისტემისა და გინეკოლოგიურ დაავადებათა კომპლექსური მკურნალობის დროს.

მწვანე კონცხი ზღვის დონიდან 70-80 მეტრის სიმაღლეზეა. აქვე არის საკმაოდ მრავალფეროვანი ბოტანიკური ბაღი.

ციხისძირი – ბათუმიდან 19 კმ-ზეა.

ჩაქვი – ბათუმიდან 12 კმ-ზეა.

ბათუმი ქალაქი-კურორტია, რომელიც თავისი კლიმატური მაჩვენებლებითა და ბუნებრივი სილამაზით ამ ჯგუფის სხვა კურორტებს არ ჩამოუვარდება.

■

ჩვენი პაპარა

რაქიტი

რაქიტი მზარდი ორგანიზმის დაავადებაა, რომელიც ძირითადად, კალციუმისა და ფოსფორის ცვლის დარღვევის შედეგად ვითარდება. კლინიკურად, უმთავრესად, ჩონჩხის ცვლილებებით ვლინდება.

რაქიტის ძირითადი, მაგრამ არა ერთადერთი მიზეზი, D ვიტამინის ნაკლებობაა. ამ ვიტამინის დეფიციტი გამოწვეულია მისი არასაკმარისი მიწოდებით ან ულტრაიისფერი სხივების სიმცირის გამო, ბავშვის კანში D ვიტამინის წარმოქმნის უკმარისობით და ბოლოს, მიუხედავად D ვიტამინის საკმარისი მიწოდებისა, ნაწლავებში მისი შეწოვის დარღვევით. სუფთა ჰაერით და მზის სხივებით ნაკლები სარგებლობა, საკვებში ცილისა და ცხიმის ნაკლებობა და ნახშირწყლების სიჭარბე რაქიტის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორებია. საყურადღებოა, რომ ხელოვნურ კვებაზე მყოფ ბავშვებში რაქიტი უფრო ადვილად ვითარდება და გაცილებით მძიმედაც მიმდინარეობს.

რაქიტის საწყისი ნიშნები 4-5 კვირის, მეტწილად 2-3 თვის ასაკში ვლინდება: ბავშვი, რომელიც მანამდე მშვიდი იყო, ხდება მოუსვენარი, ჭირვეული, ცუდად სძინავს, ძილში კრთება. უძლიერდება ოფლიანობა სახისა და განსაკუთრებით კეფის არეში. კვებისა და ძილის დროს კეფის თმიანი ნაწილის ოფლიანობის გამო, ბავშვი თავს განუწყვეტლივ ბალიშს უხახუნებს, რის გამოც, თუ მკურნალობა არ ჩაუტარდა, კეფა უმელოტდება. შემდგომ ვითარდება ჩონჩხის მხრივ მკაფიო ცვლილებები, ისეთი, როგორიცაა კეფის დარბილება და გაბრტყელება, დიდი და მცირე ყიფლიბანდის კიდეების დარბილება, თავის ასიმეტრია. ამას მოჰყვება ძვლოვანი ქსოვილის ჭარბად განვითარება: მკაფიოდ იკვეთება შუბლისა და თხემის ბორცვები, თავი კვადრატულ ფორმას იღებს. ბავშვის თავი შედარებით დიდი ზომისაა და კანქვეშა ვენები გამოხატულია. გვიანდება კბილების ამოჭრა. გულმკერდი დეფორმაციას განიცდის, ნეკნებზე ირიბად შემსხვილებებია, ქვედა კიდურების დეფორმაცია ვლინდება მას შემდეგ, რაც ბავშვი სიარულს იწყებს. ისინი გარეთ გაზნექილია ან მუხლის არეში შიგ შედრეკილი და ურთიერთმიახლოებული. დეფორმაციას განიცდის მენჯი და ტერფები. ბავშვი გვიან იწყებს ჯდომას, ცოცვას, დგომას, სიარულს – ყურადღებას იპყრობს კუნთების ტონუსის მნიშვნელოვანი დაქვეითება.

რაქიტი მთელი ორგანიზმის დაავადებაა, რაც გამოიხატება თითქმის ყველა სისტემის (ნერვული, კუნთოვანი, გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი, სისხლის წარმომქმნელი, საჭმლის მომნელებელი) ფუნქციის აშლილობითა და ნივთიერებათა ცვლის მნიშვნელოვანი დარღვევით.

მწვავე პერიოდის ჩათავების შემდეგ რაქიტისათვის დამახასიათებელი ცვლილებები თანდათან უკუგანვითარებას განიცდის — ზოგი რამ გამოსწორდება, ზოგი (ღვიძლისა და ელენთის გადიდება, ანემია) შედარებით სტაბილურ ხასიათს იღებს, ან (ძვლების დეფორმაცია) მთელი სიცოცხლის მანძილზე რჩება. ამიტომ, მოზრდილ ბავშვსაც კი შეამჩნევთ რაქიტის ნარჩენ მოვლენებს.

რაქიტი სიცოცხლისათვის საშიშროებას არ წარმოადგენს, მაგრამ მის ფონზე განსაკუთრებით ხშირია კრუნჩხვები, ანემიის მძიმე ფორმები და, საერთოდ, ნებისმიერი დაავადება მძიმედ და არაკეთილსაიმედოდ მიმდინარეობს.

იმისათვის, რომ ბავშვს რაქიტი ააცილოთ, მის წინააღმდეგ ბრძოლა მუცლადყოფნის პერიოდიდანვე უნდა დავიწყოთ — ორსული ქალისათვის 7-8 თვიდან, ხოლო დაბადების შემდეგ, ბავშვისათვის D ვიტამინის მიწოდებით. რაქიტის ნიშნების გამოვლინებისას ინიშნება D ვიტამინის სამკურნალო დოზა. რაქიტის პროფილაქტიკაც და მკურნალობაც მხოლოდ ექიმის მეთვალყურეობით უნდა მოხდეს. ბავშვის ხელოვნური კვებისას უნდა მოხდეს ნახშირწყლების (ტკბილის) რამდენადმე შეზღუდვა, ცხიმებისა და განსაკუთრებით, ცილების ოპტიმალური რაოდენობით მიცემა. რაქიტის მკურნალობაში არანაკლებ ეფექტურია თევზის ქონი (დაიწყეთ 2-3 წვეთიდან და თანდათანობით ახვალთ 1 ჩაის კოვზამდე, რომელსაც მისცემთ დღეში 2-3-ჯერ). მიზანშეწონილია კვების წინ 3-ჯერ დღეში ლიმონის წვენი (დაიწყეთ წვეთებიდან და ახვალთ 1/2-1 ჩაის კოვზამდე), B ჯგუფის ვიტამინები, კალციუმის ქლორიდი, რკინის დანიშვნა.

D ვიტამინი დედამ ექიმისგან დამოუკიდებლად არ უნდა დანიშნოს, რადგან მისი ჭარბი რაოდენობით მიღებისას შეიძლება განვითარდეს D ჰიპერვიტამინოზი.

ახლა კი, დასკვნის სახით, დედების საყურადღებოდ.

დააკვირდით პატარას, აქვს თუ არა შემდეგი ნიშნები:

1) მოემატა ოფლიანობა, განსაკუთრებით კეფის არეში. ოფლს აქვს მჟავე სუნი. ზოგჯერ ბავშვის ზეწარი და საცვლები მთლიანად სველია.

2) ბავშვი 9 თვისაა, მას კი კბილების ამოჭრის ნიშნები ჯერ არ ეტყობა.

3) დიდი ყიფლიბანდი ძალიან დიდი ზომისაა და არ მცირდება.

4) ბავშვს აქვს მკრთალი ფერი, მოუსვენარია, ცუდად სძინავს.

5) მაღალი სიცხის დროს ემართება კრუნჩხვა.

აჩვენეთ ბავშვი პედიატრს, რათა დროულად დაისვას დიაგნოზი და დაინიშნოს მკურნალობა.

■

სამკურნალო მცენარეები

კატაბალახა

კატაბალახა მრავალწლიანი, 1-1,5 მ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. საყვავილე ღეროებზე ფოთლები განლაგებულია ერთმანეთის პირისპირ. მათ უბეებში ჩნდება ულამაზო, წვრილი ვარდისფერი ყვავილები. მცენარეს მიწისქვეშა სისტემა კარგად აქვს განვითარებული — ფესურები დიდია, მათგან გამოდის თასმისმაგვარი გრძელი ფესვები. კატაბალახა ყვავის ივნის-აგვისტოში. ფესურები და ფესვები უნდა დაამზადოთ ადრე შემოდგომაზე, ვიდრე მიწისზედა ნაწილი გახმება. წინააღმდეგ შემთხვევაში მცენარეს ვეღარ მიაგნებთ. ახალამოთხრილი ნედლეული ღია ფერისაა, თითქმის უსუნო, გაშრობის შემდეგ კი მუქდება და დამახასიათებელ მძაფრ სუნს იძენს. ამოთხრისთანავე დაბერტყეთ, გარეცხეთ მიწის მოსაცილებლად, მსხვილი ნაწილები დაჭერით და გაშალეთ. შრობა შესაძლებელია 35-40 გრადუსზე, მაგრამ უმჯობესია ნელა — ჰაერზე. ასე უფრო ხარისხიან ნედლეულს მიიღებთ. შეინახეთ სამი წლის ვადით მშრალ ადგილას.

კატაბალახას ფარმაკოლოგიური მოქმედება დაკავშირებულია მის ფესვებში ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კომპლექსის შემცველობასთან. მცენარეს აქვს საძილე, ცენტრალური ნერვული სისტემის დამამშვიდებელი მოქმედება, არეგულირებს გულის მუშაობას, აქვს სპაზმების მომხსნელი და ნაღვლმდენი თვისებები, აძლიერებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სეკრეტორულ ფუნქციას.

კატაბალახას პრეპარატები აქვეითებს რეფლექსურ აგზნებადობას ნერვული სისტემის ცენტრალურ ნაწილებში, აძლიერებს შეკავების პროცესებს ნეირონებში (ნერვულ უჯრედებში), ახდენს დადებით ნეირორეგულაციურ მოქმედებას გულის კუნთის მუშაობაზე და უშუალოდ გულის ავტომატიზმის მექანიზმებზე. გარდა ამისა, მას აქვს კორონარების გამაფართოებელი და წნევის დამწევი თვისებები.

კატაბალახა სამკურნალო პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება, როგორც ცალკე პრეპარატი, ისე მრავალკომპონენტიან ნაყენებში.

კატაბალახას იყენებენ ნერვული აგზნებადობის, უძილობის, ნევრასთენიის, ფსიქასთენიის, ისტერიის, კლიმაქსური მოშლილობების, ვეგეტონევროზების, გულის ნევროზის დროს. საკმაოდ ეფექტურია ეს პრეპარატები სტენოკარდიის, ჰიპერტონიული დაავადების ადრეულ სტადიაზე, ღვიძლისა და სანაღვლე გზების ზოგიერთი დაავადების დროს, რომლებსაც თან ახლავს კუჭისა და ნაწლავების სპაზმი და ჯირკვლოვანი სეკრეციის დარღვევა.

კატაბალახას დამამშვიდებელი ეფექტი ვლინდება თანდათანობით, მაგრამ საკმაოდ სტაბილურად. ავადმყოფს უქრება დაძაბულობა, უუმჯობესდება ძილი. ამ ბალახის სამკურნალო მოქმედება ჩნდება ხანგრძლივი მიღების შემდეგ, ამიტომ საჭიროა, ჩატარდეს მკურნალობის სრული კურსი.

კატაბალახას გვერდითი მოქმედებები არ აღენიშნება და კარგად იტანენ ავადმყოფები.

ნაყენის მომზადება: 2 1/2 სუფრის კოვზი ნედლეული ჩაყარეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მლ მდუღარე წყალი, დაახურეთ თავსახური და მოთავსეთ მდუღარე წყლის ორთქლზე 15 წთ. შემდეგ გადმოდგით, შეაგრილეთ, გაწურეთ, შეავსეთ 200 მლ-მდე ადუღებული წყლით.

მიღება: 2-3 სუფრის კოვზი ჭამიდან 30 წთ-ის შემდეგ. უფროსი ასაკის ბავშვებს — 2 ჩაის კოვზი, ხოლო ადრეული ასაკის ბავშვებს — 1 ჩ.კ. 3-4-ჯერ დღეში.

კატაბალახის სპირტიანი ნაყენი, რომლის შეძენაც შეგიძლიათ აფთიაქებში, უნდა მიიღოთ 20-30 წვ. 3-4-ჯერ დღეში, ხოლო ბავშვს დაალევინეთ იმდენი წვეთი, რამდენი წლისაც არის.

მოამზადა
თამარ მამაცამეილმა

ცოფი



ამ რამდენიმე ხნის წინ მრავალი ადამიანი შეაძრწუნა ცოფიანი ძაღლის მიერ დაკბენილი პატარა ბიჭის დაღუპვის ცნობამ. დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ბავშვს ჩაუტარდა ცოფის საწინააღმდეგო აცრები ექიმის მიერ მითითებული სქემით, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ექიმი შეცდა.

ცოფი ადამიანისა და თბილსისხლიან ცხოველთა ნერვული სისტემის მწვავე ინფექციური დაავადებაა, ახასიათებს მძიმე ენცეფალიტი და დაავადებულის სიკვდილით მთავრდება. ცოფს იწვევს ვირუსი. ინფექციის რეზერვუარს შეადგენენ გარეული მტაცებლები: მგელი, ტურა, მელა, ღამურა, აგრეთვე შინაური ცხოველები: ძაღლი, კატა, თითქმის ყველა ხორცისმჭამელი და სასოფლო-სამეურნეო პირუტყვი.

ცოფის ვირუსი კონცენტრირებულია ცხოველის ნერწყვში. ადამიანი სნებოვნდება ცოფიანი ცხოველის კბენის, უფრო იშვიათად – დადორბვლის შედეგად. ამ გზით ვირუსი ნერწყვთან ერთად შეიჭრება ჭრილობაში. ადამიანიდან ადამიანს ცოფის ვირუსი არ გადაეცემა. ცოფიანი ცხოველის მიერ დაკბენილი ადამიანი ყოველთვის ავად არ ხდება. დაავადების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნაკბენის ლოკალიზაციას, ტრავმის სიდიდეს და სიღრმეს, ნერწყვის სიუხვეს და სხვა. სახეზე კბენისას დაავადება ვითარდება 90%-ში, ქვედა კიდურებზე კბენისას კი – 20%-ში. ინფექციის შეჭრის კარიდან ცოფის გამომწვევი მიემართება ცენტრალური ნერვული სისტემისკენ და აზიანებს თავისა და ზურგის ტვინს. ნერვების ბირთვების დაზიანების გამო, ვითარდება საყლაპავი და სასუნთქი კუნთების კრუნჩხვები. ნერვული სისტემიდან ვირუსი აღწევს სანერწყვე ჯირკვლებამდე და გადადის ნერწყვში.

ცოფის ფარული (ინკუბაციური) პერიოდი 12 დღიდან 1 წლამდეა. რაც უფრო მოკლეა მანძილი ნაკბენიდან თავის ტვინამდე, მით უფრო ხანმოკლეა ფარული პერიოდი.

ცოფის მიმდინარეობაში გამოარჩევენ სამ სტადიას: 1. პროდრომულს, 2. აგზნების და 3. პარალიზურს. პირველ სტადიაზე ავადმყოფს თავს შეახსენებს უკვე დანაწიბურებული ნაკბენი, იგრძნობს ამ არეში წვას, ტკივილს, ქავილს. სხეულის ტემპერატურა 37-38 გრადუსამდე აღწევს. ავადმყოფს ეწყება უძილობა, იპყრობს სიკვდილის შიში, ეცვლება ხასიათი და ქცევა, სტკივა თავი, ყურებში ესმის ხმაური, ხდება დეპრესიული, მელანქოლიური, განცალკევების სურვილი აქვს, უარს ამბობს საჭმელზე; პროდრომული პერიოდი გრძელდება 1-3 დღე. შემდეგ იწყება ძლიერი მოუსვენრობის ანუ აგზნების პერიოდი. ვლინდება ცოფის დამახასიათებელი ნიშნები: წყლის, ჰაერისა და ხმაურის შიში, გაძლიერებული ნერწყვდენა. წყლის ხსენებაზეც კი ავადმყოფს უვითარდება ხორხისა და საყლაპავის კუნთების სპაზმი, სუნთქვა ეკვრის, ეწყება ქოშინი, სახეზე მოლურჯო ელფერი გადაჰკრავს. ამიტომ ეწოდება ცოფს წყლის შიში. მსგავსი რეაქცია შეიძლება განვითარდეს ოთახში მკვეთრი მოძრაობის დროს: კარის გაღების ან დახურვისას, საბნის დაფარებისას და სხვა. ეს არის ე.წ. აეროფობია ანუ ჰაერის შიში. შეტევის დროს ავადმყოფი უეცრად კრთება, ხელები უკანკალებს, თავს უკან გადახრის, სუნთქვა უჭირს, განსაკუთრებით – ჩასუნთქვა. ასეთი შეტევების გახშირების შედეგად, ავადმყოფი ძლიერ იფიტება, იღლება. შეტევის გახშირებასთან ერთად მას ეწყება ფსიქიკური მოშლილობა, მტანჯველი კრუნჩხვები, ჰალუცინაციები, ხდება აგრესიული, ავლენს არაადამიანურ ძალას, ამტვრევს ნივთებს, იხევს ტანსაცმელს, გარბის, ყვირის, უხვად სდის წებოვანი ოფლი; ნერწყვი იმდენად დიდი რაოდენობით გამოიყოფა, რომ ავადმყოფს არ ძალუძს მისი გადაყლაპვა და განუწყვეტლივ აფურთხებს ირგვლივ. ტემპერატურა 40-42 გრადუსს აღწევს. აგზნების პერიოდის მე-3-4 დღეს, ერთ-ერთი შეტევის დროს ავადმყოფი იღუპება გულის ან სუნთქვის გაჩერებით, ან ვითარდება მესამე დამბლის სტადია, რომლის ხანგრძლივობა 15-20 საათია.

ცოფის სპეციფიკური მკურნალობა დღემდე არ არსებობს, მაგრამ არსებობს ამ შემზარავი დაავადების პროფილაქტიკური ღონისძიება – ვაქცინაცია, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ინაქტივირებული ვირუსების ორგანიზმში შეყვანის გზით, ადამიანს ცოფის საწინააღმდეგო იმუნიტეტი უფრო მოკლე დროში უვითარდება, ვიდრე ცოფის ვირუსი ცენტრალურ ნერვულ სისტემას მიაღწევდეს და დაავადება დაიწყებოდეს. ამიტომ დაზარალებულმა დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს პოლიკლინიკის ქირურგიულ განყოფილებას, სადაც ამჟამად ტარდება ანტირაბიული აცრები.

ჭრილობა უნდა დამუშავდეს სარეცხისსაპნიანი წყლით და იოდით. თუ ნაკბენი თავზეა, ან ხელის და ფეხის თითებზე, მაშინ უნდა დაიწყოს აცრები დაუყოვნებლივ. პარალელურად წესდება მეთვალყურეობა იმ ცხოველზე, რომელმაც პაციენტი დაკბინა. თუ 10 დღის განმავლობაში ცხოველი არ დაიღუპა, მაშინ იმუნიზაცია წყდება. თუ ცხოველზე მეთვალყურეობა შეუძლებელია (ძაღლი მაწანწალა იყო), მაშინ უნდა ჩატარდეს აცრების სრული კურსი, რომელიც მოიცავს ანტირაბიული ვაქცინის 6 კანქვეშა ინიექციას გარკვეული გრაფიკით. თუ ნაკბენი ტანზეა და ცხოველზე მეთვალყურეობა შესაძლებელია, დასაშვებია, რომ არ დაიწყოს იმუნიზაცია 10 დღის განმავლობაში და მხოლოდ ცხოველის დაღუპვის შემთხვევაში ჩატარდეს ვაქცინაცია.

გირჩევთ, საეჭვო შემთხვევაში, ნუ გარისკავთ საკუთარი სიცოცხლის ფასად. იმუნიზაცია უვნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის.

გთავაზობთ სამკურნალო-პროფილაქტიკური ვაქცინაციის სქემას – ზუსტი ინფორმაციის ქონა თავიდან აგაცილებთ სავალალო შეცდომებს.

დაზიანების კატეგორია	კონტაქტის ხასიათი	ცხოველის მდგომარეობა		რეკომენდებული მკურნალობა
		კბენის მომენტში	10 დღის დაკვირვების შემდეგ	
1	დაუზიანებელი კანის დადორბლვა ნებისმიერ ადგილას	ჯანმრთელი, ცოფიანი		არ საჭიროებს
2	შინაური ცხოველის მიერ დაზიანებული კანის საფარველის დადორბლვა, ერთეული ზედაპირული ნაკბენები ან ნაფხაჭნები ზურგზე, ზედა და ქვედა კიდურებზე (თავის, სახის, კისრის, მტევნების, ხელისა და ფეხის თითების, შორისის, სასქესო ორგანოების გარდა).	ა) ჯანმრთელი ბ) ჯანმრთელი გ) საეჭვოა, რომ აქვს ცოფი დ) ცოფიანია, გაიქცა, მოკლეს, დიაგნოზი უცნობია	ჯანმრთელი ავად გახდა დაიღუპა დაიკარგა ჯანმრთელი	არ ინიშნება ცხოველის დაავადების ან დაკარგვისთანავე დაიწყოს მკურნალობა. ვაქცინის 1 მლ კეთდება შემდეგ დღეებში: 0, მე-3, მე-7, მე-14, 30-ე და 90-ე. დაუყოვნებლივ იწყება მკურნალობა ვაქცინის 1 მლ-ით შემდეგ დღეებში 0, 3, 7, 14, 30 და 90. თუ 10 დღის შემდეგ ცხოველი ჯანმრთელი დარჩა, მკურნალობა წყდება. დაუყოვნებლივ იწყება მკურნალობა: 1 მლ ვაქცინა 0, 3, 7, 14, 30 და 90-ე დღეებში (ტარდება სრული კურსი).
3	შინაური ცხოველის მიერ ლორწოვანი გარსის ან დაზიანებული კანის დადორბლვა, ნაჩხაპნები, დაზიანებები, ნაკბენები თავის, სახის, კისრის, მტევნების, ხელის და ფეხის თითების, შორისის, სასქესო ორგანოების არეში, მრავლობითი ნაკბენები და ნებისმიერი ლოკალიზაციის ფართო დაზიანებები, ერთეული ღრმა ნაკბენები და ნაჩხაპნები.	ა) ჯანმრთელია ან საეჭვოა, რომ აქვს ცოფი ბ) ჯანმრთელია ან საეჭვოა, რომ აქვს ცოფი გ) ცოფიანია, გაიქცა, მოკლეს, დიაგნოზი უცნობია	ჯანმრთელი დაავადდა, დაიღუპა დაიკარგა	დაუყოვნებლივ იწყება კომბინირებული მკურნალობა ანტირაბული იმუნოგლობულინით 0 დღეს (ე.ი. იმავე დღეს) + 1 მლ ვაქცინა 0 დღეს (იმავე დღეს), მე-3, მე-7, მე-14, 30-ე და 90-ე დღეს. თუ ცხოველი 10 დღის შემდეგ ჯანმრთელი დარჩა, მკურნალობა წყდება. დაუყოვნებლივ იწყება კომბინირებული მკურნალობა იმუნოგლობულინი + 1 მლ ვაქცინა 0, 3, 7, 14, 30, 90 დღეებში (ტარდება სრული კურსი) იგივე, რაც ბ-ში.
	ღამურების და მღრღნელების მიერ მიყენებული ნებისმიერი დაზიანება: ნაჩხაპნი, ნაკბენი, დადორბლვა დაზიანებულ კანზე.			იმუნოგლობულინი + 1 მლ ვაქცინა 0, 3, 7, 14, 30 და 90 დღეს

ექიმის პასუხი

კითხვა: როგორია თქვენი აზრი წამლების სატელევიზიო რეკლამების შესახებ?

პასუხი: რეკლამა ჩვენი დღევანდელი ყოფის განუყოფელ ნაწილად იქცა. მას შეუძლია სარგებლობის მოტანაც, თუ იქნებოდა ზუსტი და მეცნიერულად დასაბუთებული. მაგრამ სამწუხაროდ, იგი ყოველთვის არ არის კარგად გათვლილი და მოფიქრებული. განა გონივრულია, რომ „ტელეაფთიაქარი“ თქვენს სიცხიან პატარას გაუსინჯავად უნიშნავს პანადოლს. საქმე ის კი არ არის, კარგია ეს პრეპარატი თუ ცუდი, არამედ ის, რომ ნებისმიერი სიმპტომის მიღმა შეიძლება საკმაოდ სერიოზული დაავადება იმალებოდეს.

სხვადასხვა პრეპარატი შეიცავს კომპონენტებს, რომელთა შესახებ მოკლე რეკლამაში, როგორც წესი, არაფერს ამბობენ და რომელთა მოხვედრამ თქვენს ორგანიზმში შესაძლოა, არასასურველი გართულებები გამოიწვიოს.

როგორც ექიმის პროფესია სრულიად განსხვავდება სხვა პროფესიებისაგან თავისი პასუხისმგებლობით, ასევე წამალი – სამკურნალო საშუალება, არ შეიძლება გაიგივდეს წარმოების სხვა პროდუქციასთან, დაუშვებელია წამლის რეალიზაციის მიზნით ისეთივე მეთოდების გამოყენება, როგორიც, მაგალითად, საღეჭი რეზინის, ფეხსაცმლის ან სუნამოს რეალიზაციის მიზნით გამოიყენება. უნდა გვახსოვდეს, რომ ამგვარად ჩვენ ადამიანის ჯანმრთელობას და მის სიცოცხლეს ვეთამაშებით.

ამიტომ, საჭიროდ მიგვაჩნია შეგახსენოთ, რომ ერთი შეხედვით თუნდაც სრულად უვნებელ პრეპარატსაც კი ნუ მიიღებთ უკონტროლოდ და ხანგრძლივად.

მოამზადა თამარ მამაცაშვილმა

ამ რამდენიმე ხნის წინ, საფრანგეთში პოპულარული თოქ-შოუს ერთი მონაწილე ემოციურად ეუბნებოდა მეორეს: „მე თქვენ გიხდით, როცა წიგნს ვყიდულობ; გიხდით, როცა კინოში შევდივარ; როცა მუსიკას ვუსმენ, ან მობილური ტელეფონით ვრეკავ; იმისთვისაც კი, რომ საპირფარეშო ჩავრეცხო, თქვენ უნდა გადაგიხადოთ ფული!“ მოქალაქე, ვარდისფერლოყებიან, მოსულ მამაკაცს მიმართავდა, რომელიც ამ დროს მშვიდად უღიმოდა. ამ კაცს ჟან-მარი მესიე ჰქვია.

უნივერსალური მუსიე მესიე

პატივმოყვარეობისგან თავისუფალი კაცი

„პოლიტექნიკური ინსტიტუტი რომ დავამთავრე, ვერა და ვერ გადამეწყვიტა, რისთვის მომეკიდა ხელი. ჩემი რეზიუმე (ანკეტა) კომპანია TOTAL-ში გავაგზავნე, მაგრამ არ მიმიღეს. დავრეკე, რათა უარის მიზეზი გამეგო. TOTAL-ის ხელწერის სპეციალისტმა შეხვედრა დამინიშნა და ამიხსნა რომ საშინელება მჭირდა: მანერა, რომლითაც ასოებს – I, G და J-ს ვწერდი, მოწმობდა, რომ სრულიად მოკლებული ვიყავი პატივმოყვარეობას, „ეს თვისება კი აუცილებელია კერძო ბიზნესში“, – დასძინა მან. ეს ამბავი ადასტურებს, რომ მათემატიკისა და ფინანსურ გამოთვლათა ფარგლებს მიღმა გასვლისთანავე, ჩვენი ყოველგვარი შეხედულება ინტუიციას ეფუძნება. ამრიგად, გრაფოლოგიაზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ – ყოველგვარ პატივმოყვარეობას მოკლებული ვყოფილვარ!“

ეს გახლავთ ნაწყვეტი კომპანია VIVENDI UNIVERSAL-ის პრეზიდენტის ჟან-მარი მესიეს ინტერვიუდან, რომელიც მისი ავტობიოგრაფიული წიგნის გამოსვლასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა. ამ წიგნის სახელწოდებაა "J6M.COM. რატომ არ უნდა გვეშინოდეს ახალი ეკონომიკის?“ წიგნი შარშან შემოდგომაზე გამოვიდა – ე.ი. მაშინ, როცა საფრანგეთში ბევრი ეჭვობდა, რომ მესიეს კომპანია, რომელიც ახალი ეკონომიკის მორევში გადაეშვა, შეიძლება ჩაძირულიყო. მესიემ გადაწყვიტა, რომ ეს სწორედ ის დრო იყო, როცა ღირდა ყველასთვის მოეთხრო, თუ სახელდობრ ვინ არის იგი და როგორ წარმოუდგენია თანამედროვე ბიზნესის განვითარება. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: მას შემდეგ არა მარტო კომპანია გახდა პოპულარული, არამედ მისი შეფიც – სწორედ ის კაცი, რომელსაც „გრაფოლოგიურად“ არ გააჩნია პატივმოყვარეობა და რომელიც წამდაუწუმ ჩნდება ტელეეკრანებსა და პერიოდიკის ფურცლებზე – თანაც, არა ეკონომიკისა და ფინანსების მოსაწყენ გვერდებზე, არამედ ცარცის ქაღალდიანი „პარი მატჩის“ გარეკანზე...

მესიემ სამი უნაკლო სარეკლამო სვლა გააკეთა. ის პირველი იყო, ვინც თავისი შემოსავლები გამოაქვეყნა: 21 მლნ ფრანკი (2,7 მლნ დოლარი) წელიწადში (რომელიც, გადასახადების დაფარვის შემდეგ, 1 მლნ დოლარად იქცა) პლუს VIVENDI-ს აქციების 0,33 %. მეორე – გადაიღო „პარი მატჩისთვის“ ფოტოსურათი, რომელზეც შინ დივანზე წამოწოლილ მესიეს გამოხეული წინდა უჩანს. დაბოლოს: მას არათუ არ მოუთხოვია პოპულარული ტელეგადაცემა „თოჯინებიდან“ თავისი პერსონაჟის ამოღება (ის VIVENDI-ს კონტროლის ქვეშ მოქმედ CANAL+-ზე გადის), არამედ მის შემქმნელებს თავისი წიგნის სათაურსაც დაესესხა: საქმე ის გახლავთ, რომ კოლეგები მესიეს სახელს ჰკვეცენ და მას მოკლედ, J2M-ს ეძახიან; „თოჯინებში“ მას კიდევ რამდენიმე M-ი დაუმატეს (MOI-MEME MAITRE DU MONDE), რაც ნიშნავს „მსოფლიოს მბრძანებელს, საკუთარი პერსონით“). ასე გამოვიდა J6M. „ვიცოდი, რომ ადამიანები განდიდების მანიაში დამდებდნენ ბრალს, – ამბობს მესიე, – მაგრამ ეს დასახელება ხომ, იმავე დროს, ირონიულიც არის. ასე გამოვხატე ის, რომ არ შეიძლება, საკუთარ თავზე მეტისმეტად სერიოზულად ფიქრობდე“.

PR (PROMOTION – პოპულარიზაციის) მასირებული კამპანიის შედეგად, პუბლიკამ ახლა უკვე ყველაფერი იცის მის შესახებ. მაგალითად, ის, რომ მისი ცოლი ფიზიკოსია და მათ ხუთი შვილი ჰყავთ. რომ მას „მაკინტოშის“ კომპანიის კომპიუტერი ურჩევნია. რომ ის ეკოლოგიურად სუფთა ელექტრომობილით დადის, რომლის სალონშიც ბოლო დრომდე საბავშვო სკამი იყო ჩადგმული. ისიც, რომ თუ დრო გამონახა, შეუძლია პატარა შვილები თავად დაბანოს, უფროსებს კი, გაკვეთილების მომზადებაში მიეხმაროს. რომ ძალიან უყვარს ურთიერთობა ჯულია რობერტსსა და სოფი მარსოსთან, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ოდესმე ცოლისთვის ეღალატოს. თავის მთავარ ნაკლად მოუთმენლობას თვლის, მიუტევებელ სისუსტედ კი – ღორმუცლობას. დაბოლოს – რომ უყვარს კლასიკური მუსიკა და „ბითლზი“ და ხშირად იმეორებს პოეტ რენე შარის სიტყვებს: „ცხოვრება მეტისმეტად ხანმოკლეა იმისათვის, რომ გულხელდაკრეფილი იჯდე და უცქირო, როგორ მიედინება“.

ამერიკული UNIVERSAL STUDIOS-ი დიდ ასპარეზს აძლევს მომიჯნავე დარგებს: საფრანგეთში, ფასიანი ტელეარხი მის ფილმებს ატრიალებს, იაპონიაში ამ ცოტა ხნის წინ გახსნილი „იურიული პერიოდის პარკი“ უამრავ ტურისტს იზიდავს

პოლიტიკური კავშირების წყალობით, მობილური ტელეფონების ქსელი SFR შექმნის დღიდანვე ლიდერად იქცა საფრანგეთში

წყალსადენიდან ჰოლივუდამდე

ბოლო ხუთი წლის მანძილზე კომპანია VIVENDI 25 შერწყმისა და გაერთიანების მონაწილე იყო. ახლა ის ევროპაში უმსხვილესი წყალმომმარაგებელიც არის და ჰოლივუდური კომპანია UNIVERSAL-ის მფლობელიც. VIVENDI UNIVERSAL-ს ეკუთვნის აგრეთვე ფასიანი ტელეარხი, გამომცემლობა, მუსიკალური საიტი, მობილური ტელეფონების ქსელი, საქალაქო ტრანსპორტი და, წარმოიდგინეთ, საყოფაცხოვრებო ნაგვის კომპანიაც.

ჯგუფის წლიური ბრუნვა 65 მლრდ ევროს აღწევს. მედიაბიზნესში VIVENDI-მ უკვე გაუსწრო რუპერტ მერდოკის ავსტრალიურ NEWS CORP-სა და გერმანულ ფირმა BERTELSMANN-ს და ახლა მსოფლიოში მეორე ადგილზეა, ამერიკული კონგლომერატის – AMERICA ON LINE და TIME WARNER-ის შემდეგ. ყოველი მეოთხე დოლარი, რომელსაც ამერიკელები მუსიკალურ პროდუქციაზე ხარჯავენ, VIVENDI-ს ყულაბაში მიდის. ბოლო წლის მანძილზე კომპანიის აქციები 5%-ით გაძვირდა, ამ დროს, სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ მათი შეფასება დაახლოებით 20%-ით არის დაკნინებული. დაქირავებული მუშაკებიც არ ემდურიან VIVENDI-ს: ის საფრანგეთში ყველაზე დიდი კერძო კომპანია-დამქირავებელია – მთელ მსოფლიოში გაბნეულ მის თანამშრომელთა საერთო რაოდენობა 290 ათას კაცს აღწევს. ამასთან, ის გამუდმებით ატარებს სოციალურ დიალოგს და მუშაკთა წახალისებისა და სწავლების პროგრამებს ახორციელებს. ყოველდღიურად, სულ უფრო მეტი ადამიანი ებმება ინტერნერტში, კინოსა და მასმედიაში, და სულ უფრო ნაკლები – ტრადიციულ წყალსადენში, ტრანსპორტსა და ნაგვის გატანაში. ეს არც არის გასაკვირი: მათი 44 წლის შეფი, ჩანს, სერიოზულად აპირებს გახდეს, თუ არა მსოფლიოს – ახალი ეკონომიკის მბრძანებელი მაინც.

ჯარიერის დასაწყისი

ჟან-მარის მამა მთავარი ბუღალტერი იყო და საშუალო კლასს განეკუთვნებოდა. შვილის პროფესიის არჩევაში არც ერთი მშობელი არ ჩარეულა, მაგრამ პრესტიჟულ სასწავლებლებზე ძალზედ შორეული წარმოდგენა ჰქონდათ, ამდენად, მისი არჩევანი – ჯერ პოლიტექნიკური ინსტიტუტი, შემდეგ – მმართველობის უმაღლესი სკოლა (ENA) – ორივესთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

ENA პრეზიდენტმა დე გოლმა იმისთვის შექმნა, რომ იქ საფრანგეთის უმაღლესი მოხელეები და სახელმწიფო მოღვაწეები აღეზარდათ, ამიტომ მის კურსდამთავრებულებს შრომითი მოწყობის პრობლემა არასოდეს ჰქონიათ. ჟან-მარი მესიე ფინანსთა სამინისტროში მოხვდა. სწორედ იქ გაიცნო ჯერ ედუარდ ბალადიურის ნათესავი, მოგვიანებით კი – მისი უახლოესი მეგობარი. ცოტა ხანში ბალადიური ფინანსთა მინისტრი, შემდეგ – პრემიერ-მინისტრი გახდა. 1986 წელს კი მესიე იმ ქვედანაყოფის ხელმძღვანელად დანიშნა, რომელიც პრივატიზაციის საკითხებს განაგებდა.

მაშინ ჟან-მარი 30 წლისაც არ იყო, ასე რომ, შეეძლო ეამაყა, რომ ამ რანგის ყველაზე ახალგაზრდა მოხელე გახდა. ის უდავოდ ნიჭიერი ახალგაზრდა იყო, საკუთარი ძალების რწმენით, სიმშვიდითა და თავის სიმართლეში სხვათა დარწმუნების უნარით გამოირჩეოდა. ენთუზიაზმით მუშაობდა სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის საკითხებზე, რაც ესოდენ მნიშვნელოვანი იყო მართვის სადავეებთან მემარჯვენეთა მოსვლის შემდეგ. უფროსებსა და უფროსი თაობის მოხელეებს არ შეეძლოთ დადებითად არ შეეფასებინათ ახალგაზრდა კაცის შრომისმოყვარეობაც და, განსაკუთრებით მოკრძალება, რომელიც სწრაფი კარიერის მიუხედავად, ქედმაღლობით არ შეცვლილა. ისინი გრძნობდნენ, რომ კორუფციის მამხილებელი სკანდალების მოწმენიც გახდებოდნენ და ფსონი „ვუნდერკინდზე“ დადეს. ის მეტისმეტად ახალგაზრდა იყო საიმისოდ, რომ თავისი რეპუტაციის შებღალვაზე წასულიყო...

პარიზში განთავსებული მოკრძალებული ოფისი VIVENDI-ს პატრონს აღარ იზიდავს, ამიტომ შემოდგომიდან ის ნიუ-იორკში გადაბარგებას აპირებს

მაგრამ 1988 წელს მემარჯვენეები ხელისუფლებიდან წავიდნენ და მესიემ სამინისტრო დატოვა. ბევრს ეგონა, რომ ის პოლიტიკას მოჰკიდებდა ხელს: მისი კარიერა ძალიან ჰგავდა საფრანგეთის მომავალი პრეზიდენტის – ვალერი ჟისკარ-დესტენისას, მაგრამ მესიემ ბიზნესი ამჯობინა.

თავდაპირველად, ის დიდ კერძო ბანკში მუშაობდა, სადაც რიგით მეორე პოსტი ეკავა. მისმა საქმიანმა თვისებებმა აქაც იჩინა თავი, მაგრამ უამრავი მოშურნე ჰყავდა – როგორც ბანკში, ისე მის გარეთ. გარდა ამისა, ბანკის ხელმძღვანელობა მემკვიდრეობით, მისი მმართველის ნათესავს ერგებოდა, ჟან-მარის კი უკვე ლიდერობის წყურვილი კლავდა. 1994 წელს ის COMPAQNIE GENERALE DES EAUX-ში გადავიდა. „ის მეტისმეტად სწრაფად მიიწევს წინ, – ამბობენ ფრანგული ბურჟუაზიის წეს-ჩვეულებათა მცოდნე ადამიანები. – ის მეტისმეტად ახალგაზრდაა, მეტისმეტად დიდი მადა აქვს და მეტისმეტად ბევრი მტერი ჰყავს. ერთ მშვენიერ დღეს ისინი ყველაფერს აზღვევინებენ“.

შვიდი წელიწადი, რომელმაც საფრანგეთი შეძრა

მომავალი VIVENDI-ს ისტორია ძალზე

აქტიურად დაიწყო. ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც ერგო დიდ და ცნობილ კომპანიაში გენერალური დირექტორის პოსტზე მიწვევის პატივი, ამ წინადადების მიღების პირობად, ხელფასი წამოაყენა: მისი მოთხოვნით, ის კომპანიის მხცოვანი პრეზიდენტის გი დეჟუანის გასამრჯელოს ტოლი უნდა ყოფილიყო – სწორედ იმ კაცის, რომელმაც მესიე მიიწვია. ყოველთვიურმა ხელფასმა ნაღდ 1 მლნ ფრანკს მიაღწია, მაგრამ წამოყენებული პირობა შესრულდა. ორი წლის შემდეგ 74 წლის დეჟუანი, რომელიც 20 წლის მანძილზე მართავდა კომპანიას, გადადგა და ეს პოსტი მესიეს გადასცა. ახალ პრეზიდენტს მან სთხოვა, კიდევ ერთი წლის მუშაობის საშუალება მიეცა. მესიემ თავაზიანი და მტკიცე უარი განუცხადა. ის ხშირად ამბობს ხოლმე: ძალაუფლების მიღება შეუძლებელია – ის კაცმა თავად უნდა აიღოს...

ახალ პრეზიდენტსა და გენდირექტორს ნამდვილი ავგიას თავლა ერგო და ისიც გადაუდებლად შეუდგა მის გასუფთავებას. COMPAQNIE GENERALE DES EAUX (CGE) ჯერ კიდევ 1853 წელს, ნაპოლეონ მესამის დროს შეიქმნა – მას წყლით უნდა უზრუნველეყო პარიზი, ლიონი, ვენეცია და კონსტანტინოპოლი. იმ დროისთვის, როცა კომპანია მესიეს ხელში აღმოჩნდა, კონგლომერატში 2740 ცალკეული საწარმო შედიოდა, რომელიც პრაქტიკულად, ყველა სფეროში მუშაობდა. მიუხედავად 164 მლრდ ფრანკის წლიური ბრუნვისა, კომპანია ღრმა კრიზისს განიცდიდა – არა მარტო ვალებისა და მმართველობაში არსებული პრობლემების გამო, არამედ გუთავებული სკანდალების, სასამართლო სარჩელებისა და კორუფციაში მხილებათა მიზეზით. მესიემ გადაწყვიტა, რომ ასეთი მემკვიდრეობა არაფერში გამოადგებოდა და გორდიას კვანძი გაჩეხა: 1997 წელს კომპანიას VIVENDI დაერქვა – სახელი, რომელზეც არავის შეეძლო ცუდი სიტყვის თქმა. ამრიგად, სკანდალების შლეიფი CGE-ს დარჩა, რაც შეეხება ვალებს, – მესიემ მთელი ტრადიციული ბიზნესი ცალკე ფირმას VIVENDI ENVIRONNEMENT-ს გადაულოცა და ვალებიც მას „აჰკიდა“, თავად კი „ახალი ეკონომიკის“ განვითარებას მიჰყო ხელი.

პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით ძალზედ ეფექტური, მესიეს პოლიტიკური კავშირების წყალობით აღმოჩნდა: მის მიერ შექმნილი ტელესაკომუნიკაციო კომპანია CEGETEL-ი და მობილური სატელეფონო კავშირის ოპერატორ SFR-ი საფრანგეთში ლიდერებად იქცნენ და VIVENDI-ს ახალი სახის როლი შეასრულეს. ამას მედიამაგნატის კლასიკური ჯენტლმენური ნაკრები მოჰყვა: ტელეარხი (CANAL+), ჟურნალი (L`EXPRESS), გამომცემლობა (HAVAS) და ინტერნეტპორტალის პროექტი. ეს ყველაფერი სულ რაღაც 5 წელიწადში მოხდა. მაგრამ მთავარი გარღვევა, რომელმაც ყველა VIVENDI-ზე აალაპარაკა, – კანადურ SEAGRAM-თან გრანდიოზული შერწყმა გახდა, რომლის შედეგად მესიეს კომპანიას „ამაყი“ დაბოლოება გაუჩნდა: VIVENDI UNIVERSAL.

SEAGRAM-ი რამდენიმე მიზეზით იზიდავდა მესიეს. მას სურდა გაეფართოებინა კინობიზნესი, რათა საკუთარი ფილმები ეჩვენებინა საკუთარი ფასიანი ტელეარხით, SEAGRAM-ი კი, ჰოლივუდური კინოსტუდიების – UNIVERSAL STUDIOS მეპატრონეა. მესიეს სურდა, ინტერნეტის საშუალებით გაევრცელებინა მუსიკა, SEAGRAMS-ს კი ხმის ჩამწერი სტუდია UNIVERSAL MUSIC და ამ სტუდიაში დაცული მუსიკალურ ნაწარმოებთა ვეებერთელა კოლექცია აქვს. დაბოლოს, მესიე ოცნებობდა, თავისი ბიზნესი ამერიკაზეც განევრცო, ცნობილი ამერიკული მარკების მფლობელ კანადურ კომპანიასთან შერწყმა კი სწორედ ამ პერსპექტივას შლიდა მის წინაშე. 2000 წლის ივნისში გამოცხადდა, რომ VIVENDI 34 მლრდ დოლარად ყიდულობს SEAGRAM-ს. მესიე მსოფლიოში მეორე მედიაბიზნესის მფლობელი გახდა.

კანადურმა SEAGRAM-მა მესიე, მისთვის ტრადიციული სპირტიანი სასმელებით კი არა, არამედ კინო და მუსიკალური სტუდიებით მიიზიდა

ყველაფერი წინ არის

მესიე აცხადებს, რომ მისი კომპანიის მიზანია ლიდერობა ხუთ სფეროში, ესენია: კინო, მუსიკა, განათლება, სპორტი და თამაშები. მისი ბოლო შენაძენი, რომლითაც შეუძლია იამაყოს, ბიზნესგამოცემათა აქტიური განხილვის ობიექტია: VIVENDI-მ იყიდა ინტერნეტ-კომპანია MP3 COM. (327 მლნ დოლარად) და ამერიკული გამომცემლობა HOUGHTON MIFFLIN-ი (2,2 მლრდ დოლარად). მესიე ადრეც იყენებდა თავისი პროდუქციის კროს-მარკეტინგის ხერხს: მაგალითად, ბაზარზე „იურიული პერიოდის პარკის“ თემაზე გამოსული ინტერაქტიური თამაშის გამოჩენა ამ ფილმის ეკრანებზე გამოსვლას დაამთხვია. ახლა მას ახალი შესაძლებლობები გაუჩნდა: UNIVERSAL MUSIC-ის პროდუქცია მსმენელთან ინტერნეტ-პორტალის მეშვეობით ხვდება (ცხადია, შესაბამისი საფასურით), საიტზე EDUCATION.COM კი, არა მარტო საკუთარი კომპიუტერული თამაშების, არამედ ამერიკული გამომცემლობის მიერ გამოშვებულ სახელმძღვანელოთა მოხსენიება შეიძლება. „ცოტა ხანში, ამბობს მესიე, – ჩვენ საშუალება გვექნება, შემოგთავაზოთ UNIVERSAL MUSIC-ის მთელი კოლექცია, რომელშიც ჩანაწერებთან ერთად, სიმღერების ტექსტები, კონცერტების ბილეთები, ფოტოსურათები და უამრავი სხვა ინტერნეტ-სიამოვნება შევა“. ამ მიზნით უახლოეს პერიოდში ამოქმედდება პროექტი, რომელსაც VIVENDI SONY CORP-თან ერთად განახორციელებს (მას DUET, საბოლოოდ კი, PRESSPLAY ერქმევა) და რომლის შედეგად მუსიკალური პროდუქცია ხელმომწერებისთვის კომპიუტერებიდან და მობილური ტელეფონებიდან მიეწოდებათ. მესიე უკვე შეუთანხმდა YAHOO!-საც იმაზე, რომ მუსიკალური სერვისი ამ პორტალზეც იქნება ხელმისაწვდომი. საბოლოოდ, პროექტი კონკურენციას გაუწევს MUSICNET-ს, რომელსაც AOL TIME WARNER-ი, EMI და BERTELSMANN-ი ქმნიან.

გამჭვირვალობის მომხრე მესიემ ცოტა ხნის წინ საზოგადოებას აუწყა, რომ კომპანიამ ნიუ-იორკში, პარკ-ავენიუზე მისთვის 17,5 მლნ დოლარად შეიძინა ბინა და ცოტა ხანში იქ ოჯახსაც გადაიყვანს, რადგან ამიერიდან მისი სამუშაო დროის ნახევარს ამერიკაში გაატარებს. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ ნიუ-იორკის ბირჟის ხელმძღვანელობამ ის ადმინისტრაციულ საბჭოში შეიყვანა. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ფრანგს მთავარი ამერიკული ბირჟის ხელმძღვანელობაში იწვევენ. ასე რომ, მესიეს აქვს საფუძველი – იამაყოს. ის ჭკუას კარგავს ამგვარი რაღაცებისთვის: ძალიან უყვარს პირველობა. ■

შუბერტის კვინტეტის სახელწოდება

კანტის დასტის და სიკვდილის ადგილი
„ექიმი ჟივაგო“ (პერსონაჟი)
მახიზმის დამაარსებელი
პირველი ქალი
ციტრუსი
ტოტემგაკლ. ლერო
იანის ანტიპოდი
სამკურნალო და სუფრის წყალი
ეკლიანი ბალახი
კედლის ნათურა
მანქანის საქარე მინა
ჩინური სამაგიდო თამაში
კანადის დედაქალაქი
გაწონასწ. ვაჭრობა, საქონელგაცვლა
ნონას 60-ანი წლების რუმინელი მეტოქე
ჩრდილოეთი
იტალიელი არქიტექტორი
ფერების გარჩევის უუნარობა
კომპიუტერის სპეციალ. მოწყობილობა
ტუშით სახაზავი ხელსაწყო
იტალიელი მსახიობი
კიდურების სპაზმური დაავადება (ექ. გვარი)
კონკურსის ჯილდო
ბომარშეს კომედიების გმირი
ქუთაისის აეროპორტი
„ქალის სურნელი“ იტალიელი მსახიობი
ქართველი პოეტი ... ნადირაძე
განთიადი
„რეკორდი“ (პოლიციის უფროსი)
სამშენებლო მასალა
აშშ-ის მერ საქართ. გადმოსაცემ. ვერტმფრ.
ფრანგი მეიგავე
მოხეტიალე მეფოკუსე
სამაგიდო თამაში
ამერიკელი მსახიობი ... რივზი
კლდეკარის ერისთავი
თმის საცვენი ტალახი
„ველური ორქიდეა“ (მსახიობი)
„არსენალის“ ფეხბურთელი
სამკურნალო პრეპარატი სისხლის დლიმფისგან
სასიამოვნო სუნი
შეადგინა რამაზ ალანიამ

მე-16 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-გ; 3-გ.

მე-19 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-ა; 4-ა.

კვირის (6–12 აგვისტო) ასტროლოგიური პროგნოზი

ლომი – 23/VII-23/VIII



ვარსკვლავები ერთდროულად ბევრ ადამიანთან ურთიერთობას გპირდებიან. არ შეშინდეთ – ეს ალბათ თქვენს დაბადების დღეზე მოსული სტუმრები იქნებიან. ასეც რომ არ იყოს, ამ კვირაში ბევრ წვეულებაში მონაწილეობა მოგიწევთ და აქედან გამომდინარე, გინდათ თუ არა, აქტიური კონტაქტები გექნებათ.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ისეთი პრობლემა ამოგიტივტივდებათ, რომელიც დიდი ხნის გადაჭრილი გეგონათ. სასოწარკვეთას ნუ მიეცემით, შეეცადეთ, გაერკვეთ – რა შეცდომა დაუშვით და ხელახლა სცადეთ საკითხის გადაწყვეტა. შეგიძლიათ აგრეთვე დასახმარებლად, მეგობრებსაც მოუხმთ, განსაკუთრებით კი (ნუ გაგიკვირდებათ) – თქვენზე ახალგაზრდებს.

სასწორი – 24/IX-23/X

იმის საშუალება მოგეცემათ, რომ სამყაროს ცქერით შემოიფარგლოთ და სხვათა ფუსფუსს მიადევნოთ თვალი. ოღონდ, ეცადეთ მეტისმეტად არ მოდუნდეთ, თორემ შეიძლება საფულეც დაკარგოთ: ეს კვირა თქვენთვის „ზარმაცი“ იქნება, ამასთან, მცირე ფინანსური დანაკლისიც გაქვთ ნაწინასწარმეტყველები.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ემოციებითა და ვნებებით იმდენად დატვირთული კვირა გელით, რომ უნებლიეთ შექსპირი გაგახსენდებათ. თუმცა, იმის ნუ შეგეშინდებათ, რომ ვინმე ყურში შხამს ჩაგაწვეთებთ – ეს თქვენ არ გემუქრებათ. სამაგიეროდ, მღელვარე სასიყვარულო თავგადასავალი და ღრმა განცდები გარანტირებული გაქვთ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

თქვენთვის ორი სიახლე გვაქვს – ცუდი და კარგი. კარგი იმაში მდგომარეობს, რომ ყურადღების ცენტრში მოექცევით, რაც ყოველთვის სასიამოვნოა, ცუდი კი – იმაში, რომ ეს ყურადღება მუდამ სასიკეთო არ იქნება: მაგალითად, თუ თქვენ ბიზნესმენი ბრძანდებით, შესაძლოა, სწორედ ამ კვირაში გესტუმროთ საგადასახადო სამსახური...

თხის რქა – 22/XII-20/I

აუცილებლად შეიძინეთ რაიმე თქვენთვის, თუნდაც წვრილმანი: უბრალოდ, შენაძენი განსაკუთრებულ სიამოვნებას მოგგვრით და, რაც მთავარია, ცხოვრებას გაგიხალისებთ. გაითვალისწინეთ, რომ ამ კვირაში ნაკლებად სასიამოვნო სიახლეც არის შესაძლებელი: მეტი ყურადღება მიაპყარით კოლეგებს – ზოგიერთ მათგანს თქვენდამი პრეტენზიები დაუგროვდა.

მერწყული – 21/I-19/II

თავს გარეშე თვალით შეხედეთ და დარწმუნდებით, რომ მშვენიერ ფორმაში ბრძანდებით. ამიტომ, წუწუნს თავი უნდა დაანებოთ, თუნდაც უკმაყოფილო იყოთ ამა თუ იმ წვრილმანით. გაითვალისწინეთ ისიც, რომ დროა ინიციატივა გამოიჩინოთ. მცირედით დაიწყეთ – მაგალითად, უახლოეს დღეებში საყვარელი ადამიანი თეატრში დაპატიჟეთ.

თევზები – 20/II-20/III

გადადით წყლის პროცედურებზე – ე.ი. თქვენს სტიქიაზე! ინტენსიური მუშაობისა და საშინაო საქმეების მოგვარების პერიოდი დახურულად გამოაცხადეთ და რომ იტყვიან, პირდაპირ წყალში გადაეშვით: ახლა თქვენთვის აუცილებელია ბუნებაში გასვლა და ლაღი, მხიარული დასვენება.

ვერძი – 21/III-20/IV

ეცადეთ, ზედმეტი არ მოგივიდეთ: როცა საქმე კარგად მიდის, ცდუნებაც დიდია, რომ ყველაფრის გადაკეთებაც მოინდომოთ. მაგრამ ამგვარად, შეიძლება გადაიტვირთოთ კიდეც. ძალზედ ნაყოფიერი და წარმატებული კვირა გელით, მაგრამ შესაძლო უსიამოვნებათა ასაცილებლად თქვენთვის ხელსაყრელი იყოს ეგოიზმი გამოიჩინოთ, ამიტომ სხვისი პრობლემების გადაჭრას ნუ ეცდებით.

კურო – 21/IV-21/V

ყველაზე მეტად ახლა ის მოგინდებათ, რომ ვინმე ჭკვიანმა და ძლიერმა ადამიანმა აგიხსნათ, როდის რა უნდა აკეთოთ, უფრო უკეთესი კი ის იქნება, თუ თავად გააკეთებს ყველაფერს თქვენ მაგივრად. ვერაფრით გაგახარებთ: სინამდვილეში სწორედ თქვენ მოგიწევთ იყოთ ჭკვიანიცა და ძლიერიც, რჩევებიც მისცეთ სხვას და საქმესაც უხელმძღვანელოთ...

მარგალიტი – 22/V-21/VI

ყველაზე მეტად ამ კვირაში თქვენთვის ორი რამ იქნება უმნიშვნელოვანესი: პირველი – კულინარია, გურმანის ცხოვრების ყველა სიამოვნების გამოცდას მოინდომებთ... მეორე – ჭრა-კერვის ხელობა და თქვენი საცხოვრებლის გალამაზებისთვის ზრუნვა იქნება, რაც თქვენში ყოველგვარ სოციალურ აქტივობას დაჩრდილავს.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

თუმცა ბუნებით შინ ჯდომა უფრო გიყვართ, ამ კვირაში გამგზავრების დიდი შანსი მოგეცემათ. შეეწინააღმდეგებით ამას თუ არა – ეს თქვენი საქმეა. ხანმოკლე მოგზაურობა არ მოგიტანთ არც განსაკუთრებულ სიხარულს და არც რაიმე უსიამოვნებას.

როგორი მეგობარი ხართ?

ყველას უნდა ჰყავდეს მეგობარი, რომელსაც ენდობა და საჭიროების დროს დაეყრდნობა, მაგრამ ცოტა ვინმე თუ ფიქრობს საქმის მეორე მხარეზე — თავად რამდენად პასუხობს იმ მოთხოვნებს, რასაც სხვებს უყენებს. აღნიშნული ტესტის საშუალებით შეძლებთ გაერკვეთ, რამდენად კარგი მეგობარი ხართ. ეცადეთ, რაც შეიძლება ზუსტად უპასუხოთ შეკითხვებს:

1) თუ თქვენი რომელიმე ახლობლის შესახებ იცით ბევრი სახალისო ამბავი:

ა) მოუყვებით სხვებს – 1;

ბ) მოყვებით, ოღონდ ამ ამბის მონაწილეებს სახელებს შეუცვლით – 2;

გ) არავის მოუყვებით – 3.

2) მეგობარი ხშირად თხოულობს თქვენგან სხვადასხვა ნივთს, მაგრამ არასოდეს გიბრუნებთ. ახლა ისევ რაღაცის სათხოვნელად მოგადგათ:

ა) მისცემთ იმათ, რასაც გთხოვთ – 2;

ბ) ეტყვით, რომ მისთვის საჭირო ნივთი არ გაქვთ – 1;

გ) უარს ეტყვით და ამის მიზეზსაც აუხსნით – 3.

3) თუ მეგობარმა შემთხვევით გაგიტეხათ საათი, როგორ მოიქცევით?

ა) ეტყვით, რომ მაინც ახალი საათის ყიდვას აპირებდით – 3;

ბ) მოსთხოვთ, გადაგიხადოთ საათის საფასური – 2;

გ) წაჩხუბებით და შემდეგ აპატიებთ – 1.

4) თუ თქვენი მეგობარი ისეთ ადამიანთან მეგობრობს, რომელიც არ გიყვართ, თქვენ:

ა) მეგობარს აღარ შეხვდებით – 2;

ბ) არაფერს ეტყვით და მასთან მეგობრობას ჩვეულებრივად განაგრძობთ – 3;

გ) ეტყვით მეგობარს, რომ გააკეთოს არჩევანი თქვენსა და მეორე მეგობარს შორის – 1.

5) თუ გრძნობთ, რომ თქვენი მეგობარი შეიძლება მალე სერიოზულ უსიამოვნებაში გაეხვეს:

ა) შეწყვეტთ მასთან მეგობრობას, თავადაც რომ არ დაზარალდეთ – 1;

ბ) გულახდილად დაელაპარაკებით – 3;

გ) მასთან ურთიერთობას ძველებურად განაგრძობთ – 2.

6) თვლით, რომ ნამდვილი მეგობარი ვალდებულია:

ა) ყველაფერი გაგიმხილოთ – 1;

ბ) მარტო ის მოგიყვეთ, რასაც თავად ჩათვლის საჭიროდ – 3;

გ) თავისი ფიქრები და პრობლემები თავისთვის შეინახოს – 2.

7) თუ შეიტყვეთ, რომ თქვენს მეგობარს ფული სჭირდება, თქვენ კი გაქვთ საშუალება, ასესხოთ, მეგობარს ეტყვით:

ა) „აიღე ფული, ამით მხოლოდ სიამოვნებას მომანიჭებ“ – 2;

ბ) „მახსოვს, რამდენჯერ დამხმარებიხარ, ამიტომ ვალდებული ვარ, თავადაც ასე მოვიქცე“ – 3;

გ) „ფულს ვერ მოგცემ, უფრო ეკონომიურად უნდა გეცხოვრა“ – 1.

8) რას მოიმოქმედებთ, თუ მეგობრისგან ფულის ვალად აღება გსურთ?

ა) მიანიშნებთ – 1;

ბ) პირდაპირ სთხოვთ – 2;

გ) არაფერს ეტყვით – 3.

9) თუ მეგობარმა ისეთი ტანსაცმელი შეიძინა, რომელიც, თქვენი აზრით, არ უხდება, თქვენ:

ა) ეტყვით, რომ ძალიან უხდება – 2;

ბ) ეტყვით, რომ არ უხდება და აუხსნით რატომ – 1;

გ) არაფერს ეტყვით – 3.

10) თვლით, რომ თქვენი მეგობარი:

ა) თქვენზე უფრო ჭკვიანია – 2;

ბ) ნაკლებად ჭკვიანია – 1;

გ) დაახლოებით ერთნაირი გონებრივი მონაცემები გაქვთ – 3.

დაანგარიშეთ მიღებული ქულები

21-30 ქულა: ნამდვილად კარგი მეგობარი ხართ. მეგობრები გენდობიან და აღფრთოვანებულები არიან თქვენით. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ საჭიროების შემთხვევაში მათი უმეტესობა გვერდში დაგიდგებათ.

15-20 ქულა: ბევრი მეგობარი გყავთ, მაგრამ ისევე, როგორც ადამიანების უმეტესობა, თქვენც ხანდახან მათთან ურთიერთობაში ატყობთ, რომ ისე ვერ გიგებენ, როგორც გსურთ. როცა არ იცით, როგორ მოიქცეთ, შეეცადეთ, თქვენი თავი სხვა ადამიანის ადგილას წარმოიდგინოთ.

10-14 ქულა: საკუთარ თავს ზოგჯერ მეტი ყურადღებით ექცევით, ვიდრე გარშემომყოფებს. სწორედ ეს არის წინააღმდეგობა, რომელიც ჭეშმარიტი მეგობრობის გზაზე გეღობებათ. იმისათვის, რომ კარგი მეგობარი გახდეთ, შეეცადეთ სხვათა ინტერესებსა და პრობლემებს ოდნავ მეტი ყურადღებით მოეკიდოთ.

ᲪᲝᲚᲘᲡ ᲦᲐᲚᲐᲢᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲚᲐᲛᲐᲖᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ

იტალიელმა ფსიქოლოგებმა ქალის ფსიქოლოგიის საინტერესო თავისებურება დაადგინეს: ქალი თურმე გაცილებით ადვილად პატიობს მამაკაცს ღალატს, თუ მეტოქე გარეგნულად მიმზიდველია. თუ დავუჯერებთ გამოკვლევას, რომელიც პაციენტთა დაკვირვებებს ეყრდნობა, აღნიშნული პარადოქსი ქალთა 20%-ს ეხება, თუმცა ოჯახის შესანარჩუნებლად ფსიქოლოგები გვირჩევენ, პატიოსნად გამოვუტყდეთ ხოლმე მეუღლეებს ჩადენილ ღალატში და საერთოდ, ოჯახში სრული ნდობის ატმოსფეროს დამკვიდრებას მივაღწიოთ.

ᲕᲘᲜ ᲕᲘᲡ ᲭᲑᲐᲫᲐᲕᲡ?

პრესაში არაერთხელ დაწერილა, რომ მგალობელი ჩიტები ძალზედ აქტიურად ჭბაძავენ მობილური ტელეფონების ზარებს, მაგრამ თურმე საპირისპირო პროცესიც შეინიშნება: როგორც სააგენტო „როიტერი“ იუწყება, ფინეთში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს იმ ზარების მელოდიები, რომელიც ამა თუ იმ ფრინველის ჭიკჭიკის მიხედვით ჩაიწერა. ამ ხმების ციფრულ რეჟიმში გადაყვანასა და გაყიდვას ხელი მოჰკიდა ფრინველთა ფინურმა საზოგადოებამ. პროექტის ამოქმედებიდან პირველ ერთ თვეში ასეთი ზარები თავიანთი მობილური ტელეფონებისთვის 200 ათასამდე ადამიანმა შეიძინა. მომსახურება 5 მარკა ღირს.

ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲘᲛᲣᲜᲔᲑᲘ

თურქულის ეპიდემიის გამო, ცნობილი ინგლისური ნაკრძალი ლონგლიტ საფარი დამთვალიერებელთათვის დროებით დახურეს. ჩვეულებრივ, იქ ტურისტები თავისუფლად დადიოდნენ პარკში და ამით მაიმუნებსაც უხალისებდნენ ცხოვრებას. პარკში 80-მდე რეზუსის ჯიშის მაიმუნი ბინადრობს, რომლებსაც განსაკუთრებით უყვართ ავტომანქანებზე ძრომიალი, სიგნალის მიცემა, საჭის ტრიალი... ბუნებრივია, დახურვის შემდეგ რეზუსებმა ძალიან მოიწყინეს. ამის შემხედვარე, პარკის თანამშრომლები დაფიქრდნენ, რით გამოეცოცხლებინათ მაიმუნები დაბოლოს, მოიფიქრეს: ავტომოყვარულ მაიმუნებს რამდენიმე ძველი მანქანა მოუყვანეს და სრულ განკარგულებაში გადასცეს. რეზუსები მყისვე გამოცოცხლდნენ და პარკი კვლავ გაივსო მათი აღტაცებული ხმებით.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲒᲖᲐ“ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲡ

„ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲐ“

ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲡ (ᲐᲠᲐᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲡᲐᲪ) ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲡ ᲐᲜ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ.

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲣᲙᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲗ (ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲔᲠᲗᲯᲔᲠᲐᲓᲘ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲐᲪ).

ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲘᲓᲔᲐ ᲓᲐ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ ᲒᲝᲗᲮᲝᲕᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲝᲗ ᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲘᲗ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ, ᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲝᲗ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ („ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ“) ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲔᲙᲔᲗ: 33-50-32

ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ · ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ · ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ · ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲘᲡ — „ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲘᲡ“ ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲥᲕᲘᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲛᲐ ᲔᲚᲔᲜᲔ ᲗᲔᲕᲓᲝᲠᲐᲫᲔ.

ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜ ᲔᲚᲔᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲕᲣᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ!

ᲨᲔᲚᲐᲮᲣᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ᲐᲛ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲡᲐᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲔᲑᲐᲡ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ. ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲝᲢᲝᲖᲔ ᲐᲦᲑᲔᲭᲓᲘᲚ ᲡᲐᲮᲔᲡ ᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲐᲠᲒᲔᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲝᲣᲮᲓᲔᲑᲐ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲤᲝᲢᲝ ᲘᲛ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲮᲛᲐᲡ ᲓᲐᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲡ.

ᲒᲗᲮᲝᲕᲗ, ᲨᲔᲐᲕᲡᲝᲗ ᲥᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲘᲒᲖᲐᲕᲜᲝᲗ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ. ᲥᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲩᲐᲐᲒᲓᲔᲗ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ (7 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ) 13 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ.

„ფანტაზია“
შელახული
ავტორიტეტი

„ფანტაზიორობს
კითხველი“

ფელაფერი
ნდა ვიცოდე


ახი მოგზაური გოგონა
საქართველოში ჯავახეთიდან
შემოვიდა:
— იმ ლამეს სოფელს მივადექით...
მანამდე, მთელი კვირა ადამიანი
არსად გვინახავს...

Б 102/27